ᲐᲠᲘᲚᲘ

№3 (210) ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲗ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘ
ფასი 1.50 ლარი

Аҧсны

Алитературатә перспективаҟәа

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

1134
2005

#3, 2005

ARILI

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
რატი ამაღლობელი
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე

№3. მაისი. 2005

პროზა

დაურ ზანთარია
ჩუ-იაკუბის ბედისწერა 1

გელა ჩქვანავა
როცა ომი იყო 15

ფაზილ ისკანდერი
ბიჭი და ომი 28

დათო ქარდავა
ძვრივი ძალის მუცელი 33

დაურ ნაჭყებია
მალე შემოდგომა დადგება 42

სერგო ნურნუმია
დამსხვრეული ცის ბინადარი 46

პოეზია

გურამ ოდიშარია
ლექსები 56

ესე

გურამ ოდიშარია
ჩვენი ომების უსახელო რაინდები 59

პუბლიცისტიკა

თამაზ ვასაძე
კრიტიკული ფრაგმენტები 66

დაურ ნაჭყებია
ბაგრატის დუმილი 67

რუსუდან ჯანაშია
...სოხუმური ზაფხულები 68

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

დაურ ზანთარია

ჩუ-იაკუბის ბედისწერა

ისტორიული ქრონიკიდან



1.

უბიხები ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ და ყოველმა სოფელმა ათი კომლიდან ერთი მებრძოლი გამოიყვანა. სოჭში თავყრილობაზე წინამძღოლად ცნობილი ადაგო ბერზეგ საატკერი დაასახელეს. დანიშნულ დღეს შეკრებაზე ორი ძმა გამოცხადდა - იაკუბი და იბრაჰიმი.

წინამძღოლმა ყურადღება მიაპყრო ძმებს და შეკრებილთ ჰკითხა, ესენი ვინ არიანო.

- ესენი უბედური კობლუხის ვაჟები არიან. ჩუს გვარისანი გახლავთ, - მიუგეს მას.

- კი მაგრამ, ეს უწვერული ბიჭები რომ გამოგზავნა მამამ, თვითონ რატომ არ მოვიდა?

- მაგათი მამა მაწვნით გაძღა და მოიცელა, - უპასუხეს ნუკერებმა. მაგრამ ადაგოს არ მოეწონა ნუკერების ტონი და ცივი მზერა მიაპყრო მათ. კობლუხის ბიჭები კაი შესახედავნი იყვნენ.

- თქვენ რატომ გამოგიშვათ, ის ხომ თვითონ უნდა მოსულიყო? - შეეკითხა საატკერი.

- მამაჩვენი ნადირობისას დათვმა დატორა და დაჭრილი ფეხზე ვეღარ დადგა, - უპასუხა წინამძღოლს იაკუბმა, ძმათაგან უფროსმა.

- იარაღ-საჭურველი ხელთა გაქვთ? ან ცხენები კი წამოიყოლეთ? - კვლავ ჩაიკითხა ადაგო საატკერი.

- მამაჩვენის იარაღი გვაქვს და ორი ცხენი გვახლავს, - მიუგეს ჭაბუკებმა.

ადაგოს მოეწონა ყმაწვილები.

- ძველი უბიხური წესის თანახმად, ლაშქრობაში უცოლო და უვაჟიშვილო კაცის წაყვანა არ შეიძლება. ჩვენ ცოტანი ვართ, მტერი კი უამრავი გვყავს. კაცი რომ გველუპება, ჩვენთვის დიდი დანაკლისია. და თუ ეს კაცი უშვილოცაა - დანაკლისი ორმაგია, ვინაიდან ამ კაცთან ერთად უბიხი შურისმაძიებლებიც იღუპებიან, - თქვა ადაგო ბერზეგ საატკერიმ.

ყმაწვილები შეცბუნდნენ და საპასუხო სიტყვა არ გაუღიათ, მაგრამ შუამავლის მეშვეობით წინამძღოლს სთხოვეს უკან არ გაებრუნებინა ისინი.

- რას იტყვიან ჩვენზე მაცესტელი მოხუცი ქალები თუ თავჩაქინდრულები დავბრუნდებით უკან? მაცესტელი მოხუცები იტყვიან: "აი, გამოვიდნენ ყმაწვილები სახელის მოსახვეჭად მამური გულით, მაგრამ უკან დედობრივი გულით დაბრუნდნენ". წინამძღოლმა არ უნდა დაგვაბრუნოს უკან, არ უნდა შეგვარცხვინოს.

ჩაფიქრდა მოხუცი ადაგო და შეისმინა ძმების თხოვნა. მან ჰკითხა უფროსებს და უფროსებმა მიუგეს:

- წავიყვანოთ ეგ ბიჭები, დაე, გვაჩვენონ რა შეუძლიათ. მებრძოლებად არ იბადებიან, ბრძოლას ბრძოლის ველზე სწავლობენ.

ადაგომ ერთ-ერთი ძმის წაყვანა გადაწყვიტა. მან უფროსი წაიყვანა, უმცროსი კი უკან გააბრუნა.

ორიათასიანი ლაშქარი მიდიოდა, რათა ხოსტას ციხესიმაგრისთვის ალყა შემოერტყა. იაკუბი, უფროსი ძმა, მოხუც ადაგოს ემსახურებოდა და მისგანვე სწავლობდა საომარ ხელოვნებას.

იმ გაბედულ მებრძოლთა შორის, რომლებიც პირველები შევარდნენ ციხესიმაგრეში, იაკუბიც იყო. ტყვიამ ბარძაყში გაუარა, ისე, რომ ძვალს არ შეხებია. უკანდახევისას ყმაწვილმა ჭრილობა მოიბანა, შემდეგ მორს- ქერქი მოაცა-

23471

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, ჭიანჭველა იპოვა და ჭრილობაში შეუშვა, რათა მწერს გადამდები სნეულება ამოეჭამა. მერე ჭრილობა ტილოთი შეიხვია და არავისთვის სიტყვა არ უთქვამს. თუმცა ეს ყველამ შეამჩნია. ასე გახდა შესამჩნევი პირველივე ლაშქრობაში უბიხი ყმაწვილი იაკუბი ჩუს გვარისა.

2.

მალე იაკუბი მიუძღოდა ლაშქრობაში მებრძოლთა ათეულს. გაგრის ვიწროების აღებისას მან თავისი ხალხით ადიდებული ბზიფი გადაცურა და მტერს ზურგიდან დაეცა. ამ დღიდან ის ასისთავი გახდა, მისი პირადი სახელი საგვარეულო სახელთან ერთად მოიხსენიებოდა და მას იაკუბს კი არა, ჩუ-იაკუბს ეძახდნენ.

შემდეგ ლაშქრობაში კი, როცა უბიხებმა აფხაზეთში ათი ათასი ცხენოსანი გაგზავნეს, ჩუ-იაკუბი ათასეულის უფროსად დაასახელეს. მაშინ ის ოცდახუთი წლის იყო.

ბერზეგებს, ყველაზე ცნობილი და გავლენიანი გვარის წარმომადგენლებს უბიხებში, თავმოყვარეობა შეელახათ. ერთ-ერთმა ბერზეგმა, ხანიის ძე მახმატუკომ მეჯლისზე თქვა:

– განა შეურიგდება უბიხის გული იმას, რომ იმ მებრძოლთა თავკაცად, რომლებიც ცეცხლში მიაბიჯებენ და სძაგთ სიკვდილი, არჩეულია ღარიბ-ღატაკი, ჩვენი ბელელის ნავირთხალით გამოკვებილი ადამიანი?

ამ სიტყვებმა არა მარტო ჩუ-იაკუბი აღაშფოთა, არამედ მეჯლისზეც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

– არ გეკადრება ამის თქმა, მახმატუკო – შენ გინდა ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო მებრძოლს სახელი გაუტეხო. ის, ვინც თითქოსდა თქვენი ბელელის ნავირთხალი ნარჩენებით იკვებებოდა, საკმაოდ ძლიერი გამოდგა და თავისი სისხლით დაამტკიცა, რომ სამშობლოს ერთგული იყო, მაშინ როცა ზოგიერთი თავადი გვარის გადასარჩენად სტამბოლში იმალებოდა.

– არა, მათ არ უნდა დაიცვან ჩვენი თავისუფალი ნაპირები, ვის მამებსაც მეჯლისზე არ უშვებდნენ, – თქვა რომელიღაცამ.

– ვინც თავყრილობაზე ბევრს ლაპარაკობს, ის ბრძოლაში ჩერქეზ ქალზე უფრო მოკრძალებულია, – თქვა მეორემ.

იაკუბი შეშფოთებული იყო. ოცდახუთი წლისა იყო და სამჯერ დაიჭრა ბრძოლებში. მაგრამ ყველაზე მწავე ჭრილობა დღეს მას ბერზეგ მახმატუკომ მიაყენა, არადა, მისი ვაჟი სწორედ იაკუბმა გამოიხსნა დამამცირებელი ტყვეობიდან.

– ჩემს გამო ნუ იდავებთ, ხალხნო, – წარმოთქვა ჩუ-იაკუბმა, – სიტყვები, რომლებიც ჩემი მისამართით წარმოითქვა, მაიძულებს შეურაცხმყოფელს საკადრისი პასუხი დავუბრუნო, მაგრამ ამჟამად შეხლა-შემოხლის დრო არ არის. დე, მომიტევოს ხალხმა თუ ვბედავ და ჩემს თავზე ვლაპარაკობ, მაგრამ აღიარების მსურველი არასდროს ვყოფილვარ და ყოველთვის იქ ვიდექი, სადაც ხალხი მიკარნახებდა. დღეს, თუ თქვენი სურვილიც იქნება, მე ასისთავის მოვალეობასაც დავთმობ და უბრალო მებრძოლთა რიგებში ჩავდგები.

ეს თქვა თუ არა, შეატყო, რომ ხალხმა შვებით ამოისუნთქა. არავის უნდოდა უსიამოვნება ლაშქრობის წინ და ხალხმაც ჩუ-იაკუბის პატივს საბჭოზე დასადგურებული მშვიდობა ამჯობინა. იაკუბი არ ცდილობდა უფროსობას, ის ძალიან გულგატეხილი იყო. მეჯლისი მიატოვა და წავიდა.

ჯერ კიდევ არ იყო შენობიდან გასული, რომ უცხო ადამიანის ხმა შემოესმა. უცნობი მას ემხრობოდა, მაგრამ ჩუ-იაკუბმა არ უსმინა და შინ წავიდა. საღამოთი კი მასთან სახლში უხუცესები მივიდნენ და ხალხის სახელით სთხოვეს ათასეულისთვის წინამძღოლობა გაეწია. მოგვიანებით შეიტყო, რომ ეს გადაწყვეტილება ხალხს ადრე შეხვედრილმა უცნობმა შთაგონა. ბევრს ჰკითხა იაკუბმა, მაგრამ ვერავისგან შეიტყო, ვინ იყო ეს უცნობი. ახლა ფიქრის დრო აღარ ჰქონდა. ძნელი ლაშქრობა ედოთ წინ, ათასეულის უფროსსაც მრავალი სიძნელე ელოდა.

ჩუ-იაკუბმა ბრძოლაში თავი გამოიჩინა. უსინათლოებმა მის შესახებ სიმღერა შეთხზეს. უხუცესები ამბობდნენ, ჩუ-იაკუბის გვარს თავადაზნაურობა უნდა მიენიჭოსო. მაგრამ მოულოდნელად ჩუ-იაკუბის ძმა იბრაჰიმი მოიტაცეს და თურქეთში მონად გაყიდეს.

3.

ჩუ-იაკუბი განმარტოებით ცხოვრობდა, ნადირობით იყო გატაცებული და უარს ამბობდა ძარცვის მიზნით სალაშქროდ სიარულზე. ამას არცთუ მაინცდამაინც ჭკვიანი ბერზეგები სჩადიოდნენ. ბერზეგები გაუვალ ტყეებში დაეხეტებოდნენ, თოვლიან მთებს ლახავდნენ, ნიჩბიანი ხომალდებით და მსუბუქი იალქნიანი ნავებით ფარავდნენ მანძილს, უეცრად ეცემოდნენ სოფელს, ძარცვავდნენ და ტყვედ იყვანდნენ ადამიანებს. ტყვეებს ყველაზე ხშირად ზღვის გაღმა ჰყიდდნენ, ანდა თუ საქმე იყო, საომარ დროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვეს შინ ტოვებდნენ, სამეურნეო სამუშაო ბევრი არ იყო, მაგრამ ტყვე მუშაობდა, ოღონდ აღარც გვარი ჰქონდა და აღარც თმის კულული, ორივეს ართმევდნენ საუკუნო წესის თანახმად. და ტყვეს გაქცევა არ შეეძლო მანამ, ვიდრე მისი თმა პატრონის ხელში იყო. თმა იყო ხვედრი და ბედი, მისი ბოლო ძაფივით ეჭირა პატრონს, ტყვედმყოფს არსად უშვებდა; თმა მონური მორჩილების ნიშანი იყო. და ეს ყველას ეხებოდა, მათ შორის იმასაც, ვინც ტყვედ ჩავარდნამდე ცნობილი ვაჟკაცი იყო.

ჩვენ შინაურ მონებზე ვსაუბრობთ, მონა სამი ნაწილისგან შედგებოდა: კანი და ძვლები ღმერთის შექმნილი იყო და მხოლოდ ღმერთს ეკუთვნოდა: ხორცი და ძალა პატრონის მფლობელობაში იყო, ვინაიდან პატრონს რომ მონისთვის საკვები არ მიეცა, მას არც ხორცი ექნებოდა და არც ძალა. თვითონ მონა მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეს ფლობდა და მხოლოდ მისი წართმევა შეეძლო პატრონისთვის.

ტყვეობა ყველას ემუქრებოდა, ცნობილ და აღიარებულ ადამიანებსაც. უკვე რამადანიც ახლოვდებოდა, მალე ანაპაში და ტრაპიზონში ეგვიპტიდან მამელუქები უნდა ჩამოსულიყვნენ. ისინი თავიანთი გვარდიისთვის კავკასიელი ყმაწვილების ახალი პარტიის ყიდვას აპირებდნენ. ასეთ დროს შფოთი ისადგურებდა მთელ სანაპიროზე ბათუმიდან ქერჩამდე. ყმაწვილების მომტაცებლები ზუსტად იმ დროს ელოდნენ, როცა მამელუქები უნდა ჩამოსულიყვნენ და ნაჩქარევად ცდილობდნენ საქონლის ხელში მოგდებას. ამ დღეებში მაცხოვრებლები ერთად იყრიდნენ თავს, ჯგუფურად სეირნობდნენ, ბავშვები თამაშობდნენ, მაგრამ მათ შეიარაღებული მამაკაცები იცავდნენ.

ჩუ-იაკუბი წავიდა უმცროსი ძმის მოსაყვანად. უმცროსი ძმა მარტო მწყემსავდა თხებს და რატომღაც დააგვიანა. ბიჭი ადგილზე არ აღმოჩნდა. იაკუბმა საძებნელად თავისი ხალხი გაგზავნა. ეძებდნენ ყველგან, ყველა კუთხე-კუნჭულში. საბოლოოდ კვალს ტრაპიზონში მიაგნეს. წინააღმდეგობის გაწევისას იბრაჰიმმა თვალი დაკარგა და ამიტომაც არ იყიდეს მამლუქებმა და არ წაიყვანეს კაიროში.

ჩუ-იაკუბს აღარ უყოყმანია და პირდაპირ ტრაპიზონში გაემართა თავისი იალქნიანი ნავით და ეწვია მონების ბაზარს. ძველი წესის თანახმად, ვიდრე ბაზარში შევიდოდა, საჭურისებისგან მტრედი იყიდა და გაუშვა.

როგორც კი ბაზარში შევიდა და თავისი ძმის სახელი დაიძახა, მაშინვე სხვადასხვა ასაკის უამრავი ჭაბუკი გამოეხმაურა. ყველანი გასაყიდად ჰყავდათ გამოყვანილი. ყველას სურდა მთაში მცხოვრებ კაცს ეყიდა, რათა მონური ცხოვრება მშობლიურ ადგილებში გაეტარებინა. იაკუბს ძლივს ეყო ძმის გამოსასყიდი თანხა. ახმედ-ბეიმ დიდი გადასახადი მოითხოვა. იბრაჰიმი სამარცხვინო ვაჭრობისთვის იმიტომ გაიმეტეს, რომ მას ფიზიკური ნაკლი ჰქონდა. იაკუბმა გამოისყიდა ძმა და უკვე შინ წამოსასვლელად ემზადებოდა, მაგრამ ახმედ-ბეიმ, განაწყენებულმა იმით, რომ იაკუბმა მაინც თავისას მიაღწია, გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა მისთვის და ჭადრაკის თამაში შესთავაზა. ბეიმ იაკუბს ხან-გირეის გვარის მშვენიერი ჩერქეზი ქალი შესთავაზა, ხოლო თვითონ თუკი მოიგებდა, იაკუბის იალქნიან ნავს ჩაიგდებდა ხელში. ახალგაზრდა მთიელისთვის ძნელი იყო ჭარმაგ ახმედ-ბეისთან შეჭიდება. ახმედ-ბეის არ აკლდა სულთანის პატივისცემა, ტრაპიზონში სასახლეები ჰქონდა, მრავალ მონასაც ფლობდა და ბრძოლებშიც სახელი მოიხვეჭა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იაკუბი უკეთესად ფლობდა ამ მზაკვრული თამაშის კანონებს და საბოლოო გამარჯვება და მასთან ერთად ჩერქეზი თავადის ასულიც მას დარჩა. იაკუბმა ძმასთან ერთად კავკასიისკენ გამოსწია და ქალიც წამოიძღვანია. "თანახმა ხარ თუ არა, რომ მამაჩემის რძალი და ჩემი შვილების დედა გახდე?" - ჰკითხა იალქნიან ნავში იაკუბმა თავადის ასულს. თანხმობის ნიშნად ქალმა კრძალვით დახარა გრძელი წამწამები, რითაც ისინი საქვეყნოდ არიან განთქმულნი.

ვიდრე შინ დაბრუნდებოდნენ, იაკუბმა და იბრაჰიმმა ქალიშვილი მამის სახლში წაიყვანეს. იალქნიანი ნავი თავადის მამულთან ახლოს მიაბეს. ისინი იმ დროს მივიდნენ თავადის სახლში, როცა სახლეულთ ქალიშვილის პოვნის იმედი უკვე გადაწურული ჰქონდათ, სამგლოვიარო რიტუალი გაემართათ და მის კაბას დასტიროდნენ.

მამაკაცები თავადის ასულის მხსნელებს მიეგებნენ, გზად ისინი სამგლოვიარო არშიებს აძრობდნენ და თეთრ ტილოებს ჰფენდნენ.

თავადმა ხან-გირეიმ ჩუ-იაკუბს თავისი ცხენების რემა აჩუქა, დედას კი ქალიშვილის გადამრჩენელი სურდა ეშვილა და წესისამებრ მკერდზე შეხების უფლება მიეცა მისთვის. იაკუბმა სთხოვა ქალს, არ ეშვილა. მან სიტყვა მისცა, რომ ერთი თვის მერე მოვიდოდა და წაიყვანდა ნაჩუქარ ცხენების რემას, მანამდე კი მაჭანკლები გამოგზავნა და ცხენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ წაუყვანია.

- სჯობს ჩემი ქალიშვილი უბრალო მებრძოლს გაჰყვეს, ვიდრე წარჩინებულ უსაქმურს, - დასძინა თავადმა.

მამის ოთხკუთხა ქოხის შორიახლოს იაკუბმა თავისი კონუსისებრი ქოხი - ამჰარი - აიშენა. ქორწილზე ბერზეგებმა აუწყეს, მალე თავადაზნაურობას მოგანიჭებთო, მაგრამ მთელმა ხალხმა იცოდა, რომ მათ შურდათ ჩუ-იაკუბის სახელი და გულში მტრობა ჰქონდათ ჩადებული.

4.

ერთხელ უცნობი მხედარი მივიდა ჩუ-იაკუბის კარიბჭესთან და შეუძახა მას. ძველი წესისამებრ, იმ კაცს სახე თავსაბურავში ჰქონდა ჩამალული. იაკუბი გამოეგება სტუმარს და შინ მიიწვია, მაგრამ მხედარმა უარი უთხრა სტუმრობაზე.

- ამ კვირაში ბერზეგები კაცებს გამოგიგზავნიან და ტუაფსეში საზღვაო გზით ლაშქრობაში მიგიწვევენ. იცოდე, არ დათანხმდე, რადგან შენი დაღუპვა აქვთ განზრახული, - უთხრა სტუმარმა ჩუ-იაკუბს.

ამის თქმა იყო და უცნობი თვალსდახელს შუა გაუჩინარდა.

"რას ნიშნავს ყოველივე ეს? - გაიფიქრა ჩუ-იაკუბმა, - მართალი მითხრა ნეტავ ამ კაცმა, რომლის ხმაც საკმაოდ მეცნობა? იქნებ მცდის? ან იქნებ, როგორც მეგობარი, საშიშროების შესახებ მატყობინებს და თან ბერზეგების ეშინია და ამიტომ ინიღბება?"

დიდხანს ფიქრობდა ჩუ-იაკუბი. ჯერ გადაწყვიტა სადმე წასულიყო, რომ სახლში მყოფებს მოსულთათვის ეუწყებინათ, იაკუბი შინ არ არისო, მაგრამ გამბედავმა უბიზმა ეს გადაწყვეტილება მაშინვე უარყო. მან გადაწყვიტა დაეცადა და ყველაფერი მოსალოდნელ შემთხვევითობას მიანდო. დადგა კვირადღე. უცნობი მართალი გამოდგა. ბერზეგიმ ჩუ-იაკუბს კაცები გამოუგზავნა და ამცნო, გარკვეულ დროში ლაშქრობაში მივდივართ და ჩვენთან ერთად წამოდიო.

იაკუბმა მაცნეები შინ შეიპატიჟა და ხარი დაუკლა. როცა ისინი გააცილა, კვლავ ფიქრს მისცა თავი.

- რამ ჩაგაფიქრა, ჩემო ბატონო? - შეეკითხა მას ხან-გირეის ქალიშვილი, რადგან შეატყო ქმარს რაღაც უშფოთებდა სულს.

- აი, რატომ ვარ დაფიქრებული, - უთხრა იაკუბმა და გული გადაუშალა.

- ცუდი სიზმრები ვნახე, მეც არ გირჩევ წასვლას, - შესთხოვა ცოლმა.

მაგრამ განა ცოლის რჩევას აჰყვებოდა ჩუ-იაკუბი?

- სულს რა გიშფოთებს, ჩემო უფროსო ძმაო? - ჰკითხა იბრაჰიმმა.

იაკუბმა მასაც გაანდო გულისნადები.

- ჩემო უფროსო ძმაო, ბერზეგები შენ მოსვენებას არ გაძლევენ! არ წახვიდე! - ანთებულმა წარმოთქვა პატარა ძმამ.

- რას ჩურჩულებთ, რა გაშფოთებთ? - ჰკითხა ძმებს მამამ.

- ჩვენ იმიტომ ვშფოთავთ, - მიუგო იაკუბმა, - რომ ბერზეგები ჩემს მოკვლას აპირებენ. ჯერ შეურაცხყოფა მომაყენეს, ახლა კი ლაშქრობაში მიწვევენ. ჩემამდე მოაღწია ხმამ...

იაკუბის მამა კოლბუხი შვილის წყალობით სოფელში პატივისცემით სარგებლობდა, ამასთან მოხუცი მუდამ აფასებდა ბერზეგებს, ხიბლავდა მათი ყურადღება; შვილებისთვის მოულოდნელად მან დაიყვირა:

- რა სისულელეა, ვიღაც მაწანწალას უგდებ ყურს და არ მიჰყვები იმას, ვინც სახელის მოსახვეჭად გეძახის! მაცესტას მოხუცი ქალები იტყვიან, რომ ჩემს შვილს შეეშინდა!

"იქნებ ის უცნობი ბერზეგებმა მოაგზავნეს, რათა ვეცდუნებინე?" - გაიფიქრა ჩუ-იაკუბმა.

- შენ მართალი ხარ, მამა. მე ტყუილად შეგეშინდა, - ასე უთხრა იაკუბმა.

და ბევრი აღარ უთათბირია ამ საკითხზე, დანიშნულ დღეს ლაშქრობაში გასწია. "მეც წამოვალ შენთან ერთად, უფროსო ძმაო!" - სთხოვა უმცროსმა, მაგრამ იაკუბმა უბრძანა მას უკან გაბრუნება.

- უფრთხილდი, ზურგიდან არ გესროლონ! პირისპირ სროლა ნაკლებად საშიშია! - მიადევნა სიტყვა იაკუბს იბრაჰიმმა.

ეს რომ გაიგო, მათი მამა კოლბუხი განრისხდა.

- რას მიედ-მოედები! - დაიყვირა მან, - როგორ ბედავ უფროს ძმას ჩაუნერგო, მეგობრებს არ ენდოო! განა ბრძოლის დროს ყოველ წამს უკან უნდა აბრუნოს თავი?

- ნეტავ აქამდე სად ვიყავით ჩვენ, გამბედავები? - გულში შეეპასუხა იბრაჰიმი მამას.

- მამას არ გაუკადნიერდე! - გაიღიმა ჩუ-იაკუბმა და ეზოდან ჭენებით გავარდა.

მებრძოლთა არცთუ დიდი რაზმი ნიჩბოსანი გემით ზღვაში გადიოდა. ბევრი წინააღმდეგი იყო ზღვაში გასვლისა, რადგან შორს ზღვის თავზე ღრუბელი ჩამოწვა, მაგრამ ქარი სამხრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თიდან ქროდა და რაზმის წინამძღოლმა, ხანიას ვაჟიშვილმა მახმატუკომ ბრძანა გაეშალათ იალქნები.

რამდენიმე ხანს ზღვა წყნარად ლივლივებდა და იალქნები ნელა მიექანებოდნენ დასავლეთისკენ, მაგრამ ქარი გაძლიერდა და მგზავრებმა გემი მდინარე შახეს ხეობაში გააჩერეს. რაზმი მოგროვდა და თავშესაფარი მოიწყო. ზოგიერთი თანამგზავრის საქციელი იაკუბს თავიდანვე არ მოეწონა: ისინი ხან საეჭვოდ ესალმებოდნენ, ხან საერთოდ არიდებდნენ თვალს. იაკუბი თანამგზავრებს თავშესაფრის მოწყობაში შველოდა, თუმცა დაძაბული და დადარაჯებული იყო. მის ზურგსუკან მოულოდნელად იარაღის საკეტის ჩქამი გავარდა. იაკუბმა სარი ხელიდან გაგდო და მკვეთრად შემობრუნდა. სხაპლუხი, მახმატუკოს ძუძუმტე თავხედურად უმზერდა იაკუბს. სხაპლუხს ხელში იარაღი ეჭირა, რომელმაც უმტყუნა და არ გავარდა. იაკუბი ერთი ნახტომით გაჩნდა მასთან, იარაღი გამოსტაცა, კონდახი თავში ჩასცხო და სწორედ ამ დროს ესროლეს. იაკუბი მიხვდა, რომ დაჭრილი იყო, მაგრამ არ დაბნეულა, კიდევ ერთხელ გადახტა და ზღვიდან ამოზიდულ ფელუკაზე დაწვა. მარცხენა ფერდში ძლიერი, გამჭოლი ტკივილი იგრძნო. ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მეორე მხარეს გადაბრუნდა და სროლა ატეხა. მისი კაჟანი თოფიდან ბოლქვებად ავარდა ბოლი.

სხვა მებრძოლებმა დაინახეს, რომ მახმატუკოს ხალხი თავისიანს ესროდა და შეხლა-შემოხლა აღკვეთეს. ჩუ-იაკუბი წავიდა, ჰაერში ისროდა, რომ უდანაშაულო ადამიანისთვის ტყვია არ მოეხვედრებინა. ისე წავიდა, რომ არ იცოდა, ვინ დაჭრა ან ვინ მოკლა.

ბერზეგები, რომლებიც სახელის მოსახვეჭად წავიდნენ, მოკლული სხაპლუხით და დაჭრილი მახმატუკოთი დაბრუნდნენ. ჩუ-იაკუბმა დაასწრო მათ. მან ოჯახი გახიზნა და თვითონაც უკვალოდ გაუჩინარდა.

მახმატუკო მოკვდა, ვეღარ მოირჩინა მძიმე ჭრილობა. მისი ვაჟიშვილები ჩუ-იაკუბს ეძებდნენ, მაგრამ ვერ მიაგნეს მის კვალს. მაშინ ისინი ჩუ-იაკუბის თვისტომების ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ვერც მათი კვალი ნახეს სადმე.

5.

მეჰმედ-ალი... თუმცა ეს მთავარსარდალი ჩვენს დროში ისე ცნობილი როდია, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში იყო. იმ დროს მისი სახელი ხშირად მოიხსენიებოდა ევროპული გაზეთების ფურცლებზე. მის შესახებ წერდნენ მერიმე, დიუმა და ლორდ ვოლნეი. ის ოდესღაც ბედთა წარმმართველი იყო და ძლევამოსილ თურქეთს ეტოვებოდა. მე ორიოდე სიტყვით მოვყვები მის შესახებ.

ნაპოლეონის ეგვიპტეში ექსპედიციის ჟამს სულთანმა მამლუქებს მოსახმარებლად მეჰმედ-ალი გაუგზავნა. ის თურქეთის არმიის ალბანურ გვარდიას უძღვებოდა. კავკასიის დინასტიის მამლუქები ასობით წელი ბატონობდნენ ეგვიპტეში და თურქეთის პროტექტორატს მხოლოდ ფორმალურად სცნობდნენ. თუმცა მისგან დახმარება კი მიიღეს. მამლუქები მეჰმედ-ალის და ინგლისელებს დაუკავშირდნენ და ეგვიპტიდან ფრანგები გარეკეს. ალბანეთის არმიამ თავისი მისია შეასრულა, თუმცა მეჰმედ-ალი არ მიიჩქაროდა თურქეთში ტრიუმფით და ანგარიშის წარდგენას აპირებდა იქ.

მალე მეჰმედ-ალის და მისი გვარდიელების მეშვეობით მამლუქები ინგლისელებისგანაც გათავისუფლდნენ, თუმცა არც ეს აღმოჩნდა იმის მიზეზი, რომ მეჰმედ-ალი სტამბოლში გამგზავრებულიყო. ამასობაში მამლუქები ამ ცოტა ხნის წინ სრულიად დამოუკიდებლები უხალისოდ ითმენდნენ ქაიროს კოშკში თურქეთის ფაშას ყოფნას და აი, მეამბოხე ალბანელების მეშ-

ვეობით (ძვირფასო მკითხველებო, ეს ხომ აღმოსავლეთია) გააძევეს თვით ფაშა, თურქეთის უკანასკნელი წარმომადგენელი ეგვიპტეში.

თურქეთის სულთანი ამ შემთხვევაში სრულიად უძლური აღმოჩნდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად მან ფაშად ეგვიპტეში თვით მეჰმედ-ალი დანიშნა. პირველ ხანებში მეჰმედ-ალიმ ეს წოდება მიიღო და ცდილობდა დროის გაყვანას და თავისი მდგომარეობის განმტკიცებას, მაგრამ ფაშას უფლებამოსილება ეგვიპტეში მამლუქების ძლევამოსილების პირობებში კონსულის უფლებამოსილებას ძლივს აღემატებოდა. ალბანელის პატივმოყვარეობით ნაკარნახევი განზრახვები კი კაიროს კოშკის ფარგლებს სცილდებოდა.

მთელი ძალაუფლება ეგვიპტეში კვლავ მამლუქებს ხვდათ წილად. მათ ერთმანეთში გაინაწილეს სახელმწიფო პოსტები და სიმდიდრე, მეჰმედ-ალის კი მხოლოდ საზეიმო გაცილების პატივი აკმარეს. მამლუქები ზეიმობდნენ თავიანთ გამარჯვებას და უბრალო ხალხს - ეგვიპტელ ფელახებს ტანჯვას არ აკლებდნენ. ხალხი ავჯანყდა. ამ ძლევამოსილი ავჯანყების მეთაური მეჰმედ-ალი გახდა.

ყოველივე ეს კი ამგვარად მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, 1811 წლის 1 მარტს, მეჰმედ-ალიმ კაიროს ციხესიმაგრეში მამლუქები მიიწვია და სთხოვა მათ, მონაწილეობა მიეღოთ აღლუმში. მამლუქები საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილები წარდგნენ მეჰმედის წინაშე, ხალხი ზემოდან დაჰყურებდა მათ, მაგრამ როგორც კი მათი წინამძღოლი მიუახლოვდა კარიბჭეს, კარიბჭე დაიკეტა და ციხესიმაგრის კედლებიდან ხალხმა მამლუქებს ცეცხლი გაუხსნა. ყველა მამლუქი დაილუპა, მხოლოდ ერთმა მათგანმა გარისკა და ცხენიანად უფსკრულში გადაეშვა, ცხენი დაიღუპა, თვითონ კი გადარჩა და გაიქცა. ამ ადგილს არაბები დღემდე მამლუქის ნახტომს უწოდებენ.

ასე რომ, რაღაც ერთი საათის განმავლობაში მეჰმედ-ალი ყველაზე ძლიერი და მდიდარი ეგვიპტელი გახდა. მან თავისი ძალა თვითონვე შეცნო. ის მოქმედი კაცი იყო და სამხედრო საქმეებში ჩახედული, არმიასა და ფლოტს ევროპულ ყაიდაზე აგებდა. ეგვიპტის სამხედრო გემები ზღვაში გავიდნენ. მეჰმედ-ალიმ სამჯერ გაანადგურა თურქეთის არმია. მხოლოდ რუსეთის ჩარევამ იხსნა სტამბოლი დაცემისაგან. რუსეთს არ უნდოდა სამხრეთის საზღვრებთან ძლიერი ეგვიპტე და დასუსტებული თურქეთი ერთად ყოფილიყვნენ. მეჰმედ-ალი ეგვიპტეში სულთანის ნაცვლად მოიხსენიებოდა.

1831 წელს მეჰმედ-ალიმ მოიხმო თურქეთის მტრები თავისი დროშის ქვეშ და ძალიან სწრაფად მის სამხედრო წინამძღოლებს შორის კავკასიელი მთიელები გაჩნდნენ. სირიაში მეჰმედ-ალის არმია, რომელსაც მისი ვაჟიშვილი მეთაურობდა, რადგან მთავარსარდალი უკვე მოხუცებული იყო, ალყაში მოექცა. ჯარისკაცებს ფქვილის მარაგი გამოელიათ. მაგრამ აქვე ერთმა თანამეომარმა დაამზადა წისქვილის ქვა და ხელის წისქვილით დაფქვის კავკასიური წესი აჩვენა ყველას. არაბებმა მხარდამხარ იშრომეს და ხორბლის მოსავალი აიღეს, ფქვილი დაფქვეს. არმიას ალყა სწორედ ყანის ირგვლივ ჰქონდა გარშემორტყმული. ფქვილი რომ დაფქვეს, არმია დანაყრდა, გაძლიერდა და ალყა გაარღვია.

ის ერთი მეომარი, წისქვილის ქვა რომ დაამზადა, უბიხი ჩუ-იაკუბი იყო.

6.

მე თანდათან ვგრძნობ, რომ ჩემს მონაყოლ ამბავს მხოლოდ ეგვიპტე ცხოვრებისეულობას ვერ შესძენს. ისე, ვინც იმ დროს იცნობს და ოდესმე მაინც იჩხრიკებოდა მაშინდელი ოფიცრების და ჩინოვნიკების დავთრებში (ეს იყო დრო კავკასიაში ჯიგიტობის გაფურჩქვნისა) შეუძლია დაასაბუთოს, რომ მსგავსი ამბები საკმაოდ გავრცელებული იყო. ამასთანავე, ბულვარული და ჰეროიკულ-სათავგადასავლო სისულელეების მთელი მთა იდგა და ამიტომაც მეტი დამაჯერებლობისთვის და ნაკლებმორწმუნეთა გულის მოსაგებად ჩვენი სიუჟეტი მკაცრი დოკუმენტებით უნდა განვამტკიცოთ. მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს არა უბრალოდ შეთხზული ამბის გადმოცემა, არამედ ხალხის მონაყოლის დოკუმენტთან შეჯერება.

ერთხელ უბიხების შესახებ დაწერილი ნარკვევი ჩამივარდა ხელში. ეს ნაწერი ცნობილი ფრანგი ეთნოგრაფის და ლინგვისტის, კავკასიური ენების მცოდნის ჟორჟ დიუმეზილის კალამს ეკუთვნოდა. ნარკვევში მე შემხვდა სახელი, რომელიც გადმოცემის მეშვეობით ცნობილი შეიქნა ჩემთვის. ამ გადმოცემით დავიწყებ ჩემს წიაღსვლას.

გადმოცემა მოგვითხრობს ზედსახელ "ჩიუს" ან "ჩოუს" შესახებ. მუჰაჯირობამდე უბიხებში ყოფილა გავრცელებული გვარი "ჩუ". ამ გვარის წარმომადგენლები გლეხები იყვნენ, მაგრამ წარჩინებულები მათ პატივს მიაგებდნენ და ანგარიშს უწევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა უბიხები ომში მიდიოდნენ და ცხენსანთა მწკრივში იდგნენ, ჩუს გვარის კაცი წესისამებრ აგვიანებდა. ჩუ თავის ადგილს იკავებდა, წინამძღოლი აძლევდა ნიშანს, რომ ეს კაცი მოვიდა და წასვლა უკვე შეიძლება. მწკრივში ჩურჩული იწყებოდა და ცხენები ამ ჩქამს წასვლის ნიშნად აღიქვამდნენ. ასე გაჩნდა ზედსახელი "ჩუ", რომელთა წარმოთქმისას ჯიგიტები თავიანთ ცხენებს აჯირითებდნენ.

ეს ლეგენდა მაშინ გამახსენდა, როცა დიუმეზილს ვკითხულობდი. ის წერდა:

"ორი სოფელი მანიასში, სადაც უბიხურად ლაპარაკობენ - ჰაჯი-იაკუბ-კეიუ და ჰაჯი-ოსმან-კეიუ - დაარსდა ჩუს ოჯახის წევრების მიერ. ეს გვარი არ იყო თავადაზნაურული, მაგრამ თავისუფლების ბოლო წლებში თავისუფალ უბრალო ადამიანებს შორის სერიოზული როლი ითამაშა... ოჯახის თავები ახალგაზრდა ადამიანები იყვნენ, იბრაჰიმი და იაკუბი. პირველზე ჯემილმა (იაკუბის შვილიშვილმა) არაფერი იცის და ფიქრობს, რომ იბრაჰიმი გადასახლებამდე კავკასიაშივე დაიღუპა. იაკუბი კი, თავგადასავლების მოყვარული, იმ კავკასიელ მრავალრიცხოვან მთიელებს შორის აღმოჩნდა, რომელთაც მეჰმედ-ალიმ მოუხმო სულთანის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. ძლევამოსილ კამპანიაში, კიუტახიასის 1833 წლის ხელშეკრულებით რომ დამთავრდა, იაკუბმა თავი გამოიჩინა ჭკუითა და სიმამაცით. სირიაში, ყანების შუაგულში არმია შიმშილისგან სულს ღაფავდა. იაკუბმა ხელის წისქვილის გამოყენება იცოდა და ეგვიპტელებსაც შეასწავლა ეს საქმე. ამან იხსნა ალყაშემორტყმული არმია, დანაყრდნენ და მტრის ჯარი გაარღვიეს. მეჰმედ-ალი იაკუბს უზარმაზარ პატივს მიაგებდა. ეგვიპტის მმართველი მხოლოდ მას ანდობდა ძილის დროს მოდარაჯის სადგომს.

ომის წარმატებით დასრულების შემდეგ იაკუბს კაიროში დიდი პატივი მიაგეს. მეჰმედ-ალიმ მას დიდებული სასახლე აჩუქა. იაკუბის წარმატების შესახებ ჭორი მთელ კავკასიას მოედო და ბერზეგებმა, ცნობილმა და გავლენიანმა ხალხმა, ეგვიპტეში თავისი შიკრიკები აფრინეს. ამ შიკრიკებმა მაშინათვე დაადასტურეს ჭორების მართებულობა. ბერზეგებმა იაკუბს ახლა იმაში დასდეს ბრალი, რომ უბიხეთიდან შორს იყო და თავის მშობლიურ მიწა-წყალს, რომელსაც სიკვდილი ელოდა, დახმარების ხელს არ უწვდიდა. შეუთვალეს, ჩამოდი და აქაც დიდ, შენი თანამდებობის შესატყვის თანამდებობას მოგანიჭებთო. იაკუბს სამშობლო ენატრებოდა და მეჰმედ-ალის სთხოვა, გამიშვიო. მეჰმედ-ალი მიხვდა, იაკუბს ვეღარ დააკვებდა და გემთან ერთად ძვირფასეულობა, ქსოვილები და იარაღი გაატანა. კავკასიაში ჩამოსულ იაკუბს იმდენი დოვლათი ჩამოჰყვა, რომ სიმძიმისგან ხომალდის ჭერის კოჭები დაიღუნა. ჯერ კიდევ კაირომდე იაკუბი ხშირად ჩადიოდა სტამბოლში. ერთხელ სტამბოლში ჭადრაკი ითამაშა: მოგებულს წაგებულისგან ქალი უნდა მიეღო. იაკუბმა მოიგო და კავკასიაში ჯამილ-ბეის ბებიასთან ერთად დაბრუნდა...

7.

მაშ ასე, მთიელის ცხოვრების პირქუშ ქსოვილში მოულოდნელად აღმოსავლეთის ფერადოვანი ძაფები შეიპარა. შურისძიებას განრიდებული უბიხი მეომარი ჩუ-იაკუბი აღმოჩნდა ეგვიპტეში, მოულოდნელად დანინაურდა და იქ თხუთმეტი წელი გაატარა. მაგრამ საბოლოოდ სამშობლოს დარდით დათრგუნული უკანვე დაბრუნდა. დაბრუნებისთანავე მან მოიწვია მეჯლისი და მთელი თავის ქონება გასცა. თავისთვის კი მოითხოვა, რომ თვითონაც და მთელი მისი გვარიც თავადაზნაურის წოდებით დაჯილდოებულიყვნენ. საბჭო თანახმა იყო, იაკუბს და მის ძმას ეს წოდება მინიჭებოდათ, ოღონდ მათი აზრით, მთელი გვარი აქ არაფერ შუაში იყო.

- ნუ გავიწყდებათ, რომ უზარმაზარ ეგვიპტის სამეფოში მე დიდებული ვიყავი. განა ეს თქვენს თავადაზნაურობაზე მეტი აღარ არის? - თქვა ჩუ-იაკუბმა.

- ეგ კი ეგრეა, პატივისაგებო ჩუ-იაკუბ! მაგრამ ეგვიპტეში ძალაუფლება ძველი დროიდანვე მონა-მამლუქების ხელშია. იქ ასეა აწყობილი ქვეყანა, ჩვენ კი, უბიხებს სუფთა სისხლი გვაქვს და სუფთადვე უნდა შემოვინახოთ, - თქვა თავადმა დეჩენმა, - შენ, ჩუ-იაკუბ, ვაჟკაცობით და კეთილშობილებით მრავალ თავადიშვილს აღემატე. ამიტომაც ჩვენ გვერდით და ჩვენზე უფრო მაღლაც გიჩენთ შენს კუთვნილ ადგილს. შენი მეუღლე ხან-გირეის გვარისაა, ასე რომ, შენი ნაშიერნიც დიდი საქმეებისთვის იქნებიან მოწოდებულნი, მაგრამ ჩვენ თუ შენს ნათესავებსაც მივანიჭებთ თავადობას, მაშასადამე იმათ, ვინც შენი მსგავსნი არ არიან, როცა ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით, შეიძლება ჩვენი შთამომავლები მათ შთამომავლებს დაუნათესავდნენ და უბიხი წარჩინებულების კავკასიაში ყველაზე უფრო სუფთად შენახული სისხლი აირევა.

ანზორი ბიბილეი, დაუჯი ზანდუკელი და ფაზილ ისაანდარი სოფლიში.

- პატივის ღირსია ამ სიტყვების წარმომთქმელი. მე მსმენია, რომ დეჩენების წინაპარი ვაჭარი იყო და სხვა ქვეყნიდან მოვიდა, აქ ფეხი მოიკიდა და თავდაზნაური და წარჩინებული გახდა. მართალია ეს?

- ასე ამბობენ იმიტომ, რომ ძაღლებმა მისი ძვლები საფლავში ამოთხარონ, - თქვა უკმაყოფილო დეჩენმა.

- განა ჩემი ჩამოტანილი განძეულობა ყოველგვარ სამშვენისებზე უმჯობესი არ არის?

- ნუ გაჯიუტდები, მამაცო ჩუ-იაკუბ, - უთხრა სხვამ, - შენი განძეულობის ნაწილი ბერზეგების სისხლის გამოსასყიდია. ეს სისხლი შენ ადრე დაღვარე. დანარჩენი განძეულით კი ჩვენ იარაღს შევიძენთ, რათა ჩვენივე თავისუფლება დავიცვათ. ყველას ერთი სამშობლო გვაქვს. მიიღე თავადაზნაურობა და შენს ნათესავებსაც გაუადვილდებათ მომავალში მისი მიღება.

- არა, ხალხო! ვერ ვიტყვი უარს ნათესავებზე, მათ უნდა დამყარონ მიწა. თავისუფალი გლეხი ვიქნები. ჩუს გვარი მომავალშიც არ ჭამს სირცხვილს და არც აქამდე უჭამია. ასეთია ჩემი ნება - თქვა ჩუ-იაკუბმა. ჩუ-იაკუბის ურყევ სიტყვას რომ წააწყდა, საბჭომ გადაწყვიტა დარჩენილიყო იგი უბრალო, თავისუფალ გლეხად, მაგრამ თავადაზნაურების თანაბარი ყოფილიყო. ისეთი ხელფასი დაუნიშნეს, რომელიც მას და მის ოჯახს ეყოფოდა, გამოუყვეს მიწები. ჩუ-იაკუბი კიდევ უფრო სახელგანთქმული გახდა უბიხებში. როცა მის ვაჟს ბერზეგების ქალი მოეწონა, უარის თქმა ვერ გაუბედეს.

- ო, იაკუბ, გახდი თავადი და შეეშვი შენს უბედურ ნათესავებს! - კიდევ ერთხელ უთხრეს იაკუბს ბერზეგებმა, როცა მისი ვაჟი სიძედ მიიღეს.

- მე ისედაც თავადი ვარ, - თქვა იაკუბმა.

8.

ერთხელ იაკუბი ნადირობას შეჰყვა და ვერც კი შეატყო, როგორ აებნა გზა. საღამოვდებოდა. უცნობი სოფლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. წარუმატებელი ნადირობის მიუხედავად, კარგ გუნებაზე იყო.

ტყისპირას იდგა ძროხა, ისე ახლოს იდგა დაქანებულ ფერდობდთან,რომ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი შეიძლებოდა საბედისწერო აღმოჩენილიყო.

- პშეიტ! - შეუძახა ძროხას იაკუბმა, რათა სახიფათო ადგილიდან განედევნა.

ძროხა უეცრად მობრუნდა იაკუბისკენ და იბღავლა. იაკუბი გაოგნდა. როგორც ყველა უბიხი, ის უშიშარი, მაგრამ ცრუმორწმუნე იყო და ავისმომასწავებელი ნიშნების ეშინოდა. დაუხანებლად მივიდა ძროხასთან და ერთი ბღუჯა ბეწვი ააგლიჯა. ძროხა შეკრთა, თავი ველარ დაიმორჩილა და ხეობაში გადაეშვა. დაბნეული და შეცბუნებული იაკუბი უფსკრულის პირას იდგა და არ იცოდა, რა უნდა ექნა. ძროხა დაიღუპა. სოფელში წასვლა და გამოკითხვა თუ ვისი იყო ძროხა, აღარ ესწრებოდა და დათრგუნული იაკუბი უკან გაბრუნდა. მას ავი წინათგრძნობა დაეუფლა და შინისკენ წამოვიდა, მაცესტას ტევრში მოიჩქაროდა ცხენით. გზას ბოლო არ უჩანდა. ხან მთაზე ადიოდა, ხან ხეობაში ეშვებოდა, მაგრამ როცა უკვე ამ ყოფაში ერთი დღე მიიღია და წყდიდი ჩამოდგა, მიხვდა ჩუ-იაკუბი, რომ ამაოდ ბრუნავდა მაცესტას ტევრში - ბავშვობისდროინდელ ადგილებში გზა აებნა. ჩუ-იაკუბმა ნაბადი მოიშორა და დაჯდა რცხილის ძირში. მერე მზერა ზემოთ აღაპყრო, რათა ეკითხა ვარსკვლავებისთვის როგორ გაეგნო გზა ტყიდან სოფლებისკენ, მაგრამ მისმა ძმობილმა ვარსკვლავებმა წრეში მოაქციეს და თავის და უბიხურ ენაზე საუბარი გაუმართეს. ვარსკვლავების ენა დღეს ცოტას თუ ესმის, მალე ჩუ იაკუბს რული მოერია.

ადამიანი დაესიზმრა, რომელსაც როგორც ეს ხშირად ხდება სიზმარში, სახე დაფარული ჰქონდა. მან შორიდან რაღაც შეუძახა იაკუბს, თითქოს გააფრთხილაო. "სადღაც მინახავს და არაერთხელ", - გაიფიქრა სიზმარში ჩუ-იაკუბმა და გაიღვიძა. ეგვიპტე გაახსენდა.

გადამწვარ, თვალუწვდენელ უდაბნოში ქარავანი მიემართებოდა. მომლოცველები ბევრნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ - ორმოცდაათი ათასი კაცი იქნებოდა. ბევრი აქლემზე იჯდა, სხვები ცხენებზე, უმრავლესობა კი ფეხით მიაბიჯებდა. აქლემები გამაძღარნი იყვნენ, ცხენები ნავარდობდნენ, ადამიანებს პირზე ღიმილი დასთამაშებდა, ისინი ხომ წმინდა ადგილების მოსალოცად მიდიოდნენ. ქარავანის ორივე მხარეს ემირ-ჰაჯას შვიდი ათასი მხედარი იყო განლაგებული - ერთნაირ ცხენებზე ისხდნენ ერთნაირ ტანსაცმელში გამოწყობილნი. ოცდაჩვიდმეტი დღე და ღამე მიემართებოდა ქარავანი. როცა უდაბნოს თავზე ღამე ეშვებოდა, მომლოცველები ხუთი ათასამდე კარავს და ღამის გასათევს აწყობდნენ, მდიდრები და ბელადები თავიანთ კარვებს ხალიჩებით და მოქარგული ტილოებით რთავდნენ, შესასვლელებთან ფერად ლამპიონებს ანთებდნენ. გამთენიისას კი კვლავ შორსმიმავალ გზას განაგრძობდნენ ემირ-ჰაჯას მცველებით გარემოცულნი. მომლოცველები უკვე ძალას კარგავდნენ. ქარავანს მუქი მტვერი მოჰყვებოდა, სუნთქვა ჭირდა. მგზავრობის დაწყებიდან ოცდამეთვრამეტე დღეს შავი ჭირი გაჩნდა. სამხრეთის ქარის მოტანილი ეს სნეულება ბევრისთვის დამღუპველი გამოდგა, მაგრამ ემირ-ჰაჯას ხელს აძლევდა, რადგან ადათის თანახმად, დაღუპულის ქონება მას რჩებოდა. ბედერიმდე არ იყვნენ მისული, სამი დღის სავალი ედოთ ამ ქალაქამდე, როცა წინმიმავალ ემირ-ჰაჯას ერთი მგზავრთაგანი გადაუგდა და მის ცხენს სადავე მოქაჩა. ყველა მომლოცველის მსგავსად, მასაც სახე თეთრი ტილოთი ჰქონდა დაფარული.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ემირის მცველებმა ვერ მოასწრეს გონს მოსვლა.

- გაჩერდით! - ბრძანა ემირმა, როცა ჭკუიდან გადადგენილს გარს შემოერტყნენ. მგზავრი ემირს უბიხურად დაელაპარაკა.

- მამაცო ჩუ-იაკუბ! უჭირს შენს მშობელ მიწას! - თქვა მან.

ჩუ-იაკუბი შეკრთა. თხუთმეტი წელი იყო მას აქეთ, რაც მშობლიურ მიწას აღარ შეხებოდა. შინაგანი სიმშვიდეც მოიპოვა. ძმა დაელუპა, მამა მოუკვდა, ცოლ-შვილი თან ახლდა. რაზე უნდა ენაღვლა?

- განა მე აღარ ვიცი, რა ხდება კავკასიაში! - მკაცრად ჩაილაპარაკა იაკუბმა.

მაგრამ ეს მთლად მართალი არ იყო. უბიხეთიდან ამბავი მის ყურამდე აღარ აღწევდა. ამჟამად ამ კაცში ჩუ-იაკუბი კი არ ლაპარაკობდა, ემირ-ჰაჯი ამოთქვამდა სათქმელს. ემირ-ჰაჯიმ ბრძანა, დაუყოვნებლივ დაეჭირათ მგზავრი, რომელიც თავხედურად მიეჭრა წინამძღოლს. დაცვამ იქვე დააპატიმრა უბიხი. ქარავანი აგრძელებდა თავის გზას და ორმოცდამეორე დღეს ჩავიდა ბედერში. მომლოცველებს ზურგსუკან დარჩათ წითელი ზღვა და უდაბნო. აქ მას სხვა მომლოცველები შემოუერთდნენ სირიიდან. ისინიც მრავლად იყვნენ.

ბედერში მომლოცველები ორი კვირით გაჩერდნენ. თოთხმეტი დღე ლოცულობდნენ. მერე ქააბისკენ, წინასწარმეტყველ მუჰამედის საფლავისკენ გაემართნენ.

ბაზარი თოთხმეტი დღის განმავლობაში ხმაურობდა. აუარება ვაჭრებმა მოიყარეს დედამიწის ყველა კუთხიდან თავი, ათი ათასი კაცი მაინც იქნებოდა. ემირ-ჰაჯი თავის მორთულ-მოკაზმულ კარავში იჯდა და ინდოსტანის ბრძენკაცებს და მდიდრებს ჭადრაკს ეთამაშებოდა. მასთან ულამაზესი ქალები მიჰყავდათ. მაგრამ სული მაინც უშფოთავდა ემირ იაკუბ-ბეის. მის წარმოსახვას კვლავ სტანჯავდა კადნიერი უბიხი, რომელმაც ცხენის სადავე დაითრია. ემირს ისიც კი ეჩვენა, რომ ეს კაცი სადღაც ნანახი ჰყავდა.

სპილენძს დაჰკრა, არაბი გამოიხმო და დაავალა ტყვე მოეყვანა. თვითონ ელოდა. გასაკვირი ამბავი მოუტანეს, უბიხი გაიქცაო, გაიპარაო. ემირი წამოხტა და კარავში ბოლთა დასცა. მართლაც გასაკვირია: ტყვე ქარავანს როცა მოჰყვებოდა, მაშინ არ გაპარულა, ქალაქში ჩამოვიდნენ თუ არა, გაუჩინარდა! ემირმა ბრძანა, ვინც უბიხს დარაჯობდა, ყველასთვის თავი მოეკვეთათ. მსახურები გავარდნენ ბრძანების შესასრულებლად. იაკუბ-ბეის შვება არ უგრძვნია.

ჩუ-იაკუბმა გაიხსენა სიჭაბუკე, როცა ჯიგიტებთან ერთად სახელის საძიებლად გამოდიოდა. გაიხსენა მეჯლისის თავყრილობა, სადაც მას შეურაცხყოფა მიაყენეს. ტკივილმა გული გაუმსჭვალა. ერთი კი გაიფიქრა, რომ ეს ძნელად დასავიწყებელი შეურაცხყოფის ტკივილი იყო, მაგრამ არა! ეს იყო დარდი სამშობლოს გამო.

ამ მოგზაურობიდან დაბრუნდა ემირი, - როგორც ყოველთვის დიდი განძეულობით დატვირთული. თუმცა ახლა სხვაგან ქროდა მისი გონება - მშობლიური მხარის მონატრება უჭამდა გულს.

იაკუბმა სადარდებლად დიდხანს ვერ მოიცალა. მალე კვლავ ომი გაჩაღდა.

მეჰმედ-ალი და თურქეთის სულთანი მაჰმუდი დიდხანს ემტერებოდნენ ერთმანეთს. კონფლიქტის მიზეზი ამჟამად ასეთი იყო: სულთანმა მაჰმუდმა გადაწყვიტა თავისი არმია

ევროპულ ყაიდაზე გადაეწყო, მაგრამ რწმენის მსახურნი მას დაუპირისპირდნენ. ამის გამო მაჰმუდის მეომრები წელამდე ავსტრიულ ფორმაში გამოაწყვეს, წელსქვემოთ კი ძველებურად ფართო შარვლები და წვეტიანი ფეხსაცმელები ეცვათ. თავდაპირველად მეჰმედ-ალი უგზავნიდა თურქ სულთანს ადამიანებს ომის ახალი ტაქტიკის შესასწავლად, მერე კი უეცრად გამოაცხადა, სულთანი ყურანს ჩირქს სცხებსო და კვლავ იფეთქა ომმა.

მეჰმედ-ალიმ დაუძახა ერთგულ უბიხს და იაკუბ-ბეის თურქების შემუსრვა დაავალა. არადა, ამ ბრძოლაში სახელი რატომღაც მეჰმედ-ალიმ მოიხვეჭა. ალბათ იმიტომ, რომ წინამძღოლად ის ითვლებოდა.

სირიაში, ნიზაბთან, ეგვიპტის ჯარებმა, რომელსაც მეჰმედ-ალის ვაჟი მეთაურობდა (თან კარავში ყავას სვამდა), კიდევ ერთხელ გაანადგურა სახეცვლილი თურქული არმია. ეს დარტყმა სულთანმა მაჰმუდმა ვერ გადაიტანა და სული განუტევა. თურქეთის სამეფო ტახტზე მისი ვაჟი აბდულ-მეჯიდი ავიდა. მან არმიის დარჩენილი ნაწილი ისევ ძველი ტანსაცმლით შემოსა.

ამ ომში იაკუბ-ბეი მძიმედ დაიჭრა. მეჰმედ-ალიმ მას ფრანგი ექიმი მიუჩინა. ეს ექიმი გულისხმიერად მკურნალობდა დაჭრილს და თავი ჰქონდა მისთვის გადადებული. ერთი თვეც არ გასულა, რაც იაკუბ-ბეი კვლავ დაჯდა ცხენზე და მომლოცველები მექაში წაიყვანა. გზის ნახევარი გაიარეს და შესვენებისას ემირ-ჰაჯიმ მცველებს შორის გაიარა, თავის სადგომში შევიდა, სადაც ვერავინ ბედავდა შესვლას. იქ მოულოდნელად მამაკაცის სილუეტი შენიშნა. ემირმა აიღო სანათური და დაუპატიჟებელი სტუმრის სახე გაანათა. ის წამოდგა, იაკუბ-ბეის მიუახლოვდა და მუხლი მოიდრიკა.

- გამახსენდი, ჭაბუკო, - უთხრა იაკუბმა, - სახე გამოაჩინე.

- ალბათ იცი, რომ უბიხებისთვის დღეს ყოველი ჯარისკაცი ძვირფასია, - წარმოთქვა სტუმარმა ისე, რომ სახე არ გამოუჩენია. დღეს არის საჭირო შენი სიმდიდრე, დღეს, როცა უბიხებს იარაღი არა აქვთ. დაივიწყე წყენა, მეომარო - შენს ხალხს სიკვდილი ემუქრება!

- მე ვიფიქრებ, - თქვა ჩუ-იაკუბმა, - შენ კი წადი!

9.

მან გაიხსენა ეს და გამოეღვიძა. "აბაჯა" - უნდოდა დაეყვირა ჩუ-იაკუბს, მაგრამ ჩქამიც კი ვერ გაიღო.

ერთნაირი გამომეტყველების წითურმა ჯუჯებმა (ათამდე ჯუჯა იქნებოდა) ხელში აიყვანეს და წაიყვანეს; ფრთხილად მიჰყავდათ, არ უნდოდათ გაეღვიძებინათ. იაკუბს ხელის განძრევა სურდა, მაგრამ არ შეეძლო და გაკვირვებული შესცქეროდა ჯუჯებს. მათ კი მთვარის შუქზე მწითური თმა უბრწყინავდათ და იაკუბს უფსკრულისკენ მიაქანებდნენ. "აბაჯამ იპოვა საჩემო გზა და ტყიდან გამიყვანეს კიდეც - ჩაიცინა თავისთვის იაკუბმა - ფერდობი უფსკრულის პირას სწორედ ის ადგილია, რომელსაც ვეძებდი". ჯუჯები ოქროსფერ თვალებს აცეცებდნენ, ეტყობა, ხვდებოდნენ, რომ იაკუბს კი არ ეძინა, თავს იძძინარებდა. უეცრად უფსკრულის პირას თეთრწვერიანი ბერიკაცი გაჩნდა. მან ხელჯოხი მიწაში ჩაარჭო და შეუყვირა ჯუჯებს, რომელთაც იაკუბი უფსკრულისკენ მიჰყავდათ. ბერიკაცი რომ დაინახეს, მოწაფეებივით შეშინებულებმა იაკუბი ძირს დააგდეს და სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ. ბერიკაციც სიზმარივით აორთქლდა.

ჩუ-იაკუბმა ჩაიმუხლა, ვერ გაეგო, სად თავდებოდა სიზმარი და სად იწყებოდა ცხადი. თუმცა ყოველივე ეს ცხადში ხდებოდა, რადგან უწინდელ ადგილას კი არა, უფსკრულის პირას ივჯდა. ის წამოდგა, გაიღიმა, თავი გადაიქნია და მაღლა გაჰყვა ნაფეხურებს. ნაფეხურები ბავშვის ნატერფალზე უფრო პატარა იყო. ჯუჯებს საკმაოდ შორს წაეყვანათ. ხუთასი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდა, რომ ის ადგილი ეპოვნა, სადაც წუხელ ნაბადი და იარაღი დატოვა. გზა განაგრძო და მიხვდა, ტყიდან გასასვლელი, რომელსაც ვერაფრით აგნებდა, აქვე იყო.

შემხვდურნი ხედავდნენ, რომ ეს კაცი მისალმებას არ პასუხობდა, ამიტომ ამბობდნენ:

- აი, მოდის ჩუ-იაკუბი, უბიხი მეომარი, უეჭველად მძიმეა მისი ტვირთი, მაგრამ მას მხარზე მხოლოდ ნაბადი აქვს გადაკიდული, ეტყობა ტკივილი ამძიმებსო.

მდინარე მაცესტას ხეობაში იაკუბის ცხენმა წაიფორხილა, დაბნეულმა იაკუბმა ცხენს მათრახი გადაუჭირა. ცხენი შეტოკდა და ისე დაეშვა, რომ მხედარმა ვერც კი შეამჩნია, როგორ გადალახეს მაცესტა. მეორე ნაპირზე დიდ ქვაზე თეთრ სამოსელში გამოწყობილი მისი ცოლი ივჯდა.

- ხან-გირეის ქალიშვილო, რას ჩამომჯდარხარ მაგ ქვაზე, განა სახლ-კარი არ გაგაჩნია? რატომ არ გამომეგებნენ ჩემები, სამი ვაჟიშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ერთადერთი ქალიშვილი? ან რა სიხარული გეწვია ამისთანა, რომ თეთრ სამოსელში გამოეწყვე?

ქალი წამოდგა, ცხენს სადავეზე მოავლო ხელი და ქმრის მუხლს თავი მიაბჯინა.

- სახლი იმიტომ მივატოვე და ქვაზეც იმიტომ ჩამოვჯექი, რომ ჩვენი უბედურება შეგატყობინო. შენი ერთ-ერთი ვაჟთაგანი აღარსად შეგხვდება, ის ლაშქრობაში წავიდა ცოლისძმებთან, ბერზეგებთან ერთად და უკან აღარ დაბრუნებულა. შენი უმცროსი ვაჟები შენ კვალზე დადიან, შენ დაგეძებენ, ქალიშვილი კი ძმის იარაღს დასტირის. თეთრებში კი იმიტომ გამოვეწყვე, რომ ჩემს ვაჟს არც დედა შეურცხვენია და არც მამა, ის ვაჟკაცურად დაიღუპა.

ჩუ-იაკუბი უსმენდა და არ ჩქარობდა, იმიტომ, რომ ცოლმა მუხლზე თავი მიაბჯინა და ზედ ცრემლებიც დააფრქვია.

- რატომ გაუშვი ვაჟი ჩემდა დაუკითხავად? - ჰკითხა მან.

- შენ ორი დღით წახვედი და სამი კვირა კი არ დაბრუნებულხარ. განა შემეძლო ვაჟი დამეკავებინა, როცა ბერზეგებმა სალაშქროდ გაიწვიეს? უკვე მესამე კვირა მიილია, რაც ის დაიღუპა, - მიუგო იაკუბს მეუღლემ.

ჩუ-იაკუბმა ცოლს თვალში გაუყარა და მიტკალივით გაფითრდა. მას აქამდე ეგონა, რომ მხოლოდ სამი დღე იყო მის არყოფნაში გასული. არადა, მისი ვაჟი სამი კვირის წინ დაღუპულიყო. მან ყაბალახი მოიძრო და თავზე ხელი გადაისვა; წამოსვლამდე თავი გადაიპარსა, ახლა კი უკვე წამოზრდოდა თმა; მიხვდა, რომ ტყის ტევრში მისი ხანგრძლივი ძილი ხანმოკლე სიკვდილს მიაგავდა. იაკუბს თავდავიწყების ჟამს რაც კი ენიშნა და ესიზმრა, ყველაფერი აუხდა. ყვირილი შეიკავა და თავზე ხელი წაივლო, ცოლი კი აცრემლებული ლაპარაკს აგრძელებდა.

ბერზეგები ჭიშკართან მივიდნენ და მის ვაჟს სახელით უხმეს. უბიხური წესის თანახმად, ეს იმას ნიშნავდა, რომ ვაჟი დაიღუპა. მათ დედას დაღუპულის იარაღი მოუტანეს და ცხენიც მოუყვანეს, თან უთხრეს, შენი ვაჟი იქ დავკრძალეთ, სადაც დაიღუპაო.

ახლა კი დავიტროროთ ის უბიხები, ვისი ლამპარიც ჩაქრა. ჩვენი საკრავები აწყობილია, ჩვენი ხმა ულერადია, მთავარი კი ისაა, რომ ჩვენ თვითონ ცოცხლები ვართ. ღამემ ციკლოპივით გაახილა ცალი თვალი. ვიღაც იტყვის, მთვარე ამოვიდაო. სად უნდა წავიდე, როცა ჩემს ტკივილს ათასი თვალი აქვს და ღამესავით ეშვება ჩემს თავზე? საგიარმუხვა - გუშაგია!

სად არიან უბიხები, ჩვენი ამაყი ძმანი, რომელთაც შვიდი მნათობი იცავდა ზღვასა და მთებს შორის, რომელთაც უყვარდათ თავისუფლება და არც სულთანს ემორჩილებოდნენ და არც მეფეს?! ნუთუ ისინი გაქრნენ, როგორც სხივები ღრუბლებში გამონაჭვრეტი? მაშ, ვიღასთვის ან რატომ იყო საჭირო მათი თავდადება და შთაგონება, სიყვარული და კრძალვა? თუ ამ კითხვებზე პასუხს ვერსად მოვისმენ, როგორ უნდა ვუყურო ღამის მოწკურულ თვალს? ან ჩემი ტკივილის ათასგვარ გამომზერას გულში რომ ჩაწვდომია? საგიარმუხვა - გუშაგია!

ან ვატყუებ ჩემს თავს ან კიდევ მართალია ის, რომ უბიხები უკვალოდ არ გამქრალან. მათი სიკვდილი ხომ ისრის ზუზუნით ცისკენ წარემართა და ახლა კი მესმის უკან როგორ ბრუნდება? მიწისკენ მოქრის და იმათ გულებს ემუქრება, ვინც ის გაუშვა ან არ გაუშვა. შეჩერდი, ისარო, გავყვირი მწარედ, ახლა მოგვიტევე, უარყავი შურისგება! საგიარმუხვა - გუშაგია!

და ვეხვეწები ისარს, რომლის მოახლოებული ზუზუნიც ჩამესმის. სიბნელეში ვიმეორებ, რომ უკვე ისედაც ბევრი სისხლი დაიღვარა! რომ სულმა ვეღარ შეძლო ზეაღსვლა და ხეობაში მიქრის, ფრთებით თითქმის მიწას ეხება! უამინდობისას ხომ ჩიტები ქვემოთ დაფრინავენ. შეჩერდი ისარო! - ვეხვეწები, მაგრამ როგორ შევაჩერებ იმას, რაც წასულია! საგიარმუხვა - გუშაგია!

და მე ვცდილობ ჩემი ვედრების ხმა მივაწვდინო ჰაერში გატყორცნილ ისარს. შეჩერდიმეთქი! ვევედრები. ჯერ კიდევ არსებობს სიმამაცე და უშიშრობა, კადნიერება და პატივი, სინდისი და გულმოწყალება - მაშასადამე, კაცთა ძარღვებში ჯერ კიდევ თქრიალებს უბიხთა ძველისძველი სისხლი. საგიარმუხვა - გუშაგია!

10.

ჩუ-იაკუბმა დაქირავებულ მომღერლებს ქნარი აართვა - ისინი ბერზეგების იმ ლაშქრობას ასხამდნენ ხოტბას, რომელშიც ვაჟიშვილი დაეღუპა. სანადირო თოფი დაიტოვა და საომრად გაემზადა. იაკუბმა რაზმი შეკრიბა იმ მხარეში წასასვლელად, ბერზეგებმა რომ მიასწავლეს. ჩუ-იაკუბს სურდა თავისი თვალით ენახა ვაჟიშვილის ცხედარი.

ლოოში გაჩერდა რაზმი და დაიპყრო ის სოფელი, რომელშიც იაკუბის ვაჟი დაიღუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკუბი თავის ორ შვილთან ერთად მივიდა სამარესთან. ახმატი, მახმატუკოს ვაჟი იაკუბს კისერზე ბაწარგამობმული მიჰყავდა. მას ნაკლებად ენდობოდა. ბერზეგის ნაშიერი შეპირდა, სამარეს გაჩვენებო. დაიწყეს გათხრა. იაკუბს თოკი მაგრად ეჭირა. დატყვევებული ბერზეგი უხმოდ იდგა. ამოთხარეს ცხედარი, რომელიც კარგად იყო შენახული. ჩუ-იაკუბი დარწმუნდა, რომ სასიკვდილო ტყვია ვაჟს ზურგიდან ჰქონდა ნასროლი. ეჭვი აღარ იყო: ჭაბუკი ბერზეგებმა მოკლეს. იაკუბის შუათანა ვაჟმა მახვილი მოზიდა და ახმატს მიაჩერდა, მაგრამ იაკუბმა ის შეაჩერა. მან იცოდა, რომ თუ შურს იძიებდა, უამრავი ხალხი დაუყოვნებლივ ჩაერეოდა ამ საქმეში. იაკუბს ეს არ სურდა.

- წადი, - უთხრა იაკუბმა და ახმატი გაათავისუფლა, - წადი და უკან აღარ მოიხედო. მიდი ჩვენს სახლში და უთხარი შენს დას, რომ ძაძები გაიძროს, რაც უნდა ის წაიღოს და წავიდეს. და როცა გარდაცვლილის ნეშტს ჩამოვასვენებთ, არცერთი თქვენი გვარის კაცი აღარ უნდა იყოს მაგ მხარეში, - ეს თქვა და მტერი გაუშვა.

ჩუ-იაკუბმა რაზმი სხვას გაატანა, თვითონ კი შვილის ნეშტი წამოასვენა. მან მეზობლებს და ახლობლებს დაატირებინა ვაჟი და იმავე საღამოს დაკრძალა. შემდეგ დღეს ყველა საჭირო ნივთი გამოიტანა სახლიდან, სახლი დაწვა და ახლობელ-ნათესავებთან და მსახურებთან ერთად დაუყოვნებლივ გაემგზავრა საზღვაო გზით თურქეთში. საგიარმუხვა - გუშაგია.

"როცა ეს ტრაგედია მოხდა, - ჰყვება ჟორჟ დიუმეზილი, - ბერზეგებს არ ჰქონდათ ასრულებული თავისი დანაპირები და ჩუს გვარს თავადაზნაურობა ჯერ არ მიეღო. იაკუბი ჩავიდა თურქეთში მრავალრიცხოვანი მონებით, ნათესავებით და მეგობრებით და გააგზავნეს კულაკში, რაც მანიასიდან არც ისე შორს არის. ისინი გაღარიბებულები იყვნენ და დახეული ტანსამოსი ემოსათ. იაკუბი წავიდა სტამბოლში, სადაც სულთანმა შექმნა კომისია ემიგრაციის საკითხების მოსაგვარებლად. როცა იაკუბი ამ კომისიის თავთან მივიდა (ჯემილ-ბეიმ არაფერი იცოდა), ის წამოდგა და იაკუბს ჰკითხა, რა ერქვა და ეგვიპტეში ხომ არ უცხოვრია. იაკუბმა უპასუხა და ჩინოვნიკი ყელზე ჩამოეკიდა შემდეგი სიტყვებით: "მე ამ კაცმა სიცოცხლე შემინარჩუნა". მართლაც ასე იყო: სულთან მაჰმუდთან ოცს დროს მეჰმედ-ალიმ მრავალი თურქი დაიჭირა და ზედიზედ სჯიდა სიკვდილით. ერთერთი მათგანი სომეხი გამოდგა. იაკუბს შეებრალა იგი და ჰკითხა: "რომ გაგათავისუფლო, გაქვს შესაძლებლობა ეგვიპტიდან გადახვწინა?" მაქვსო, უპასუხა სიკვდილმისჯილმა და იაკუბმა მას გასაქცევი გზა მისცა. ახლა კი იაკუბი რომ მთხოვნელის როლში აღმოჩნდა, ამ კაცმა აღუთქვა, ყველფერს მოგცემ, რასაც კი მოისურვებო. "ფული არ მინდა - თქვა იაკუბმა - ჩემი ხალხი მეცოდება, საშინლად გაჭირვებულია და ცხოვრობს კულაკში". სომეხმა, რომელიც კომისიას თავკაცობდა, იაკუბს თორმეტი დატვირთული აქლემი გაუგზავნა და შეუთვალა საცხოვრებელი ადგილი თვითონ აირჩიეო. იაკუბმა მოიარა მანიასის შემოგარენი და სოფლის ბოლოში ერთი ადგილი ამოირჩია. ახლა ეს ადგილი მისი სახელობისაა.

...ფრიალო კლდის თავზე მდებარე სოფლის შუაგულში ჯემილ-ბეის კარ-მიდამოსთან ახლოს ოთხი საფლავი მოჩანს. ამ საფლავებს კარგად ადევნებენ თვალყურს. აქ ჯემილთან ერთად საღამოობით ხშირად ვსაუბრობდი და ერთხელ ლოცვაც შევასრულეთ: ის ხელგაშლილი ლოცულობდა, მე ერთმანეთზე ვაწყობდი ხელებს და ისე აღვავლენდი ლოცვას.

...ჰაჯი-ოსმან-ბეი ჩუს გვარის კაცმა დააარსა. ის ნათესავი იყო და არა ძმა იაკუბისა. ჯემილ-ბეის სიტყვით ოსმანს თავისი ჯგუფით სურდა შეერთებოდა იმ მოსახლეობას, რომელიც იაკუბმა დაასახლა, მაგრამ იაკუბმავე თქვა უარი: "არა, დაე, ჩვენმა ქათმებმა ცალ-ცალკე იცხოვრონ, რაც უფრო ნაკლებად ვნახავთ ერთმანეთს, მით უფრო იოლად მოვილაპარაკებთ".

სწავლული ოცი წლისშემდეგაც ჩამოვიდა თურქეთში და ეძებდა უბიხური ენის მცოდნეებს, მაგრამ შეამჩნია, რომ მათი რიცხვი მნიშვნელოვანწილად შემცირებულიყო. "უბიხური ენა ყველგან გაქრა და როგორც ამჟამად ცნობილი ოჯახების გათურქებული შთამომავლები მარწმუნებენ, ეს მოხდა (მუსტაფა ნევზათ პსაკი მომითხრობდა) რაღაც ჩანაფიქრის თუ ანგარიშის გამო. უბიხებმა თვითმყოფადობის იმედი გადაიწურეს და გადაწყვიტეს სხვა დიდ ტომებს შეერეოდნენ. აქ მხედველობაში გვაქვს კავკასიაში მცხოვრები ხალხები: შაფსუღები, აბზახები და სხვ. უფრო იშვიათ შემთხვევაში აფხაზებსაც ერწყმოდნენ", - წერს დიუმეზილი. სხვაგან კი აგრძელებს: "ახალი თაობა არ ინახავს, არ სურს შემოინახოს მოგონება მძიმე დროისა და არც ის უნდა თავისი ხალხის უძველესი წარმოშობა ახსოვდეს". დიუმეზილმა ყველაზე ბოლოს ცნობე-

ბი ხანდარ-ხანუმისგან მიიღო. "ხანდარ-ხანუმი უცნაური ბედის ადამიანია. ეს ქალი ზანგია. ის შემთხვევით მოხვდა სხვა გარემოში, მოახლედ მუშაობდა, შეისწავლა უბიხური და აფხაზური ენები. ამჟამად სამოცდაათ წელს არის მიტანებული".

11.

იაკუბმა სოფელი დააარსა და ჩუმად, უხმაუროდ ცხოვრობდა, მეზობლების ფუსფუსში არ ერეოდა. მაგრამ მალე ბულგარელი მუსლიმანები მის სოფელსაც შეესივნენ. ისინი არცთუ ისე შორს სახლობდნენ - საქონელს იტაცებდნენ, მოსახლეობას ძარცვავდნენ, მანიასის ირგვლივ სოფელს შიშის ზარს სცემდნენ. იაკუბის სოფელშიც არაერთი ძარცვა და ქურდობა მოხდა. იაკუბმა ბულგარელებს კაცები გაუგზავნა და შეუთვალა, ხელს ნუ მიშლით და არც მე შეგიშლით ცხოვრებაში ხელსო. ყაჩაღებმა ეს სიტყვა კადნიერებად მიიჩნიეს და დაემუქრნენ, შენს სოფელს ფერფლად ვაქცევთო. იაკუბი და მისი ხალხი დადარაჯებულები იყვნენ, მაგრამ რამდენიმე თვე არაფერი ჩანდა. ერთ საღამოს იაკუბი აივანზე იჯდა. ჭიშკარს მხედარი მოუახლოვდა. სახე დამალული ჰქონდა. ის ცდილობდა დაეოკებინა ცხენი, რომელიც გამუდმებით ტოკავდა. იაკუბი მას შეეგება.

- ამ საღამოს ფრთხილად იყავი, - უთხრა მას მხედარმა, - თქვენს სოფელს მეზობელი ბულგარელები დაესხმიან თავს.

- შეჩერდი! ვინ ლაპარაკობს? - ჰკითხა იაკუბმა, მაგრამ მხედარმა ცხენი მოაბრუნა და წავიდა.

- შეჩერდი, უცნობო, მე არ ვიცი, ადამიანი ხარ, დემონი თუ ანგელოზი, მაგრამ ახლავე უნდა გამოაჩინო სახე.

- გააფრთხილე შენი ბიჭები, რომ დღეს ყველაფრისთვის მზად იყვნენ, - გაიმეორა უცნობმა.

- იცოდე არ დაგინდობ, თუ სახე არ გამოაჩინე! - თქვა იაკუბმა.

- შენ თუ ჩემი დანახვა გინდა, იქ დაბრუნდი, სადაც შენი წინაპრის ძვლები ასვენია, - უთხრა უცნობმა და გაეცალა.

განრისხდა იაკუბი, შევარდა სახლში, ლურსმნიდან თოფი ჩამოხსნა, მაგრამ იგრძნო, რომ პირველად მის ცხოვრებაში ხელები არ ემორჩილებოდა. გაქვავებული იაკუბი გასცქეროდა ზურგშექცევით მიმავალ უცნობს. უცნობი წავიდა. იაკუბი იდგა და იდგა, ცახცახებდა და ცივი ოფლი ასხამდა.

- ხან-გირეის ქალიშვილო! - ვინ იყო ეს?

- შეიძლება, სული იყო - თქვა ცოლმა.

- თუ კიდევ ასე მოვა, აუცილებლად მოვკლავ.

ერთი საათის შემდეგ იაკუბი გონს მოეგო და ცოლს მიმართა:

- ჩემს ბიჭს დაუძახე. ზარი ჩამორეკოს და სოფელი შეყაროს. იქნებ უცნობი მართალს ამბობს.

უცნობმა მართალი თქვა. ღამე ყაჩაღები მოვიდნენ. მაგრამ სოფლელებმა მახეში გააბეს და სასტიკი დღე აყარეს. ყველა გაანადგურეს. მოსახლეობამ ამოისუნთქა.

სიმშვიდემ დაისადგურა. თურქეთში ადრე გადასახლებული მთიელები მოდიოდნენ იაკუბთან და სთხოვდნენ ადგილი მიეცა საცხოვრებლად. იაკუბი ყველას ეხმარებოდა.

მაგრამ მალე იაკუბისთვის მოულოდნელი ამბავი მოხდა: მთიელთა მთელი სოფლები დაიძრა და თურქეთისკენ წამოვიდა. ჯერ აბაძეხები და შაფსუღები, მერე კი უბიხებიც წამოვიდნენ.

- კავკასიისკენ უნდა ვიჩქარო, - გადაწყვიტა ჩუ-იაკუბმა - საჭიროა სამშობლოში დარჩენილები შევაჩერო.

12.

ჩუ-იაკუბი მთელ სოფელს უხმობდა, მაგრამ უკან დაბრუნება არავის სურდა. მისმა ვაჟიშვილებმაც კი არ გამოთქვეს გამგზავრების სურვილი. იაკუბის ქალიშვილი გათხოვილი იყო. ვაჟებს ცოლები ჰყავდათ, წყნარად ცხოვრობდნენ და მისდევდნენ მეურნეობას.

- აი, რას გეტყვი, - უთხრა იაკუბს ჭკვიანმა ცოლმა, - წადი და გაიგე, მიგვიღებენ თუ არა უკან, თუ არ მიგვიღებენ, მაშინ რა უნდა ვქნათ? ჩვენ ხომ უკვე მოხუცები ვართ.

- ესეც მართალია, - თქვა იაკუბმა და სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.

ძროხა დაკლა, თავისი გასავლელი გზა დალოცა და გაეშურა.

სტამბოლში იყიდა იალქნიანი ნავი და ზღვაში მარტო შეცურა. კარგი ამინდი იყო. მთელი დღე მიცურავდა. უეცრად ჰორიზონტზე გემების მწკრივი შენიშნა. ეს გემები მისკენ მოცურავდნენ. თურქეთის ფლოტის შვიდი უზარმაზარი გემი თანდათან უახლოვდებოდა. გემები უზარმაზარ ტალღებს კვეთდნენ და წყალზე დაცემულ იმ ფრინველებს ჰგავდნენ, რომელთაც წამოდგომა აღარ შეუძლიათ. იაკუბი

პროზა

იძულებული იყო სხვა მხარეს წასულიყო, რომ იალქნიან ნავს დიდი ტალღა არ შეეჯახებოდა, მაგრამ მერე გადაწყვიტა, აუცილებლად შეეტყო, ვინ იმყოფებოდა გემზე.

მან იალქანი ასწია და პირდაპირ გემს მიაშურა. იალქანი ისე გადაიხარა, იფიქრებდი, საცაა ნავი გადაბრუნდებაო. იაკუბი საჭეს ჩააფრინდა და მიზანმიმართულად მართავდა. როცა ერთხელ კიდევ შეეჯახა ტალღა, გემები თვალსაწიერიდან გაქრნენ, მაგრამ იაკუბი ძველი მეზღვაური იყო და მიხვდა, რომ საჭე ხელიდან არ უნდა გაეშვა. იალქანი ახლა სხვა მხარეს გადაიხარა და მალე გამოჩნდა გემი, რომელიც სხვა გემების მწკრივს წინ მიუძღოდა. იაკუბმა დაინახა, რომ გემბანები მთიელებით იყო სავსე, მერე კი კვლავ უზარმაზარი ტალღა წამოვიდა. გემბანებიდან მთიელები ხელს უქნევდნენ, რაღაცას უყვიროდნენ, მაგრამ არაფერი ესმოდა. ბოლოს შეატყო, რომ გემებმა უკვე ჩაიარეს და ღონემიხდილი ნავში მიესვენა.

და მართლაც: გემები სამხრეთისკენ მიემართებოდნენ და უკვე კარგად აღარც ჩანდნენ. იაკუბი წამოჯდა. მძიმედ სუნთქავდა. ერთხელ კიდევ გახედა გემებს და დაინახა, როგორ გაუჩინარდნენ ისინი ნაცრისფერი ჰორიზონტის მიღმა. და მალე იაკუბის გულიც ისე დაცარიელდა, როგორც ეს ჰორიზონტი.

- დავიღალე, - თქვა მან ხმამაღლა.

- ჰო, შენ დაიღალე, მამაცო ჩუ-იაკუბ! - გაიგონა მან მეტად ნაცნობი ხმა, თავი წამოსწია. მის წინ ისევ ის კაცი იდგა, რომელსაც სახე მუდამ დაფარული ჰქონდა. ეს იყო უცნობი. ახლა მას თეთრი ყაბალახი ებურა სახეზე. გაოცდა ჩუ-იაკუბი, თუმცა იმას კი ვეღარ მიხვდა, თუ როგორ გაჩნდა ეს კაცი იალქნიან ნავზე, სადაც მხოლოდ თვითონ იმყოფებოდა.

- როდის დამეხსნები, გრძნეულო! - დაიღრიალა მან. ტანში სიცივემ დაუარა, მუხლებზე დაეცა და უცნობის თავი ხელებში მოიქცია.

- ვინ ხარ? - ჰკითხა მან.

უცნობი ძლივსღა სუნთქავდა.

- ვინ ხარ, ვინ ხარ? - ეკითხებოდა იაკუბი და აღარ იცოდა, რითი დახმარებოდა მას.

უცნობმა აცახცახებული ხელები ზე აღმართა და ყაბალახი ძლივძლივობით მოიცილა სახიდან. ჩუ-იაკუბმა წამოიყვირა და განზე გახტა. უცნობს ზუსტად ჩუ-იაკუბის სახე ჰქონდა, ოღონდ ამ სახეს უფრო მეტი ტანჯვა და ვაება აჩნდა, სიბერეც გვარიანად მორეოდა.

- ვინ ხარ? - უჩურჩულა იაკუბმა.

- მე შენი ბედისწერა ვარ.

ჩუ-იაკუბს ენა ჩაუვარდა.

- შენ ჩემზე მოხუცი ხარ, ჩემო საცოდავო ბედისწერავ! - როგორც იქნა, ამოღერღა მან.

- მე ფეხზე ვეღარ დავდგები, მამაცო ჩუ-იაკუბ! - წარმოთქვა მისმა ბედისწერამ - ახლა მე მოვკვდები.

- არა! - დაიყვირა ჩუ-იაკუბმა - შენ არ მოკვდები! მაგრამ მისმა ბედისწერამ გაიცინა და სული განუტევა. ჩუ-იაკუბმა თავის ბედისწერას ტალღებში მისცა განსასვენებელი...

ჩუ-იაკუბის სოფელი თავის შემოგარენით გერმანელმა ბარონმა ნ-მ შეიძინა. მან გადაწყვიტა, იქ ინგლისური ბაღი გაეშენებინა. სამუშაოდ მოლდოველები დაიქირავა. შრომისმოყვარე გერმანელი ხშირად მათთან ერთად მუშაობდა.

მოლდოველებმა მას უამბეს, რომ უამინდობაში ჰორიზონტზე იალქნიანი ნავი აჩრდილივით ჩნდებაო. ბარონმა არ დაიჯერა, მაგრამ ერთხელ, მათთან მუშაობისას ისევ უთხრეს: აი, ის იალქანიაო და ზღვისკენ მიუთითეს.

გამჭვირვალე, მინასავით ბრჭყვიალა იალქანი ტალღებს კვეთდა და ნაპირისკენ მოიწევდა.

- Das ist Illusion, - თქვა ბარონმა და ხილვა გაქრა.

თარგმნა
ზურაბ კალანდაძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა

გელა ჩქვანავა

როცა ომი იყო

ციკლიდან
"დაუმთავრებელი მოთხრობები ომზე"



ამამჩემს ოთარი ერქვა, რევმატიზმი აწუხებდა. სახსრების ტკივილი კბილისაზე უარესიაო, ამბობდა. ალბათ ასეც არის - მე არ გამომიცდია. ომამდეც ჭინჭრით ისუსხავდა მტკივანა ადგილებს და ისე მკურნალობდა. ჭინჭარი მაინცდამაინც ადრიან დილით უნდა ყოფილიყო დაკრეფილი, სანამ ნამი შეაშრებოდა (პატარძლის დაკრეფილი ქორფა მწვანილივით უნდა იყოსო, ხუმრობდა). ჩვენი სახლის წინ, მშენებარე საავადმყოფოს ეზოში ბევრი ჭინჭარი ხარობდა. ომის დაწყების შემდეგ ოთარმა ჭინჭრით თავის დასუსხვას მოუხშირა. მე "მაზოხისტ ხლისტს" ვეძახოდი. არსებობდა, ან შეიძლება ახლაც არსებობს ასეთი სექტა, თავს რომ იშოლტავენ რელიგიურ ექსტაზში ჩავარდნილები, "хлыстом себя хлещу - бога в себе ищу"-ო, თუ რაღაც ამდაგვარს იძახიან. შეიძლება ოთარი ომით აწეწილ ნერვებსაც იწყარებდა. იმ დილითაც მოიტანა ჭინჭარი და მაჯები დაისუსხა (ბოლო დროს მაჯებს უჩიოდა). ჩვენი მეზობელი ვერვიშა და მამა დასწრებაზე იყვნენ - ვერვიშას ჭინჭარი თავისი ინდაურების დასაპურებლად სჭირდებოდა. მამას იმასაც კი ვეხუმრებოდი, ეჭვი მაქვს, რომ შენ და ვერვიშა ერთმანეთს "შოლტავთ" სადღაც მოფარებულში და ერთხელაც იქნება ჩაგისაფრდებით და ფაქტზე დაგიჭერთ-მეთქი. ეგონა მართლა ჩავუსაფრდებოდი.

საავადმყოფოს მშენებარე კორპუსის გვერდით მდგარ ნიავზე მოქანავე კოშკურა ამწის გულისგამაწვრილებელი ჭრიალისაგან ნერვებაშლილი მთელი დღე შეზლონგზე ვეგდე და სტუმრებს ველოდი - თანამშრომლებს რედაქციიდან, სადაც ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე მომაწყო კორესპონდეტად ჩემმა ქართულის ლექტორმა (რედაქტორი ლექტორის ძმა იყო). ამწე მანამდეც ჭრიალებდა, მაგრამ არ მაწუხებდა. მიჩვეული ვიყავი ალბათ და იმიტომ, მაგრამ იმ დილით მთვრალმა გვარდიელებმა ამწის კაბინა დაცხრილეს - ამწის ოპერატორი ქალის ჯერ კიდევ ომამდე დარჩენილი ნაცრისფერი უაკეტი სნაიპერად აღიქვეს. გვარდიელებიდან ერთ-ერთი სხვებთან შედარებით ფხიზელი აღმოჩნდა, მაგრამ არც ისე, რომ თანამოძმეთა საქციელზე არ გადაეხარხარა. მოხარხარე გვარდიელი უტენტო "ვილისის" უკანა სავარძელზე იჯდა. როცა სხვები ამწის დაცხრილად ჩამოცვივდნენ "ატასს"-ის ძახილით, ის მანქანაში დარჩა. ხელი მუცელზე მიედო და ისე იცინოდა. სიცილით გული რომ იჯერა, დასერიოზულდა (არც იღიმებოდა, დამწუხრდა-მეთქი ისიც კი ვიფიქრე. ალბათ ჩაბჟირდა სიცილისაგან) და ცრემლების წმენდას შეუდგა.

- Пошмаляли, хватит. Поплили дальше искать ебаных диверсантов! - მიმართა გვერდით მდგარ მეტყვიამფრქვევეს.

მეტყვიამფრქვევე მანქანაში მჯდომის სიმშვიდემ ჯერ განაცვიფრა, მერე უცებ ტყვიამფრქვევი კერძო სახლებისაკენ მიმართა.

- პიჯაკი სატყუარა იყო! - იყვირა მეტყვიამფრქვევემ. - სხვაგან ზის ის ნაბიჭვარი და გვეკაიფება!

მეტყვიამფრქვევე, დანარჩენი ორი მეავტომატის არ იყოს, უკვე ხვდებოდა, რომ მიქარა, როცა უაკეტი სნაიპერად აღიქვა და არ უნდოდა დაეჯერებინა, ასე ადვილად რომ მოტყუვდა. ომის პირველ დღეებში მართლა იყო შემთხვევები, როცა მოწინააღმდეგის სნაიპერები ქალაქში შემოიპარებოდნენ ხოლმე, მიტოვებული სახლების სახურავებზე მოკალათდებოდნენ და გვარდიელების პატარ-პატარა ჯგუფებს ცხრილავდნენ, რის შემდეგაც უკვალოდ გაქრობასაც ახერხებდნენ. პარტიზან თუ დივერსანტ სნაიპერთა უმრავლესობა ჩეჩნები იყვნენ, ქალაქში მათ "კა-

მიკაძეებს“ ეძახდნენ, ძალიან ეშინოდათ და ჰქონდათ კიდეც საამისო საფუძველი - მორფინშეშხაპნებულმა ჩეჩენმა დანდობა არ იცის, სპირტით გამომტყვრალ რუსზე უარესია.

- რომელმა ნაბიჭვარმა დაკიდა ეს ჟაკეტი?! - მკაცრად იკითხა ერთმა მეავტომატემ და ისეთი გამყინავი მზერით მოათვალიერა კერძო სახლები, შემეშინდა არ დაცხრილოს-მეთქი.

- Мой дед Кондрат, но он не выноват! - სრულიად მოულოდნელად ლექსად უპასუხა მანქანაში მჯდომმა გვარდიელმა და უცებ სლოკინი აუვარდა. სლოკინმა რატომღაც გვარდიელები დაამშვიდა (ყოველ შემთხვევაში შორიდან ასე ჩანდა), თითქოს ბრძანება მიიღეს დამშვიდებულიყვნენ და ისინიც ერთდროულად დამორჩილდნენ.

- Шальной у тебя дед! - თქვა ტყვიამფრქვევიანმა და ამწის კაბინის მინის ნამუსრევს დააცქერდა ყინწად, ამწის ლიანდაგის ბეტონის განძელებზე რომ ეყარა და დილის მზეზე ბრწყინავდა, - По машинам! - იყვირა ბოლოს ტანკისტივით. გახუმრება სცადა და სიტუაციის განმუხტვა, მაგრამ ხმა დაძაბული ჰქონდა.

გვარდიელები მანქანებში ჩასხდნენ, მკაცრი მზერით კიდევ ერთხელ მოათვალიერეს კერძო სახლები და წავიდნენ.

- ეს რა მახვილი თვალი ჰქონიათ, ყველაფერს ამჩნევენ! - თქვა მამამ. მივხვდი რომ მასაც, ისევე როგორც მე, მთვრალი გვარდიელები შეეცოდა.

მამას არ ვიცი, მაგრამ მე ის ვესტერნი გამახსენდა, რომელშიც დასახლებაზე გამავალი ყოჩაღი, რეაქციაგაწვრთნილი კოვბოების ჯგუფი თვალის დახამხამებაში ჩამოხსნიან ხოლმე სახურავებიდან მოულოდნელად გამომტყვრალ მათზე ჩასაფრებულ მოწინააღმდეგის მებრძოლებს. მერე იმაზე ფიქრს მოვყევი, მანქანაში დარჩენილმა გვარდიელმა ნეტა ის გარითმული “мой дед Кондрат, но он не вынова“ იმ წუთას შეთხზა ექსპრომტად თუ მანამდეც იცოდა-მეთქი.

საქმე ის იყო, რომ ბაბუაჩემსაც კონდრატე ერქვა. მამაჩემს თავის დროზე პირველი ცოლი გააგდებინა სახლიდან. მაგარი ვინმე ყოფილა კონდრატე, მე კიდევ ეჭვი მქონდა, რომ მამაჩემს თავისი პირველი ცოლი მეორეზე, ანუ დედაჩემზე უფრო მეტად უყვარდა, ყოველ შემთხვევაში დედაჩემის სიკვდილამდე მაინც. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ თავის პირველი ცოლისთვის არც მიუკითხავს - ზუსტად ვიცი, ჟურნალისტური გამოძიება ჩავატარე.

ნაშუადღევს მეზობლებმა იწყეს შემოსვლა. მომიკითხავდნენ, ფერი დაგბრუნებია, აწი არაფერი გიჭირსო, მეტყოდნენ, მხარზე ხელს დამკრავდნენ და ჩემი სალდაფონური ხუმრობის მოსასმენად მოემზადებოდნენ. ჩემი საფირმო იუმორის ბოლო ნიმუში მეც დაუზარლად გამომქონდა სამჯავროზე: ბრმა ნაწლავი ალბათ შიშისაგან გამისკდა გულის მაგივრად-მეთქი. საქმე ის იყო, რომ ომის პირველსავე კვირას მართლა გამისკდა ბრმა ნაწლავი, თან მაინცდამაინც იმ ღამეს, როცა ჩვენს ქუჩაზე გაიარა ფრონტის ხაზმა (მეორე დღისთვის ქალაქი უკვე ჩვენი იყო), ტყვიების წვიმა მოდიოდა. ჩვენი სახლიც გვარიანად დაიცხრილა. შეიძლება ითქვას, რომ ხოხვით გავედით მე და მამაჩემი სამშვიდობოს, უფრო სწორად, მამაჩემი მიმათრევდა.

ჩემს საფირმო იუმორზე გადახარხარების შემდეგ მეზობლები მაშინვე დილანდელ ინციდენტზე იწყებდნენ საუბარს. მამაჩემს ორი ბოთლი არაყი აღმოაჩნდა, კიდევ ორი სხვამ მოიტანა. სვამდნენ და თვრებოდნენ, მთვრალები კი ერთმანეთის დარწმუნებას იწყებდნენ იმაში, რომ აუცილებლად უნდა დაეწესებინათ მორიგეობა ჩვენს ქუჩაზე, შეექმნათ მორიგე ჯგუფები, რომლებიც რიგრიგობით დაიცავდნენ ქუჩას ფრონტის ხაზს იქიდან გადმოპრული დივერსანტებისა და “კამიკაძეებისაგან“. რედაქციიდან არავინ მოსულა. ტელეფონიც არ მუშაობდა, რომ დაერეკათ და გავეფრთხილებინეთ, ვერ მოვდივართო.

მამა გვარიანად შეთვრა. მე წერას შევუდექი.

- რაო, არ მოვიდნენ საწერკალმიანი ჩანგალისტები? - მკითხა მამამ. “საწერკალმიან ჩანგალისტებს“ (ზოგჯერ ანანისტებსაც) ჟურნალისტებს ეძახდა.

არც მეგონა მამა თუ ხვდებოდა, რომ სტუმრებს ველოდი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, მოუთმენლობა არ მეტყობა-მეთქი. მამა როცა დათვრებოდა, სენტიმენტალური ხდებოდა და გარდაცვლილი ცოლის - დედაჩემის გახსენებას იწყებდა, მაგრამ მე არც ისე მაწუხებდა თავისი მოგონებებით. სენტიმენტებმოძალებულ მამას სხვისი ფიქრების წაკითხვაც შეეძლო. ალბათ მამამისიც, ბაბუაჩემი კონდრატეც ასეთი იყო - მე არ მოვსწრებივარ, ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა, მაგრამ მამამ ისე აღმიწერა, თითქოს საკუთარ თავს ახასიათებდა. გადავწყვიტე ბაბუაჩემზე მოთხრობა დამეწერა, იმაზე, თუ როგორ გააგდო რძალი და შვილს სხვა ცოლი შერთო, როგორ გაიხადა ამის მერე მამაჩემმა თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ცოლი საყვარლად და ა.შ. ყველაზე უკეთესად ბაბუაჩემის სიკვდილის სცენა გამომივიდა, ალბათ იმიტომ, რომ წინათაც არაერთხელ მქონდა წარმოდგენილი. ბევრი რამის გამოგონება არც დამჭირვებია, მხოლოდ იმას ვცდილობდი, რომ მამა და ბაბუა ერთმანეთს არ დამსგავსებოდნენ ხასიათით. მამაგარდაცვლილი მამაჩემის გრძნობებსა და განცდებს რომ გადმოვცემდი, მივხვდი, რომ მხოლოდ მოვლენის, ანუ მოქმედების მშრალი აღწერით უნდა შემოვფარგლულიყავი. ასეც მოვიქეცი და მომეჩვენა, რომ კარგი რაღაცა გამომივიდა. მამაჩემისა და მისი ჯერ ცოლის, შემდეგ საყვარლის ურთიერთობის აღწერასაც არა უშავდა. მერე შევეცადე ამეხსნა, რატომ არ დაშორდა მამა მეორე ცოლს და არ დაიბრუნა პირველი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ისევ მშრალი აღწერით შემოვიფარგლე.

- რა ქენი, დაწერე რამე? - მკითხა მამამ, როცა წერას მოვრჩი.

- მგონი რაღაც გამოდის, - მივუგე მე.

- ამ დილანდელზე ხომ არ დაგინერია, როგორ დახვრიტეს გვარდიელებმა ამწის კაბინა?

- არა.

მამაჩემს არასოდეს უთხოვია, შენი მოთხრობები წამაკითხეო - მე არ ვთავაზობდი, თვითონ არ თვლიდა საჭიროდ შეეხსენებინა, რომ თუნდაც ზრდილობის გამო შემეთავაზებინა წასაკითხად ერთი მოთხრობა მაინც. არადა, აინტერესებდა.

ოთარი დილიდანვე ცუდ ხასიათზე იყო. მე მეზობლებში გადავედი. ვისთანაც არ მივედი, ყველას დალევა უნდოდა, ამიტომ მეც მომინდა. უფროსი ასაკის ხალხმა ოთხი ახალგაზრდა შეგვარჩია და ძიძარიას ქუჩაზე ღვინის ქარხანაში გაგვიშვა. ქარხანამდეც და ქარხნიდანაც ფეხით ვიარეთ. კარგი ღვინო ვიშოვეთ, სახლამდე არ ვიყავი მისული, სტუმრები გეწვიაო რომ მაცნობეს მეზობლებმა. მივხვდი რომ რედაქციიდან იქნებოდნენ. არც შევმცდარვარ, მამუკა, გიგლა და ნინელი იყვნენ.

ოთარის არაყი გამოეტანა და აივანზე მდგარ მაგიდაზე შვიდი თუ რვა თეფში და ამდენივე სირჩა დაელაგებინა. წესად ჰქონდა, საჭიროზე ორჯერ უფრო მეტი ჭურჭელი დაეხვავებინა.

სანგვინიკი მამუკა, სოფლის მეურნეობის განყოფილებაში რომ განაგებდა საკუთარ თავს - უფროსიც თვითონ იყო და ომის დაწყებისთანავე დაღუპული ჟურნალისტის მაგივრობასაც თვითონ სწევდა - არყის გამოჩენას დაესერიოზულებინა (დალევის წინ ისე დასერიოზულდებოდა ხოლმე, თითქოს რამე საკრალური რიტუალის აღსრულებისთვის ემზადებაო. ალბათ არ უნდოდა შეტყობოდა, რომ დალევა უხაროდა), ერთსა და იმავეს იმეორებდა, ნუ წუხდებით ბატონო ოთარო და კმაყოფილი ხვნეშოდა.

- ყურძენი მოიტანე, - მითხრა ოთარმა და ნინელის გაუღიმა.

ნინელის კვერცხისგულისფერი კაბა ეცვა. აყვავებულ მიმოზას ჰგავს-მეთქი, გავიფიქრე.

- სად არის? - ვკითხე ოთარს. ისე მითხრა ყურძენი მოიტანეო, მეგონა დაკრეფილი იყო და სუფრაზე გამოსატანად გამზადებული ჰქონდა.

- ბოსტანში პამიდვრებს ასხია, - მიპასუხა ოთარმა. ვერც ატყობდა, სხვები თუ ამჩნევდნენ ნინელის რომ ეპრანჭებოდა. ნინელიმ ოთარის პასუხზე გაიღიმა. ახალგაზრდა ქალებს უზომოდ სიამოვნებთ ხნიერი მამაკაცებისაგან ხუმრობაში გატარებული ფლირტი.

მამუკა ოთარის შენიშვნაზე, ოთარისვე საამებლად წამოწყებულ ქირქილს იმაზე ადრე მორჩა, ვიდრე ჩვენ გვეგონა და ვიდრე თვითონ ჰქონდა ჩაფიქრებული.

ნინელიმაც ისე გამომწვევად გაქაჩა კაბის კალთები მუხლისთავებისკენ, აშკარა გახდა, რომ მამაჩემის გაგიჟება ჰქონდა გადაწყვეტილი.

- რბილი სკამებიც გამოიტანე, ოღონდ არ მკითხო სად არისო, - მითხრა ოთარმა.

ყურძნის საკრეფად გიგლაც გამომყვა, კიბეზეც თვითონ აბობღდა.

- ამაღამ ჩვენთან დარჩი, ცოლ-შვილი მაინც სახლში არა გყავს. მოსაწევსაც ვიშოვი, - ვუთხარი გიგლას.

- დავრჩები, - თქვა მან. - მაგარია ოთარი.

- რაზე ამბობ? - ჩავეკითხე მე.

- რა ვიცი, ისე... ეტყობა მაგის ბუღას წუხელ თავი არ დაუზოგავს, კარგ ხასიათზეა! - ნინელის გულისსმობდა.

- რა გინდა იმ ქალთან, რომ არ იძლევა იმიტომ სკდებით გულზე?

- მადლობა თქვას, რომ წესიერ ხალხში მოხვდა. სხვები ჩვენს ადგილას შანსს არ გაუშვებდნენ ხელიდან.

- არც თქვენ აკლებთ ცდას, - ვუთხარი მე.

- ყოველ შემთხვევაში შენზე უფრო არა, - მიპასუხა იმან. - კარგი ჩუმჩუმელა ვინმე ხარ!

მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოთარისთვის ზომიერების გრძნობას არ უღალატია. დასერიოზულდა. ნინელი თხილს მიეძალა. თხილსატეხს საკმაოდ დახვეწილად ხმარობდა

X3911

საქართველოს პარლამენტის

- ისე ნაზად შემოაჭდობდა ხოლმე ლამაზ ხელებს თხილსატეხის სახელურებს, მე განზე გავიხედავდი, რადგან ვგრძნობდი, რომ არყით შეხურებულს მზერა მებინდებოდა. არც სხვები ყოფილან უკეთეს დღეში. ის კიდევ ნაჭუჭის გატეხვის მოლოდინში თვალებს ბავშვივით მოჭუტავდა და კიდევ უფრო გვაგიჟებდა.

დილით გიგლა რედაქციაში წავიდა. შუადღისთვის გამოგვილით-მეთქი, ვუთხარი.

დაბოლილი ვიყავი და იქნებ ამიტომაც გავბედე მეორე დილით ნინელის სახლში მისვლა. უბრალოდ მის სახლში ყოფნა მომინდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ნინელი ჩემი სტუმრობის შესახებ ვერაფერს გაიგებდა. თუ გაიგებდა, ვეტყოდი, იმ უბანში ვიყავი გავლით და გამოგიარე-მეთქი, მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე ვიხიმანკლე მსგავსი რაღაცა.

ბარაკებში ცხოვრობდა (თვითონ ფინურ სახლს ეძახდა, როგორც ყველა ბარაკელი). ყოველ ოჯახს თავისი სახლისწინა ერთი ციდა ეზოც ჰქონდა. გული მიგრძნობდა, რომ ნინელის მეზობლები ვერ შემამჩნევდნენ. არც შევუმჩნევივარ. ნინელის დედა ერთი სკლეროზიანი ქალი იყო და ცოტა არ იყოს შეშლილიც. ოთარმა თქვა, მაგისთანა ქალი ქალაქში არ დადიოდა, ასაკით ბევრად უმცროსი ბიჭებიც უკან დავდევდით ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ გვეყურებინაო. მე მგონი დედამისის ხათრით უფრო ეპრანჭებოდა ნინელის.

შუშაბანდის კარზე მორიდებულად დავაკაკუნე და შევაღე. ნინელის დედას რაც შეიძლება ტკბილად გავუღიმე, რომ არ დამეფრთხო. მთელი დღე სავარძელში იჯდა ხოლმე და სტუმრად შესულ მეზობლებს ხალისით იღებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მეც მეზობელი ვეგონებოდი.

მაგიდაზე თაბახის ქაღალდი იდო, ზედ ქიმიური ფანქრით დიდი ასოებით ეწერა "დედა, მე სამსახურში ვარ. ფანჯარა არ გამოაღო, ისედაც გაციებული ხარ, უარესად გაგჭვალავს. სამსახურიდან პურის ქარხანაში უნდა გამოვიარო და შეიძლება შემაგვიანდეს". გეგონებოდა დედის გამოღვიძებამდე მიდიოდა სამსახურში, სინამდვილეში ჯერ დედას ასაუზმებდა და მერე გადიოდა სახლიდან - ბარათს უფრო შეხსენებითი დანიშნულება ჰქონდა, რომელიც იუწყებოდა, რომ ბარათის ადრესატის შვილი სამსახურში იყო წასული, თან დასახედად შემოსული მეზობლებისთვისაც იყო განკუთვნილი, რათა ისინიც შიმშვდარიყვნენ ამ ჯერზე რა ეკრძალებოდა მოხუცს.

- რა წერია შვილო იქ? - მკითხა ეთერმა.

- რომ ნინელი სამსახურშია და გთხოვთ ფანჯარა არ გააღოთო, - ვუთხარი მე.

- ნინელი სამსახურშია... - გაიმერა ეთერმა.

- როგორა ხართ ქალბატონო ეთერ? - ძალიან მზრუნველად და შინაურულად მოვიკითხე.

- კარგად შვილო, კარგად, - ისეთი ტონით მიპასუხა, თითქოს კარგად ყოფნა დანაშაული ყოფილიყო.

ეთერს რომ არ შეშინებოდა, საკმაოდ სულელურად ვიღიმებოდი.

- საზამთროები მესიზმრა, - თქვა უცებ დიასახლისმა. - ნინელიმ თქვა, თუ გაჭრილი იყო, სისხლი დაიღვრებაო.

- იყო გაჭრილი?

ეთერმა ისეთი აზრიანი თვალებით შემომხედა, ეჭვი შემეპარა, იქნებ სულაც არ იყოს სკლეროზიანი და გაფრენილი-მეთქი. კიდევ ერთხელ დაიძაბა და რაღაცა გაიხსენა.

- ნინელი პურის ქარხანაში წავიდა, - მითხრა მან.

- სამსახურის შემდეგ უნდა გამოიაროს, - დავუზუსტე მე.

ნინელის ბარათ-შეხსენებას ვატრიალებდი ხელში და ვფიქრობდი, თუკი იმის იმედი მაქვს, რომ გამბედაობა მეყოფა ნინელის მოხიბვლა ვცადო, დროა პირველი ნაბიჯი გადავდგა-მეთქი. წინადადებაც მოვიფიქრე ექსპრომტად - მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი (მარცხენა ხელით უნდა დამეწერა, რომ კალიგრაფიით არ ამოვეცნე) დაახლოებით ასეთი: "მიყვარხარ. აქ მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ შენი სუნი მეგრძნო"-ს მაგვარი. ვერავითარი სუნი იქ ვერ ვიყნოსე, ნინელისთან რომ ყოფილიყო რამით დაკავშირებული (ქალებს ძალიან სიამოვნებთ, როცა ეუბნებიან, ისე მენატრები, რომ შენს სუნს ვგრძნობ ხოლმეო. ეს მათ აღაგზნებთ), წამლების და ბარაკული ნესტის სუნი იდგა და ნინელის დედის იაფფასიანი სუნამოს უსიამო სუნი, რაც, რა თქმა უნდა, გასაკვირი იყო, რადგან თვითონ ნინელი ფრანგულ სუნამოს ისხამდა. ალბათ დედამისი იაფფასიან სუნამოს იყო მიჩვეული. ნინელის ფრანგული სუნამოს სუნი მხოლოდ კარადაში გამოკეტილიყო. კარადაში ცოტა მოგვიანებით შევიხედე.

- აბა, მე წავედი ქალბატონო ეთერ, - ვთქვი მე.

- ნინელი სად არის? - მკითხა იმან. კუბოკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული, ფოჩებიანი შალი მოესხა და ხელისგულისოდენა ბორშით შეეკრა გულთან. მართლა ლამაზი ქალი იქნებოდა ახალგაზრდობაში, ნინელიზე უფრო ლამაზიც. - კარადაში თაგვი ხმაურობდა! - თქვა უცებ და მოკრუნჩხული თითი კარადისკენ გამიზნა. მივხვდი, რომ თაგვების ეშინოდა.

კარადასთან მივედი და კარი გამოვაღე. გუშინდელი კვერცხისგულისფერი კაბაც იქ დამხვდა (შეიძლება ეთერის ახალგაზრდობისდროინდელი კაბა იყო და ნინელიმ გადააკეთა-მეთქი, ვივარაუდე), იდაყვებთან ოდნავ გამობერილი და შიდა მხრიდან შენაოჭებული.

- თაგვი წასულა, - ვთქვი მე და საკმაოდ სულელურად გავიღიმე.

ნინელის სუნამოს სურნელის გარდა კარადაში ნაფტალინის ოდნავსაგრძნობი სუნიც იდგა. იქნებ მომეჩვენა. ძველებური კარადები ჩემთვის ყოველთვის ნაფტალინის სუნთან ასოცირდება.

ქუჩაში გამოსული წამლების და ნაფტალინის სუნი განცდად მექცა, კარადაში გამოკეტილი სუნიც გადაფარა. ვნანობდი, რომ ნინელის ბარათზე არაფერი მივაწერე, უკან გაბრუნებაც კი მოვინდომე.

რედაქციაში თარაშის, რედაქტორის მიერ იმ დილით ნაშოვნ მოსკოვურ ოცდათორმეტგვერდიან გაზეთს კითხულობდნენ კონვეიერული მეთოდით და მისი ფერადი გაფორმებით ტკბებოდნენ. გაგანია ომის დროს საიდან და როგორ შოულობდა თარაში ამ გაზეთს, არ ამხელდა - მოაქვთო, იტყოდა გაურკვევლად. კვირაში ერთხელ ყველა თანამშრომელს თავის კაბინეტში დაიბარებდა, გაზეთს მაგიდაზე დაიდებდა, ირგვლივ ნასუფრალის მომლოდინე აფთრებივით შემოკრებილ ხელქვეითებს არც შეხედავდა, გაზეთს საფუძვლიანად დაათვალიერებდა, კარგა ათი წუთი არჩევდა იმ გვერდებს, რომელსაც თავისთან იტოვებდა და დანარჩენს მაგიდის კიდისკენ გააჩოჩებდა.

- აი, რას ნიშნავს ფული და დაფინანსება... - მრავლისმეტყველად არ ამთავრებდა სათქმელს. აქაოდა ჩვენც ისეთი დაფინანსება რომ მოგვცა, როგორიც ამ გაზეთის რედაქციას აქვს, ნაკლებ გაზეთს არ გავაკეთებდითო.

- მოვა დრო, იპოლიტიჩ... - ეტყოდა მამუკა და ისიც მრავლისმეტყველად არ ამთავრებდა სათქმელს.

- Бог свидетель и свидетель пресса... - ოდესაზე ნამღერ "ბლატნოი" სიმღერიდან წაიმღერებდა ნაწყვეტს ნინელი. თარაში დარწმუნებული იყო, რომ ნინელის ლოგინში ჩაითრევდა და მის მოხიბვლას მოგონილი უყურადღებობით ცდილობდა და ვერ ხვდებოდა, რომ ნინელი მხოლოდ იმიტომ ამბობდა ამ სარკასტულ ფრაზას, რომ მასში ცუდად ნათამაშევი გამკიცხავი მზერა აღეძრა. თუ ვერ აღძრავდა, კიდევ ჰქონდა რეზერვში ერთი, რედაქტორის მიერ კოლეგებისთვის წასაკითხად გამომეტებული და მაგიდის კიდისკენ გამოჩოჩებული გაზეთის გვერდების მისამართით სათქმელი ფრაზა "налетай братва".

- ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მთავარი თუა... - იტყოდა ფანჯრის რაფაზე მიყრდნობილ-ჩამომჯდარი გიგლა. მთავარში ლამაზი ქალების ფერად ფოტოსურათებს გულისხმობდა.

- დაჯექი თუ ღმერთი გწამს, თავს რას დაგვდგომიხარ! - ეტყოდა თარაში და თან მიმტევებლურ-დამტუქსავი ღიმილი გადაურბენდა სქელ ტუჩებზე.

- როდის იყო ჯდებოდა! - წამოისროდა ნინელი. წარმოუდგენლად სიამოვნებდა ეს ფრაზა ნინელისაგან გიგლას. ნინელის გვერდით დაჯდებოდა და გაუღიმებდა, რომ თავის მიერ ერთხელ ნათქვამი შეეხსენებინა "ძაღლს ძვლები ესიზმრება, ჯარისკაცს - გენერლობა, თარაშს კიდევ ოცდათორმეტგვერდიანი გაზეთის რედაქტორობაო". ნინელიც გაიღიმებდა, მივხვდი რასაც მანიშნებო. თარაში აიმრიზებოდა. ნინელი, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ როცა გიგლას შეთქმულივით უღიმიდა, დანარჩენებს ეჭვი გაკრავდათ, ესენი საყვარლები ხომ არ არიანო, და მიუხედავად ამისა, მაინც შეთქმულივით უღიმოდა თვითონაც საპასუხოდ. ჩემს ჯიბაზე იქცევა ასეო, გაიფიქრებდნენ დანარჩენი მამაკაცები ნინელის მისამართით და გაზეთებს ააშრიალებდნენ.

ეს ყველაფერი ლამის რიტუალად იქცა. მე იმ დროს გამოვჩნდი რედაქციაში, როცა ამ რიტუალის ფინალური სცენა თამაშდებოდა, რომელშიც თარაში "თან საქმეს" წარმოთქვამდა და საათზე იხედებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელქვეითებს კიდევ ათ წუთს აძლევდა გაზეთით დასატკბობად. ნინელი თარაშის გასაგიჟებლად სიგარეტს დააძრობდა და გააბოლებდა. ძალიან გამომწვევად, უფრო სწორად, ეროტიულად ეჭირა სიგარეტი ხელში.

- მოვიდა მშვიდობის მაძიებელი! - თქვა თარაშმა ჩემს ნახვაზე. ომამდეც მშვიდობის მაძიებელს მეძახდა, ომის შემდეგ კი ამ გამოთქმამ მეტი აქტუალობა შეიძინა და რედაქტორიც დახვეწილი იუმორის პრეტენზიით წარმოთქვამდა.

წინა საღამოს თამაზ ქარდავას დედა გარდაცვლოდა. ძალიან კარგი ქალი იყო, თალიკოს ეძახდნენ, სინამდვილეში მოთაკილუ რქმევია. "მოთაკილუ" მეგრულად მეთაკილებას ნიშნავს - მეხუთე გოგო ყოფილა ოჯახში და ამიტომ შეურქმევია მამას მისთვის ასეთი სახელი. სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, ჩემი სახელი მეთაკილებოდა, მამის გარდაცვალების შემდეგ, მე თვითონ ვაიძულებდი სხვებს, ნამდვილი სახელით მოემართათო. ჩემი რედაქციაში მუშაობის დროს ორჯერ ვიყავით თამაზთან სახლში და ორივეჯერ ისე გაგვიმასპინძლდა თალიკო, წინასწარ რომ არ გვცოდნოდა, ვერც მიხვდებოდი ის და მისი რძალი - თამაზის ცოლი - ერთმანეთს თუ არ ელაპარაკებოდნენ. თამაზმა დედამისს ჩემზე უთხრა, მოთხრობებს წერსო. თალიკომ მაშინვე მეორე ოთახში გამიყვანა და თავისი სოფლის უფროსი თაობის, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, "ძველების" გულისამაჩუყებელი ისტორიები მომიყვა. ჩემს შვილსაც ვთხოვ, რომ ამაზე რამე დაწეროს, მაგრამ არ წერს, იქნებ შენ მაინც გამოგადგეს რამეშიო. მსგავსი კოლორიტული ისტორიები ყველა სოფელს აქვს და ისინი თითქმის ერთნაირია. ყველაზე მეტს თალიკო მამამისზე მიყვებოდა, შეიძლება ამან მიბიძგა მამაჩემზე მოთხრობა დამეწერა.

გიგლას უთქვამს, წუხელ მესიზმრა თალიკო, დილითვე მოვუყევი ხვიჩას, თუ არ გჯერათ, მალე მოვა და თვითონ ჰკითხეთო. მე ვერ დავეგმოწმე, რადგან მსგავსი არაფერი მოეყოლა, მიუხედავად ამისა, არავის შეპარვია ეჭვი, რომ მართალს ამბობდა.

გადაწყდა, პანაშვიდზე უნდა წავსულიყავით. ყვავილები უნდა ვიყიდოთო, განაცხადა თარაშმა და ნინელის შეხედა.

- ასე ნუ მიყურებ. ყვავილების მოტანას შენ არავინ დაგვალებს, - უთხრა მან ნინელის, უთქვა ნინელის მისთვის საერთოდ არ შეუხედავს და არც სხვანაირად გამოუვლენია უკმაყოფილება იმის გამო, რომ მას, როგორც ქალს, ყვავილების საყიდლად წასვლა მოუწევდა. - ერთი მანდილოსანი გვყავხართ და იმდენი გვესმის, რომ პატივი გცეთ და გაგიფრთხილდეთ, - ეტყობა წინასწარ ჰქონდა ეს ფრაზა მოფიქრებული.

- მე ქუჩაში ყვავილებით ვერ ვივლი! - გადაჭრით განაცხადა გიგლამ.

- დღეს მოკლე სამუშაო დღე გვაქვს. შენ ჩემთან შეიკარი სახლში, მანქანას წამოიყვან, ყვავილებს იყიდი და აქ მოხვალ. მანქანა მაინც დაგვჭირდება, აბა სოფელში ფეხით ხომ არ წავალთ?- უთხრა თარაშმა მამუკას. გიგლას გამოხტომამ გააღიზიანა. თვითონვე ქმნიდა უფროსუმცროსს შორის უბრალო, ლამის ფამილიარული ქცევის პრეცედენტს და ამაზე თვითონვე ბრაზდებოდა ზოგჯერ. ჩემი დაკვირვებით ისიც სიამოვნებდა, რომ მასზე ამბობდნენ, რთული ხასიათის კაციაო.

დარწმუნებული ვიყავი მამუკა იტყოდა, ყვავილების ასარჩევად ნინელიც გამომყვესო, მაგრამ ვერ გაბედა.

რედაქტორის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე დაბომბვა დაიწყო. ჯერ ჰაუბიციდან გასროლის ხმა გაისმა, შემდეგ ჭურვების გადაფრენის და ბოლოს აფეთქებისაც. კელასურს ბომბავდნენ. ნინელი ჭურვების დათვლას შეუდგა, მაგრამ გასროლისა და აფეთქების ხმები ერთმანეთში აერია, ერთი ამათი დედაცო, ჩაიქნია ხელი და უცებ მე მომიტრიალდა.

- მოწიე? - მკითხა მოულოდნელად.

- როგორ გეკადრებათ!

- თარაშს მაინც ნუ ეჩვენებით ასეთ მდგომარეობაში, შენ და კიდევ ერთი, გვარს არ დავასახლებ... - გიგლაზე ამბობდა.

- არ მომიწევია და დავიბრალო? - თავი გამოვიდე მე.

ნინელიმ არაფერი მიპასუხა. ჭურვები ქალაქის ცენტრისკენ მოიწევდნენ სანაპიროს გამოყოლებით.

ოთახის კარი თარაშმა შემოაღო და ისე მკაცრად შემომხედა, გული გადამიქანდა, ჩვენს საუბარს ხომ არ აყურადებდა-მეთქი.

- ბუნკერში მივდივართ! - გვითხრა მან.

სარდაფში შმორის სუნი იდგა და ციოდა. ამაკანკალა და შემეშინდა, ნაბახუსევზე ცუდად არ გავხდე-მეთქი. ვესტიბიულში ამოვედი - თითქოს გულმა მიგრძნო, რომ ნინელიც იქ მოვიდოდა. სამიოდ წუთის შემდეგ გამოჩნდა.

- სად ურტყამენ? - მკითხა მან.

- ისევ კელასურს უბრუნდებიან, - დავამშვიდე მე.

- ეს საქმეა, სახლში ვერ დამირეკია?!. ომი დაიწყო თუ არა, ტელეფონის კაბელი მოიპარეს ჩვენს ქუჩაზე. ასეთ რაღაცას პაპუასები არ იკადრებენ, - თქვა მან. - დედაჩემს შეეშინდება. სახლში უნდა წავიდე. თარაშმა თუ მიკითხოს, უთხარი დედას უნდა დახედოს და დაბრუნდებათქო.

- მეც გამოგყვები, - ვუთხარი მე.

- არავითარ შემთხვევაში. ჩემი გულისთვის სხვას საფრთხეში ვერ ჩავაგდებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გზა მაინც იქითკენა მაქვს. ჩემს საქმეზე მინდა გავიდე.

ამასობაში დარაჯიც მოვიდა, ჩვენს გვერდით დადგა და იმანაც ქუჩაში დაიწყო ყურება.

- ცოტა ხანს შევიცდი და მერე წავალ, - თქვა ნინელიმ.

- სარდაფში რატომ არა ხართ? - ჰკითხა დარაჯმა ნინელის.

- შენ? - ვკითხე მე დარაჯს.

- აქაურობას დავხედე და ისევ ჩავალ. დაბომბვისას ათასი ვინმე შემოეხეტება ხოლმე...

დარაჯი თავის ოთახში შევიდა, იქიდან სკამი გამოიტანა და ჩვენსკენ წამოვიდა. სკამს ნინელის შესთავაზებს, რომ მისი მოშიშვლებული მუხლისთავების ყურებით დატკბეს-მეთქი, გავიფიქრე და იმ მოხუც გაიძვერას ისე შევუბღვირე, იმან სკამი მხოლოდ ცალყბად შესთავაზა ნინელის და უარის მიღების შემდეგ თავადვე მოკალათდა ზედ.

მე და ნინელიმ შემინული კარი გავიარეთ და პარმაღთან შევიცადეთ. ნინელიმ ცაში აიხედა, თითქოს აინტერესებდა, იწვიმებდა თუ არა.

- ღამით, ცაზე რომ გადაიფრენენ, ისე ანათებენ ხოლმე ჭურვები, ხალხს რომ არ ხოცავდეს, ლამაზიაო, შეიძლება იფიქრო, - თქვა ნინელიმ.

- მაინც ლამაზია, - დავემოწმე მე და მასთან ახლოს დავდექი იმ იმედით, რომ ხელკავს გამომდებდა, მაგრამ იმედი გამიცრუვდა.

ქუჩაში გამოვედით თუ არა, საბარგულზე საზენიტო ტყვიამფრქვევდამონტაჟებულმა "კამაზმა" ჩაგვიქროლა და სქელ, შავ კვამლში გაგვხვია. ნინელის ხველება აუტყდა. თეთრ პერანგზე იხედებოდა შეშფოთებული, ხომ არ გამემურაო. ქუჩის მეორე მხარეს გადავინაცვლოთო, თქვა და გზას რომ გადავდიოდით, უცებ ხელკავი გამომდო. მტვრიან ტროტუარს გავუყევით. ყოველი წვიმის შემდეგ სხვა ქუჩებიდან მოდენილი ნიაღვარი გზის ამ მხარეს გუბდებოდა და ტალახიც იქ ილექებოდა. მერე მზისაგან ტალახი მტვრის საკმაოდ სქელ ხალიჩად იქცეოდა. ომამდე წყლის დაშრობის შემდეგ გზას მანქანები ასუფთავებდნენ. მტვერში სიარული მოგვწყინდა, ისევ გადავჭერით ქუჩა და ნინელის ფეხსაცმელები ისევ აპაკუნდნენ.

- პანაშვიდზე რომ არ ვიყო წასასვლელი, სამსახურში არც დავბრუნდებოდი, - თქვა ნინელიმ. მე ხმას არ ვიღებდი.

- ცუდად ხომ არა ხარ? - მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

- პახმელიაზე ვარ, - მივუგე მე.

- თუ მოწიე? - თქვა ნინელიმ და ეშმაკურად გაიღიმა. - იმ ოცდათორმეტგვერდიან ცალტვინას მაინც ნუ ეჩვენები. საშინლად არ უყვარს ეგეთები.

ამასობაში დაბომბვაც შეწყდა.

მთელი ასი მეტრი ჩუმად ვიარეთ. სალაპარაკო თემა სხვა რომ ვერაფერი გამოვძებნე, მამაჩემის მიერ ამოჩემებული, ბაბუაჩემისაგან ნასწავლ მეორე მსოფლიო ომისდროინდელ, ჩემის აზრით, თანამედროვე ომისთვისაც აქტუალური ანეკდოტი მოვყევი (ფრონტელი სახლში რომ წერს წერილებს: ორშაბათი - უკან ვიხევთ, სამშაბათი - ვიხევთ... ხუთშაბათი - თუ ასეთი ტემპით გავაგრძელეთ უკანდახევა, კვირა საღამოს სახლში ვიქნებიო), მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოთარს ის ანეკდოტი უკვე მოეყოლა რედაქციიდან წვეული სტუმრებისთვის ჩემს სახლში არყოფნისას.

- მამაშენი ყოჩაღი ვინმეა, - მითხრა ნინელიმ.

- ასე ნუ ამბობ, ნუ მაეჭვიანებ, - ჩემდა მოულოდნელად მივახალე. - სახლამდე მიგაცილებ და მერე წავალ. საღამოს რედაქციაში მოვალ და პანაშვიდზე გამოგყვებით.

მომეჩვენა, რომ ნინელიმ შვებით ამოისუნთქა. ეგონა სახლში მივყვებოდი და სკლეროზიანი დედის ჩვენება ეთაკილებოდა ალბათ. ბარაკების უბნის დასაწყისამდე მივაცილე და გაეჩერდით. ერთი ბარაკის სახურავზე ვიღაც მამაკაცი ამძვრალიყო და ტელევიზორის ანტენას ასწორებდა. ბომბაზიის ხალათიანი ქალი, ალბათ ცოლი, - ჩამოდი, რა დროს ანტენაა, ისევ არ დაიწყონ დაბომბვაო, - უყვიროდა ქვემოდან. მამაკაცი ქალს აგინებდა, შედი სახლში და მითხარი ტელევიზორი როგორ აჩვენებსო.

- შუქი მოსულა, - თქვა ნინელიმ და შუბლზე ჩამოყრილი ხვეული თმა ხელით აივარცხნა. - ეს ხომ სულ ანტენის სწორებასა და ცოლის გინებაშია... კიდევ კარგი, რომ ჩემი ქმარი ასეთი არ არის!

საყვარელს ქმრად ნათლავდა და ასაღებდა ყველასთან. ხვდებოდა, რასაც ვგრძნობდი მის მიმართ და ქმარიც იმიტომ ახსენა. ქალები თავიანთზე უმცროს მამაკაცებს ღლაპებს უწოდებენ, მაგრამ ყველაზე უფრო მათი ყურადღება სიამოვნებთ, თანაც იმდენად, რომ ამის დამალვასაც ვერ ახერხებენ.

პანაშვიდზე ნინელი არ ყოფილა. ჯერ რედაქციაში ველოდეთ, მერე სახლში გავუარეთ. დედაჩემი შეუძლოდ არის და ვერ წამოვალო.

პანაშვიდიდან მისულები მე და გიგლა გიგლას ნაცნობმა თამაზის მეზობელმა გადაგვიპატიჟა და ღვინო დაგვალევინა. ქალაქში დაბრუნების შემდეგ გიგლამ ქალებში წავიდეთო, აიხირა. წავედით, მაგრამ გიგლას ნაცნობ ქალებთან სხვები დაგვხვდნენ. ისინიც შეზარხოშებულები იყვნენ. ჯერ წავკინკლავდით, მერე შერიგების დავლიეთ იმათი ლიმნის არაყი. მე და გიგლა გვარიანად გამოვთვერით.

გიგლამ, გინდა თუ არა ზღვაზე ტანი უნდა დავიბანოთო. ნასვამები ვართ, წყალი ცივია, გულზე არ დაგვიტოკოს-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა - მე მაინც ვიბანავებ და შენ შორიდან მიყურეო. წყალში ჩასვლამდე წინდების გახდა დამავიწყდა.

სანამ ვბანაობდით, ქვეითთა საბრძოლო მანქანამ ჩაიარა. ჩვენ ზვირთსაქცევს ამოვეფარეთ, შეიძლება დივერსანტები ვეგონოთო. კიდევ ერთი შარი არ გვინდოდა. საბრძოლო მანქანაზე ხუთამდე გვარდიელი იჯდა. სანაპირო დაცვას არ გავდა. გიგლამ თქვა, ალბათ ისინიც მთვრალები არიან და სანაპიროზე გასეირნება მოუნდათო.

ტანზე რომ ვიცვამდით, ქალაქში იმ დღეს მეორედ გამოუშვეს დენი. საცხოვრებელი კორპუსების ფანჯრებიდან გადმოღვრილი შუქი პარალელეპიპედებად ეფინა ასფალტზე. ზღვამ გამოგვაფხიზლა. გიგლა რატომღაც დასევდიანდა. ყოველთვის ასე მემართება ხოლმე, თუკი ბოლომდე არ დავთვრებიო, თქვა.

სიგარეტი გაგვითავდა. გზაჯვარედინზე, პირდაპირ ტროტუარზე ჩამოვსხედით, ვინმე გამოივლის და სიგარეტს ვთხოვთო.

- ქალი მინდა, - თქვა გიგლამ. - არავინ გეგულება, ცოტა ნორმალური რომ იყოს?

- არა, - ვუპასუხე მე.

- შენც ხარ-რა!.. ბიჭო, შენი ხნის რომ ვიყავი, ყველა ქუჩაზე ერთი ქალი მაინც მყავდა.

- მერე და სად წავიდნენ ის ქალები?

- ცოლ-შვილიანობამ ჩამომაშორა, - უკან არ დაიხია გიგლამ და ისევ დასევდიანდა. უცებ ფეხსაცმელი გაიხადა და შეანჯღრია. - გესმის როგორ ჩხაკუნობს ქვა?.. ქუსლი აქვს გახვრეტილი, შიგ კენჭი ვარდება და ასე ჩხაკუნობს... კაცი ოცდათორმეტი წლისა ვარ და დედაჩემი ცუდად რომ გახდება, იმაზე ვიწყებ ფიქრს, რომ მომიკვდეს გასაპატიოსნებელი ფული საიდან უნდა მოვიტანო-მეთქი. გესმის?

- მესმის! - ვუპასუხე მე.

- ჩემი ცოლი კიდევ მეორე შვილს ვერ გააჩენს, ასე გვითხრეს ექიმებმა. დარჩენილი ცხოვრება იმაზე ჯავრში უნდა გავლიო, რომ ბიჭი არ მეყოლება... ცოლს სერიოზული მკურნალობა სჭირდება, მე კი ფული არა მაქვს. ან საიდან უნდა მქონდეს მათხოვრული ხელფასით. ის ნაბიჭვარი თარაშია კიდევ ამასაც მამადლის... ის უნდა, რომ მეც სხვებივით ველაქუცო. იმდენი არ აუდგა გვერდები და აპარატი იმ ოცდათორმეტგვერდიან დაუნს. მაგას რომ ცოლი ყავს, იმისთანა ქალთან დაწოლას სროკზე წასვლა ჯობია... მივაკითხავ ახლა სახლში, გამოვიყვან გარეთ და ცოლს შევუგინებ, ქალაქის ნაღები ინტელიგენციის წარმომადგენელი რომ გონია თავი და მითითებებს აძლევს ქმარს, ვინ მოხსნას და ვინ დანიშნოს... ქმარსაც ანონიმური წერილებით უშოვა რედაქტორობა, კაცს, რომელსაც ჟურნალისტად ყოფნის დროს სტატიებს სხვა უწერდა. ახლა დამდგარა ის ქალი და ჩემზე ამბობს, უნიჭოაო...

- ნინელის რატომ არ მოახსნევინებს? - ვკითხე მე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რატომ ვერ მოახსნევინებდა, ნინელის საყვარლის ეშინოდა, ომის დროს უცებ რომ დააწინაურეს, - არ ეჭვიანობს?

ნინელი რედაქციაში სამუშაოდ ჩემზე ცოტათი ადრე მოსულიყო.

- წამო, მივიდეთ... თუ გინდა დაგენიძლავები, რომ სიყვარულს ავუხსნი! - ვთქვი მე.

- ვის, თარაშის ცოლს? - გადაირია გიგლა.

- ნინელიზე ვამბობ. მისვლის საბაბი გვაქვს - დედაშენის ამბის გაგება გვინდოდაო, ვეტყვით.

- ახსნა რათ უნდა, ისედაც იცის, - თქვა ცოტა ხნის შემდეგ გიგლამ. - ნინელი კი არა, ყველა ვხვდებით.

- ყველა?

- კი! - დამიდასტურა მან. - მაგრამ, შენ მაინც შენსას მიაწექი, ფეხებზე დაიკიდე ყველა... ნეტა შენი ხნისა ვიყო!

- წელან ასე მითხრა, ჩემი საყვარელი კი არა ქმარიაო.

- ყველას ასე ეუბნება. ისიც დედამისის ჯიშისაა. გადახრები ჯიშში აქვთ. დეიდამისი კი ოფიციალური გიჟია... დედამისმა ქმარი გააგდო სახლიდან, ჩემი მოწამვლა და სახლში საყვარლის მოყვანა უნდაო...

- განგებ მირევ იმ ქალზე გულს, თუ რა არის? - ვუთხარი მე.

- იმას გეუბნები, რაც არის... ნინელიზე ამბობენ, საყვარელი მისი ცოლად მომყვანი იყო, ეს არ გაყვაო. ახლა იმას ცოლიც ჰყავს და პლუს კიდევ კარგი საყვარელი. მეტი რა გინდა... რას ვშვრებით, მივდივართ სიყვარულის ასახსნელად?

- გადავიფიქრე! - ვუთხარი მე.

შინ რომ დავბრუნდი, უკვე ბნელოდა. ოთარი მთვრალი დამხვდა. ჭიშკართან ივჯდა და მე მელოდა.

- აქ რას აკეთებ? - ვკითხე მე.

- შენ გელოდი, - მითხრა.

- პატარა ბიჭივით იქცევი, - ვუთხარი მე, - სამოცი წლის ასაკში გალოთება არ გამიგია.

- საშინელებაა ჭკვიანი შვილის ყოლა, - აშკარად ლაყბობის ხასიათზე იყო, რაც იშვიათად ხდებოდა. მაშინ ასე გავიფიქრე, ალბათ ჩვეულებრივზე უფრო მოენატრა ცოლი და სასმელს ბოლომდე ვერ გადააყოლა-მეთქი გული.

- ამ დედაატირებულ სახლში მარტო ვერ ვჩერდები. მეორე შვილიც უნდა მეხლაფორთა...

- შინ შევიდეთ... მეზობლებს სხვა კი არაფერი აქვთ საქმე, გარდა იმისა, რომ სხვებს მიაყურადონ.

- რაზე წერ? - მკითხა უცებ. - საერთოდ რაზე წერ-მეთქი, იმას გეკითხები...

- შენზე! - პირდაპირ მივახალე. ვიცოდი რომ არ დაიჯერებდა და იმიტომ.

- თუ იმ ქალზე, ნინელიზე! - თქვა მან და ნიშნისმოგებით გაიცინა და წაიუხამსა კიდეც: - საწერად მშვენიერი რაღაცაა... იმედია სახლში არ მომიყვან და რძლად არ დამისვამ. ხომ გადაბრუნდა დედაშენი საფლავში!..

- საშინელებაა ჭკვიანი და დაკვირვებული მამის ყოლა! - ვუპასუხე მე და მივხვდი, რომ წინასწარვე იცოდა, რასაც ვეტყოდი.

- აი თურმე ვისზე ფიქრობდი ამდენი ხანია... მერე იმის საყვარელს რას უშვრები?! - თქვა და გაიღიმა. - ასეთი ამბები ყოველთვის ჩხუბით მთავრდება, საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი.

- მამაშენი თუ გისვამდა ამგვარ შეკითხვებს? - ვკითხე მე. ასეთ რაღაცას არ ელოდა.

- მამაჩემი ერთი თავისნათქვამა კაცი იყო. ცხოვრება ფეხებზე ეკიდა. ჩემი არ იყოს, ისიც ცოცხლად გამოხრა რევმატიზმა. ეტყობა საგვარეულო დაავადებაა. ნერვები რომ არ გაფუჭებოდა, ახლაც ცოცხალი იქნებოდა. ბოლო ერთი წელი ისეთი გაღიზიანებული დაიარებოდა, მტრისას!

ბაბუაჩემი მართლა უცნაური კაცი იყო, ასე ამბობდა, რაკი ღმერთმა ბელორუსიის ტყეებიდან ცოცხალი გამომიყვანა, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი რჩეული და ნებიერა ვარ და რასაც მოვისურვებ, იმას გამაკეთებინებს, განსაკუთრებული ქუდბედიანობა დამანათლაო. ბევრს მის ამგვარად ჩამოყალიბებულ ცხოვრებისეულ პრინციპზე ეცინებოდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ბაბუაჩემს ყველაფერი, რასაც კი მოინდომებდა, გამოსდიოდა. პოტენციური უსაქმური იყო, მაგრამ შვილს მშვენიერი სახლი დაუტოვა, ცოლ-შვილიც მაძღარი ჰყავდა და ამას გარდა არც საქეიფო ფული აკლდებოდა. მართლა ქუდბედიანი იყო. ათასი მანეთი რომ ეშოვა, ათასივეს იმავე დღეს დახარჯავდა, ღმერთი კიდევ მაშოვნინებსო და არც ცდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროსაც, როცა პარტიზანობდა, თანამებრძოლებს ნერვებს უშლიდა თურმე თავისი ღრმა რწმენით იმის შესახებ, რომ ქუდბედიანი იყო. მაშინ იმას ამბობდა, რაკი ობლობაში გაზრდილი ვარ, ღმერთი ახალგაზრდას არ მომკლავსო. ღმერთს ისე ახსენებდა, თითქოს სინდისზე აგდებსო და თან არც სწამდა, ყოველ შემთხვევაში, პირჯვარი არასოდეს გადაუწერიაო, თქვა მამამ. პარტიზანულ ყაიდაზე გალია ცხოვრება - დღეგანდელი დღით ცხოვრობდა და ხვალინდელზე ნაკლებად ფიქრობდა. ოთარიც კარგა ხანი ცდილობდა მამამისის ცხოვრებით ეცხოვრა, მაგრამ არ გამოსდიოდა, განგებამ მამაჩემისაგან განსხვავებით არც ერთი მცდარი ნაბიჯი არ მაპატიაო, ცხვირში ძმრად მადინა, ზოგჯერ იმასაც კი გავიფიქრებდი, მამაჩემის ცოდვებს მე მაზღვევნებსო. მერე მეც ვცადე ბაბუაჩემის სტილით ცხოვრება, მაგრამ მამაჩემის არ იყოს, საამისო ნიჭი არ აღმომაჩნდა და ძალიან დამწყდა გული. მივხვდი, რომ იმავე მიზეზით თავის დროზე მამაჩემსაც დასწყდებოდა გული - შეიძლება ჩემზე უფრო მეტადაც.

- მოდი, დავიძინოთ, - ვუთხარი მამას.

- მარტო გინდა არა დარჩენა? - თქვა მამამ. - შეყვარებულები ყოველთვის იმას ცდილობენ, მარტო დარჩნენ... წადი ქალებში გაიარე... თუმცა ახლა კარგ ქალს ვერ ეშოვი.

- ამაღამ შეიძლება ქალაქი დაბომბონ. ჰოდა, სანამ დაბომბავ დაწყებულა, დაძინება მოვასწროთ. ხვალ ადრე ვარ ასადგომი.

- მიდი და შეაბი ბარემ ის ქალი და ლოგინში ჩაიწვინე, რომ სიყვარულმა გადაგიაროს... რომ განიხიბლო, ერთი სიტყვით, - მითხრა მამამ.

მეორე დღეს თარაშმა ერთ-ერთ ბატალიონში გამაგზავნა. კარგა ხანი ვითრიე ფეხი, მაგრამ ნინელი სამსახურში მოსვლას აგვიანებდა. იმ ბატალიონის მეორე ასეულში ერთი ოჯახიდან სამი კაცი იბრძოდა - მამა "ოტეცსოლდატა" და მისი ორი ვაჟი, "გოდერძი" და "ვისოკი" - ქა-

ლაქში ცნობილი სამეული. მათზე უნდა დამეწერა. ბატალიონის მეთაური უარზე იყო, მამა-შვილებზე დედაქალაქის გაზეთში ერთხელ უკვე დაიწერა, ახლა მთელ ბატალიონზე უნდა დაიწეროს, ასე დამპირდა უფროსობაო. ვინ დაჰპირდა, არ აკონკრეტებდა და მე ბუნებრივია ვიფიქრე, იგონებს-მეთქი. როგორც მერე გავიგე, არ იყო ცუდი კაცი, მაგრამ მე ცუდად მექცეოდა, რატომღაც საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას იმით ცდილობდა, რომ მენტორული ტონით მომმართავდა. გუნებაში "დაფეთებული" შევარქვი მისივე საყარელი ფრაზის მიხედვით - "დედადაფეთებულიო", იმეორებდა წამდაუწუმ აფეთქებულის მინამგვანად, კალამბურის ტონში. მე ეს ტერმინი და მისი წარმოთქმის სტილი მომეწონა. ბოლოს, ძალიან რომ მომაბეზრა თავი, რედაქტორს გადაურეკე და შეთანხმდი-მეთქი, შევთავაზე. თარაშს ვერ დავუკავშირდით. ისიც იცოდეთ, სანამ სტატიას დაბეჭდავდეთ, მე უნდა წამაკითხოთ და შემითანხმოთ, რომ უნებურად საიდუმლო ინფორმაციამ არ გაჟონოს ჩვენს საბრძოლო პოზიციებზე, ან კიდევ სხვა რამეზეო. ქართველები სულელები ვართ, ომის დაწყების დროს ტელეკამერებით იღებდნენ ჩვენი ძალებისა და ტექნიკის განლაგებას და ტელევიზორში უჩვენებდნენ, თითქოს მოწინააღმდეგის დასაშინებლად, ისინი კი ამ ქრონიკის მიხედვით ამუშავებდნენ შეტევის გეგმას და არტილერიითაც ტექნიკას გვინადგურებდნენო. სულ არ წავალ თქვენს პოზიციებზე, მასალას აქვე მოვიპოვებ, მამა-შვილებსაც აქ გავესაუბრები-მეთქი, ავვარდი მეც და იმ წამსვე დაიძაბა ჩვენს შორის ურთიერთობა. მართლა დაფეთებულივით აიმრიზა და სხვებმაც მწყრალად შემომხედეს. ბოლოს ისევ "ოტეცსალდატამ" მიშველა - საბრძოლო პოზიციებზე საუბრის დამტკიცებელი მანქანის მძღოლს მისთვის ეთქვა, შტაბში ჟურნალისტია მოსული და შენი ნახვა უნდაო. ის იმავ მანქანას შტაბში გამოყვა და სულზე მომისწრო. მალევე გაერკვა სიტუაციაში, მხარზე დამიტყაპუნა ხელი, ეს კაცი პირადად ჩემი სტუმარია და არავინ გაბედოს მისი წყენინებაო. მარტო ჩემზე და ჩემს შვილებზე კი არა მთელ ბატალიონზე დაწერს, ასე არ არისო, ჩამეკითხა ყველას გასაგონად და მეც, რა თქმა უნდა-მეთქი, ვუპასუხე. მივხვდი, რომ მივქარე, როცა თავიდანვე არ დავეთანხმე ბატალიონის მეთაურს. მაშინ ერთგვარი გაფეტიშების პოლიტიკით ხელმძღვანელობდა პრესაცა და ტელევიზიაც - ამოიჩემებდნენ ერთ რომელიმე მებრძოლს ან მებრძოლთა ჯგუფს და ცოტა ხნით დაატრიალებდნენ, თითქოს ის უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ ნამდვილი გმირები არ იღუპებიან.

მე და ჩემი რესპოდენტი შევთანხმდით, რომ საბრძოლო პოზიციებზე, სადაც მისი უმცროსი ბიჭი იმყოფებოდა, სადილის დამტარებელ მანქანას გავყვებოდით, მანამდე კი უფროსი ბიჭის სანახავად მის სახლში წავიდოდით.

უფროსი, "გოდერძი", სიტყვაძუნწი გამოდგა - რაღაცნაირად პოზიორულად სიტყვაძუნწობდა, როგორც მოძველბიჭო ელემენტებს სჩვევიათ, როცა მრავლისმნახველ კაცს თამაშობენ. უცოლო იყო, უმცროსს კი ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შეერთო ცოლი. რძალიც იქ იყო და როცა მითხრა, პირველი შვილი გოგო გვინდა გვყავდეს მე და ჩემს ქმარსო, შვებით ამოვისუნთქე, იმის დაწერა არ მომიწევს, სამშობლოს კიდევ ერთი იარაღით დამცველი უნდათ რომ მოუვლინონ ქვეყნიერებას-მეთქი. პირველად არ ვურთიერთობთ ჟურნალისტებთან, როცა დაჭრილი ვიყავი და დედაქალაქში ვმკურნალობდი, მე და ჩემს უფროს ბიჭს იქაურმა ჟურნალისტმა ჩამოგვართვა ინტერვიუო. ეტყობა იმ ჟურნალისტს მუშაობის თავისი სტილი ჰქონდა - რამდენადაც მივხვდი, მამას შვილებზე აყოლინებდა, შვილებს მამაზე და ყველას ერთად ერთმანეთზე, რათა ბოლოს, მაშინ ძალზე მოდური, "ისინი თავს გმირებად არ თვლიან, საკმაოდ მოკრძალებულები არიან. საკუთარ თავზე არცერთს არ უყვარს ლაპარაკი, აი სხვებზე კი დიდი ხალისით ყვებიან..." ან რამე ამის მსგავსი მიეწერა. შეიძლება ეფექტურიც გამოუვიდა, სამწუხაროდ, ის გაზეთი არ ჰქონდათ. ჩემი რესპონდენტები იმავე სტილზე იყვნენ დაპროგრამებულები. არც დამიშლია.

ხუთი სქელი ფოტოალბომი ჰქონდათ - ოჯახის თითოეულ წევრზე, რძლის ჩათვლით. ოჯახის დიასახლსმა ხუთივე დამათვალიერებინა. ჩემი შვილები ბავშვობიდანვე გამორჩეულები იყვნენ, საბავშვო ბაღის ასაკიდანვე გულთან მიჰქონდათ სხვისი სატკივარიო, იმეორებდა ხშირად.

უმცროსმა, მეტყვიამფრქვევემ, ჩეფირი მასვა. სულ სკოლის ამბებს მიყვებოდა. ცოტა ხნის წინ თანაკლასელი (ისიც გვარდიელი) დაღუპვოდა და ალბათ იმიტომ. თავისი ცოლივით უბრალო დ გულღია ვინმე იყო, ყოველგვარი ქვეტექსტებისა და გათვლების გარეშე მესაუბრა. "ფორტოჩკებიანი" მჭიდები დამათვალიერებინა, ჩემმა დაღუპულმა თანაკლასელმა "დამიფორტოჩკაო". მჭიდებზე ორივე გვერდზე, სიგრძივ ვიწრო მართკუთხედები იყო ამოჭრილი. ჩვეულებრივ, მჭიდებს უკნიდან მხოლოდ ერთი პატარა ნახვრეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ შიგნით ჩაყენებული ზამბარის გაშლილი მდგომარეობის სიმაღლეზე და შესაბამისად, მხოლოდ მაშინ გამცნობს მჭიდის გამოცარიელებას, როცა უკანასკნელი ტყვიაც სავაზნეში გადაიგზავნება, "ფორტოჩკებიანიდან" კი ყველაფერი ჩანსო. როცა ისვრი, გონება მექანიკურად აღნიშნავს და ვარაუდობს, რამდენი ტყვია რჩება მჭიდში, ხოლო როცა "დაფორტოჩკებულ" მჭიდს ხმარობ, თვალი სულ იქითკენ გაგირბის და ყურადღება გეფანტება, სულ იმის განცდაში ხარ, მჭიდის დაცლა არ გამოგეპაროს და გონება გეფანტებაო. ამიტომ "ფორტოჩკებიან" მჭიდებს არ ვხმარობ და შენც შენს გაზეთში დაწერე, რომ სხვებსაც იმავეს ვურჩევო. დარწმუნებული იყო, რომ მის თხოვნას შევასრულებდი. მჭიდებზე უმთავრესად ორი ფრაზა ამოეწვა "Каждому свое" და ირონიულ-სალაღობო (მე ასე მომეჩვენა) "Не успел? - Значит опоздал". დიდი განათლებული ვინმე ვეგონე. მიყვარს განათლებული ხალხი, ჩემი ცოლიც სტუდენტია, მორიგე რომ არ ვიყო, დიდი სიამოვნებით დავლევდი შენთან ერთადო, მითხრა. ბოლოს თვითონვე შემირჩია თანამესუფრეები - დარწმუნებული ვარ მოგეწონებაო. მამას სახლიდან არაყი წამოეღო. ნაბახუსევზე მალე დავთვერი. ნაჩქარევად ვსვამდით, რადგან მანქანას უკვე დაემთავრებინა სადილის დარიგება და ახლა მე მელოდებოდა, რომ ქალაქში წავეყვანე. "დაფეთებულმა" დარეკა, რედაქტორს როგორც იქნა დავუკავშირდი და შევუთანხმდი, რომ მთელ ბატალიონზე დაინეროს სტატია, ამიტომ შტაბში გელოდები, მოვილაპარაკოთ, როგორ და ვისზე დავწეროთო. დღეს უკვე გვიანია და ხვალ გეახლები-მეთქი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ თარაში დანაპირებს ისევ გადათქვამდა - ისიც კარგი ჯიუტი ვინმე იყო.

მანქანაში ჩავსხედით თუ არა, პოზიციების დაბომბვა დაიწყო. მანქანა მივატოვეთ და ორ საათზე მეტი თავშესაფარში ვისხედით. მძღოლი წუხდა, მანქანას არ მოარტყანო. მეც მომეშხამა ხასიათი, თუ მანქანა ააფეთქეს, გამოდის, რომ ჩემი ბრალი იქნება, მე რომ არ გავჩხერიდი, მძღოლი დიდი ხნის წასული იქნებოდა-მეთქი, ვფიქრობდი. დაბომბვა დამთავრებული არ იყო, რომ თარაშმა დარეკა წინა ხაზის შტაბში, ხვალ დილისთვის მასალა მზად უნდა იყოსო. ჯერ მამაშვილებზე დაწერილ სტატიას გამოვაქვეყნებ, მომავალ კვირას კი მთელ ბატალიონზე დაწერილსო. ვიცოდი, რომ ასე გადაწყვეტდი-მეთქი. მაშინვე იყოსა, რომ ნასვამი ვიყავი. თავს გაუფრთხილდიო, მითხრა.

პოზიციებიდან დაბრუნების შემდეგ გიგლასთან მივედი. ორივეს დალევა გვინდოდა, მაგრამ არც დასალევი გვქონდა და არც ფული.

- ნინელისთან მივიდეთ, - შევთავაზე მე. - ვეტყვით, აქეთკენ ვიყავით რაღაც საქმეზე და ვიფიქრეთ გავიაროთ, გავიგოთ დედა როგორა ყავსო. ვარიანტი არ არის ნინელიმ დასალევი არ გამოგვიტანოს.

- უშნოდ ხარ ატროვებული! - მითხრა გიგლამ. - მარტო მისასვლელად გამბედაობა არ გყოფნის. სანამ ჩემთან მოხვიდოდი, მანამ გქონდა ნინელისთან ჩემი წაყვანა გადაწყვეტილი. ასე არ არის?

- თარაშის ცოლზე ვითარეშე! - მისივე კალამბურით მივუგე მე.

- თარაშის ცოლი რა შუაშია?

- უნიჭო რომ გიწოდა იმიტომ ვაგინებ. მკრეხელობაა შენისთანა დაკვირვებულ კაცს უნიჭო უწოდო.

- ჩათლახი ხარ! - თქვა გიგლამ. - საყვარელი რომ დაგვხვდეს?

- საყვარელი სახლში არ დაუდის, - ვუპასუხე მე. - ჟურნალისტური გამოძიება ჩავატარე და დავადგინე...

- შენ შენ ჭიას ახარებ, ეს გასაგებია, მაგრამ მე რას ვშვრები? - თქვა გიგლამ. - ოცდათორმეტი წლის კაცი ვარ და ჩემზე ათი წლით უმცროს ღლაპს ვუყადრებ თავს!

გზაში გამახსენდა, რომ შეიძლებოდა ნინელის დედას ვეცნე. გიგლას ვუთხარი, სახლში არ შევიდეთ, უბრალოდ მოვიკითხოთ და მერე ჩემთან წავიდეთ, დასალევს ავაგდებ-მეთქი.

ნინელის დედა იწვა. ნინელიმ შინ შეგვიპატიჟა, გიგლამ ჩემს ჯინაზე შეპატიჟება მიიღო. ავადმყოფს ქუჩაში გამავალი შუშაბანდიანი ოთახიდან შევხედეთ. იწვა თავისთვის, ჭერს მიშტერებოდა საოცრად დამშვიდებული სახით. ნინელი დაიბნა, სახეზე წამოწითლდა კიდეც. არ მეგონა თუკი წითლდებოდა საერთოდ. დამამშვიდებელი დავალევინე და იმიტომ არის ასე გათიშულივითო, გვითხრა. მახსოვს გავიფიქრე, მშვენიერი მოთხრობა გამოვა ამ ყველაფრიდან დაახლოებით ჰემინგუეის სტილში-მეთქი: როგორ წევს სკლეროზიანი ქალი და ლამის უმეტყველო მზერით ჭერს მისჩერებია, ოდნავ გაოგნებული, რადგან ოცი წლის წინათ სახლიდან გაგდებული ქმარი გაახსენდა და აღმოაჩინა, რომ მონატრებია და იქნებ ყვარებია (ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო, რა თქმა უნდა), მეორე ოთახში კიდევ ორი სტუმარი ზის, ერთი იმაზე წუხს, დედაჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოკვდეს ან მკურნალობა დასჭირდეს, ფული საიდან მოვიტანო, როცა ცოლისთვისაც ვერ მიმკურნალია, ბიჭი რომ გავაჩენინოო; მეორეს კიდევ ფეხებზე ჰკიდია პირველის პრობლემაცა და მასპინძელი ქალისაც, ცდილობს ამ უკანასკნელს არ შეხედოს, რადგან ეპილეფსიურ შეტევასავით ძალუმად წამოიუვლის მისი კოცნის სურვილი. მასპინძელი ქალი კიდევ ფიქრობს, ჩემთან მოფლირტავე, ჩემზე უმცროს ბიჭს მასზე უფროსი მამაკაცი გამოყოლია და ამის გამო უხერხულობას არ გრძნობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ უფროსსაც, უმცროსის არ იყოს, ადვილად მისაწვდომ ქალად მივაჩნივარო, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და ლამისაა ატირდეს. სტუმრებიდან უფროსმა იცის, რომ უმცროსი ხვდება, სტუმრად გაყოლას იმიტომ დასთანხმდა, რომ არც თვითონ იტყოდა მასპინძელ ქალზე უარს და პირიქით - უმცროსმა იცის, რომ უფროსი ხვდება, რომ უმცროსმა ეს იცის.

ჩამოლამდა. ნინელიმ ლამფა აანთო და მე მას მორიდებულად გავუღიმე.

- კონიაკი მაქვს, ძვირფასი სტუმრებისთვის გადანახული, - თქვა მან. - ყავა და კონიაკი.

- არავითარ შემთხვევაში... ავადმყოფს არ შეეაწუხებთ! - ვთქვი მე.

ნინელიმ ყავა და კონიაკი მაინც მოგვართვა. მე იმაზე ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა ისეთი, მდგომარეობა გამომესწორებინა და ნინელის ეფიქრა, რომ არც ისეთი უტიფარი ვარ და არც ლაწირაკი. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ არაფერი მეთქვა, უბრალოდ ჩუმად უნდა ვყოფილიყავი.

ნინელიმ ორი სირჩა კონიაკი დალია. მწარე არყის შემდეგ კონიაკი ძალიან მეამა და გამათამამა კიდეც. თითქოს სითბო ჩამეღვარა მთელს სხეულში და ეს სითბო ნინელის სხეულისაც იყო. ისიც კი გავიფიქრე, ჩემს მოთხრობაში ნინელის სამს თუ არა ორ სირჩა კონიაკს მაინც დავალევინებდი-მეთქი.

- ჩემი მოხუცი ამ ბოლო დროს რაღაც ვერ არის! - ვთქვი მე. ჩავთვალე რომ მამაზე წუხილით ნინელის ეჭვებს გავუქარწყლებდი. - ცუდი წინათგრძნობა მაქვსო, აუჩემებია. წუხელ კიდევ ჭიშკართან იჯდა და მელოდა, თითქოს გასათხოვარი გოგო ვიყო.

- ნერვებია, - თქვა გიგლამ, - ვიღაც ამბობდა, ამდენი აფეთქებებისაგან მშვიდობიან მოსახლეობასაც რომელიღაც ხარისხის კონტუზია ემართებაო.

- კარგი ქენი, ბავშვი რომ გახიზნე, - ისე ვუთხარი, თითქოს წვრილშვილიანი ვყოფილიყავი და ბავშვებზე ზრუნვა ჩემთვის ძალიან ნაცნობი გრძნობა იყო.

- დედაჩემსაც ვერ აქვს ნერვები წესრიგში... სკლეროზიც აწუხებს. ამ ბარაკს რომ აშენებდნენ, ერთ მუშას თავი მოუკლავს. უბედური საცხოვრებელი იქნებაო, ამბობდა თურმე ხალხი. ჩვენთვის მართლა უბედური გამოდგა, დედაჩემს და მამაჩემს ერთად ცხოვრება არ გამოუვიდათ, - თქვა ნინელიმ (მგონი თვითონაც უკვირდა თავისი გულახდილობის). - რაც ეს დაბომბვები მოხშირდა, დედაც მთლად გასავათდა... ჰალუცინაციებიც დაეწყო, ორჯერ მომინახულა აქ დაღუპულმა მუშამო, ამტკიცებს... შეიძლება ქურდი იყო, ან მოროდიორი. არ ვიცი, რა ვქნა, მეშინია, ერთი ოქროს ბეჭდის გულისთვის ყელი არ გამოჭრან. ნიშნობის ბეჭედი ვერაფრით წავაძრე თითიდან, სხვა ყველაფერი ავიწყდება, ბეჭედს კი მაშინვე მოისაკლისებს...

თუ ქმარი გაგდებული ჰყავს, ნიშნობის ბეჭედი რა ჭირად უნდა-მეთქი, გავიფიქრე მე და კიდევ ერთი მოთხრობის სიუჟეტი შემოძვრა თავში: სკლეროზიან ქალს არ ახსოვს, რომ ქმარი სახლიდან გაგდებული ჰყავს, მკვდარი ჰგონია და ცოცხლად დასტირის. კარგი მოთხრობა გამოვიდოდა.

- ამას წინათ მეზობლების საუბრისთვის მოუკრავს ყური, ბომბი რომ დაეცეს აქაურობას, ორმოცი წლის გამომშრალი ფიცრები ბენზინგადასხმულივით თვალისდახამხამებაში დაიწვება, სახლებიდან გამოსვლას ვერ მოვასწრებთ, ცოცხლად გამოვიბუგებითო და პანიკაშია, - შემოგვჩივლა ნინელიმ და კიდევ ერთი მოთხრობის სიუჟეტმა შემომიღუტუნა, მაგრამ ფიქრი დამეზარა.

- ნერვებია, - ვთქვი მე. - პოლტერგეისტების არ მჯერა, თქვენ?

აღმოჩნდა, რომ გიგლას მიცვლებულთა სულების არსებობის სჯეროდა, ნინელის არც ისე. მომეჩვენა, რომ ნინელი ჩვენდამი ნდობით განეწყო. შუშაბანდიან ოთახში ვისხედით. მიცვალებულებზე საუბარს კარგა ხანი მოვუნდით. მე მესამე სირჩის შემდეგ დალევისაგან თავი შევიკავე, გიგლა მარტო სვამდა.

გამომშვიდობებისას ნინელი დამშვიდებული მეჩვენა. კონიაკისაგან სახეზე პატარა გოგოსავით წამოწითლებულიყო.

- მეშინია დედაჩემი მოჩვენებების შიშმა არ მოკლას... აი, იმ დაღუპული მუშის, წელან რომ გეუბნებოდით! - გვითხრა ნინელიმ და იმის გაფიქრებაზე, ნინელის დედამ ხმაზე არ მიცნოს და

შიშისაგან მართლა არ მოკვდეს-მეთქი, ტანში გამცრა.

თარაშმა მომთხოვა დღევანდელი მასალა დილისთვის მზად მქონდეს, მაგრამ ჯვინაზე არ მოვამზადებ-მეთქი, ვთქვი მე და მივხვდი, რომ ბავშვურად გამომივიდა. შენი ხნის რომ ვიყო, თანაც უცოლო და აქედან გამომდინარე ყოველგვარი პრობლემებისაგან თავისუფალი, მეც ასე მოვიქცეოდი, გაიხუმრა გიგლამ. დაბომბვა დაიწყო. მოწინააღმდეგეს ამ ბოლო დროს რატომღაც ყნოსვა დაეკარგა, უსისტემოდ იბომბებიანო, გაიხუმრა ისევ გიგლამ და წამოვედით.

გიგლამ სახლში წასვლა დააპირა, მაგრამ არ გავუშვი - შინ წავიდეთ, ოთარიც გაერთობა და გულს გადააყოლებს-მეთქი და ისიც დამთანხმდა. გარდასულ ვიზიტზე სიტყვა არ დაგვიძრავს. გუნება მომეშხამა. ნინელის დედა თუ გარდაიცვალა, ჩემი ბრალი იქნება-მეთქი, ვფიქრობდი. მამაჩემის არ იყოს, მეც არ მასვენებდა ცუდი წინათგრძნობა. წარმოვიდგინე, რომ ნინელის დედა მოკვდა და ისევ გამცრა ტანში - ცუდი რამ არის დამძიმებული სინდისით ცხოვრება, იმაზე უარესი, ვიდრე უბიჭო-მემკვიდრეოდ-მეთქი, გავიფილოსოფოსე გუნებაში. რას ვიფიქრებდი, რომ ის ქალი მოჩვენებად აღმიქვამდა.

გიგლა თარაშზე ალაპარაკდა. ომი რომ არ დაწყებულიყო, სხვა, უფრო მაღალანაზღაურებიან სამსახურს ვიშოვიდიო.

შორიდანვე შევნიშნე, რომ მამა ისევ ჭიშკართან იჯდა, თავი ჩაექინდრა. ხომ არ ჩაეძინა-მეთქი, გავიფიქრე.

- ერთი ძაღლი გვყავდა. ოთარის სახლში დაბრუნებამდე ნახევარი საათით ადრე ჭიშკარს მიადგებოდა და მე და დედაჩემი ვხვდებოდით, რომ მამა მოდიოდა, - ვუთხარი გიგლას. ოთარის თავი არ აუწევია, დავუძახე, მაგრამ ისევ არ განძრეულა. სიბნელეში გიგლა მამაჩემს ვერ ხედავდა.

- ცუდადაა საქმე. ეტყობა დღეს ბევრი დალია! - ვთქვი მე. ამასობაში გიგლამაც შეამჩნია მამა და ბატონო ოთარ, სტუმრებს თუ იღებთო, დაუძახა. მამა ისევ არ განძრეულა. ხელი შევახე თუ არა, ჩემკენ გადმოქანდა - მკვდარი იყო. მხოლოდ ერთი ჭურვი ჩამოაგდეს ჩვენს ქუჩაზე და იმან მოკლა. მეზობლებმა თქვეს "პრისტრელკის" ჭურვი იქნებოდაო. ნაღმმტყორცნს ახალ ადგილზე რომ დადგამენ, ორ-სამ გასამიზნ გასროლას ახდენენ, რომ ნაღმმტყორცნმა გრუნტი გასროლის უკუქცევით მაქსიმალურად ჩატკეპნოს და საბრძოლო გასროლებისას არ შეინძრეს. მეორე დილით ნაღმმტყორცნის ჭურვის აფეთქების ადგილიც ვნახე, საავადმყოფოს ეზოს შემოსაღობად მოტანილ და ერთ ადგილას დაწყობილ ბეტონის ბოძებს მოხვედროდა. მეზობლებს იმაზე სწყდებოდათ გული, რომ ოთარი ჭურვის ნამსხვრევებმა კი არა, ბეტონის ბოძებიდან ატკეჩილმა ქვის ნამტვრევებმა იმსხვერპლა - სახის მარჯვენა ნაწილი ნემსივით წვრილი ნამსხვრევებით ჰქონდა მთლიანად მოფენილი, მაგრამ გადარჩებოდა, საფეთქელში რომ არ მოხვედოდა ქვის ნატეხი.

დილით გიგლამ ერთი ჭიქა არაყი დალია სითამამისთვის, ვერვიშას პინცეტი მოატანინა. ცხედარს მარჯვენა ბეჭსა და თავქვეშ მუთაქა ამოუდეს, რომ სახე გვერდზე გადახროდა. გიგლა სახის ნამსხვრევებისაგან გაწმენდას შეუდგა. არ მეგონა თუ ასეთი მაგარი ნერვები ექნებოდა.

- ყურში მოხვედრია, ბარაბანი აქვს ჩახეული... საფეთქელში რომ არ მოხვედროდა, მე მგონი ამისგან მაინც ვერ გადარჩებოდ! - საქმიანი ტონით უთხრა გიგლამ ვერვიშას თავისი ცოლივით მსუქანა, მაგრამ მისგან განსხვავებით მეტად გულჩვილ ქმარს. - შენ როგორ გგონია?

- არ ვიცი, - მორიდებულად უპასუხა იმან და გიგლაც მიხვდა, რომ მე ოთახში ვიყავი.

- ნუ უყურებ! - მითხრა გიგლამ. - წადი და ახალი ტანსაცმელი მოუძებნე. ბარემ ტანზეც გამოვუცვლით.

- ნუ გეშინია, გული არ წამივა! - ვთქვი მე, მაგრამ მაინც გავედი. რაღაცნაირად ძალიან უმწეოდ გამოიყურებოდა მამა, დედაჩემის შეკერილი მუთაქაშებჯენილი და ამიტომაც გავედი. ერთხელ, ბავშვობისას ოთარმა სტომატოლოგთან წამიყვანა და თვითონაც ამოიღო ერთი უკანა კბილი. სანამ კბილს ამოულებდნენ, მე ოთახში შევიჭყიტე. ოთარს სახეზე ფერი არ ედო, მაშინვე კარი მივხურე. მანამდე შეშინებული მამა არ მენახა, კარგა ხანი თავზარდაცემული დავდიოდი. მაშინაც, როცა გიგლა დასტრიალებდა თავს, სტომატოლოგის სავარძელში მჯდარი მამა მომაგონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲐᲖᲘᲚ ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠᲘ

ᲑᲘᲭᲘ ᲓᲐ ᲝᲛᲘ

ᲑᲘᲭᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲚᲝᲒᲘᲜᲨᲘ ᲘᲬᲕᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲔᲡᲗᲣᲛᲠᲐ, ᲡᲐᲮᲚᲔᲚᲐᲓ ᲐᲡᲚᲐᲜᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲠᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲟᲘᲗᲣᲠᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲕᲐᲚᲘᲙᲝ ᲔᲠᲥᲕᲐ.

ᲐᲡᲚᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲘᲙᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲜᲔᲜ. ᲑᲘᲭᲘ ᲓᲔᲓ-ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲐᲨᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲫᲘᲐ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲕᲔᲔᲑᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲡᲔᲗᲡᲐᲕᲔ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲮ ᲚᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲥ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲒᲠᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲐᲗ-ᲬᲔᲡᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲜᲔᲜ. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲣᲡᲔᲑᲘ, ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲕ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲕᲐᲛᲓᲜᲔᲜ ᲦᲕᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲕᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ.

ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲣᲠᲐᲑᲐᲡ ᲮᲐᲠᲨᲐᲕᲓᲐ, ᲢᲝᲠᲢᲡ ᲐᲪᲮᲝᲑᲓᲐ ᲐᲜ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚ ᲙᲘᲠᲫᲡ ᲐᲛᲨᲐᲓᲔᲑᲓᲐ, ᲐᲣᲪᲘᲚᲘᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲛᲡᲐᲪᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲬᲔᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ. ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲙᲘ (ᲘᲡᲔᲗᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ), ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲠᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲧᲠᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲚᲐᲐᲗᲝᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲓᲐ ᲐᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲝᲛᲘᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲮᲝᲪᲐᲕᲔᲜ. ᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲡ ᲑᲘᲭᲘ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲛᲘᲛᲮᲕᲓᲐᲠᲘᲧᲝ.

ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲓᲐᲜ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲒᲠᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲛᲔᲑᲘ.

- ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲨᲔᲜᲪ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲘ, ᲮᲝᲛ ᲐᲡᲐᲐ? - ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲕᲐᲚᲘᲙᲝᲡ. ᲕᲐᲚᲘᲙᲝ ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲢᲐᲥᲡᲘᲡᲢᲘ ᲘᲧᲝ.

- ᲓᲘᲐᲮ, - ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲘᲗᲐᲜᲮᲛᲐ ᲕᲐᲚᲘᲙᲝ, - ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲒᲘᲐᲛᲑᲝᲑᲗ, ᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲒᲠᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲭᲔᲠᲘᲗ, ᲝᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲘ ᲢᲧᲕᲔᲓ ᲩᲐᲕᲘᲒᲓᲔ. ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲬᲐᲕᲐᲠᲗᲕᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲖᲘᲡᲙᲔᲜ ᲬᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲖᲐᲙᲘ ᲛᲐᲮᲚᲓᲐ. ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲕᲐᲢᲧᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲘᲬᲧᲘᲜᲔᲡ. ᲑᲘᲭᲔᲑᲝ, ᲜᲣᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲒᲔᲨᲘᲜᲘᲐᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ. ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲥᲛᲘᲡ ᲧᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲮᲔᲚᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ. �გᲝᲜᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲐᲡᲬᲐᲠᲘ, ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘ ᲙᲘ ᲛᲮᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲙᲘᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲗᲐᲕᲖᲔᲮᲔᲚᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲘᲧᲝ, ᲩᲔᲛᲜᲐᲘᲠᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲮᲔᲚᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ ᲛᲔᲡᲠᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲪᲥᲐ. ᲮᲔᲚᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ ᲛᲝᲛᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲮᲚᲢᲐ. ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ, ᲐᲮᲚᲝ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲐᲠ ᲤᲘᲗᲔᲓᲔᲑᲓᲐ. ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲐᲛᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲨᲝᲠᲡ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲙᲐᲠᲘ, ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲡ ᲯᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲕᲣᲛᲐᲡᲐᲠᲘᲜᲔᲚᲓᲘ... ᲛᲐᲗᲙᲘᲜ ᲒᲐᲕᲘᲥᲪᲘ, ᲗᲐᲜ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲐ ᲘᲦᲑᲐᲚᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲩᲘᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ.

ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ (ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲧᲐᲠᲜᲔᲜ) ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲑᲔᲠᲘᲙᲘᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ. ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲐᲘ, ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲑᲝᲮᲩᲘᲔᲑᲘ ᲔᲙᲘᲓᲐᲗ. ᲛᲙᲓᲐᲠ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲘᲯᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲣᲧᲕᲜᲔᲜ. ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲛᲘᲖᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲠᲝᲠᲓᲘᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲕᲘᲦᲔᲗ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲠᲝᲓᲘᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲑᲝᲮᲩᲔᲑᲘ ᲓᲐᲧᲐᲠᲔᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲓᲐᲕᲣᲧᲕᲘᲠᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲪᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲐᲜ.

- ᲓᲐᲧᲐᲠᲔᲗ ᲑᲝᲮᲩᲔᲑᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲒᲔᲡᲕᲠᲘᲗ! - ᲨᲔᲕᲫᲐᲮᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ. ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ. ᲑᲝᲮᲩᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲧᲝ.

- ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲔᲑᲘ, - ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲐ. ᲒᲐᲕᲪᲝᲤᲓᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲠᲐᲕᲓᲘᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲘ ᲮᲐᲠᲐᲮᲣᲠᲐᲡ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲕᲪᲐᲪᲔ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲡᲠᲝᲚᲔ. ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲕᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔ, ᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲙᲘ ᲬᲐᲘᲥᲪᲐ. ᲐᲮᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲙᲐᲠᲔᲑᲘᲕᲐᲠ. ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲕᲓᲘᲛᲓᲘ. ᲛᲝᲙᲚᲔᲓ, ᲒᲐᲒᲠᲐ ᲒᲐᲕᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲗ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუთმეტიოდე დღე გავიდა. ეს ამბავი სულ დამავიწყდა. სასტუმროში ვცხოვრობდი. ყველა ჩვენი მებრძოლი სასტუმროში ბინადრობდა. იმ დღეს ვისვენებდით. უეცრად ჩემთან მეზობელი შემოვარდა და მითხრა:

- შეიარაღებული ბიჭები მოვიდნენ შენს წასაყვანად. ავტომატები აქვთ. საშიშები ჩანან. დახმარება ხომ არ გჭირდება?

არავითარი დახმარება არ მჭირდება-მეთქი, ვუპასუხე. გამახსენდა ის ყმაწვილი, რომელიც ფეხში დავჭერი. რა უნდა მექნა? აი, ეს ქურთუკი მეცვა, ახლა რომ მაცვია. ორივე ჯიბეში ხელყუმბარები ჩავილაგე და გავედი. ხელები ჯიბეებში მეწყო. ყველაფრისთვის მზად ვიყავი.

სასტუმროდან ოციოდ მეტრში ავტომანქანა იდგა, სასტუმროსთან კი ოთხი კაცი მელოდებოდა. ავტომატიანები. მათთან ისე მივედი, რომ ჯიბეებიდან ხელები არ ამომიღია.

- რა გინდათ? - ჯიქურ ვკითხე.

- შენ ესროლე ჩვენს ძმას? აი, იქ ზის, მანქანაში.

დიახაც, ვესროლე-მეთქი, ვუთხარი და ყველაფერი ვუამბე. მოვუყევი, როგორ შეეცადნენ გვარდიელები ჩვენს აფეთქებას და როგორ გამოიტანა მათმა ძმამ, ბერიკაცთან ერთად, ბოხჩები სახლიდან. ვუყვებოდი და თან ყურადღებით ვაკვირდებოდი. ვისმე რომ ავტომატისთვის წაევლო ხელი, ყველას ავაფეთქებდი, საკუთარ თავთან ერთად.

ისინი ცოტათი დაიბნენ. ვერასგზით ვერ გაეგოთ, რატომ არ მეშინოდა მათი. ვიდექი, ხელები ჯიბეებში მეწყო, მათ კი ავტომატები ეკიდათ მხრებზე. და მაშინ ერთ-ერთმა მათგანმა, ყველაზე უფროსმა, მითხრა:

- მანქანასთან მივიდეთ. შეგიძლია თუ არა, ჩვენი ძმის თანდასწრებით გაიმეორო ყველაფერი, რაც აქ თქვი?

- რასაკვირველია, მოვდივარ.

მანქანისკენ გავემართეთ. ხელები კვლავ ჯიბეებში მეწყო. ყმაწვილი, რომელიც ფეხში დავჭერი, მანქანაში იჯდა. ვიცანი. ყველაფერი თავიდან მოვყევი, ის კი ბრაზისა და სირცხვილისგან იშმუშნებოდა.

- მართალს ამბობს? - იკითხა იმან, ვინც მანქანასთან მიმიყვანა.

- კი, - ჩაილულღლუღა ყმაწვილმა, შემდეგ კი შეუკურთხა თავის ნათესავებს იმის გამო, რომ აქ მოიყვანეს.

- ჯიბეში რა გაქვს? - მკითხა "უფროსმა ძმამ". ეტყობა, რაღაცას მიხვდა.

- ხელყუმბარები, - მივუგე მე, - ფული არ გეგონოთ, მებრძოლი ვარ და არა მძარცველი.

- კაცი ყოფილხარ, - შემაქო მან, - წადი, შენთან აღარაფერი გვესაქმება.

- მეც არაფერი მესაქმება თქვენთან, - მოვუჭერი მე და ორივენი უკან დავბრუნდით, მაგრამ ხელები მაინც ჯიბეებში მეწყო.

ასე დავცილდით. ომი იყო. ორივე მხარეს საშინელება ხდებოდა. მაგრამ დედას გეფიცები, აღარასოდეს მისროლია უიარაღო კაცისთვის. ის ორი არ ითვლება. მაშინ გაცოფებული ვიყავი. მათ ხომ ცხვირწინ ხელყუმბარა ამიფეთქეს.

- რატომ შეიარაღდი ხელყუმბარებით, ავტომატი ხომ გქონდა? - იკითხა ბიჭის მამამ.

- ავტომატით რომ გამოვსულიყავი, ერთმანეთს დავხოცავდი, - აუხსნა ვალიკომ, - ასე კი დაიბნენ. ვერ მიხვდნენ, რატომ არ მეშინოდა მათი. სწორად გავთვალე. მზად ვიყავი, თვითონაც ავფეთქებულიყავი მათთან ერთად... ამიტომ სიმტკიცე და სიმშვიდე შევინარჩუნე. შიში რომ დამტყობოდა, რომელიმე მათგანი ავტომატს წაავლებდა ხელს.

- ნუ ტრაბახობ, - შეაწყვეტინა მამამისმა, - ბედნიერმა შემთხვევამ გიხსნა გვარდიელის ყუმბარისგან და იმ დაჭრილის ნათესავებისგან. ალბათობის თეორიის მიხედვით, თუ ზედიზედ ორჯერ გადარჩი, მესამედ თავს ვეღარ იხსნი. გაითვალისწინე. იცი თუ არა, რომ გიორგი ექიმი მოკლეს?

როგორც ჩანს, ასლანმა ბიჭის მამას მიმართა. ბიჭს გული შეეკუმშა. ძალზე კარგად ახსოვდა გიორგი ექიმი. ის ძია ასლანის მეზობელი იყო. სამსახურიდან დაბრუნებული, ეზოში გამოდიოდა ხოლმე და ნარდს ეთამაშებოდა მეზობლებს. მის ირგვლივ ყოველთვის უამრავი ხალხი გროვდებოდა. ძია გიორგი ხმამაღლა ხუმრობდა და ყველას აცინებდა.

ერთხელ მან მეზობლებს მოუთხრო:

- დღეს საავადმყოფოდან ავტობუსით წამოვედი. ავტობუსში ვიღაც ქალმა შეჰყვირა: "ექიმო, გძარცვავენ!" ვიგრძენი, რომ ჩემს გვერდით მდგომი ახალგაზრდა ჯიბეში ხელს მიფათურებდა. ხელზე ხელი მოვუჭირე და ქალს მივაძახე: "ეს ძარცვა კი არა, სამედიცინო გამოკვლევაა". მთელი ავტობუსი ხარხარებდა. ბევრი მიცნობს. ჭაბუკი გაწითლდა. გაჩერებაზე ხელი გავუშვი და ის ავტობუსიდან გადახტა. თუ ქურდს გაწითლების უნარი შერჩა, მისი გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

- რისთვის მოკლეს? - იკითხა ბიჭის მამამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ვინ იცის, - მიუგო ძია ასლანმა, - მაგრამ ის ხმამაღლა ლანძღავდა ნაციონალისტებს - ქართველებსაც და აფხაზებსაც. ყველაფერი მეზობელმა ქალმა მიამბო. მაშინ ომი ჯერ კიდევ გაგრის მისადგომებთან მიმდინარეობდა და ვღელავდი, რადგან არ ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ არა ჩემი ვაჟი.

თურმე, ორმა ავტომატიანმა კაცმა ღამით ჩემი მეზობლის კარზე დააკაკუნა. ქალმა კარი გაიღო.

- გიორგი ექიმი გვჭირდება, - თქვეს მათ, - ის თქვენს სახლში ცხოვრობს. გვიჩვენეთ მისი ბინა.

- რაში გჭირდებათ გიორგი?

- ჩვენი ამხანაგი ავადაა, - თქვა ერთ-ერთმა მათგანმა, - გიორგი ექიმი უნდა მივუყვანოთ.

- ახლახან ქმარი მომიკვდა, - უთხრა ქალმა, - უამრავი წამალი დამრჩა. შეგიძლიათ წაიღოთ. ასე რომ, გიორგის შეწუხება აღარ დაგჭირდებათ.

- თქვენი წამლები არ გამოგვადგება. გიორგი ექიმი გვჭირდება. უნდა დაეხმაროს ჩვენს ამხანაგს, - მომხდურებს მოუთმენლობა და ბრაზი დაეტყოთ.

ქალს ავი წინათგრძნობა დაეუფლა, მაგრამ მაინც ავიდა ორი სართულით მაღლა და უცნობებს ექიმის ბინა უჩვენა. ვერ გაბედა დაემალა ექიმის ადგილსამყოფელი.

შემდეგ ის კიბეზე შეყოვნდა, რათა ენახა, როგორ მოიქცეოდნენ ავტომატებიანი კაცები, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა მკვახედ უბრძანა:

- დაბრუნდით თქვენს ბინაში. აღარ გვჭირდებით.

და ქალი წავიდა. ქალაქში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები. ის კი მარტოხელა ქალი იყო. შეშინდა. ნახევარი საათის შემდეგ მოესმა, როგორ დაქოქეს მანქანა, შემდეგ მოტორის ხმა მიწყდა. ქალმა გადაწყვიტა, რომ ექიმი წაიყვანეს. გიორგიმ ომის დაწყებისთანავე გახიზნა თავისი ოჯახი კრასნოდარში, თვითონ კი, სიდედრთან ერთად, გაგრაში დარჩა.

ქალი კვლავ ავიდა იმ სართულზე, სადაც გიორგი ცხოვრობდა, რათა მისი სიდედრისგან გაეგო, რა მოხდა. დიდხანს აკაკუნა, მაგრამ კარი არავინ გაუღო. იფიქრა, იქნებ, მოხუც ქალს შეეშინდაო და ხმამაღლა დაუძახა: "თამარ! თამარ!" - რომ დედაბერს მისი ხმა ეცნო. პასუხი არავინ გასცა. ქალი მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო. იმ ავტომატებიანმა კაცებმა ექიმიც წაიყვანეს და მისი სიდედრიც. თუ ექიმი ავადმყოფთან მიჰყავდათ, რაში სჭირდებოდათ მისი სიდედრი, რომელსაც მედიცინისა არაფერი გაეგებოდა? ქალი თავის ბინაში დაბრუნდა.

მეორე დღეს მან ყველაფერი მიამბო. რა უნდა მექნა? ამბავს ვერავის ვკითხავდი. თვითონაც ვფორიაქობდი, არ ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ არა ჩემი შვილი.

გავიდა ორი კვირა. გაგრასთან ბრძოლები დასრულდა. ერთხელ, ჩემს სახლთან მდგარმა, თვალი მოვკარი ავტომანქანას, რომელშიც მილიციის ნაცნობი კაპიტანი ივჯდა. როცა დამინახა, მანქანა შეაჩერა და კარი გამოაღო.

- შეგიძლია თუ არა გიორგი ექიმის ამოცნობა? - მკითხა მან.

- რა თქმა უნდა. ის ხომ ჩემი მეზობელი იყო. რა მოუვიდა?

- მგონი, მოკლეს, - მითხრა კაპიტანმა, - გამომყევი და ნახე, გიორგია თუ არა.

ქალაქის განაპირა პარკს მივადექით. იქ, ბექობთან, ექსკავატორი იდგა, ბექობს მიღმა კი ორი გვამი ეგდო. გიორგი ექიმი და მისი სიდედრი. სახეზე უკვე მატლები დასეოდნენ. ექიმი ვიცანი მისი ძველი, გაცვეთილქუსლიანი ფეხსაცმელებით.

- ეს ექიმი გიორგია, ის კი - მისი სიდედრი, - ვუთხარი კაპიტანს. მეექსკავატორეს უკვე ამოეთხარა ორმო.

- სასაფლაოზე რატომ არ მარხავთ? - ვიკითხე მე.

- იმდენი გვამია, რომ საქმეს ვერ ავუდივართ, - მიპასუხა კაპიტანმა. მან მეექსკავატორეს უბრძანა, გვამები ციცხვით გადაეტანა ორმოში.

- გვამებს არ გადავიტან, - გაჯიუტდა მეექსკავატორე, - ციცხვი აყროლდება.

კაპიტანმა შეაგინა და დაპატიმრებით დაემუქრა, მაგრამ მეექსკავატორე უარზე იდგა. ქალაქში არეულობა იყო. ალბათ კაპიტანმა ვიღაც უცნობი მეექსკავატორე მოიყვანა.

მეექსკავატორესთან მივედი და მთელი ფული, რაც კი გამაჩნდა, ხმის ამოუღებლად ჩავუდე ჯიბეში. დაახლოებით თხუთმეტი ათასი იყო. მას კრინტი არ დაუძრავს, ისე ჩართო მოტორი, ციცხვით ორივე გვამი ორმოში გადაიტანა და მიწა მიაყარა.

სუნთქვაშეგუბებული ბიჭი უსმენდა ამბავს, რომელსაც სამზარეულოში ჰყვებოდნენ. ვერაფრით გაიგო ამ ამაზრზენი სისასტიკის არსი. ცდილობდა წარმოედგინა, რას ფიქრობდა გიორგი ექიმი, როდესაც ის, სიდედრთან ერთად, მანქანაში ჩასვეს და ქალაქის განაპირას წაიყვანეს. როდესაც სახლიდან გამოჰყავდათ სიდედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთან ერთად, ხომ მიხვდებოდა, რომ ავადმყოფთან არ მიდიოდნენ? რატომ არ დაიყვირა? შეიძლება, შეეშინდა, რომ მეზობლები გამოცვივდებოდნენ და მათაც დახოცავდნენ?

ბიჭი უეცრად მიხვდა, რომ ყველა მოზრდილი ადამიანი როდი გამოირჩეოდა გონიერებით. კარგად ახსოვდა გიორგი ექიმის სიცილი. და აი, ახლა ის მოკლეს. იმ ორ კაცს ექიმის ბინა რომ გაეძარცვა, ეს უფრო გასაგებს გახდიდა ამ ამბავს. ბანდიტები. მაგრამ მათ, ძია ასლანის ნაამბობის მიხედვით, არაფერი წაუღიათ და შემდეგ აღარ დაბრუნებულან იმ სახლში.

თავისი ასაკის კვალობაზე, თორმეტი წლის ბიჭი საკმაოდ ნაკითხი იყო. წიგნებიდან იცოდა, რომ, უძველესი დროიდან მოყოლებული, ადამიანი გონებრივად სულ უფრო ვითარდებოდა. პირველყოფილი ადამიანები ბავშვებივით მიამიტნი და მიმნდობნი იყვნენ. მას შემდეგ ადამიანმა სიბრძნე შეიძინა და კიდევ უფრო გაკეთილშობილდა. მაგრამ განა მართლაც ასეა? ბიჭს უკვე ეჭვი ეპარებოდა მოზრდილების სიკეთესა და გონიერებაში.

სტუმრები წავიდნენ, მშობლებმა დაიძინეს, ბიჭი კი განუწყვეტლივ ფიქრობდა. როგორ უნდა ვიცოცხლო, ან რატომ უნდა გავიზარდო, თუ ადამიანები ბოროტები არიან? უაზრობაა. ის ეძებდა ადამიანის სიკეთის დამადასტურებელ საბუთებს, მაგრამ ვერ პოულობდა. ბოლოს, გვიან ღამით, ჩაეძინა.

დილას ბიჭი მამამისს კბილის ექიმთან უნდა წაეყვანა. ბიჭი მოწყენილი იყო და მამამ ივარაუდა, რომ მას ექიმთან მისვლისა ეშინოდა.

- ნუ წუხხარ, გენაცვალე, - უთხრა მამამ ბიჭს - თუ კბილი ამოსაღებია, წინასწარ ტკივილგამაყუჩებელ წამალს გაგიკეთებენ.

- ამაზე სულაც არ ვფიქრობ.

- აბა, რაზე ფიქრობ? - იკითხა კაცმა და სიყვარულით შეხედა შვილს.

- მაინტერესებს, გაკეთილშობილდა თუ არა ადამიანი?

- რას გულისხმობ? - ჩაეძია მამა და მღელვარებით იგრძნო, რომ ბიჭი ყოფიერების სიღრმეებში ჩაძირულიყო და შფოთავდა. თვალებში სევდა ჩაბუდებოდა. კაცს მოუნდა, ჩაეკოცნა ეს თვალები და ხალისი დაებრუნებინა მათთვის, მაგრამ თავი შეიკავა. იცოდა, რომ ბიჭი ვერ იტანდა ალერსს.

- ახლა მსოფლიოში ბევრი კაციჭამიაა? - მოულოდნელად წამოისროლა ბიჭმა. დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა.

- არის ზოგიერთი ტომი აფრიკაში და კიდევ რომელიღაც კუნძულზე, - განუმარტა მამამ, - რატომ მეკითხები?

- წინათ ადამიანთა შორის მეტი კაციჭამია იყო? - თავისას განაგრძობდა ბიჭი.

- რა თქმა უნდა.

- ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ ყველა ადამიანი კაციჭამია იყო? - იკითხა ბიჭმა სერიოზულად.

- მგონი, ასე იყო. მეცნიერებამ ამის შესახებ არაფერი იცის.

ბიჭი კვლავ ღრმად ჩაფიქრდა.

- ნეტავ, ძალიან დიდი ხნის წინ ყველა ადამიანი კაციჭამია ყოფილიყო, - თქვა მან ბოლოს.

- რატომ? - გაუკვირდა კაცს.

- ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა სიკეთე თანდათან მატულობდა. ახლა ხომ არავინ იცის, ასეა თუ არა. აუტანელია სიცოცხლე, როდესაც არ იცი, იმატა თუ არა ადამიანთა სიკეთემ დროთა განმავლობაში.

ღმერთო ჩემო, როგორ გაუძნელდება ცხოვრება, გაიფიქრა მამამ. მან იგრძნო ბიჭის პესიმიზმის მთელი სიღრმე.

- და მაინც, ადამიანთა სიკეთე მატულობს, - მიუგო კაცმა შვილს, - თუმცა, ამის ერთადერთი დადასტურება - კულტურაა. ძველ კულტურას თავისი დიდი მწერლები ჰყავდა, მაგრამ თუ შეადარებ რომელიმე მათგანის თხზულებებს, ვთქვათ, ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებს, მიხვდები, რომ მას უფრო მეტად უყვარდა და ებრალებოდა ადამიანები, ვიდრე - ძველებს. და ასეთი იყო არა მარტო ტოლსტოი. მაშასადამე, ადამიანები გაკეთილშობილდნენ. ლევ ტოლსტოი წაგიკითხავს?

- ჰო, - თქვა ბიჭმა, - "ჰაჯი-მურატი" წავიკითხე.

- მოგეწონა?

- დიახ, - დაეთანხმა ბიჭი, - და ძალიან შემეცოდა ჰაჯი-მურატი. ვერც შამილის სამსახური შეძლო და ვერც - რუსებისა. ამიტომაც მოკლეს, როგორც გიორგი ექიმი.

- საიდან იცი, რომ გიორგი ექიმი მოკლეს? - შეკრთა კაცი.

- გუშინ საწოლი ოთახიდან გავიგონე თქვენი საუბარი.

კაცი შეწუხდა. ის ჩვეულებრივი ინჟინერი იყო, მისი შვილის ზოგიერთ თანაკლასელს კი მდიდარი მშობლები ჰყავდა. ბიჭს შურდა ასეთი ამხანაგებისა.

აი, თუნდაც ის სულელური შემთხვევა "მერსედესთან" დაკავშირებით. აგარაკზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნისას ბიჭმა წაიტრაბახა, თითქოს მამამისს "მერსედესი" ჰყავდა. მაგრამ მას საერთოდ არ ჰყავდა მანქანა. შემდგომ ბიჭის ამხანაგებს, თურმე, თვალი მოუკრავთ ბიჭის მშობლებისთვის, რომლებიც თავიანთი მეგობრების "ჟიგულით" სადღაც მიემგზავრებოდნენ. და ამხანაგებმა დასცინეს ბიჭს. მან კი მოჩვენა, რომ მამამისის მძღოლი ავად გახდა და მშობლები იძულებულნი იყვნენ, მეგობრების "ჟიგულით" გამგზავრებულიყვნენ.

გაცილებით იოლი იყო ბიჭისთვის იმის ახსნა, რომ სიმდიდრე მთავარი რამ არაა ცხოვრებაში, რომ არსებობს სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობები. ახლა კი ბიჭი ფიქრობდა კაცობრიობის ბედ-იღბალთან დაკავშირებულ ყველაზე ტრაგიკულ საკითხზე - არსებობს თუ არა ზნეობრივი სრულყოფა?

მამამ იცოდა, რომ მისი შვილი ჭკვიანი იყო, მაგრამ არ ეგონა, რომ მას ესოდენ რთული პრობლემები ააღელვებდა. რა ბედნიერი იყვნენ ადამიანები მეცხრამეტე საუკუნეში, მოულოდნელად შეშურდა კაცს. როგორ გულუბრყვილოდ სჯეროდათ პროგრესისა. დარვინმა დაამტკიცა, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, ესე იგი, კაცობრიობის ბედნიერი მომავალი უზრუნველყოფილია. მაგრამ ადამიანი კიდეც რომ წარმოშობილიყო მაიმუნისგან (რაც საეჭვოა), მაშინ მაიმუნებს ჰქონიათ განვითარების უნარი და არა ადამიანებს. რა თქმა უნდა, ფიქრობდა კაცი, ზნეობრივი პროგრესი, მიუხედავად იმისა, რომ ის ზოგჯერ მხეცური სისასტიკის სახით გვევლინება, არსებობს. მაგრამ ეს ათასწლეულების განმავლობაში გრძელდება. ამას უნდა შეეგუო და გაიაზრო საკუთარი ცხოვრება, როგორც ათასწლეულთა ჯაჭვის მხოლოდ ერთი რგოლი. მაგრამ როგორ უნდა განუმარტო ეს ბიჭს?

როდესაც ისინი სადარბაზოდან გამოვიდნენ, კაცმა დაინახა მათი სახლის პირდაპირ, შესახვევში მდგარი ბოგანო დედაბერი, რომელიც მაწანწალა ძაღლებს აპურებდა. ის აქ ხშირად იდგა, თუმცა, ალბათ, სხვაგან ცხოვრობდა. ყავარჯნებიანი, ღატაკი, კოჭლი დედაბერი მაწანწალა ძაღლებს აპურებდა. ის ჩანთიდან იღებდა ქათმის ძვლებს, პურის ნატეხებს, ძეხვის ნაკვნეტებს და ძაღლებს უყრიდა.

კაცს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი ეს სანაგვე ყუთებიდან იყო ამოღებული. დედაბერი დინჯად უყრიდა ძაღლებს ერთნაირ ულუფებს, რათა არც ერთი მათგანი არ დაეჩაგრა. და ძაღლები, კუდის ქიცინით, მოთმინებით ელოდნენ თავთავიანთ ჯერს. არც ერთ მათგანს არ წაურთმევია ლუკმა სხვისთვის. დედაბერმა, რომელიც სამართლიანად უნაწილებდა ძაღლებს საკვებს, თითქოს ძაღლებიც მიაჩვია სამართლიანობას.

- აი, შეხედე იმ დედაბერს, - თქვა კაცმა, - ის დიდებული ადამიანია.

- რატომ, რატომ? - სწრაფად ჰკითხა შვილმა, - იმიტომ, რომ მაწანწალა ძაღლებს აჭმევს?

- ჰო, - დაუდასტურა მამამ, - შეხედე, ის ინვალიდია. ალბათ, მარტოხელა და ღატაკია, მაგრამ თავის მოვალეობად მიიჩნევს ამ გაუბედურებული ძაღლების დაპურებას. სიკეთე უშრეტი ძალაა. ის ბოროტებაზე ძლიერია.

ახლა წარმოიდგინე ბოროტი ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში საწამლავს აძლევდა მაწანწალა ძაღლებს. დავუშვათ, ის თვითონაც გაღატაკდა, ინვალიდად იქცა, სანაგვე ყუთებში ეძებს საჭმლის ნარჩენებს და განაგრძობს მაწანწალა ძაღლების ხოცვას. ეს რომ მომხდარიყო, ვიტყოდით, სიკეთე და ბოროტება სადარი ძალებიაო. მაგრამ განა შეგიძლია, წარმოიდგინო, რომ გაღატაკებულმა ბოროტმა ინვალიდმა სანაგვე ყუთებიდან საჭმლის ნარჩენები ამოიღოს ძაღლების მოსაწამლავად?

ბიჭი დაფიქრდა.

- არა, - მიუგო მან ცოტა ხნის შემდეგ, - ის ძაღლებისთვის ვერ მოიცლის, მხოლოდ თავის თავზე იზრუნებს.

- ესე იგი? - იკითხა მამამისმა ისეთი გზნებით, რომ თვითონაც გაოცდა.

- ესე იგი, სიკეთე უფრო ძლიერია, - თქვა ბიჭმა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი სახიჩარ დედაბერსა და ძაღლებს, რომლებიც სიხარულით, კუდის ქიცინით შეჰყურებდნენ ქალს.

- დიახ, - წამოიძახა მადლიერმა მამამ. ბიჭმა მყისვე იგრძნო მამის განწყობილება.

- მაშინ საღეჭი რეზინი მიყიდე, - ითხოვა ბიჭმა, თითქოს ეს იყო ჯილდო, რომელიც ამ სამყაროსთან შერიგების ფასად უნდა მიეღო.

- ასე იყოს, - უპასუხა მამამ.

თარგმნა
მაჰარ ლოლაძემ

დათო ქარდავა

ქვრივი ქალის მუცელი

თქვა პასუხად ესთერ დედოფალმა: თუ მადლი მიპოვნია შენს თვალში, მეფევ, და თუ ინებებს მეფე, მომეცეს ჩემი სიცოცხლე ჩემს სათხოვარში და ჩემი ერი ჩემს სახვეწარში. რადგან გაყიდული ვართ მე და ჩემი ერი დასაღუპად, ამოსაწყვეტად და მოსასპობად.

ძველი აღთქმა.
ესთერი. თავი 7



სხვების დაუხმარებლად მოძებნა მშობლების სახლი - დიდი, ჭერმაღალი და... ცარიელი. კრამიტით გადახურული, წითელი აგურით აშენებული და მერეღა გახუნებული, გზის პირას იდგა. გასაღები არ ჰქონდა, არც მეზობლებში მოუკითხავს, თუმცა კარის გაღებაზე ბევრი არ უწვალია. წლების განმავლობაში შენობის შიგნით მზის სინათლესთან ერთად პირველად შეიხედა ადამიანმა. ყველა ოთახი, სხვენი და საღებავაცლილი ფანჯრების კუთხეებში გაბმული ობობის ქსელიც კი ცარიელი იყო. იატაკიც სიცარიელის ციურ მანანას - ხორბლისფერ მტვერს დაეფარა...

გარეთ გამოვიდა, სადაც მეტი ჰაერი და ნაკლები სიცარიელე იყო. დაინახა, რომ ფოლადის მავთულით შემოკავებულ გარემოს არათანაბრად გაზრდილი ბალახი მოდებოდა. მაშინ კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ მერეღა თქვა ბევრი თვე რომ გავიდა, უსინდისო დალაქის გაკრეჭილს ჰგავდაო.

დავეთანხმე. კარგად მახსოვდა, მისი მშობლების მოუვლელ ეზოს ალაგ-ალაგ ჭაღარასავით რომ ეყარა ალუბლის ყვავილები.

წინ მიდიოდა და ხმას არ იღებდა. სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, მის გულში კარგი არაფერი ხდებოდა.

- ძაან დაიგვიანე, - ვუთხარი მშობლების საფლავთან ჩამომჯდარი რომ ვნახე.

მდინარის გაღმა წყალდიდობის შემდეგ კენტად დარჩენილი ვერხვი შრიალებდა. ქარის ყოველ დაბერვაზე თვალისმომჭრელად უელავდა თეთრი სხეული.

გამარჯვებულებს უჭირთ დაბრუნება და ჩემი რატომ გიკვირსო, თავი იმართლა.

* * *

სექტემბრამდე ორი თუ სამი თვე იყო დარჩენილი. ჯერ არ იცოდნენ, ომი დასასრულს რომ უახლოვდებოდა. ხელი მოეწერა რაღაც ხელშეკრულებას და მოულოდნელად ჩამოწოლილი მშვიდობის შეტკბობას ცდილობდნენ, თუმცა მცირე პოზიციურ ბრძოლებს მაინც ჰქონდა ადგილი. აუცილებელი სამი-ოთხი დღე წინა ხაზზე და შემდეგ ზურგში სულის მოსათქმელად დაბრუნებაც შეიძლებოდა. ზოგი მთელი კვირა რჩებოდა სანგრებში, მაგრამ ვისაც სველ თხრილში ჩაცუცქულს მოფსმა მობეზრდებოდა, შეეძლო სახლში დარეკვა, ანდა მუცლის ტკივილი მოემიზეზებინა და ქვემოთ სოფელში ან სულაც ოჩამჩირეში ჩასულიყო. ჩასვლით ადვილად ჩადიოდნენ, ამოსვლა კი უჭირდათ. დიდ დროს ანდომებდნენ და აღმართი აქ არაფერ შუაში იყო. ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდნენ. ზოგს ნაცნობი ამოაკითხავდა სხვა ნაწილიდან, ეტყოდა, ამათთან რა გინდა, ჩვენთან მაგარი ბიჭები არიან, არაფერი გაგიჭირდება და ეს ყველაფერი საკმაო წონიანი არგუმენტი იყო დისლოკაციის ადგილის შესაცვლელად.

პოზიციები სოფლის განაპირას, ჩაის პლანტაციების თავში ეკავათ. სანამ ომი დაიწყებოდა, ნამგლებითა და ცელისოდენა დანებით შეიარაღებული მეგრელი ქალები ლამის სამი საუკუნის წინ ჩინეთიდან შემოტანილ ამ მცენარეს წლის განმავლობაში სულ ცოტა ორჯერ მაინც აშიშვლებდნენ, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ ჩაის კრეფა აზრად არავის მოსვლია - ჯერ ერთი ჩამბარებელი არავინ იყო და მერე მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეც - ჩაბში შესვლა სიცოცხლისათვის იყო სახიფათო. არადა, გაუსხლავ ბუჩქებში ლამის ცხენიანი კაცი დაიმალებოდა. ფიზიზლად თუ არ იქნებოდნენ, მოწინააღმდეგეს თავისუფლად შეეძლო მიპარვა და ოცდაათიოდე ნაბიჯიდან ხელყუმბარის სროლა. თუმცა, დღისით იერიშზე გადასვლა სიკვდილის ტოლფასი იყო, შეტევა და შეტევის იმიტაცია, როგორც წესი, გვიან ღამით იწყებოდა ხოლმე. ამის გამო, ჯარისკაცები სანგრებში ღამით ფხიზლობდნენ, დღისით კი სოფლის განაპირას მდებარე ორსართულიან სახლებში ისვენებდნენ.

გიო და კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი სოფლის ერთადერთი ვეტერინარის, ბატონი ღვეტის სახლში იყვნენ გაჩერებული. მასპინძელი, სამოცს მიტანებული ზორბა მამაკაცი სხვათაშორის იტყოდა ხოლმე, რომ მისი სახლი - თოთხმეტი-ჩვიდმეტზე, სანამ ორი თვის წინ მოწინააღმდეგის ჭურვი "სტალავოის" - სასადილო ოთახის ნახევარს მოანგრევდა, სოფელში ყველაზე დიდი იყო.

"ამ აბშივკას რომ უყურებ, სულ ლისტვინიცა და მაკაგონია", - უთხრა ერთხელ გიოს იდუმალი ხმით, "თქვენამდე ბიჭები რომ იყვნენ... გაზაფხულზე კი არა, მანამდე, კაცო, რიჟა რომ ჰყავდათ მეთაური, გდეტო პად ნოვი გოდ, ჩისლა დვადცატსემ-დვადცატვოსემ... ნუ, ვინც იყვნენ, არა აქვს მნიშვნელობა... ვითომ მაშინებდნენ, შეშა არ მოგვაკლო, თორემ ბუხარში დაგწვავთო".

ბატონ ღვეტს არ უყვარდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ცოლ-შვილი ზუგდიდში ბიძაშვილთან ჰყავდა გახიზნული. ომს ქალები და ბავშვები ისე სჭირდება, როგორც უდაბნოს წვიმაო, თავს იმართლებდა. თვითონ კი ტერიტორიულ მთლიანობას საკუთარ სახლში, თანაბრად გაკრეჭილი კოინდარით დაფარულ ეზოში იცავდა.

მოულოდნელად ჩამოწოლილმა მშვიდობამ ბატონი ღვეტი გაახარა.

"რომელი სტალინგრადი ოჩამჩირე ნახეს, დღე ისე არ გავა, რომ არ დაბომბონ! - წუხდა იგი, თუმცა ყველაზე მეტად ადამიანებზე ნადირობას ვერ ეგუებოდა. ჩიტი ხომ არ არის, მიეპარო და მოკლაო, შესჩივლა გიოს.

ბატონი ღვეტი მისი მეზობლის, ნერონ ლაგვილავასგან განსხვავებით, ასპროცენტიანი პაციფისტი იყო, მაგრამ ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადებამდე თავის მრწამსს შეძლებისდაგვარად მალავდა.

- პაციფისტი არ ვიცი მე, - ამბობდა დროებითი ზავით გულმიცემული ბატონი ღვეტი, - პოლიტიკოსი, ჩემო გია, სიმართლე თუ გინდა, მეთევზესავით უნდა იყოს! ო, მეთევზესავით და არა მონადირესავით, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ! მე რომ მიყურებ, სულ ასეთი კი არ ვიყავი, თავის დროზე ასობი ატდელს შავ სიაში ვყავდი შეტანილი, როგორც ნებლაგონადიოუნი და გარკვეულ წრეებში გარკვეული ავტორიტეტითაც ვსარგებლობდი! აქ ზოგიერთი დაბადებული არ იყო, მე რომ პოდმოსკოვიეში სამოთახიან ბინას ვქირაობდი და ელექტრიჩკაში "პრავდით" შენიღბული სოლუენიცინის წერილს ვკითხულობდი! - თქვა და წიგნებში ქექვა დაიწყო, სადღაც მქონდა ეს ფურცელი შენახული, ახლავე გაჩვენებო.

ეს "ახლავე" ათი, თხუთმეტი და მეტი წუთი რომ გაგრძელდა, ხელი ჩაიქნია.

- დიდი განსხვავებაა მონადირესა და მეთევზეს შორის, შეიძლება ითქვას ეგზისტენციალური, კვინტესენციალური და გნოსეოლოგიური თვალსაზრისითაც კი!.. - დაასკვნა ბატონმა ღვეტმა, - მონადირეს, ბოდიში და, სისხლი წყურია! თუ არ მოკლა, თუ ტყვია არ ჭედა შუბლში, თავს უბედურად იგრძნობს, ხელი მომეცარაო, იტყვის დანანებით. მეთევზე კი თავის საქმეს ჩუმად აკეთებს, პრიმანკით აღწევს მიზანს, სატყუარათი, უხმაუროდ და უსისხლოდ რასაკვირველია! მერე კიდო, მონადირე ნამეტანს რისკავს, შეიძლება ნადირმა აჯობოს და გააფუჭოს კაცი... მეთევზე კი წაუგებელ თამაშს თამაშობს, არაფერს რისკავს, მამაძაღლი!

ამ დროს ეზოში ფორმიანები შემოლაგდნენ. ბატონი ღვეტი სტუმრებს მიეგება, აქეთ მობრძანდითო. მერე ჯარისკაცები ლეღვის ძირში დატოვა, თვითონ კი სახლში შევიდა, სტალავოის პატარა რომ არ მივხედო, თავზე დამენგრევაო, თქვა.

გიოც მიხვდა და სხვებიც, რომ დანგრეული "სტალავოი" საბაბი იყო მხოლოდ - ბატონ ღვეტის ბოლნისელი ზურა არ მოუდიოდა თვალში. სულ ბაბა-სქუას ეძახდა და ამბობდა, ცუდი ბიჭი არ არის ზური, მაგრამ ნამეტანი ცუდი სიმთვრალე აქვსო.

არადა, სიმთვრალე არაფერ შუაში იყო. ზურას ადგილობრივებზე ჰქონდა გული აყრილი. არ ომობენ, იმალებიან და ჩამოსულების იმედად არიანო. ღვეტის ბიჭს გულისსმობდა, ცხადია. გიოს ორიდღისწინანდელი ამბები გაახსენდა. მაშინ მთვრალ ზურასთან მარტო ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელმა გაბედა შელაპარაკება.

- სამშობლოს რომ დასჭირდა, პირველივე დაძახილზე ჩამოვედი, ძმაო, - ყვიროდა თვალებდაწითლებული ზურა და ორმოცდახუთიან მჭიდს რძისფერ მაგიდას გამეტებით ურტყამდა, - ახლაც აქა ვარ და ასი წელი არ წავალ!

ასეთი რამეები ფხიზელმა თქვა, მერე არაყი რომ მოეკიდა, ბევრი იგინა, თქვენი კურდღელი დედაო!

ბიჭებმა ივარგეს, თორემ ნერონ ლაგვილავას ავტომატი უკვე გადატენილი ჰქონდა. გიომ, კარგი რა ნერონი ძია, ვერ ხედავ როგორი მთვრალია, რას უსმენო, ხელები დაუჭირა, დანარჩენებმა კი ზურა გაათრიეს ოთახიდან.

ნერონ ლაგვილავა, სანამ სასწავლო პროცესი ჩაიშლებოდა, სოფლის საშუალო სკოლაში ისტორიას ასწავლიდა. ამ კაცმა თავისი ცხოვრების მეექვსე ათწლეულში მარტოკამ - ცოლისა და შვილების გარეშე შეაბიჯა. ადგილობრივები ამბობდნენ, თავის დროზე ნერონზე ლამაზი ბიჭი არ დადიოდა რაიონში, რომელ გოგოსაც ხელს დაადებდა, ის გაყვებოდა ცოლადო, მაგრამ ვიღაც დიდი კაცის ცოლს გადაეკიდა და სანამ ვერაგულად არ მოწამლეს რაღაც ტოქსიკური ფხვნილით, რომელიც ბალიშისპირზე მიმოუფანტავს დაქირავებულ მკვლელს, დიდი კაცისთვის რქების დადგმა არ მოიშალაო. ქალი იოლად გადარჩენილა. გასაგები ამბავია, მთელი ღამე, როგორც თვინიერ კახპას შეჰფერის, გულაღმა გდებულა. ხან ქალსა და ხან ბალიშზე დამხობილმა ნერონმა კი, გამართული მტვერსასრუტივით დილამდე ისუნთქა შხამი. ბედად იმ დილით ნაცნობი ექიმი მორიგეობდა ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში. ხელოვნურმა სუნთქვამ და გულის კუნთის მასაჟმა რომ ვერაფერი უშველა, ალალბედზე შერჩეული ანტიდოტი შეუყვანა ვენაში. კვირაზე მეტი იყო უგონოდ, მაგრამ გადარჩა. თუმცა, როგორც ქალაქელები ამბობდნენ, ეს ის ნერონი აღარ იყო - ერთ დროს ლაღი, თავქარიანი და იმედისმომცემი ახალგაზრდა სტუდენტობისდროინდელ მეგობრებსაც კი ველარ ცნობდა. რაღაცნაირად მოეშვა და მოდუნდა. ვიღაც ენაკვიმატმა ისიც კი თქვა, ეს ნერონი კი არა, ცრუნერონიაო.

სოფელში დაბრუნებულ ნერონ ლაგვილავას მშობლიურ სკოლაში, სადაც ისტორიას შეთავსებით ხან გეოგრაფიის, ხან ქიმიის და ხანაც ფიზკულტურის მასწავლებელი ასწავლიდა, მუშაობის დაწყება არ გაჭირვებია. ოღონდ პარტიის ყრილობის მასალებს, რასაც განათლების საკავშირო სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამა ითხოვდა, არც თანმიმდევრობით ასწავლიდა და არც მნიშვნელობის მიხედვით. ბავშვებმა ტელევიზორიდან უფრო იცოდნენ, რომ "არის ასეთი პარტია", ვიდრე ფედენკოს რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელოდან. ნერონ ლაგვილავა ყველაფერს ეხებოდა - ილიონის ციკლს, ძველ ეგვიპტეს, მინოსის ცივილიზაციას, რომს, შუა საუკუნეებს, საფრანგეთის ყველა რევოლუციას, მაგრამ არა საკავშირო კომუნისტურ პარტიას, თითქოს არც რსდმპ მეორე ყრილობა ყოფილა, არც პიროვნების კულტის მხილება და საერთოდ: თითქოს დედამიწის მეექვსედზე არც რევოლუციურ იდეებს გაუმარჯვია და არც მუშათა მოძრაობას, თითქოს სულ სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა...

- საიდან იცი, რომ სამშობლომ დაგიძახა! - ყვიროდა სოფლის მასწავლებელი, - საერთოდ თუ გაქვს სმენა, სამშობლოს ხმა რომ გაიგო! რამდენ ტონს არჩევ?! ტოჟე მნე რომანოზ ტკბილადმგალობელი! სამშობლოს ხმა რომ გაიგო, ყურები არ კმარა, ყურები ზღარბსაც აქვს! სამშობლოს ხმა რომ გაიგო, გული უნდა გქონდეს! ბევრი რომ ხართ და ძალიან ხმამაღლა რომ ყვირით, ეგ არაფერს ნიშნავს. სამშობლო სულ სხვა ხმაზე ეძახის თავის შვილებს! ...მერე ამ თქვენ ყაყანში როგორ გაიგოს კაცმა სამშობლო ეძახის თუ ათას სარზე გადაფხრეწილი ვიგინდარა!

ნერონ ლაგვილავა დილამდე ყვიროდა, კითხვა ხო იცით, წაიკითხეთ საქართველოს ისტორიაო, მაგრამ დროებითი ზავის მიუხედავად, ისტორიული ფოლიანტების გასაშლელად არავის ეცალა...

ბატონი ღვეტი ლეღვის ჩრდილში მალევე დაბრუნდა. ზურამ, რაღაც თევზაობაზე საუბრობდი ბიძაჩემოო, მასპინძელს მიმართა.

- არაფერი ისეთი, ზურის ვენაცვალე, - შეწუხდა ბატონი ღვეტი, აქაოდა ახლა ამან ისევ არ დაიწყოს ყველაფერი თავიდანო, - ახალგაზრდობა გავიხსენე, ნამეტანი მიყვარდა თევზის ჭერა!

გიომაც, სხვა მიმართულებით რომ წაეყვანა საუბარი, მასპინძელს თვალი ჩაუკრა და სიცილით ჰკითხა, ახალგაზრდობაში თევზაობდი, მერე ეს ამხელა სახლი ააშენე, ცოლიც, შვილებიც... კი მაგრამ ქალებში როდისღა ასწრებდიო...

- ოოო, - გამხიარულდა ბატონი ღვეტი, -

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთ მისმინე ბიჭი, მე გვარი მაქვს ისეთი, რომ თავის მტვრევა არ მჭირდებოდა იმაზე, როგორ შემება ქალები... არა, გჯერა ხომ? აი, ნახე, - პასპორტს იღებს გულისჯიბიდან, - ჩემი გვარი ანკესზე წამოგებულ ცოცხალ პრიმანკასავით არის... იცი, შენ, როგორი უნდა იყოს პრიმანკა, კარგი ულოვი რომ გქონდეს?.. მთავარია, თევზი არ ददაფრთხოს... და, განა, ქალიც თევზივით არ არის?

ბატონი ღვეტის პრიმანკა, როგორც გიომ მოგვიანებით შეიტყო, გვარი ყოფილა. თავიდან, გაცნობის პირველ წუთებში, არ უჯერებდნენ ჩრდილოელი ქალები - ჩტო ზა ფამილია დუახუიაო, კვდებოდნენ სიცილით. მერე კი პასპორტს რომ აჩვენებდა, ერთი ხანობა გაოცებულები მარცვალ-მარცვალ კითხულობდნენ, სულ ბოლოს კი რომელიმე ანცი იკივლებდა: დევოჩკი, ტუტ უ ნას მუჟიკ პაიავილსა ს კაკოიტა სტრანნოი ფამილეი დუახუია!

ამას რომ იტყოდნენ ჩათვალე რომ რიბკა კლუნულა, იხსენებდა ბატონი ღვეტი. იყო დრო, ვასკრესენსკში ჩემზე ლეგენდები დადიოდაო. ვიღაც ლოკალური მასშტაბის ბარდს ბატონ ღვეტზე ჩასტუშკაც კი დაუწერია:

პრიეხალ ს კავკაზა დუახუია,
ვიიბალ დევოკ დო ხუია!

ღამით პოზიციებზე ბიჭების შესაცვლელად რომ გადიოდნენ, ბატონმა ღვეტიმ თქვა, ჩვენ ვგავართ მეთევზეს მგელზე რომ ნადირობს ანკესითო. მარტო გიო მიხვდა რა იგულისხმა ღვეტი ჯახუამ - ომის დაწყებამდე სოფელში ყველაზე დიდი - თოთხმეტი-ჩვიდმეტზე - სახლი რომ ედგა შიგნიდან ლისტვინიცითა და მაკაგონით განყობილი...

* * *

ყველა მშვიდობა მყიფეა და ეს კანონზომიერება არც იმ ზაფხულს დარღვეულა. ჯერ იმათმა გახსნეს ცეცხლი, მერე ამათმა უპასუხეს. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა პასუხი ადეკვატური. ერთ ღამეში ექვსი კაცი დაკარგეს, დაჭრილებს დაკარგულებად თუ არ ჩავთვლით. მერე, როგორც იქნა, გაახსენდათ, რომ ზურგში ლაფეტებდაცლილი გაუბიცა ჰქონდათ. კინდღიდან დაძრულ ტ-55-ს კი შავფორმიანი სამხედრო პოლიციელები მოყვნენ.

- დღეს კიდე დაგვარტყამენ! - თქვა ოჩამჩირიდან მოსულმა წვერებიანმა მაიორმა და თავის ბიჭებს პოზიციების დაკავება უბრძანა. მერე თითქოს სხვების წინაშე თავი იმართლა, ატარაარმიანსკაიას და ახალდაბის აღებას აპირებენ და რომ არ გავახაროთ, აქ უფრო გამოცდილი მებრძოლები დავრჩებითო.

ზურამ თავი გაიგიჟა, ოჩამჩირეში რა ვაკეთოო. არც გიოს უნდოდა წასვლა, მაგრამ სამი ღამის უძილო იყო, შიოდა, თავიც ზომაზე მეტად ეცოდებოდა და ნატკენი ფეხიც აუტანლად აწუხებდა. იფიქრა, ჩავალ, ფეხსაც ვაჩვენებ ვინმეს და ცოტასაც გამოვიძინებო. თან ის ექვსი მოკლული და თხუთმეტი დაჭრილიც ხომ უნდა ჩაეყვანათ...

ოჩამჩირეში პურის მანქანითა და სამხედრო პოლიციელების გაზ-66-ით დაბრუნდნენ. პურის მანქანაში დახოცილები დაასვენეს, დაჭრილები და საღები კი სატვირთოზე ალაგდნენ. ნახევარი საათი იყასყალეს გრუნტის გზაზე, ვიდრე ჰოსპიტალს არ მიადგნენ. დაჭრილები ზეგით აიყვანეს, მკვდრები კი იქვე ეზოში დატოვეს. პროზექტურა პირველ სართულზე იყო, თუმცა პათოლოგოანატომი შენობაში არ დახვდათ. წუთიწუთზე დაბრუნდებაო, უთხრეს. დაიარა დერეფნები, ორივე სართული, იქნებ ერთი მოცლილი სანიტარი ან ექთანი მაინც ვნახოო, მაგრამ მისთვის არავის ცხელოდა, არადა ფეხი, როგორც თვითონ შენიშნა, ჩექმაში აღარ ეტეოდა. ამასობაში მთვრალი პათოლოგოანატომიც დაბრუნდა. სატირალში ვიყავიო, თავი იმართლა. წადით, მოისვენეთ, ბიჭებს მე მივხედავ, ხვალ დილისთვის ფორმაში იქნებიანო, დაამშვიდა და რკინის კარი ხმაურით მიიხურა. კარზე თეთრი საღებავით რუსულად ეწერა: "ომი ეს ბევრი ოფლი, ბევრი სისხლი და ბევრი ცრემლია." ცოტა ქვემოთ სხვა ხელს მიეწერა: "...და ბევრი ძღნერი, რომელსაც ყოველდღე ვჭამთ".

გიო რკინიგზისკენ დაეშვა, მაგრამ ბევრი ვერ იარა. ფეხმა შეაწუხა და იქვე გამხმარი პალმის ძირში ჩაჯდა.

- აქ რას აკეთებ?.. - ჩამავალი მზე მოუჩრდილა ზურამ.

- მეძინება! - უპასუხა თავაღერებულმა და ზურგჩანთაზე მოხერხებულად მიწვა. სიცხე ჰქონდა, თვალებიც ეწვოდა. - სადმე დამაძინა... - ხმამაღლა თქვა. ზურას არ გაჰყვა, დალევის თავი არ ჰქონდა.

რკინიგზის სადგურში დიდი ხალხმრავლობა და ხმაური იყო. იქაურებს რაღაც სახელდახელო ბაზრობასავით ჰქონდათ გამართული. ბევრი შაოსანი ქალი და ბავშვი ირეოდა. ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილს ჰყიდდა, ვინ ბრინჯს, ვინ კი ხისგან გამოჩორკნილ აფრებიან გემებს.

ფეხი გულივით ფეთქავდა. ძლივძლივობით გაიძრო ჩექმა და ისევ მიწვა. ცოტას დავისვენებ და ჰოსპიტალში მერე ავალო, გეგმები დაწყო, მაგრამ ვერ დაიძინა. წამოჯდა. ისევ აიკაპიწა შარვალი და ისევ შეათვალიერა ნატკენი ფეხი. ზურგჩანთა გახსნა, რაღაც ბინტის მაგვარი ამოიღო და მჭიდროდ შემოიხვია. თავიდან თითქოს შვება იგრძნო, თითქოს დაუამდა, მაგრამ მერე უარესად ატკივდა. მოიხსნა ეს ბინტი თუ დოლბანდი და იქვე მიაგდო. "ჰოსპიტალში უნდა დავბრუნდე!" - მოულოდნელად გადაწყვიტა. საღ ფეხს დაეყრდნო, ხელით პალმას მოეჭიდა და როგორც იქნა წამოდგა. ნაბიჯის გადადგმა სცადა, მაგრამ ქუსლში საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქოს ლურსმანი შეერჭო. მიხვდა, ცოტაც და დამოუკიდებლად სიარულს ვეღარ შეძლებდა. უნდა ეჩქარა. ნაცნობ სახეებს დაუწყო ძებნა. ბაქნის კიდესთან შეკრებილ ჯარისკაცებს მიაჩერდა.

ხმამაღლა იცინოდნენ და მაღალ შაოსან ქალს რაღაცას თხოვდნენ. ქალიც ერთი ხანობა გაუჩერდა სამხედროებს, შემდეგ კი დაუმშვიდობებლად გაშორდა. გზად კიდევ რამდენჯერმე დაყოვნდა და სხვა ფორმიანებსაც გამოელაპარაკა. აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს სადგურზე ვიღაცას ეძებსო. ამასობაში გამხმარ პალმასაც გაუსწორდა.

- გტკივა ? - რუსულად ჰკითხა გაწითლებულ ფეხზე.

- მტკივა! - უპასუხა გიომ.

ახლოს მოვიდა და ფეხს დაუწყო თვალიერება.

- თუ არ მიხედავ, სისხლი მოგეწამლება და მოკვდები! - ქართულად, ოღონდ ძლიერი აქცენტით უთხრა.

ქალი იქნებოდა 30 წლის - მაღალი, გამხდარი, მაგრამ რაღაცნაირად შემართული. შავი თავსაფრიდან დამალული ქერა თმის ძირები მოუჩანდა.

- ჰოსპიტალში ვიყავი... ახლაც იქ მივდივარ, - თქვა გიომ ქალის გასაგონად.

- იქ დაჭრილებიც ეყოფათ! - შაოსანი წელში გაიმართა, - მე ექთანი ვარ...

მიხვდა, თან რომ უნდა გაყოლოდა.

- შორს მივდივართ? - იკითხა.

- აქვე, საწყობთან ვცხოვრობ, - თქვა ქალმა.

მალე ფართე ქუჩიდან ჩაუხვიეს და პატარა ეზოში შევიდნენ. პატარა იყო სახლიც, ერთსართულიანი, დასავლეთში ბელეტაჟს რომ ეტყვიან. კატა გამოეგებათ. ქალმა ხელში აიყვანა და სამივენი ჩაბნელებულ ოთახში შევიდნენ. მერე ლამფა და სანთელი აანთო, გიო კი უკითხავად იქვე ოთახის კუთხეში მიდგმულ დივანზე ჩამოჯდა.

- მცივა! - თქვა და კანკალის შეკავება სცადა.

- სიცხე გაქვს, - უთხრა ქალმა ოთახიდან გასვლის წინ, - ასე იცის ტემპერატურის აწევის წინ.

რომ დაბრუნდა, ერთ ხელში პოლიეთილენის თეთრი პარკი ეჭირა, მეორეში - მაღალყელიანი ბოთლი. შარვალი გახადა და მტკივნეული ფეხი სკამზე დაადებინა. ოთახი იოდისა და არყის სურნელით აივსო.

- დალიე, - ჭიქა ბოლომდე გაუვსო, - ნოვოკაინისაც გაგიკეთებ, მაგრამ მაინც დალიე!

ქალმა ერთი ხანობა კიდევ აწვალა მტკივანი ფეხი, მერე საიდანღაც ლანცეტი ამოიღო და გიოს მოეჩვენა, თითქოს რამდენჯერმე ჩაარტყეს, ზემოდან ქვევით - მუხლიდან კოჭისკენ. ჩირქმა და სისხლმა იფეთქა. ლამის გონება დაკარგა, ისე ძალიან ეტკინა.

ქალი კი ფეხს არ ეშვებოდა. ორივე ხელით ზემოდან ქვემოთ წურავდა. გიო ყვიროდა, შეეშვი მაგის დედაო, ის კიდევ, ვსიო, ვსიო, ცოტაც და დაისვენებო!

ჭრილობაში ტამპონების ჩატენვას რომ მორჩა, გიოს აღარაფრის თავი ჰქონდა. ეგდო გულაღმა, ნახევრად შიშველი, ჩირქის, სისხლისგან და ენერგიისგან დაცლილი. ქალმა მეზობელი ოთახიდან ბალიში შემოიტანა და თავქვეშ ამოუდო, ტანზე კი ნაკეცებწაუშლელი ზეწარი დაიფარა. ეცადე დაიძინოო, დაარიგა.

- აქვე ვიქნები, - ბავშს რომ ანუგეშებენ ძილის წინ, ისე დაუყვავა, - თუ ტკივილმა ძალიან შეგაწუხა, დამიძახე. ესთერი მქვია, თქვენებურად ეთერი, არ მოგერიდოს!

გიომ დაინახა, როგორ ჩაუწია ლამფას ქალმა და როგორ გავიდა ჭიქაში ჩადგმული სანთლით მეზობელ ოთახში.

ერთი ხანობა ეძინა, მაგრამ მერე ეტყობა წამალი გაუნელდა სისხლში და ისევ აკანკალა. კბილს-კბილზე აცემინებდა და თვალები ისე ეწვოდა, თითქოს მზისთვის გაესწორებინოს. ნელ-ნელა ქუთუთოები დაუმძიმდა, ბურანში გაეხვა, მკაფიოდ ვეღარაფერს ხედავდა. არადა, კარგად ახსოვდა, ქალმა ლამფა ანთებული რომ დატოვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ესთერ! - უნდოდა ეყვირა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. დამსკდარი ტუჩები ერთმანეთს, ენა კი გამშრალსა და ანთებისგან დასიებულ სასას მიწებებოდა. ნერწყვის მოგროვება და ყელის დალბობაც სცადა - არაფერი გამოუვიდა.

- ჰხხხ... ჰხხხ - ხროტინებდა უმწეოდ და ციებ-ცხელება ატანილს კანკალი რომ დაეძლია, ყბებს მთელი ძალით უჭერდა ერთმანეთს. ასე კრიჭა შეკრულმა, დაბრმავებულმა და დამუნჯებულმა უეცრად იგრძნო, რომ სიბნელეში რაღაც აფუთფუთდა, აშრიალდა, მისკენ წამოვიდა... ცდილობდა რამე გაერჩია, თითქოს რაღაც საგნებს ხედავდა კიდეც, მაგრამ მოულოდნელად თვალი კაშკაშა სითეთრემ მოჭრა. ეს არ იყო არც ელექტრონის და მითუმეტეს არც მზის სხივი - მწველი, თვალის ბადურისათვის სახიფათო. უფრო მთვარის შუქს ჰგავდა - მზისგან ნაპარავსა და რძესავით თეთრს...

ციება გაუძლიერდა, თავს ვეღარ მოერია და თვალები დახუჭა, თუმცა მანამდე თეთრმა სინათლემ კიდევ უფრო ახლოდან შეანთა...

მოეჩვენა?

სულ გაითოშა, ვერაფრით გათბა. ყველა საგანი - კედლები, იატაკი, საწოლი, სიფრიფანა ზეწარი, ბალიში - ყველაფერი რასაც ეხებოდა მასზე ცივი იყო და გათბობის ნაცვლად, იქით ართმევდა სითბოს...

"საიდან ეს სინათლე?" - გაიფიქრა, თუმცა თვალის გახელა აღარ უცდია. ვინ იცის, რის ფასად ზეწრიდან ხელი გამოყო და იქით გაიშვირა, საითაც თეთრი სინათლის წყარო ეგულებოდა. თბილ საგანს შეეხო - თბილს, ბრტყელსა და მფეთქავს. სითბომ მხნეობა შემატა, კვლავ სცადა დაძახება:

- ესთერ!!!

- აქ ვარ, - ჩასჩურჩულა ქალმა ყურში.

იქვე იდგა, მაგრამ თვალისმომჭრელი სითეთრის გარდა, გიო ვერაფერს ხედავდა. მერე ეს თეთრი, თბილი, მფეთქავი და ბრტყელი საგანი ზურგზე მიეკრო და გაათბო...

რომ გაიღვიძა, ოთახში მარტო იყო. ფეხი ისე ძალიან აღარ ტკიოდა. სიცხემაც დაუწია. ავტომატი და სხვა ნივთები - ყველაფერი ადგილზე დახვდა. საათი, რომელიც სუფრაგადაფარებულ ტელევიზორზე იდგა, თერთმეტს უჩვენებდა. ეზოში გავიდა. ჭასთან სავსე კასრი შენიშნა. წყალი სახეზე მიისხა და უკან შებრუნდა. სველი სახე ზურგჩანთიდან ამოშვერილი ფარაჯის სახელოთი შეიწმინდა. სადღაც შორიდან სროლის ხმები ისმოდა. ავტომატი გადატენა და ხელყუმბარები შეამოწმა. მალე ქალიც დაბრუნდა. ხელში ჩანთა ეჭირა. ჯარისკაცის ჯანმრთელობით დაინტერესდა. როგორ ხარო, ჰკითხა. ჩანთიდან პური, მაწონი და კონსერვის ქილები ამოალაგა.

- ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ ორს გვეყოფა, - თქვა და მაგიდას ახალი სუფრა გადააფარა. მერე კარადიდან დაჭრილი სულგუნი და ცივი ღომი გამოიღო. არყის ბოთლი ისედაც მაგიდაზე იდგა. მე არ დამისხაო, უთხრა ქალმა და სიგარეტს მოუკიდა. გიომ კი პირველი ჭიქა თვალდახუჭულმა დალია. მეორეს როცა ისხამდა, შეხორცებას შეუშლის ხელსო, გააფრთხილა ქალმა. გიო უხერხულად გრძნობდა თავს. უცხო ქალთან ასე ერთი-ერთზე სალაპარაკოდ პირველად დარჩა. "ახლა ავდგები და წავალ" - გაიფიქრა, - ოღონდ ჯერ მადლობა უნდა ვუთხრა".

საჭირო სიტყვებს რომ ვერ მიაგნო, ისევ არყიან ჭიქას გადაწვდა.

- აქაური ხარ? - მადლობის ნაცვლად, რატომღაც მასპინძლის წარმომავლობით დაინტერესდა.

- არა, სოხუმელი ვარ, - უთხრა ქალმა და სანახევროდ მოწეული სიგარეტი ღრმა საფერფლეში ჩააყუდა. - აფხაზი ვარ, გვარად მიუბა, - მზერა გაუსწორა და დამარცვლა, - ესთერ მიუბა! ეს ჩემი ქმრის სახლია. ხუთი წლის წინ ქართველს გავყევი ცოლად, გვარად ხარჩილავას. გურამი ერქვა... გურამ ხარჩილავა. კარგი ბიჭი იყო. ერთი წლის წინ მოკლეს...

- ომობდა?

- არა!

- ვინ მოკლა?

- მითხრეს აფხაზებმაო...

- სხვა არავინ გყავს?

- დედა და ძმა! - ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა, - პირველივე დღეებში გაიქცნენ სოხუმიდან. წასვლამდე ახალ დასახლებაში ცხოვრობდნენ... საწყალი მამა, მთელი 17 წელი ელოდა ბინის მიღებას... ტყვარჩელის შახტებში მუშაობდა, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, თებერვალში 6 წელი შესრულდება...

- ძმა ომობს?

- ალბათ! - ისე თქვა, ზუსტად იცოდა, სად იყო და რას აკეთებდა. - ექვსი წლით უფროსია ჩემზე, რომ გავთხოვდი მას მერე აღარ მინახავს. არ მელაპარაკება. დედა ჩამოდიოდა სანახავად. ორი-სამი დღე დარჩებოდა ხოლმე...

გიოს უნდოდა რამე ეთქვა, როგორღაც ენუგეშებინა ქალი, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ გაეკეთებინა ეს. "კიდევ კარგი, არაყი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც რომ არისო", გაიფიქრა და კიდევ ერთხელ დაისხა.

- რამდენი წლის ხარ?

- ბევრის! - მთვრალი ჯარისკაცის კითხვაზე ქალს გაეცინა.

- მაინც?

- შენ რამდენის ხარ?

- ცხრამეტის, შენ? - არ ეშვებოდა.

- დაუშვათ ოცდაექვსის, მერე?!

- მარტო ცხოვრობ?

ქალმა არაფერი უპასუხა, ადგა და მაგიდის ალაგება დაიწყო.

- ფეხი აღარ გტკივა? - ჰკითხა საქმეს რომ მორჩა. - გუშინ ძალიან ცუდად იყავი, ისე კანკალებდი, ძლივს გაგათბე...

გიოს ახსოვდა წუხანდელი ღამიდან თვალისმომჭრელი სითეთრე. "როგორი თეთრი მუცელი გქონია", - უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

ქალის უკან, ღია ვარდისფერ კედელზე, ხის ჩარჩოში ჩასმული დიდი სურათი ეკიდა, საიდანაც ხელიხელგადახვეული თეთრპერანგიანი მამაკაცი და ესთერი იმზირებოდნენ. სურათი მზიან, ქარიან ამინდში იყო გადაღებული. ქალის გაშლილ თმებს შორის ფრაგმენტულად მოჩანდა სითეთრეშეპარული შავი ზღვა და სიცილისგან თვალებდაწვრილებული, სქელულვაშიანი მამაკაცის ფართე და ბედნიერი სახე.

"ეს კაცი მკვდარია!" - გაიფიქრა გიომ და კიდევ უფრო უხერხულად იგრძნო თავი.

- სანამ ჰოსპიტალში წავალ, ჭრილობას დავამუშავებ, - თქვა ქალმა.

დოლბანდი თვითონ შეიხსნა, მაგრამ კანზე მიკრულ ტამპონს ხელი არ ახლო. ესთერს დაელოდა. ქალმა კი სანამ სისხლი წამოვიდოდა, ქაფურის 5%-იანი ხსნარი დაასხა. სულ ბოლოს ჭრილობა ფურაცელინისგან გაყვითლებული დოლბანდით ამოავსო.

- ხვალ დილით კიდევ ერთხელ გავასუფთავებ და მორჩა, მეტი აღარ დაგჭირდება, თუმცა, ნემსები მაინც უნდა გაიკეთო!

- ხვალ დილით? - შეიცხადა გიომ, - დღესვე ნაწილში უნდა დავბრუნდე, მელოდებიან!

- აქ არავინ არავის არ ელოდება! - ჩაილაპარაკა ქალმა, - ვისაც სად უნდა, იქ მიდის და საითაც უნდა, იქით ისვრის! - თქვა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მარჯვენა საფეთქელთან მიიტანა. - აქ ნამდვილი საგიჟეთია!

- ხო? - ესღა მოახერხა ქალის საქციელით შეცბუნებულმა.

- რა, არ იცოდი? - უკან არ დაიხია ქალმა. - არ იცოდი, რომ აქ არავინ არჩევს თავისიანს და სხვისიანს? არ იცი არა, რომ აქ ნამდვილი ბარდაკია?!

გიოს მოეჩვენა, რომ ქალი მარტო მას კი არა, ყველა მისიანს - ცოცხლებს, მოკლულებს, ადგილობრივებს, ჩამოსულებს - ყველას ერთად დასცინოდა. მაინც ჩვენ გავიმარჯვებთო, იყვირა მთელ ხმაზე. იმან კიდე უფრო ხმამაღლა, უფრო გამომწვევად და რაღაცნაირად ამაზრზენად გადაიკისკისა.

ვიღას ახსოვდა მტკივანი ფეხი. წამოხტა, ქალს თმებში წვდა და თავი ისე ღრმად გადაუწია, ლამის წელში გადატეხა.

- რა, შენი ძმა გაიმარჯვებს? - სახეში ჩასძახა, - შენი ძმა გაიმარჯვებს?

რამე რომ ეთქვა, ისე იყო გამწარებული, არ დაზოგავდა, დაარტყამდა მთელი ძალით, მაგრამ ქალმა თვალები დახარა. გიომ ხელი გაუშვა და ზურგჩანთას გადაწვდა.

- ნენავიჟუ!!! - იყვირა ქალმა, - ი ტებია, ი მაეგო ბრატა, ვსეხ ნინავიჟუ! უბიიცი, ვი მაევო მუჟა უბილი! - აქვითინდა და მკერდზე მუშტები დაცხო. მერე მოცელილივით ჩაიკეცა და სახე ხელებით დაიფარა.

გიომ იარაღი აიღო, ტომარა ზურგზე მოიგდო და სახლიდან გავიდა.

ვერ გაეგო, ესთერი ტიროდა ხმამაღლა, თუ მტკივანი ფეხის გამო სწრაფად ვერ მიდიოდა - ქალის ქვითინი კიდევ კარგა ხანს ჩაესმოდა ყურში!

ქუჩის ბოლოში სადგურის იასამნისფერი შენობა მოჩანდა. კიბეები კოჭლობით აიარა და სასადილოში შევიდა. ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდებთან სამხედროფორმიანები ისხდნენ. ქართველები უფრო მეტნი იყვნენ, მაგრამ ორი თუ სამი უკრაინელიც ერია.

- ჰლოპცი, ვი ჰაროშიე ბოიცი, - ხმის იოგებს იხლეჩდა ზორბა კაპიტანი შავ ბერეტში, - ნო კომანდოვანიე უ ვას ჰრენოვოე! შო ანი ხატიატ, ნე პოიმუ - ი რიბკუ სიესტ, ი ნა ჰუი სესტ?! და ნებივაეტ ტაკ! ჰუსტილი ბი ნას ვმარტე მესიაცე ვმესტე მჰიდრიონნი ვჰუდაუტსკი კორიდორ, დოშლი ბი დო ეტოი იობანოი რეჩკი! პოსმოტრიტე ტეპერ, ეტუ კაშუ სნოვა პრიდიოტსია ზავარივატ, ა პოლუჩიცა ლი? ჩტო უ ვას ზა პოლიტიკა ეი ბოჰუ ნე პოიმუ. ესლი ვაიუიტე, ტო ვაიუიტე, ა, ესლი ნეტ, ტო ზაჩემ ჟე სტოლკო ლუდეი ვალიტ?..

ღია ფანჯარაში 152 მმ-იანი გაუბიცებით

დატვირთული შემადგენლობა მოჩანდა. ეს ეშელონი, ბავშვების გასახარად, გუშინაც იქ იყო გაჩხერილი. პატარა ბიჭები დაჭერობანას თამაშობდნენ და ყველაზე მარჯვეები ლულებზე მიცოცავდნენ მატლებივით.

ჰოსპიტალში დაბრუნდა. დაჭრილი ბიჭები ნახა. ძია რეზო მოიკითხა, პოლიციის ყოფილი მაიორი. შორიდან ნასროლი, გაციებული ტყვია გულის ფიცარში ჰქონდა ჩაჭედილი.

- ხვალ თბილისში გადამიყვანენ, - უთხრა ტკივილისგან სახედანაოჭებულმა, - რომ ვლაპარაკობ ძალიან მტკივა, - თავი იმართლასავით. მერე სული ჩაითქვა და ჩვენი ბიჭები სად არიანო, იკითხა.

- არ ვიცი, - მხრები აიჩეჩა გიომ, - აქვე იქნებიან სადმე.

დერეფანში გამოსული, საოპერაციოსთან შეჩერდა. ვიღაცა ყვიროდა მთელ ხმაზე. მინის კარს მიეკრო შუბლით. დოლბანდაფარებული თეთრხალათიანები დაჭრილებს დასტრიალებდნენ. ალბათ ესთერიც აქ არის, გაიფიქრა და ქაფურის სუნით გულდამძიმებული კარს მოშორდა.

ღამე სადგურის შენობაში ეძინა, დილით კი სხვებთან ერთად აღმოსავლეთის ფრონტის შტაბში წაასხეს. იქ კრაველისქუდიანმა გენერალმა ზოგი სად გაანაწილა და ზოგი - სად. ორი კვირა დარჩა ტამიშთან, ამდენივე ხანი ტყვარჩელის მიმართულებით. ძირითადად პოზიციურ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. სერიოზულ შარში ერთხელ არ გახვეულა. 16 სექტემბერს კი სოხუმზე დიდი შეტევა დაიწყო. რაციით გაიგეს, რომ ახალდაბა აღებულია და კოდორის ხიდიც იმათ ხელშია.

- ახალი კინდღისკენ უნდა წავიწიოთ! - ამბობს ოჩამჩირიდან მათ წასაყვანად ამოსული ახალგაზრდა პოლკოვნიკი. სასწრაფოდ კოდორის ხიდია გასათავისუფლებელიო, უხსნის ჯარისკაცებს.

ოჩამჩირეში რომ დაბრუნდნენ, უკვე ბნელოდა. გამთენიისას გავალთ, ორი-სამი საათი შეგიძლიათ დაისვენოთო, გააფრთხილეს. ზოგი სად წავიდა და ზოგი სად. კარი რომ შეაღო, ესთერი მაგიდასთან იჯდა და ეწეოდა. თან შეეშინდა, თან თვალებს არ დაუჯერა.

- ქალებმა მითხრეს, შენი ჯარისკაცი მოკლესო, - თქვა ფეხზე წამომდგარმა.

* * *

- არ წახვიდე!

- მელოდებიან...

- გვიანია უკვე ყველაფერი... არაფერი ეშველება!

- არ შეიძლება, მელოდებიან! - ამბობს გიო და კარისკენ ნაბიჯს დგამს.

- დაფიქრდი... - ცრემლებს ვერ იკავებს ქალი.

- მალე დავბრუნდები და თბილისში წაგიყვან!

- არ მინდა შენი თბილისი! - ცრემლებს იწმენდს, - არაფერი მინდა, უბრალოდ არ მინდა, რომ მოგკლან, არ მინდა, გესმის?!

ძლივს გაეშვებინა ხელი...

ოჩამჩირეში რამდენიმე ათასი კაცი კოდორის ხიდისა და ახალდაბის აღებას ელოდებოდა. მესამედ შეუტიეს. თბილისიდან მოხალისეებიც შეემატნენ, წინა მთავრობის სარდალიც დაიძრა რეაქტიული დანადგარებით. კიდევ ერთხელ გამოიღეს ხელი, მაგრამ არტილერია დუმდა უიმედოდ, ყოფილი სარდალიც არა და არ გამოჩნდა... აღარ დაელოდნენ, შეტევაზე არტილერიის მხარდაჭერის გარეშე გადავიდნენ. იმათმაც ერთი ხანობა აცალეს, კარგა გვარიანად რომ წაიწიეს წინ, მერეღა დაუშინეს ნაღმტყორცნებიდან... ყანებში იყვნენ გაშლილი, ვერსად ჩახტებოდი და ვერაფერს ამოეფარებოდი. თანაც, გმირობაზე მეტად ლაჩრობის მაგალითი ყოფილა გადამდები... უკან დაიხიეს. მკვდრებს ახტებოდნენ, დაჭრილებს კიდევ როგორღაც მოათრევდნენ... გიოს ზურა ერგო. მარჯვენა ფერდზე გასისხლიანებულ ხელს იჭერდა და პანიკურად ყვიროდა, არაფერია, კანი მაქვს გაკაწრულიო...

დაჭრილები ურალზე დატვირთეს, საღები კი სკოლის ეზოში შეგროვდნენ. კრაველისქუდიანი სარდალიც იქ იყო, მაგრამ სამოცდაათამდე კაცს ძლივს მოუყარა თავი. დანარჩენები სადღაც გაქრნენ. სარდალი უკმაყოფილო იყო. ამბობდა, რომ მისი ბრძანება არასწორად სრულდებოდა და ამის გამო ახალდაბის აღება ვერ შეძლეს...

ზურას საველე ჰოსპიტალში მიაგნო. გადარჩენის შანსი არ ჰქონდაო, უთხრეს. სხვა მიცვალებულებთან ერთად მისი ცხედარიც ოჩამჩირეში გადაიტანეს... იქ კი მკვდრების გარდა, ყველა პანიკაში იყო. სადგურის ბაქანი ადამიანებს ვერ იტევდა. მთელი ქალაქი, რამდენიმე ათასი ადამიანი, ათ თუ თხუთმეტ ვაგონში ჩასხდომას ცდილობდა. ღია ვაგონებზე ისევ იდგა მძიმე არტილერია. ზარბაზნებსაც ისე აეშვირათ ლულები, თითქოს ომის ღმერთებს შველას შესთხოვდნენ...

ესთერი შინ არ დახვდა, არც ჰოსპიტალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. უთხრეს, დილიდან არ გამოჩენილაო. სადგურში დაბრუნდა, იქნებ ისიც მატარებელში ასვლას ცდილობდა?..

ვაგონში არ აუშვეს. კიბეებზე დაკიდულ ადამიანებს ბედისწერის გაქონილი სხეულისთვის ჩაევლოთ ხელი და დასხლეტის შიშით ახლოს არავის იკარებდნენ. დარბოდა შემადგენლობის გასწვრივ და მთელ ხმაზე ღრიალებდა ქალის სახელს. პლატფორმის კიდესთან ბატონ ღვეტის მოჰკრა თვალი. თავიდან ვერ მიხვდა, რას აკეთებდა. რომ გამოელაპარაკა, მერეღა შეატყო, რომ კანტუზია ჰქონდა მიღებული. ნერონზე უნდოდა ეკითხა ცოცხალი თუაო, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, შეუჩერებლად ლუღლუღებდა, დაიკარგა, დაიკარგა ყველაფერიო. ჩიხიდან სამი დამატებითი ვაგონი გამოაგორეს და ლამის დაძრულ შემადგენლობას ჩააბეს. ეუბნება, ავიდეთო, ის კი თავს უქნევს და იქვე ქვაფენილზე დაჯდომას ცდილობს. ბუტბუტებს, დაიკარგა, დაიკარგა ყველაფერი...

მიხვდა, რომ არაფერი ესმოდა. წელზე შემოხვია ხელები და ვაგონისკენ წაათრია...

გალში კიდევ ჩააბეს ორი თუ სამი ვაგონი. ის კი ესთერზე ფიქრობდა. დაძვრებოდა შეშინებულ, გადარჩენილ სხეულებს შორის და ნაცნობ სახეს ეძებდა. ქალი კი არა და არ ჩანდა. სამშვიდობოზე რომ გავიდა მერეღა მიხვდა, რომ სულ ტყუილად ირბინა. ძნელია ვინმეს მოძებნა, როცა თავად ცდილობ დამალვას...

* * *

სხვების დაუხმარებლად მოძებნა მშობლების სახლი - დიდი, ჭერმაღალი და... ცარიელი. წითელი აგურით აშენებული, კრამიტით გადახურული და მერეღა გახუნებული, გზის პირას იდგა. გასაღები არ ჰქონდა, არც მეზობლებში მოუკითხავს, თუმცა კარის გაღებაზე ბევრი არ უწვალია. წლების განმავლობაში შენობის შიგნით მზის სინათლესთან ერთად პირველად შეიხედა ადამიანმა. ყველა ოთახი, სხვენი და საღებავაცლილი ფანჯრების კუთხეებში გაბმული ობობის ქსელიც კი ცარიელი იყო. იატაკიც სიცარიელის ციურ მანანას - ხორბლისფერ მტვერს დაეფარა...

გარეთ გამოვიდა, სადაც მეტი ჰაერი და ნაკლები სიცარიელე იყო. დაინახა, რომ ფოლადის მავთულით შემოკავებულ გარემოს არათანაბრად გაზრდილი ბალახი მოდებოდა. მაშინ კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ მერეღა თქვა ბევრი თვე რომ გავიდა, უსინდისო დალაქის გაკრეჭილს ჰგავდაო.

დავეთანხმე. კარგად მახსოვდა, მისი მშობლების მოუვლელ ეზოს ალაგ-ალაგ ჭაღარასავით რომ ეყარა ალუბლის ყვავილები.

წინ მიდიოდა და ხმას არ იღებდა. სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, მის გულში კარგი არაფერი ხდებოდა.

- ძაან დაიგვიანე, - ვუთხარი მშობლების საფლავთან ჩამომჯდარი რომ ვნახე.

მდინარის გაღმა წყალდიდობის შემდეგ კენტად დარჩენილი ვერხვი შრიალებდა. ქარის ყოველ დაბერვაზე თვალისმომჭრელად უელავდა თეთრი სხეული.

გამარჯვებულებს უჭირთ დაბრუნება და ჩემი რატომ გიკვირსო, თავი იმართლა.

- ეს არის ჭრელი ეკლესია? - მოულოდნელად მოცოცხლებულმა საფლავებს შორის ჩადგმულ პატარა საყდრისკენ გაიშვრა ხელი.

- ეგაა, - თავს ვუქნევ, - ოღონდ ჭრელი არა, მჭრელი!

- მჭრელი?

- ყაჩაღები ნაძარცვის გასაყოფად ამ საყდარში შესულან. მზის ამოსვლამდე თურმე ყველა მათგანი დაბრმავებულა!

- ახლაც ჭრის?

- ვერ გეტყვი, - მხებს ვიჩეჩავ.

მოუვლელ საფლავთან ვჩერდებით. ხის ჯვარი ჯერ კიდევ ნედლია, ღობედ კი ვენახებიდან მოპარული ბეტონის ოთკუთხა ბოძებია გამოყენებული. სახელისა და გვარის ამოკითხვას ცდილობს...

იქვე მესერზე სარეკლამო აბრაა დამაგრებული. "ვაკეთებ საფლავის ზაბორებს. ყარაულის ბუტკაში იკითხე იაშა ჯაჯანიძე". - ხმამაღლა ვკითხულობ, ის კიდევ მდინარის გადაღმა კენტად დარჩენილ ვერხვს მისჩერებია, ქარის ყოველ დაბერვაზე რომ გადათეთრდება ხოლმე.

- ნახე, როგორ ელვარებს, - ხელს იშვერს აღელვებული, - თითქოს ქვრივმა ქალმა მუცელი გამოაჩინაო...

- ლამაზია! - ვამბობ და მეც მდინარის გაღმა ნაპირს ვათვალიერებ.

- მაგრამ რად გინდა, - მაწყვეტინებს, -- მოვარდება გაზაფხულზე ადიდებული მდინარე და ჩაითრევს, ზღვისაკენ გააქანებს, თითქოს არც არსოდეს ყოფილა...

თავს ვუქნევ, ვერ მხედავს, მაგრამ მაინც...

დაურ ნაჭყებია

მალე შემოდგომა დადგება...

მე მკვდარი ვწევარ... უმოწყალოდ მცხუნვარე მზის ქვეშ, სოხუმის ჩრდილოეთით მდებარე მთის კალთაზე. ასე, მიწასმიუბარებლად წოლა კარგა ხანს მომიწევს: არც ისე მალე დადგება ომში დაქანცულობის გამო ჩამომდგარი სიმშვიდე, როცა ცხედრების გაცვლა-გამოცვლა დაიწყება. შეტევა ახალია, ენერგიული. სოხუმი ჯერაც არ არის აღებული, გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობს.

ტყვია თავში მომხვდა. საშინელ უკუნში დავიწყე ჩაძირვა, ბნელში გახვევა. ამ ციცაბო სავალზე შემდგარმა სულმა კუთვა დაიწყო, ცოტაც და აქვითინებასაც აპირებდა, მაგრამ სულმოკლეობის ცრემლიანი გაურკვევლობა უმალვე დასრულდა - მე მოვკვდი.

საწყენია, რომ ტკივილი საერთოდ არ მიგრძვნია. ტკივილი - არსებობის დამადასტურებელია - ცოცხლობ მანამ, სანამ გტკივა. აქ კი, პირქვე დავემხე მსხვერპლს დაცემული მხეცივით და გავსრესე უღრმესი წყვდიადი... უშველებელი ზომის ტკივილმაც გვერდით ჩამიარა. ერთი სიტყვით, იღბლიანი სიკვდილი იყო: მყისიერად ჩამაქრეს ყოველგვარი საიმედოდ მბჟუტავი გართულებების გარეშე. მე - მკვდარი, მთელი ჩემი დამუნჯებული პირის უხმო ყვირილით ვცდილობ მოგაწვდინოთ ხმა: "ნუ დაიჯერებთ, რომ იღბლიანი სიკვდილი არსებობს! იგი მშიშრებმა და გულსუსტებმა გამოიგონეს. არა არის რა ბედნიერ სიკვდილზე მწარე!"

ზაფხულის მთელი გრძელი დღის მანძილზე მზის კვალს მივყვებოდით. იგი ხან დაიმალებოდა მაღალი ხეების უზარმაზარი ტოტების უკან, ხან ფოთლებს შორის გამომტყვრალი სხივების ჩქერთა ჩიწჩხვრებით გვაბრმავებდა; ხანაც კიდევ, საერთოდ, გვეკარგებოდა. ხშირი ფოთლებითა და გორაკებით დაფარული ტყე დაძაბულად აკვირდებოდა უხმაუროდ და ფრთხილად მოძრავ ადამიანთა ჯგუფს, უკმაყოფილო გადაჩურჩულება ჩვენი ამოძრავებისთანავე წყდებოდა, რათა შემდეგ უკანა რიგში გაგრძელებულიყო.

გაუთავებლად მივდიოდით. მზე უკვე კარგად იყო ამაღლებული, ტყე კი არა და არ მთავრდებოდა. ის თითქოს კაშკაშა ნათელს გაემეჩხერებინა, სიცხისგან გაყუჩებულიყო და ახლა მხოლოდ მისი ზანტი ჩქამი მოგვჩანჩალებდა კვალში.

დავიღალეთ, ოფლში გავიწურეთ, ზურგზემოგდებული ტვირთი მიწისკენ გვეზიდებოდა. კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევდა სიარული, არავინ უწყოდა. მეგზურს - შავგვრემანი, მოღიმარი სახის ბერძენს - მხოლოდ მისთვის ნაცნობი, გველივით დაკლაკნილი ბილიკებით მიჰყავდა ადამიანების ჯაჭვი არაკეთილმოსურნე ტყის წიაღში და ფარული უკმაყოფილება მატულობდა ჩვენს გულებში; იშვიათი შესვენების წუთებში ბევრი ჩვენგანი ალმაცერად უყურებდა მას. მხოლოდ რაზმის მეთაური, მისი სქელშუბლიანობისა და გონებრივი საძრაობის სიზანტის გამო ხისთავად წოდებული, შველოდა, რადგან მდუმარედ და დანდობილად მისდევდა კვალდაკვალ ფეხმარდ მეგზურს. და ჩვენც, მათი შეთანხმებული მოძრაობით მონუსხულები, მივყვებოდით შეუწერებლად.

ტყეში ბინდი მეფდებოდა. ხეთა კენწეროებიდან ჯერ კიდევ კიაფობდა ნათელი, ქვევით კი წყვდიადი დედდებოდა მდორედ, არე-მარეს ტბორავდა. ცა ქრებოდა, ტყეც მოიქუფრა - იგი იმ უცნაური ბგერებით, იდუმალი ხმებით გაივსო, სხვადასხვა მხარეს მოფუსფუსე არსებები რომ გამოსცემენ.

ხანგრძლივი და დარეცილი სიარულის შემდეგ მდინარესთან აღმოვჩნდით. შვებით ამოვისუნთქეთ... დასავლეთისაკენ დაქანებული სინათლის უკანასკნელ გაელვებასღა მივუსწარით. მზე ახლა, თითქოს უზარმაზარი წითელი ბურთიაო, ზარმაცად ნებივრობდა ზღვის თავზე, ან იქნებ, ჩასვლაც მოესწრო უკვე.

ცივმა წყალმა გამოგვაფხიზლა; მდინარემ ჩამოგვრეცხა, ჩამოგვაცილა დაღლილობა, გაღმა ნაპირზე გამოცოცხლებულები, შემსუბუქებულები გავედით, ახალი ძალ-ღონით აღვსილები.

როცა მდინარე ცივად მოჩხრიალე სამანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწვა ჩვენს შორის, ტყეს ვუწვდინე მზერა. ბნელი, ნისლის ფუმფულა ქულებით ცერად აჭრილიყო ცისკენ, ერწყმოდა მას. ტყე ბურანში ეხვეოდა, ძილს ეძლეოდა, გვივიწყებდა. ნაღველმა მომიცვა, ტყემ სადღაც ღრმად ჩამმარხა - მხოლოდ ერთი დღე დავყავი მასთან! - თავისი უკიდეგანო მეხსიერების კუნჭულში. ვინ იცის, მეღირსება კი, ოდესმე კიდევ ერთხელ მის წიაღში დაბრუნება.

ცის მორევში რიგ-რიგად - ჯერ დიდრონი, კაშკაშა, შემდეგ მათ შორის მიმოფნეულად, ჯგუფურად და კენტ-კენტად, მცირე ვარსკვლავებიც ამოტივტივდნენ: ცა მოციმციმე ბუშტუკებით იბერებოდა.

მდინარის ცივი ხმაური ავსებს ღამეს; მაგრამ ჟამიჟამ - რომელიღაც ძილგამკრთალი ფრთოსნის ყივილი მოისმის და - ტანში გცრის. სუნთქვაშეკრული ელოდები, როგორც ტყვიას, როდის გაგონებ მის ველურ გოდებას ხელახლა. მაგრამ უკვე სიწყნარე სუფევს: შეუკავებელი ძახილი ისევ ჩაუნთქავს იმ უფსკრულს, საიდანაც სულისგამყინავად მოვარდა იგი.

ხანმოკლე შებრძოლების შემდეგ მაღლობი დავიკავეთ; მტერმა დაფანტულად დაიხია აღმოსავლეთით, სოფლისაკენ, კილომეტრნახევარში რომ მდებარეობს.

სამი ჰაუბიცა, უკანასკნელი კვირის მანძილზე რომ სისხლი გაგვიშრო, არაფერში გამოგვადგა: ჭილზების უმრავლესობა გამოცლილი ეყარა. მოწინაალმდეგის დასაფრთხობად, ასევე სასეიროდაც, ლულები სოფლისკენ მივმართეთ და სროლისთვის მოვემზადეთ. მეთაურმა, სხვა ყველაფერთან ერთად, იუმორთანაც მწყრალად რომ გახლდათ, ერთი ჩაიღრინა სულელური საქციელიაო, მაგრამ ხელი არ შეუშლია; დაე, იანგლოს ჭკუადაუმჯდარმა ბიჭ-ბუჭობამ!

სოფელი ამგვარი აშკარა საფრთხის გამო მოიბუზა, გაუკაცრიელდა: სულიერის ჭაჭანებაც აღარაა ქუჩებში, ყოველივე მომაკვდინებელ შიშს შეუბოჭავს. ქარიც კი, ადრე შვებით რომ დაბორიალებდა შუკებში, ეზოებსა და ბაღებში, უცებ სადღაც შორს უკვალოდ გაქროლდა.

სოფელი დაცარიელდა - ჯერ გაუბედავად, თითო-თითოდ გარბოდნენ, შემდეგ ხმაურით და ერთიანად. ბრბო შიშს ჰყავდა შეპყრობილი, წამდაუწუმ ფეთქებოდა პანიკის ნაღმები.

შორეული აფეთქებებისა და ეული, ნაღვლიანი გასროლის გარდა არაფერი არღვევდა ირგვლივ გამეფებულ დუმილს. მხოლოდ სმენის დაძაბვით შეიძლებოდა იმის გაგონება, თუ როგორ წკრიალებდა მზიანი დღე. ომი თითქოს არც ყოფილიყოს, იგი მახსოვრობის გაუხილავ ნაწილში ჩაიკარგა, მის მტკივნეულსა და სასტიკ საუფლოში.

ღამის თავსხმის შემდეგ დამდგარი ხვატი ისევ სიგრილემ შეცვალა, და ჩვენ მივხვდით, რომ ზაფხული იწურებოდა. რამდენიმე მზიანი დღის შემდეგ ისევ დაცხებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ უნიათო აჩრდილიღა იქნებოდა ზაფხულის გამთანგავი სიმხურვალისა; დამცხრალი, ჭკნობაშეპარული და ამის გამო სიბრძნეშემდგარი სიცხე დადგებოდა. სინათლეც აღარ არის იმდენი, სამყაროც აღარ იძირება დამაბრმავებელ ათინათებში, ყველაფერი მკვეთრდება. აფხაზურ შემოდგომაზე ქვეყანა ჩვეულებრივი ხდება და ჩვენც ისე ვგრძნობდით თავს, როგორც არასდროს.

სამყაროს გულისშემაღონებელი სიჭრელე, ყვითელი სიკვდილის გაბატონება...

შორს გულგრილად იწვა ზღვა. მის უზარმაზარ სხეულში უკვალოდ ქრებოდა მიწის ტკივილი, მიმოქცევის სამანსმილმა იგი განურჩევლად, ბუნდოვნად იკარგებოდა მრუმე წიაღში, სწორედ ისე, როგორც ტყვია ცივდება წყალში, ჩლუნგდება, კარგავს მომაკვდინებელ ძალას. ზღვა გრილი იყო და იქიდანაც აფხიზლებდა ჩვენს დასიცხულ მაღლობს. მისი გლუვი ზედაპირი დაბინდული მრუდით მთავრდებოდა, იქით კი - ცის კედელი აღმართულიყო...

მე ვგრძნობდი გრძელ და გასხივოსნებულ ლარს, დაუსრულებლად რომ მიემართებოდა წარსულის წყვდიადიდან ჩემი წინაპრების სხეულებისა და სულების გამოვლით. იმ პირველქმნილ თესლში, რომლითაც ჩემმა უშორესმა წინაპარმა გაანაყოფიერა თავისი ცოლის წიაღი... მე უკვე ვრჩებოდი იქ, ვიყავი ყველა ურთიერთბრძოლის, ტკბილი არაქათის გამოცლის თანმიმდევარი ღამეების მოწმე: უთვალავგზის შემანთხევდნენ ცხელ ნაკადად ჩემი გვარის მამაკაცები ქალთა საშოს წყვდიადში. ასე იწყებოდა უკვდავება. მათგან შორეულნი უსახელონი არიან, ახლოს მდგომები კი - თამბეი, შარდინი, ბარდღუ, ხუნა, კადირი, სანდრო - ჩემში, ჩემით ცოცხლობდნენ. ისინი უკვე აღესრულნენ, ეს მიწა შეიმოსეს, მისი საბურველი; არც ჩემი ბედი დაშორდა ჩემი ქვეყნისა და ხალხის ხვედრს. მე ჩემი სისხლით ვანაყოფიერებ ამ მიწას, რათა მან უკვდავება შვას.

ავტომატს ჩახუტებული ვწევარ, მისი მიზანსწრაფული ტყვიის სული ჩემთვის სიცოცხლეშიც სასიამოვნოდ მიმზიდველი იყო. მე ხომ ესღა მოვასწარი - ნამდვილი სიყვარულით მხოლოდ იგი შემყვარებოდა. მე ვერ მატყუებდა ავტომატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცივე ჩვეულებრივ მდგომარეობაში, ვიცოდი, როგორი ენებიანი ხდებოდა იგი მოქმედებისას.

როგორ ენატრობდი მას ომის პირველ დღეებში! როგორი დაუფარავი შურით მშურდა მათი, ვისაც ის უკვე ჰქონდა! ასეთები მცირენი იყვნენ. უმრავლესობა, როგორც მე, ნაღვლიანი და ანთებული თვალებით მიმოდიოდა ეშერასა და გუდაუთას შორის. მეც მოუთმენლად დავწრიალებდი, ერთადერთი სურვილით, როგორმე მეგდო ხელთ ავტომატი. ომის მეათე დღეც მოსულიყო, მე კი უავტომატოდ - უმწეოდ დავეხეტებოდი ეშერის მტვრიან შარაგზებზე; სიგარეტით გაბოლილ და ხმაურით აღსავსე "ნოვოსტებიან" და "ვესტებიან" თავყრილობებზე ტელევიზორებთან, გუდაუთის დასასვენებელ სახლებში, როცა მიუკერძოებელი დიქტორის ყოველი სიტყვა იქვე პოულობდა გაგრძელებას თავბრუდამხვევი მოცულობის ათასგვარი ქვეტექსტური მოსაზრებით - ომის დაუყოვნებელი დამთავრებიდან და აგრესორის დასჯიდან დაწყებული, სამშობლოდან ჩვენი განდევნით დამთავრებული... ო., ის პომიდვრიანი, მწირი სადილები იმავე დასასვენებელ სახლებში, სადაც ჩვენ, სოხუმიდან დევნილები ჩაგვასახლეს...

მაგრამ მე მალე ვიშოვე ავტომატი. ერთი ჩემი ნათესავი, ომის პირველი დღეებიდანვე შტაბში რომ მოკალათდა, დაჟინებული ხვეწნის შემდეგ შემპირდა - ერთ ჩეჩენს მოველაპარაკებიო. ჩეჩენმა ორასი დოლარი მოითხოვა. მე მხოლოდ ასის შოვნა შევძელი. ვხვდებოდი, რომ "ჩეჩენი" - გაიძვერა ნათესავის გამონაგონი იყო, ავტომატი მასვე ეკუთვნოდა. მაგრამ ეს არ მაღელვებდა. ნათესავი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მთელი თანხის მიტანა ვერ შევძელი და მიჩიჩინებდა უარი მეთქვა განაზრახვაზე, მარწმუნებდა - სადმე შტაბში გამოგინახავ უხიფათო ადგილსო. მე არ გავტყდი და ჩვენს ნათესაურ კავშირზე ვამახვილებდი ყურადღებას. "შტაბისტი" ყოყმანობდა, "მარადმწვანე" ასიანი, მისი შრიალი იზიდავდა. ბოლოს, ნათესაურმა გრძნობამ მაინც სძლია სიხარბეს და მითხრა, რომ შეეცდება ჯიუტი "ჩეჩნის" დაყოლიებას. ასეც მოხდა... დარჩენილი ასი დოლარი ვალში ჩამიწერა. თუმცა, იმთავითვე ჩამომართვა სიტყვა, რომ ვერცერთი, ჩვენი ნათესავთაგანი, ვერ გაიგებდა ამის შესახებ. გოგოებმა "ლიფჩიკი" შეიკერეს. თავი მწვანე არშიით წავიკარი და დიდხანს ვიდექი სარკის წინ, საკუთარი გარეგნობით აღტაცების დაფარვას ვერ ვახერხებდი. არა, იმწუთშივე გუმისთაზე არ გავქცეულვარ: დიდი ხნის ნაწადინები სურვილის მოულოდნელმა ახდენამ მომადუნა და ორი დღის მანძილზე ავტომატსჩახუტებული და გაოგნებული დავაბოტებდი გუდაუთის ქუჩებში, საკუთარი ბედნიერებისა არ მეჯერა, სანამ ერთმა შაოსანმა ქალმა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი სიტყვებით ცივი შხაპი არ გადამავლო: "უსაქმურად ყიალს გერჩია, საომრად წასულიყავიო!" მყისვე გამოვფხიზლდი და წინახაზს მივაშურე.

მას შემდეგ სიამის ტყუპებივითა ვართ; მე ის არასოდეს მავიწყდებოდა, მისი კანის გველისებური სიცივე კი გულს სითბოთი მივსებდა.

მეორე დღეა, ჩემს თავზე ამოდის და ჩადის მზე. უმოწყალოდ აცხუნებს. გახრწნა დავიწყე, ირგვლივ აუტანელი ყროლი დგას; მალე მძორად ვიქცევი. იმ დროისათვის, როცა ჩემს ცხედარს მოძებნიან და სხვის ცხედარზე გადამცვლიან, მატლები შეჭამენ ხორცს, ჩონჩხილა შემრჩება. ბუზები ბზუილით დამტრიალებენ, უმეტესობა სახეზე დაცოცავს. მატლები უჩუმრად აკეთებენ თავიანთ საქმეს, ჯიუტად და საფუძვლიანად, ლუკმა-ლუკმა ნთქავენ ჩემს რბილობს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ მატლები უბრალოდ როდი მიღრღნიან ხორცს. მათ აკურატულობასა და აუჩქარებლობაში თითქოს მთელი მარადისობაა წინ და სხეულიც უსასრულოა. მათ მონდომებაში - სავსებით ამითვისონ - გამოსჭვივის რაღაც პატივმოყვარეობის მაგვარი, მაძიებლური. ალბათ, ჩემს სულს დაეძებენ, რათა ისიც ჩანთქან! "სადღაც აქ უნდა იყოს, ლორწოებსა და წვენს შორის, სისხლძარღვების ლაბირინთებსა და გვირაბებში, გვამის ხეობებსა და გორაკებში... ვერსად წაგვივა!".. და ასინი ეძებენ, ეძებენ: გულის რბილ პარკუჭებში, ჭანჭლების დაჭმუჭნულ თოფრაკებში, სადაც მათი ბლაგვი დამწიფებული კვერცხები აწყვია, ყორნისფრად დაფერილი თმის ხვეულებში...

ადამიანში ყველაზე ნუგბარი ხომ მისი სულია.

სისხამზე დაბომბვა დაიწყო. მიწა ველური, გაუხედნავი ცხენის ზურგივით აძიგძიგდა. ქართველებმა გადაწყვიტეს გორაკის კორტხლი გადაეთხარათ და ამ ლაფში ჩავემარხეთ. "სუშკების" ვერცხლისფერმა სხეულებმა ჩვენს თავზემოთ ცა დასერეს და დამიზნებით დაგვიშინეს "ნურსები." მალე შვეულმფრენებიც გამოჩნდნენ. ჩვენ ვწევართ, მიწაზე გართხმულები და ველოდებით, როდის გადაგვიცხრილავს ბეჭეს ტყვიამფრქვევის ჯერი და გამჭოლ, მომაკვდინებელ ნაკვალევს დაგვიტოვებს.

შემდეგ მაღლობს ტანკებმა შემოუტიეს. აი, მაშინ გაჩაღდა ორთაბრძოლა. მე ვგრძნობდი იმ ადამიანის ნეტარებას, თავდავიწყებაში რომ მიაქანებს უშველებელი თბილი ნაკადი, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. რაღაც მძლავრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძგერა თავში და მე გავთავდი... მე მოვკვდი.

სიკვდილთან პირველი შეხვედრები იმით მაოცებდნენ, როგორ უდრტვინველად იტანდნენ მას გარდაცვლილები. ისე მოკრძალებით და მდუმარედ იწვნენ იმქვეყნიურ საფიქრალს მიცემულნი, რომ მეჩვენებოდა, სულ ოდნავი მცდელობა და ისინი - შემბოჭველ ყინულს დაამსხვრევენ, გარშემომყოფთა სასიხარულოდ და ამავე დროს თავზარის დასაცემად და წამოდგებიან-მეთქი! გაუგებარი ხდებოდა გარდაცვლილთა გულგრილობა და სიზანტე. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რამდენად ძლიერია სიკვდილი, როგორი მარწუხებით ბოჭავს იგი ადამიანს. მე ახლა მთელი დედამიწის, ან დედამიწის კი არა, მთელი სამყაროს ძალაც ვერ გამანძრევინებს თუნდაც ერთ თითს. ჩემში ყველაფერი დადუმდა... ჯიუტად, მყარად და უკვე სამუდამოდ: ამიერიდან ვერაფერი შეძლებს ჩემს ისევ ამოქმედებას.

ბოლი და მტვერი მოედო იქაურობას, ღრჭიალი, გრუხუნი; ტანკები გორაკზე დაძაბული თუხთუხით ამოდიოდნენ. ოდნავ რომ დავწეულიყავი - ტყვია გაბნილებული ჩამიქროლებდა გვერდით, და ცოცხალი დავრჩებოდი...

გარდასახული თვალები, ყურები, ხელები, ფეხები - ჯერჯერობით სულ ესღა შემრჩა და კიდევ - ტვინი, ჩვევის გამო რომ განაგრძობს მთელი ამ მწირი მეურნეობის მართვას. სული კი გამაოაზიზებელი, მომადუნებელი ზემოქმედების შედეგად - სადღაც განზე გამდგარა, ყოვლად უსარგებლოდ ქნილა. სიცოცხლის უკანასკნელი ნიშატის მცირე და ნაღვლიანი გაჩუჩუნება შენში, და აღსასრულიც დგება, იმ წამიდან უკვე ცხედარი ხდები. შენკენ საშინელი სისწრაფით მოექანება ლითონის ნაჭერი, მაგრამ შენც იგივე ლითონი ხარ, ოღონდ, რამდენადმე რბილი, დამთმობი. ტყვიები გუნდურად დაუსრულებლად ზუზუნებენ... დამხვდური კი ჩვენი მოწყლადი, დაუოკებელი სულისაგან განტევებული სხეულია და უეჭველი შეჯახების ტკივილი გაიძულებს დაუბრუნდე სიცოცხლეს, გიღვიძებს სულს. დამახინჯებული, დაჩეხილი სხეულები ისევ ივსებოდა სიკვდილის მოუცილებელი, ძველისძველი შიშით. მანამდე კი, იმედის უფლებაც არ გაქვს, იმედი - ყოვლადუსარგებლო ტვირთია ჯარისკაცისათვის. მე პირველი დღეებიდან დავემშვიდობე მას, მივკარგე სადღაც, წარსულში, როგორც წარღვნამდელი, გადაშენებული გრძნობა.

მიწაში მაინც ჩავემარხე ვინმეს! ღრმად ამოთხრა ისედაც არ მოუწევდა. მიწაც გაქვავებულია; მესანგრის ნიჩბით მოფხოჭნიდა ზედაპირს და აი, ესეც შენი საფლავი! როგორმე ნეშტი დაიფაროს: არ ვარგა, როცა მძორი ღია ცისქვეშ ყარს, სიკვდილის ამგვარი სიშიშვლე საერთო სურათს ამახინჯებს.

მეც მერჩია, სხეული მიწის წიაღის ბნელ სიგრილეში მქონოდა ჩაფლული. მდინარეზე გადმომდგარი გორაკი - ჩვენი საგვარეულო სასაფლაო: ჩემი წინაპრები, სიცოცხლესთან ანგარიშს რომ გაასწორებდნენ, იქ აჰყავდათ თავმოქაჩლებულ მეზობლებსა და დამწუხრებულ ნათესავებს; იქ გაჭრილია მიწის წიაღისკენ ჩასასვლელი კარიბჭე.

სახლიკაცთა ძვლებს შორის წოლა, მშობელ მიწაში ჩაშრეტა და მის ნაწილად ქცევა - რა შეიძლება იყოს უფრო სასურველი! ეჰ, რა შორსა ვარ იმ სანეტარო გორაკიდან, რა უმოწყალო არიან მზე და მატლები! თეთრი ძვლების გროვა - აი, რას ჩანთქავს გულგრილად ის გორაკი ოდესმე; ძვლებიც ეულად და გაუცხოებულად ჩაიყრებიან მასში, საკუთარი, უკვე გამდნარი ხორცოვანი გარსის გარეშე, რომელიც ამ მიწასთან შემაგუებელ ხსოვნას ინახავდა.

ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო, არავითარი ყოყმანი, ორჭოფობა; ამის მიუხედავად, ომის ყოველი ახალი დღის შემდეგ ჩემს წიაღში ათასობით ღამეზე მეტი წყვდიადი ისადგურებდა, ჩემში უსასრულო ბნელეთი იღვრებოდა. მაგრამ მე ვიცოდი, რომ სადღაც არის ნათელიც და ეს ნათელი ომის დამთავრება და მშვიდობაა. ძალიან მინდოდა როგორმე თავი იქამდე მიმეტანა, რომ მკვდრადშობილ ნაყოფად არ ვქცეულიყავი. ჩემში ჩაღვრილ, სიღრმეში ჩაკარგულ სულს რომ ამოეყვინთა, უვნებელი, ფაქიზი დამბრუნებოდა. მინდოდა ამისი დაჯერება. ვცდილობდი სამშვიდობოას გამეთრია ხორცისა და ძვლებისგან ახორხლილი სხეული, მერე სულიც აღმოცენდებოდა როგორმე.

ჯობდა ტკივილს გაემწარებინა სული, ვიდრე აღსასრულს. მაშინ სიკვდილს კარგა ხანს მოუწევდა ადგილის ტკეპნა მჭიდროდ დაგმანულ კარიბჭესთან, რომელსაც ჩემს მიერ გაუვლელი წლები და განუცდელი ტანჯვები სიმყარეს შემატებოდა.

მალე შემოდგომაც დადგება...

1997

თარგმნა
გურამ ოდიშარიამ

სერგო ნურნუმია

დამსხვრეულ ციის ბინადარი

ციკლიდან: ორი დაბრუნება



დოროთე მესხია ასაკოვანი კაცი იყო, როდესაც აფხაზეთის ტრაგედია დატრიალდა და იძულებული შეიქნა თანაკუთხელებთან ერთად გამოქცეოდა სისასტიკის განუკითხავ პარპაშს. წლობით გარჯა-შრომაში აშენებული სახლი და ბაღნარად ქცეული ეზო-კარის მიმტოვებელს თავდაპირველად უკვირდა კიდეც, პირში რომ სული შერჩა და იმასაც სინანულით დააყოლებდა, ნეტავი გადამთიელის ტყვია მომწეოდა და იქვე გავეთავებინე, სხვის კარზე სამადლოდ გდება და ამგვარი გაუსაძლისი ყოფა არ მღირსებოდაო. დევნილობის წლების მანძილზე რა გასაჭირი არ გადაიტანა ოჯახთან ერთად, ქვეყნის რომელ კუთხეში არ იხეტიალა, ვიდრე აქ დამკვიდრდებოდა. ენგურსგამოღმა გალოკილი თითივით გადმოვიდა, როგორც იტყვიან, არც სანათესაო გააჩნდა აქეთ და არც სამეგობრო. ამდენად, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი რომელიღაც ძველი კანტორის ნახევრად ამორტიზებულ შენობაში მიჩენილი ციცქნა ფართით უნდა დაკმაყოფილებულიყო. პირველ ხანებში საკუთარ სახლში ქალაქის ამღები სადამსჯელო რაზმის წევრების მიერ უმოწყალოდ დახვრეტილი მეუღლის - ფაციას სახე არ შორდებოდა თვალთაგან; გაოგნებული დადიოდა და არავითარი ნიშანწყალი იმისა არ ეტყობოდა, რომ ხვალინდელი დღისათვის ბრძოლას აპირებდა. განვლილმა თვეებმა ნელ-ნელა გაუყუჩეს ტკივილი. დარდი თითქოს სადღაც მიიჩქმალა, გულის სიღრმეში მიიჩინა კუნჭული და სხვა საზრუნავს დაუთმო ადგილი. დორო თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა, მიხვდა, რომ მისი ცალად დარჩენილი ქალიშვილისა და პატარა შვილიშვილისათვის არავინ გამოიღებდა სულს მის გარდა. თავად ისინი, სრულებით უსუსური და უმწეო ორი არსება, შიმშილისა და სიცივისათვის იყვნენ განწირული, თუკი თავად არ დაუბრუნდებოდა ცხოვრებას და უსასტიკეს რეალობას მამაკაცის სიმტკიცით არ შეეტოქებოდა. ასე იყო თუ ისე, მოეწყვნენ. ბევრი არაფერი ჰქონდათ, ჰუმანიტარული ჯამ-ჭურჭლითა და პროდუქტებით, სახელმწიფო შემწეობის გროშებითა და უფასო პურით გადიოდნენ იოლად. ბავშვი, დაბადებითვე ინვალიდი, ყოველგვარ ბავშვურ სიანცეს მოკლებული და არაბუნებრივად მშვიდი, კიდევ უფრო უკლავდა და სიბრალულით უვსებდა გულს, მაგრამ საშველი არ ჩანდა. არც ქალიშვილი იყო მაინცდამაინც ჯანმრთელი და ისიც მის იმედად უნდა ყოფილიყო მთელი ცხოვრება. დორო კარგად ხედავდა, რომ სიტუაციის სასიკეთოდ შეცვლის არავითარი შანსი არ გააჩნდა, იმთავითვე შეგუებული იყო ბედისწერას. ფაცია რომ არ დაღუპვოდა, ამ უსაშველო ტვირთის მოზიარე მაინც ეყოლებოდა გვერდით...

მეუღლის დაღუპვის ამბავი სასწაულებრივად გადარჩენილმა მეზობლის ქალებმა მოუთხრეს. უამბეს, თუ როგორ დახვრიტეს კიბის ბაქანზე ფაცია და მეზობლის ასევე ასაკოვანი ქალი ტასო შელეგია გააფთრებულმა, ადამიანის სახედაკარგულმა გადამთიელმა ბოევიკებმა, რომელთა დაუნდობლობა მრავლისმნახველ ადამიანებსაც კი გოგნებულს ტოვებდა. რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ვერავინ მიეკარა, თურმე, უგუნურთა მიერ სრულიად უდანაშაულოდ დახოცილი უმწეო ქალების გვამებს. მხოლოდ მეოთხე დღეს მიბედეს აქა-იქ სახლების სარდაფებში მიმალულმა დედაკაცებმა და რის ვაი-ვაგლახით, იქვე საკუთარი მანდარინების ძირში მიაბარეს მიწას. დორო სრულიად შემთხვევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აღმოჩნდა შინ იმ დროს, როცა ქალაქის გარეუბანი აიღო მოწინააღმდეგემ და ეს უბედურება დაატრიალა. იგი ქალიშვილისა და მისი ავადმყოფი ბავშვის გასარიდებლად გაემართა მერხეულისკენ, სადაც ნათესავების ოჯახი ეგულებოდა. ფიქრობდა, უმალვე უკან დაბრუნებულიყო და ფაციანთან ერთად სახელდახელოდ შეკრული ბარგი-ბარხანა წამოეღო, რაც მათი ვარაუდით, ახალ ადგილას დროებით მისულებს უნდა გამოდგომოდათ. დროს მობრუნება არ დაუხანებია, მაგრამ ტრაგედია უკვე დატრიალებულიყო, მოწინააღმდეგეს გამოერღვია სოფლის თავდაცვის უკანასკნელი კორდონებიც და ქალაქის გარეუბანი ისეთი მოულოდნელობით ჩაეგდო ხელთ, რომ იქ ჩარჩენილებს ვერაფრით მოეხერხებინათ გამოსწრება. თანაც, მრვალ მათგანს მომხვდურთა გულმოწყალების იმედად არ დაეტოვებინა მშობლიური სახლ-კარი. საუბედუროდ, მათი იმედები სრულიად უსაფუძვლო გამოდგა - სასტიკი ანგარიშსწორების მსხვერპლი შეიქმნა თითქმის ყველა, ვინც ვერ მოახერხა ან ვერ იაზრა საგულდაგულოდ მიმალვა...

დორო იმ დღეს კარგა ხანს ელოდა, როცა დაუძახებდნენ, აბა დორო, აიკარი გუდა-ნაბადი, აფხაზეთში მივდივართო, რადგან სჯეროდა, რომ უსასრულო არაფერი შეიძლება იყოს ქვეყანაზე და ამდენი ათასი კაცის გვემასაც ხომ უნდა მოღებოდა ბოლო. არადა, არაფრით ხერხდებოდა ამ ნანატრი დღის მოახლოება. წელი წელს მისდევდა, აფხაზეთი კი შორეული მირაჟივით კრთებოდა ჰორიზონტზე. დორო შეეგუა იმ აზრს, რომ დაბრუნება უახლოეს პერიოდში ნაკლებად იყო მოსალოდნელი და, ვინ იცის, იქნებ მისი თაობა ვერც მოსწრებოდა. ამიტომაც აღარც უგდებდა ყურს ყბედი პოლიტიკოსების ლაქლაქს, ხალხს რომ საკუთარ კერებზე უსწრაფეს დაბრუნებას, ქვეყანას კი უცილობელ აყვავებას და აღორძინებას ჰპირდებოდნენ. მისი ყოველდღიურობა სულ სხვა საზრუნავითა და ინტერესებით იყო გაჯერებული: როგორმე საკუთარი სისხლი და ხორცი გადაერჩინა. იგი ხშირი სტუმარი გახდა ქალაქის თვითმმართველობის შენობის გვერდით სკვერში თავისდაუნებურად წარმოქმნილ დევნილთა ბირჟისა, რომელიც ერთგვარი საფიხვნოს, ჰაიდპარკის ფუნქციას ასრულებდა სვეგამწარებული ხალხისთვის, ვის ცხოვრებაშიც ნაკლებად ხდებოდა მნიშვნელოვანი და ამავე დროს სასიხარულო ცვლილებები. უფრო ხშირად ტკივილის და მალული ცრემლების ყლაპვის მოწმე ხდებოდნენ იქ დორო და მისი ბედისმტე დევნილები, რომლებიც დღითიდღე უფრო და უფრო ეთვისებოდნენ ერთმანეთს და მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. მართალია, დორო ნაკლებად ერეოდა იმათ მარაქაში და ცდილობდა უფრო თავშეკავებული ყოფილიყო, მაინც უწევდა ამ კავშირების შენარჩუნება, რადგან აქ მოქმედი რომელიღაც დაუწერელი კანონის მიხედვით არ შეიძლებოდა აფხაზეთის მკვიდრი ყოფილიყავი და ამ ხალხის ყოველდღიურობა არ გაგეზიარებინა. მათთან კონტაქტი, წარსულის გაუთავებელი გახსენება და ვიშვიში, ცინცხალი ინფორმაციების გაცვლა და პოლიტიკოსთა გამონათქვამების გამო გულში მჯიღის ცემა ან მათი გაქიაქება და მიწასთან გასწორება, გარკვეულ საზომად იქცა თითოეულის აფხაზეთისადმი ერთგულებისა. აქ მნიშვნელობა არ ჰქონდა არც პროფესიას, არც თანამდებობას, არც ასაკსა და ცხოვრების წესს. აქ ყველას ერთი სახელი ერქვა - დევნილი, ვისაც თავისი კერძო არაფერი გააჩნდა ამქვეყნად, გარდა საკუთარი თავისა და ოჯახის გადარჩენილი წევრებისა. ამ ხალხს დაუსრულებლად შეეძლო ესაუბრა გარდასული დღეების შესახებ. მათ გონებას სავსებით დაუფლებოდა წარსული, რომელთაგან განშორებაც არცერთ მათგანს არ სურდა არაფრით.

დორო წლების მანძილზე უკვე შეეჩვია და შეეგუა ამ ადამიანებს. კეთილი და კარგი საქმე ბევრი დაამახსოვრეს. სიკვდილიც ხშირი იყო, რადგან იმედგადაწურული უფროსი თაობის წარმომადგენლები ვეღარ უძლებდნენ ავბედითი დროის წნეხს და რიგრიგობით ეთხოვებოდნენ ცხოვრებას, გატეხილი გული და აუხდენელი ნატვრა თან - ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი სახლ-კარისთვის - სამარეში მიჰქონდათ.

ბოლო ხანს დოროსაც შეეპარა გაურკვეველი შიში. თავდაპირველად მცირე, შემდეგ და შემდეგ ნელ-ნელა იზარდა და საბოლოოდ განგაშის ზარებად დარისხებული ახმიანდა იქ, შიგნით, დარდის ხაოთი დაფენილი სულის წიაღში: ნუთუ მასაც არ ეღირსება საკუთარ ეზოში ფეხის დადგმა, ვერასოდეს იხილავს ნალოლიავებ ეზოს, თავდაუზოგავი გარჯით აგებულ სახლს, ვერ მოეფერება ადესის თალარს, ხელს ვერ შეახებს ჩუქურთმებიან ჭიშკარს, ვერ შეაღებს პალატის კარებს და ვერ გადმოიხედავს საყვარელი აივნიდან? რაღა აზრი აქვს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლეს, თუკი ვერ აისრულებ უმწვავეს ნატვრას, რომელიც ხანჯალივით გიჩეხავს გულ-გვამს და საშინელ ქარბორბალას გიტრიალებს შიგ. ჯობდა ვაჟკაცურად შეკვდომოდა მტერს და მშობელ მიწაში ეპოვა სამუდამო განსასვენებელი, ვიდრე ასე, ბანაკს მოწყვეტილი ბოშაკაცივით სახეტიალოდ და სამადლოდ გახდომოდა საქმე.

უკანასკნელი წვეთი დროს მოთმინების ფიალაში მაშინ ჩაეწვეთა, როცა ჭიჭი შამათავას დაკრძალვას დაესწრო. მთელ ოჩამჩირეში პატიოსნებითა და სიდარბაისლით განთქმული, ყველა ეროვნებისა და თაობის წარმომადგენელთაგან პატივდებული პედაგოგი უცხო ქალაქში გამოვლილი მძიმე წლების შემდეგ გარდაიცვალა და უცხო სასაფლაოზე ეულად უნდა დამარხულიყო კიდეც. დორო დაჟინებით აკვირდებოდა კუბოში ჩასვენებული გარდაცვლილის გაქვავებულ სახეს, რომელსაც ქათქათა ჭაღარის ნათელი რამდენადმე უფერმკრთალებდა დაღარულ სახეზე დაჭდეულ ტანჯვის ნაკვალევს. დროს გონება ერთადერთ საფიქრალს დაეპყრო და დაემორჩილებინა: როგორ ნატრობდა, ალბათ, სიკვდილის წინ თავის ოჯახში, საკუთარ ლოგინში ყოფნას საწყალი ჭიჭი! განა კი ოდესმე წარმოიდგენდა ამას, თურმე რა მოელოდა, რაც განა მარტო მისი, ათასების ხვედრი შეიქნა. ეჰ, ვინ იცის მის მიერ გაწყობილ კერაზე ვინ გაიხარა, ეს კიდე... ვაი, რომ მეც იგივე ბედი მელის დღეს თუ არა ხვალ! - გაიფიქრა და თითქოს გულში ძარღვი ჩაუწყდაო, დანის განასერივით დაუარა უსაშველო ტკივილმა მკერდის მარცხენა არეში. - ამას პატრონი მაინც რჩება, როცა იქნება გადაასვენებენ საგვარეულო სასაფლაოზე და ეგეც რაღაც ნუგეშია, მე კი ან ვინღა მყავს ხურჯინივით ზურგზე მომკიდებელი. სამადლოდ ჩამმარხავენ ამ ქვაღორღიან მიწაში და სამუდამოდ დამივიწყებენ. ვინ იცის, ერთხელ იქნება, სასაფლაოც აღგავოს ჟამთადენამ მინის პირიდან, უცხო და უმინჯური საფლავის დამნდობი და შემცოდე ვიღა იქნება?.. სახსენებელიც გაწყდება ჩემი და ყოველგვარი კვალიც განქარდება ამქვეყნად არსებობისა... არა, გადაწყვეტილია, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გადავიდე აფხაზეთში! რაც უნდა მომივიდეს, მაინც წავალ, ხვალვე გავუდგები გზას...

ქალიშვილის დარწმუნება იმაში, რომ ქირით სამუშაოს პოვნას აპირებდა, არ გასჭირვებია. რამდენიმე დღეს არ ვიქნებიო, დაუბარა და ალიონზე გაუდგა გზას. ენგურის ხიდთან იმაზე მეტი ხალხი ირეოდა, ვიდრე წარმოედგინა. თუმცა, დილა იყო და გამოღმა მომავალთა ნაკადი ჭარბობდა. მდუმარედ გაემართა პირველი კორდონისაკენ. ქვეითთა ნაკადში გარეული მშვიდობიანად გაცდა ყველა ბარიერს, თუმცა გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და სული ელეოდა იმის შიშით, ვაითუ უკან გამაბრუნონო. როგორც წინასწარ ჰქონდა დადგენილი, იქვე რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით ავტობუსი უნდა მდგარიყო, რომელსაც სოხუმამდე გადაჰყავდა მგზავრები. ასეც იყო, ავტობუსი იდგა და შევსებას ელოდა. დროს თავდაპირველი დაძაბულობა ჯერაც არ განელებოდა, ხშირ-ხშირად ინმენდდა ცხირსახოცით სახეზე გადამსკდარ ხვითქს. მისდა გასაოცრად, ავტობუსის მძღოლი მისი ნაცნობი აფხაზი აღმოჩნდა. ქალაქიდან იცნობდა ამ კაცს, გამარჯობასაც ეუბნებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მეტი სიახლოვე არ ჰქონიათ. თუ მეხსიერება არ ღალატობდა, დაური უნდა რქმეოდა. თავდაპირველად შეცბუნდა დორო, ნაცნობთან შეხვედრაზე არც უფიქრია, უბრალოდ ვერ წარმოედგინა სიტუაცია, აფხაზ კაცს როგორ უნდა შეხვედროდა. დაურმა თუ ადგურმა უმალ იცნო დორო და გულღიად, ყოველგვარი მორიდებისა და დაფარვის გარეშე მიმართა, როგორც ეს ძველ ნაცნობს შეეფერებოდა. დორო ნასიამოვნები დარჩა ამ სიურპრიზით. მძღოლმა თავის ახლოს მიუჩინა ადგილი და დაძრა თუ არა ავტობუსი, გულითადი საუბარი გაუბა. დროს ეუბნებოდნენ, რომ აფხაზეთში ქართულ სიტყვას ვერ გაიგონებ, დალაპარაკებაც არ გაბედო, თუ არ გინდა უბედურება დაიტეხო თავსო. აქ კი, როგორც რწმუნდებოდა, სხვაგვარად უნდა ყოფილიყო საქმე: მძღოლმა ქართული სიმღერების კასეტა ჩადო მაგნიტოფონში და სალონი ნაცნობი ჰანგებით აივსო, თან, რამდენადაც დორომ შეატყო, ადგურისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო და არა რაიმე კეთილგანწყობის დემონსტრირების სურვილი (ასე მიმართა მას ერთ-ერთმა მგზავრმა). "ლაზის" ტიპის ავტობუსი ღმუილით მიქროდა გალისაკენ. დორო გზატკეცილის გასწვრივ ათვალიერებდა კარმიდამოებს, რომელთა უმრავლესობა უკაცრიელი იყო. სახლები ამოღამებული, ცეცხლის ენებით გამოლოკილი თვალთა ბუდეებით გასცქეროდნენ სივრცეს. გაახსენდა, როგორ დუღდა აქ სი-

ცოცხლე, სანამ ომის მსახვრალი ხელი შეეხებოდა და მოსპობდა მშვიდობიან თანაცხოვრებას. რამდენჯერაც ამ ადგილებში გამოუვლია, იმდენჯერ სიხარულითა და კმაყოფილებით აღსავსე დარჩენილა. ეჰ, ომი რომ არა, ეს მხარე მართლა სამოთხედ მოეჩვენებოდათ... ადგურიც სწორედ ამაზე ესაუბრებოდა. გაუჩერებლად ერთსა და იმავეს უმეორებდა: რა ეშმაკმა დაგვრია ხელი, როგორ შეძლო შავმა ძალამ ჩვენი, საუკუნოვანი ნათესავებისა და მეგობრების გადაკიდება, ხელში იარაღი როგორ აგვაღებინეს და ცეცხლითა და მახვილით ერთმანეთზე როგორ წაგვაქეზეს, ან ჩვენ თვითონ რაღამ დაგვიბნელა გონება, რამ დაგვიკარგა თვალისჩინი, ერთმანეთი როგორ არ დავინდეთ, ხელი როგორ არ აგვიკანკალდა საკუთარი სისხლისა და ხორცისათვის ყელის გამოსაღადრავად?!. რა მიზეზი უნდა გვქონოდა, რომ ასე დაუნდობლად გადაგვებუგა ერთმანეთის სახლ-კარი, ჩვენ ხომ მეზობლები, მეგობრები, თანამდგომები ვიყავით, რამდენი საცხოვრისი აგვიგია ურთიერთდახმარებით. ასე თუ ერთმანეთს გავიმეტებდით, როგორ წარმოვიდგენდი - ადგურმა ხელი გზისპირებისკენ გაიშვირა, სადაც გადაბუგული სახლების წყება მოსდევდა ერთი მეორეს... გამოუკითხავი და გაუხსენებელი არ დარჩენიათ, რაც და ვინც საერთო ჰქონიათ თუ ჰყოლიათ წინა ცხოვრებაში. დორო ცალი თვალით კვლავ ავტობუსის სარკმლიდან იცქირებოდა და თითქმის მივიწყებულ, მაგრამ მაინც გულისგულამდე ნაცნობ ყოველ მოსახვევს, ბოძს, ხეს, ხიდს, ჩაისა და ციტრუსების უკვე ტყედწასულ პლანტაციებს მზერით ეფერებოდა. განუწყვეტელი შინაგანი ღელვა დაუფლებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ოჩამჩირეს რომ გაცდნენ, ადამიანის ჭაჭანება გაქრა. დორომ საგანგებოდ დაითვალა - კოდორის ხიდამდე სულ თექვსმეტი კაცი ნახა. სახლებიც აღარ ჩანდა. ყოფილი სოფლების ადგილი ტყეს დაეპყრო, დაებურა და გაეველურებინა ოდინდელი საცხოვრისები, ომის დაუნდობელ ხელს რაც გადარჩენოდა, ის ეკალ-ბარდსა და ბალახს წაელეკა, თითქოს უნდა, კაცთა უგუნურების და დაუნდობლობის სამარცხვინო კვალი წაშალოსო მიწის პირიდან.

დორო მთელი გზა ისე გრძნობდა თავს, თითქოს უცხო ზმანებაში ყოფილიყოს. სჯეროდა და არც სჯეროდა, რომ აფხაზეთში იმყოფებოდა, რომ ასე ადვილად შესძლო გადმოსულიყო კორდონს გამოღმა, ყოველგვარი საფრთხისა და წინააღმდეგობის გარეშე მოეღწია აქამდე და სულ მალე საკუთარი სახლის კარის შეღებას მოახერხებდა. სულ ცოტა ხნის წინათ ხომ ამაზე ოცნებასაც ვერ გაბედავდა, წარმოსახვაშიც ვერ დაუშვებდა ამგვარ რამეს, რაც მის თავს ხდებოდა, ხომ ამბობდნენ ზოგიერთები, ახლა მთვარეზე მოხვედრა უფრო ადვილია, ვიდრე აფხაზეთშიო. ვისთვის როგორ, მაგრამ დორომ რომ შესძლო სანუკვარი ოცნების ახდენა, ცხადზე უცხადესი იყო... ავტობუსი უკვე სოხუმის ქუჩებს მიუყვებოდა. კოდორს გამოღმა, მით უფრო სოხუმში შესვლის შემდეგ მზერადაქცეულ დროოს პეიზაჟის არცერთი დეტალი არ გამოპარვია, თუმცა ყოველივე ისე გამოიყურებოდა, როგორც დატოვა მან და მასთან ერთად ასეულობით ათასმა კაცმა. შენობებს აქამდე შემორჩენოდა ომისდროინდელი ნაიარევი. თეთრი ხიდიც გადაკვეთეს, კიროვის ქუჩას ორჯონიკიძისა და ჭოჭუას ქუჩები მოჰყვა და ავტობუსი სარკინიგზო სადგურის სიახლოვეს, ძიძარიას ქუჩასთან, მისდა გასაკვირად ამჟამადაც მოქმედ საზაფხულო კაფეს გაუსწორდა. დორომ მძღოლს თხოვა გაეჩერებინა მანქანა. აქედან უკვე ერთი ხელის გაწვდენა იყო სახლამდე. ადგურმა შეძლეულ ფულზე უარი განაცხადა: ჩვენებური კაცი რამდენი ხანია არ ყოფილხარ შენს ქალაქში, ძლივს მოახერხე ჩამოსვლა და ფულს როგორ გამოგართმევ, მართლა ფულით ხომ არ იზომება ყველაფერიო. დორომ დიდი მადლობა უთხრა გამხნევებისა და პატივისცემისათვის და ავტობუსიდან ჩასული ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, რათა რკინიგზის მაგისტრალის ქვეშ გასულიყო და ბაგრატიონის ქუჩას ფეხით გაჰყოლოდა. თუმცა, უკვე საღამოსპირმაც მოაწია და თანდათან ბინდდებოდა, დორო უცდომლად მიიკვლევდა გზას. აქაურობა ხომ სიყმაწვილიდანვე იცოდა თავისი ხუთი თითივით, ყოველი კენჭი იცოდა სად ეგდო, ყოველი ბუჩქი და ხე ნაცნობი და საყვარელი იყო. კიდევ ერთხელ გადაუხვია და მისი მშობლიური ქუჩაც გამოჩნდა. სიბნელე იმდენად მოსდებოდა სივრცეს, რომ ოჯახებში აქა-იქ მბჟუტავ ნათურების შუქს სწრაფად ემატებოდა ძალა. ეზოების ნაცნობი რიგი, ჭიშკრებისა და ღობეების თვალისათვის ნაჩვევი წყება... აი, სკოლის შენობაც გამოჩნდა. სწორედ სკოლის შემდგომი ეზო იყო დროოსი. აქ გაიზარდა, დავაჟკაცდა, აქვე გაიარა მისი ცხოვრების უდიდესმა ნაწილმა და რომ არა ის დაწყევლილი ომი, აღსას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულამდე აქ გაათრევდა ტკივილითა და სიხარულით აღსავსე წუთისოფელს. როგორი მახლობელი იყო ყოველი სილუეტი, ყოველი დეტალი, რომელსაც მზერა ჯერ კიდევ სტაცებდა მოძალებულ ბინდბუნდს. უცნაურმა გრძნობამ დაიპყრო დროს არსება, თითქოს სიხარულს უნდა დაეტბორა ამდენი ხნის უნახავი ჯინჯი ხატის უხილაობის შემდეგ ფესვებთან დაბრუნებული კაცის გული და ასეც იყო, მაგრამ, განა მარტო სიხარული იყო ის, რასაც ამ წუთას იგი განიცდიდა? ეს იყო ნეტარების ტკბილ განცდაში გაზავებული სინანული, ტკივილი, შიში იმის გამო, რომ ხვალ თუ ზეგ აქაურობის დატოვება მოუწევს ისევ და საცოდავად გაგრძელება უბადრუკი ყოფისა, სადღაც შორს აქედან, მისთვის აქამდე სრულიად უცხო, ვერა და ვერშეგუებულ გარემოში. სირცხვილის გრძნობაც შერეოდა განცდათა ამ ნაზავს, სირცხვილისა, ყოველივე იმის გამო, რაც თავს გადახდენოდა საკუთარი კერისა და ფუძის ანგელოზის ნებისთ თუ უნებურად დამტოვებელ კაცს. ეს გრძნობა ძალიან ჰგავდა იმ უნიათო შვილის განცდას, რომელმაც მოსალოდნელი საფრთხის გამო დავრდომილი დედა მიატოვა შარაგზაზე და მხოლოდ საფრთხის გადავლის შემდგომ, როცა უკან მიბრუნებულს მშობელი აღარ დახვდა იმ ალაგას, ეწვია გაუნელებელი სინანულისა და ტკივილის შეგრძნება.

შელეგიების ჭიშკარი და ეზო... ხინთბების... შარაბიძეების... ბოკუჩავების... კუპრავების... და დორო უკვე საკუთარ ჭიშკარს ელოლიავება გადაჩვეული ხელებით. ჯერ კიდევ არჩევს სილუეტს, ლითონის ნაცნობ ორნამენტებს, ეფერება თითოეულ ხვეულს, ჩუქურთმას, გადასწია რაზა, ჩუმად, უხმაუროდ, არ უნდა ვინმემ გაიგონოს ჭიშკრის გაღების ხმა. ჯერ კიდევ უცხოა იგი აქ, უცხოდ გრძნობს თავს ყოველივე ამის შემქმნელი და ერთადერთი კანონიერი ბატონ-პატრონი. კუპრავებისას შუქი ჭიატებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ ვიღაც უნდა ცხოვრობდეს. დროს ახლა ნამდვილად არ უნდა თავისი ფორიაქის მონმე ჰყავდეს, ვინმე შეესწროს ამ გრძნობების დაუფარავ მოძალებს. როგორც კი შეატყო კარი არ იღებაო და ხელით მოსინჯვითაც დარწმუნდა, რომ იგი რამდენიმეფა მავთულით მკვიდრად იყო ჩაგმანული, უმალვე გაშორდა ჭიშკარს და გადაწყვიტა, სკოლის ეზოს მხრიდან, კუტიკარით შესულიყო შინ. ისიც ჩახვეული დახვდა, მაგრამ აღარ მორიდებია, გახსნა ჩახლართული მავთული, გააღო კარი და როგორც იქნა თავისი ეზოს ბალახს დაადგა ფეხი. სახლამდე მისვლაში თითქოს მთელმა საუკუნემ განვლო. ოციოდე მეტრის გადალახვას უზარმაზარი ძალა დასჭირდა. თვალწინ ნელ-ნელა, ერთმანეთის მიყოლებით ცოცხლდებოდნენ მისი ოჯახის მიერ უშფოთველად, ყოველდღიურ შრომასა და დაგვაში გავლილი წლები. გადადგა ერთი ნაბიჯი... მეორე... სახლის კარიც გამოაღო და სულმოუთქმელად შევარდა შიგნით. რა ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც ეს ჰაერი არ ეყნოსა, ამ სახელურებს არ შეხებოდა, ამ კარების სითბო არ ეგრძნო, ამ კედლების სიკეთემოფენილი შუქი არ შემოფეთებოდა, ამ ფანჯრის რაფები არ გამოეღო მის ხელებს და ცინცხალი, შვების მომცემი ნიავი არ შემოეშვა ტკივილამდე ნაცნობ ოთახებში. სახლი თითქოს შინაურულადაც ხვდებოდა, მაგრამ ამავე დროს, რაღაცნაირი გაუცხოების სიცივეც ქროდა მისი მოფარღალალავებული კედლების სიღრმიდან. ყოველი ოთახი დაიარა, ყველა კუთხე-კუნჭული მოსინჯა საკუთარი ხელებით, თითქოს შენობისათვის სითბოს გადაცემით სურვებოდეს თავის შეხსენება. თითქოს უნდოდა, სახლისთვის ეთქვა, რომ დაბრუნდა, რომ ის არის - დორო მესხია, ამ კედლების თავისი ხელებით ამომყვანი და მაშენებელი. რომ ამდენი ხნის განშორების შემდეგ მაინც დაბრუნდა მასთან, როგორც უძვირფასეს და უსაყვარლეს პირმშოსთან, უკეთილშობილეს მშობლებთან, სულზე უტკბეს დედმამიშვილებთან და უსათნოეს ცოლ-შვილთან ბრუნდება ათასი წლის ყარიბობითა და მარტვილობით გულგასენილი რაინდი ვინმე. დაბრუნდა, რათა არასოდეს გაშორდეს მას, მისი კაცურკაცობის მომსწრეს და მეაიდუმლეს, მისი გარდასული უძირფასესი მოგონებების დამაუნჯველს და თანაზიარს, მისი სიხარულების, ქორწილების, ძეობების, ნათლობების, დღეობების შემსწრეს და დამამშვენებელს, მისი დიადი გლოვების, ოჯახის მზეგადასული წევრების უკანასკნელ გზაზე გაცილებების თანამლმობელს და ზარისთქმით მოქვითინეს. ახლა სულერთია დროსათვის, ვის და რატომ შეიძლება, არ უნდოდეს მისი დაბრუნება მშობლიურ სახლში, რა გადაულახავი მიზეზები მოეძევება რომელიმე მმართველს ახალი და ახალი დაბრკოლებების მოსაფიქრებლად, - ეს ყოველივე არაფერს აღარ ნიშნავს უკვე. ის შინ არის! საკუთარ სახლში, საკუთარ ჭერქვეშ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ კერაზე და არსად, არასოდეს აქედან ფეხის გამდგმელი აღარაა, მთელი ქვეყნიერებაც რომ აუჯანყდეს და შეერთებული გოლიათების ძალით მოინდომოს მისი გარიყვა. ოთახები ცარიელი იყო. არავითარი დგამი. ერთი ფეხმორყეული სკამიც კი... გული რომ იჯერა კედლების ფერებით, გარეთ გავიდა, ბეტონის ბრტყელი ნატეხი იპოვა ეზოში (თანაც უკვირდა, ჩემს დროს არ ყოფილა, მერე საიდან გაჩნდა ნეტავიო! - თითქოს მთელი რვა წელი კი არა, რვა საათი ყოფილიყოს მოწყვეტილი ამ ეზო-კარს...), შეათრია რის ვაივაგლახით და ზედ ჩამოჯდა. სიგარეტი დაადრო გარე გულისჯიბიდან, მოუკიდა და მუჭში მოიმწყვდია, ვინაცობაა, ვინმეს ყურადღება არ მივიპყრო გარედანო. თუმცა, თავადვე ხვდებოდა, რომ ეს სიფრთხილე ზედმეტი უნდა ყოფილიყო, რაკი კარგა მანძილზე გზაში არავინ შეხვედრია და ახლომახლოც არავინ დაულანდავს. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა ფიქრებში ჩაძირული და ხვალინდელი უცნობი დღის მოლოდინში ფიქრებს მინებებული წარსულში დახეტიალობდა. მრავალი წლის წინათ ეს ადგილები ჭაობნარი ყოფილა. მესხიების პეპერა სხვა გლეხებთან ერთად მოსულიყო ამ ადგილებში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში და თავდაუზოგავი შრომით ღვთისგან და კაცისგან მივიწყებული მხარე ედემის ბაღად ექცია. რუსის ხელისუფალთ ბევრჯერ მოენდომებიათ ცაქვა მესხიასა და მისი მეზობელი გლეხების აყრა ახალდანერგული ბაღნარიდან, მაგრამ გლეხკაცურ სიჯიუტეს და მიწისადმი ფანატიკურ ერთგულებას იმპერიის უერთგულესი მსახურების გულიც კი მოელბო და ისინი თავიანთ ადგილებზე დაეტოვებინათ, გარკვეული გასამრჯელოს საზღაურად, რასაკვირველია. მერე თაობა თაობას ცვლიდა, მესხიები კი აქ, ამ მიწაზე რჩებოდნენ, მძლავრად იდგამდნენ ფესვს, განიერად შლიდნენ რტოებს. დროს მამის ილო მესხიასთვის უკვე ბოლშევიკებს შემოეკვეცათ წინაპრების მიერ დანატოვარი ადგილმამული, ზოგი სხვა ხალხს რგებოდა ეზო-კარის გასამართავად, ზოგან სკოლა აეშენებინათ, ზოგი შოსეს წაეღო... დროს მამისეული ხის ძველი ოდის ადგილას ჰქონდა აგებული თავისი სახლი, ეზოც საკმაო იყო ქალაქის კვალობაზე, ადესის თალარითა და ხეხილ-ციტრუსით ჩრდილმოფენილი და ამით სავსებით კმაყოფილი გახლდათ მისი პატრონი. ეჰ, ნეტავი კი დაგვცლოდა მშვიდი ცხოვრება! ფაცია გუგუჩია შესანიშნავი მეოჯახე გამოდგა, თვალტანადობითაც გამორჩეული იყო თავის ტოლ გოგოებში. ერთგული და უსიტყვოდ გამგები ქმრის სურვილებისა. თანადგომაც ვაჟკაცური გაუწია, როცა ახალი ცხოვრება წამოიწყო, ცალი ხელით რომ მზიას ურწევდა აკვანს, მეორით ქმარს ეხმარებოდა ხე-ტყისა თუ კირ-ცემენტის ზიდვაში. ასე მოიყვანეს ცხოვრება. ასე დაფუძნდნენ და დამკვიდრდნენ სამუდამოდ. მაშინ ასე ეგონათ - სამუდამოდო... ვინ წარმოიდგენდა, ასეთი საშინელი ტრაგედიით თუ დასრულდებოდა ყოველივე. მიდიოდნენ წლები ერთმანეთის მიყოლებით. ეზრდებოდათ ერთადერთი ქალიშვილი. ღმერთმა არ ინება მეტი შვილი ჰყოლოდათ და სამწუხაროდ, არც გოგონა შეიქნა სრული ჯანისა. მაინც თავისი ბედი მოადგა კარს. გათხოვდა, შვილი შეეძინა, თუმცა, ამით დასრულდა მისი ოჯახური იდილია. მისი ქმარი, მატარებლის გამცილებლად რომ მუშაობდა იმ წლებში, ერთხელაც წავიდა შინიდან და აღარ დაბრუნებულა. აიყარა გული ცოლ-შვილზე, ვიღაც როსტოველ კახპას შეეხიზნა, როგორც შემდეგ გაირკვა... და მორჩა, ამის შემდეგ ამ ქალაქისაკენ აღარ უქნია პირი. დროროს, მართალი რომ ითქვას, ძალიან არც უჯავრია ეს ამბავი. ხედავდა, რომ სიძე დიდი ვერაფერი ბედენა იყო მაინცდამაინც, საქმეს და ხელობას გულს ვერ უდებდა, სულ სამსახურიდან სამსახურში გადარბოდა. ოჯახის მარჩენლობის არც თავი ქონდა და არც სურვილი. წავიდა და წავიდა, პირველად დროროს ოჯახს ხომ არ მოსვლოდა ამგვარი ამბავი! დროროც, ფაციაც და მზიაც მალე შეეგუენ ამას და ჩვეული უშფოთველი რიტმით გაგრძელდა ცხოვრება... საუბედუროდ, ეს მდგომარეობაც დროებითი აღმოჩნდა. მალე ომი დაიწყო აფხაზეთში და შემდეგ ყველაფერი აირია. ვინლა გაარკვევდა მტყუანს და მართალს. ადამიანებისთვის, გუშინ რომ სათნოების განსახიერებები იყვნენ, არაფერი წმინდა და საფიცარი აღარ დარჩა. ძმა რომ ძმაზე აღმართავს იარაღს, იქ რა სიწმინდეზე და ამაღლებულობაზე შეიძლება ლაპარაკი?!. დორო წუხდა შექმნილი ვითარების გამო, მაგრამ მას ან მისნაირთა თუნდაც მთელ არმიას რისი შეცვლა შეეძლო? სადღაც მაღლა მოიმართა ომის მანქანის გულქვა მექანიზმი და ახლა მისი გაჩერება, თუნდაც გარკვეული დროით დაყოვნება, აღარავის შეეძლო. უსაშინლესი მეხთატეხა დაატყდა ორივე ხალხს ომის სახით. ერთი გვარის,

ერთი ფესვიდან ამოყრილი ორი მძლავრი შტოს წარმომადგენლები ისეთი დაუნდობლობით დაერივნენ ერთმანეთს, თითქოს მათ შორის ნათესაობის, მოყვრობისა და მორდუობის მრავალი საუკუნე კი არა, გაუთავებელი მტრობა და სისხლისღვრა მდგარიყოს... მაცილი და ბოროტი დაეუფლა ადამიანთა გონებას და უკადრისი და უგვანი საქციელი ბევრს ბევრი აკადრებინა. აბა, სხვა რა იყო საწყალი ფაციას და ტასო შელეგიას დალუპვა? ვის რაში სჭირდებოდა მათნაირი უმწეო ქალების სიკვდილი. რამ გაამხეცა ასე ადამის მოდგმა! რად არ დაფიქრდა არცერთი მათგანი, რა მიუტევებელ ცოდვას იკიდებდა ზურგზე, როგორ იწამედდა სულს და სამუდამო წყევისათვის წირავდა საკუთარ თავსა და შთამომავლობას?!. ახლა, ამ უზარმაზარი მსხვერპლისა და ერთმანეთისათვის მიყენებული ტკივილის შემდეგ, ვინ იცის შეძლებენ კი ადამიანები ჩადენილი ცოდვების მონანიებას, მიახლოებას ერთმანეთის გულებთან, სამშვიდობოდ ხელის გაწვდენას, თანალმობისა და თანადგომის გამოცხადებას ერთმანეთისათვის. ვაი, რა ძნელია ერთხელ დაშვებული შეცდომის გამოსწორება, ერთხელ ჩადენილი შეცოდების გამოსყიდვა! ხანდახან თაობების გულმოდგინე მცდელობაც არ ჰყოფნის უგუნური წინაპრის მიერ ჰაიჰარად ჩადენილი დანაშაულის ურთიერთისათვის მიტევებას...დროოს თვალი არ მოუხუჭავს მთელი ღამის განმავლობაში. სიგარეტის წევაში, მძიმე და ნათელი მოგონებების მონაცვლეობაში გაატარა დრო. როგორც იქნა წავიდა დასასრულისკენ გაქორიანებული ღამე და ცისკიდური აღმოსავლეთისაკენ ოდნავ შეიფაკლა. დორომ წამოღებული სანთლები მოიძია, გარეთ, მაცოცხლებელ ჰაერზე გამოვიდა, ღრმად ჩაისუნთქა, შეფხიზლდა და მეორე სართულზე ამავალი კიბის საფეხურებს აუყვა. ნათელი მატულობდა და მასაც სწორედ ეს უნდოდა. სიბნელეში აციაგებულ სანთელს ხომ იოლად შეეძლო მავანის ყურადღების მიპყრობა. ბაქანზე ასულმა ჩაიმუხლა, ორივე ქალის სახელზე თითო სანთელი დაანთო, ღმერთს შესთხოვა ზეციურ სასუფეველში დაეკანებინა მათი ნაწამები სულები. შემდეგ წამოდგა, მუხლისთავები ხელის ერთი მოსმით ჩაიფერთხა და აივნისკენ გაემართა. ქვედა პალატისაგან განსხვავებით, ზედა ოთახებში ჯერაც დარჩენილიყო ძველი ცხოვრების ნაკვალევი. იატაკზე უთავბოლოდ იყო მიმოფანტული ჭურჭლის ნამსხვრევები, წვიმის წყლისა და სიცხისაგან გამოხუნებულ-გამოყვითლებული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ნაგლეჯები. დორო ცრემლმორეული დასცქეროდა მისი მრავალწლიანი ჯაფის წყალობით შეძენილი ქონების ნამუსრევს, უთავბოლოდ უნაცვლებდა ადგილს, ეძებდა თითქოს რაღაცას. ბოლოს მისმა ხელმა ამ ნამსხვრევების ქაოსიდან ერთადერთი საღი საგანი გამოაცალკევა და მაღლა ასწია. ეს ტოლჩა იყო. ამ ადამიანური სიხარბის ქარბორბალას მიერ დატოვებულ დომხალს სასწაულებრივად გადარჩენილი. დორო ტოლჩითურთ წყლის ონკანთან მივიდა, მოუშვა და ჟანგიანი წყლის ჭავლი თხლიშინით ჩაეშვა ბაკანში. კარგა ხანს იცადა, სანამ სითხე დაიწმინდებოდა, შეავსო სასმისი და თავისი სახლის მაცოცხლებელი წყალი პირველად იგემა ამდენი წლის შემდეგ. რამდენიმე გზობა დალია და გულიც მოიჯერა. სხვა გემო ჰქონდა აქაურ წყალსაც. ვერავითარი ჟანგი და მინარევი ვერ წარყვნიდა მას. იმ წუთას ასე ეგონა დოროს, სხვა ვერცერთი წყალი ვერ კლავსო წყურვილს ამ წყლის დარად. მართალიც იყო, მისი სულის წყურვილს სხვა ვერანაირი წყარო ვერ დაარწყულებდა ალბათ... უკვე სავსებით განათებული იყო ცარგვალი, როდესაც უკან დაეშვა კიბეზე და პირველი სართულისაკენ გაემართა.

- ვინა ხარ მანდ, სხვის ეზოში რას დაბორიალობ! - მოესმა დოროს მისთვის სრულიად მოულოდნელად მჭახე ხმა. შეტრიალდა მეზობელ, ოდესღაც კუპრავების ეზოსთან დამაკავშირებელი კუტიკარისაკენ და პირდაპირ მისკენ მომავალი, საშუალო ასაკს კარგად გადაცილებული, ხმელ-ხმელი აგებულების, პირგაუპარსავი, ხალვათად ჩაცმული მამაკაცი დაინახა. დოროს საბოლოოდ მოეშვა გულზე. დაძაბულ მოლოდინს თავის უცნობ ხვედრთან შეყრისა, ბოლო მოეღო. ამ ხვედრს ახლა კონკრეტული კაცის სახე ჰქონდა მიღებული და ამ კაცის ხელით უმზადებდა, რასაც უქადდა - ავსაც და კარგსაც.

- უცხო კი არა, ამ ეზო-კარის პატრონი ვარ. დავბრუნდი! - მიუგო დორომ და თავადვე ეოცა თავისი ხმის სიმშვიდე და დამაჯერებლობა. ღობეს მოახლოებულ უცნობს დაეტყო, როგორ აცხრობდა მის გულისწყრომას მიღებული პასუხი. თითქოს გასაკვირი არაფერი ყოფილიყოს მრავალი წლის წინათ ოტებული მოსახლის ასე მოულოდნელად გამოჩენაში. პირისახეზე ღიმილიც გაუკრთა და თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მაშ, ამ სახლის პატრონი ხართ? – თან დაფარული ინტერესით აკვირდებოდა ციდან ჩამოფრენილ მეზობელს, – გადმობრძანდით ჩემთან, ვისაუბროთ, გავეცნოთ ერთმანეთს. ჰო მართლა, მე აქ ახალი მაცხოვრებელი ვარ, ამიტომ არ გემახსოვრებით, გადმოდით, ჩემს ოჯახობასაც გაგაცნობთ...

მოვლენების ამგვარი განვითარებით საბოლოოდ დამშვიდებული დორო ჭიშკრისაკენ გაემართა. ახლა მას აღარ ეშინოდა კარიბჭის გაღებისა. ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ მისი, როგორც მეპატრონის უფლება სიტყვის შეუბრუნებლად, მეყვსეულად აღიარეს, მიუხედავად მისთვის სრულიად არაკეთილგანწყობილი სიტუაციისა, რასაც ის აქ მოელოდა. ხელის ენერგიული მოძრაობით მოაცილა მავთული, რომელიც კარს ჰქონდა დახვეული და გააღო. ფართოდ გაალაჯა ქუჩაში და მეზობელი ეზოს ჭიშკრისკენ აიღო გეზი. უეცრად საიდანღაც ძაღლი გამოვარდა. მისკენ გამოქცა და სანამ გულშექანებული კაცი რამეს მოიფიქრებდა, სიამით აწკმუტუნებული კუდის ქიცინით დაუგორდა ფეხებთან. – არა, შეუძლებელია! – განცვიფრებამ გაიჟღერა დოროს ხმაში. იგი დაიხარა და კუპრავების ბოთვერა რომ იცნო, მოულოდნელი შეხვედრით სულშეძრულმა ალერსი დაუწყო. გულში იკრავდა და თავზე, ყურებზე გაუთავებლად ეფერებოდა. ძაღლი სიამოვნებისაგან წკმუტუნებდა, თითქოს ეუბნებოდა, რამდენი ხანია არ მინახიხარ, მაინც ხომ გიცანი და გამიხარდაო. უცნობი მეზობელი გაკვირვებული შესცქეროდა კაცისა და ძაღლის ამ მოულოდნელი შეხვედრის სცენას. იგი კარგა ხანი იყო, რაც ამ სახლში დამკვიდრდა, ამ მარტოსულად დარჩენილ არსებასაც, რომელშიც სამკვიდრო ადგილთან მიჯაჭვულობას დაეძლია პატრონისადმი მისი ჯილაგისათვის ჩვეული ერთგულება, სარჩოსაც ის აძლევდა, მაგრამ არასოდეს, არცერთხელ არ უნახავს მისი ასეთი აღტყინება, ამგვარი აცერცეტება და გალეკვება. მართალია ცხოველი ეზოს არავის აკარებდა, ერთგულად დარაჯობდა მას, მაგრამ ახალ პატრონთან ურთიერთობა სარჩოს მიღებითა და სამაგიეროდ ახალი პატრონის ოჯახის წევრებისადმი გამოვლენილი ლოიალობით მთავრდებოდა. ძაღლს მასთან მეგობრობა არაფერში სჭირდებოდა და არც ეძებდა ამას. პატრონიც შეეგუა ამ უცნაურ სულიერს და არც კი გაუვლია გულში მისი სახლიდან გაგდება. მიიღო იგი, როგორც ამ სახლ-კარის ატრიბუტი, უცილობელი და სავალდებულო დანამატი. ახლა კი მის თვალწინ საოცრება ხდებოდა, ძაღლი წამისუმალ სრულიად სხვა არსებად გარდაიქმნა. სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა, მოუსვენრად ცმუკავდა და ტრიალებდა დოროს გარშემო, ზედ ახტებოდა და თათებით მკერდზე ეფერებოდა. ძაღლ-კაცის ტანდემი ერთად მიუახლოვდა ჭიშკარს. მეზობელმა კარი ფართოდ გაუღო, ხელი ჩამოართვა და სახლისკენ გაუძღვა. თან გარშემო მოუსვენრად მოტრიალე ძაღლის შესახებ გაუბა საუბარი. დორომ რამდენიმე სიტყვით აუხსნა ცხოველის ამგვარი ქცევის მიზეზი, თუმცა, როგორც ეტყობოდა, კარგად იყო ჩახვედრილი მიზეზს და ახსნა აღარც სჭირდებოდა. უცხოთა პირველი შეხვედრისთვის დამახასიათებელი სიცივეც სადღაც გამქრალიყო. სტუმარი და მასპინძელი დიდი ხნის ნაცნობებივით მოაბიჯებდნენ გვერდიგვერდ და კეთილგანწყობილად მუსაიფობდნენ. დორომ გაიგო, რომ მასპინძელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი რაიონიდან, ოდინდელი აბჟუიდან გადმოსახლებულიყო ომის შემდეგ. მას პაჭი ერქვა და ადრე ქვანახშირის მაღაროებში ემუშავა. თავადაც უთხრა სახელი და გვარი. ისიც აუხსნა საიდან მოვიდა და რა გზით. – ასიდა, გამოიხედე, სტუმარი გვყავს! – გასძახა მასპინძელმა ხმამაღლა თანამეცხედრეს და რამდენიმე ხანში კარში ქალიც გამოჩნდა. იგი მოკრძალებით შეეგება ქმრის მიერ მოყვანილ სტუმარს და თავისი დიასახლისური მოვალეობის აღსასრულებლად გაბრუნდა ყოველგვარი უხვსიტყვაობის გარეშე. ოთახში რომ შევიდნენ, მასპინძელმა მაგიდიდან სკამი გამოსწია და სტუმარი მიიპატიჟა. დორო ფანჯარასთან მივიდა და იქ დადგმულ ტაბურეტზე მოთავსდა, – ამ ოჯახში რომ შემოვიდოდი, აქ მიყვარდა დაჯდომაო, – თავის მართლებასავით გამოუვიდა. მასპინძელმა არაფერი უპასუხა. მცირე დუმილის შემდეგ მან კვლავ განაგრძო გაწყვეტილი საუბარი: – ... ახლა სადღაა ან ქვანახშირის მაღარო და ან ვის რაში სჭირდება იგი?!. ან ჩვენ კი ვის ვჭირდებით. ვინ კითხულობს, რითი და როგორ ვირჩენთ თავს, როგორ ვინახავთ ოჯახებს? ეეჰ, წახდა, კაცურო კაცო, დროება, ცუდად მიდის უბრალო ხალხის საქმე!.. დიასახლისმა ცქაფად გააწყო სახელდახელო სუფრა. კაცები ჩუმად მიუსხდნენ ტრაპეზს და საუზმობას შეუდგნენ. რამდენიმე ჭიქა ადესის ღვინოც მიირთვეს. შეუქო

ღვინო სტუმარმა დამხვდურს. ბევრ რამეზე ისაუბრეს ამასობაში დორომ და მისმა მასპინძელმა, მაგრამ მთავარზე ჯერ კრინტიც არ იყო დაძრული. პაჭიმ გატეხა ისევ ნავსი და თქვა: თქვენი ჩამოსვლა გასაგები მიზეზის გამო მოულოდნელი იყო, მაგრამ მოხარული ვარ, აქ რომ გხედავთ. არ ვიცი, რა გაქვთ გუნებაში, დარჩენას ფიქრობთ თუ უკან გამგზავრებას, მაგრამ გარწმუნებთ, თუ დარჩენას გადაწყვეტთ, ცუდ მეზობლობას ნამდვილად არ გაგიწევთ. ჩვენ ერთი უბრალო ხალხი ვართ, კეთილი ურთიერთობების მოსურნე და მოიმედე. სახლის გამართვაში ხელსაც შეგიწყობთ და არც არავის დავაჩაგვრინებთ თქვენს თავს. თანამეცხედრე თანხმობის ნიშნად მდუმარედ უქნევდა თავს მისკენ მომზირალ პაჭის. - დიდი მადლობელი ვარ, ასეთი ყურადღებისა და თანადგომისათვის, მართალია, მე კი მინდა აქ სულითა და გულით დარჩენა, მაგრამ, ჩემო კეთილო, ჩემი მდგომარეობა მომცემს ამის საშუალებას?!. - დროს სიტყვებში გულისტკივილთან ერთად წრფელი მადლიერება გამოსჭვიოდა პაჭის კეთილგანწყობის გამო. კიდევ იმის გამო იყო სტუმარი მადლიერი, რომ მის ეზო-კარს პაჭი უვლიდა და ხნარცვ-ეკალს არ აძლევდა ნასახლარად ქცევის საშუალებას. იმავე დღეს ისინი ერთად გავიდნენ გარემიდამოს დასათვალიერებლად. რამდენიმე მიმდებარე ქუჩა მოიარეს, აღარსად ჩანდნენ ძველი მცხოვრებლები. სახლების უმრავლესობა ეულად დარჩენილიყო, აქა-იქ კი სრულიად ახალი ხალხი ირეოდა ეზოებში. თავდაპირველად დროს ეხამუშებოდა უცხო ადამიანებთან გამოჩენა, ერიდებოდა, თვალში ვინმეს არ გახეროდა უშნოდ, მაგრამ შეამჩნია, რომ არავის არაფერში აინტერესებდა მისი იქ ყოფნა და დამშვიდდა.

საღამოს დორო პაჭის ოჯახში დარჩა. მეორე დილას ისინი ქალაქში გასასვლელად ემზადებოდნენ. დორომ რამდენიმე ძველი ნაცნობი მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ ისინი ჯერ კიდევ ქალაქში იყვნენ და პაჭი დაჰპირდა ყველასთან მიგიყვანო. მთელი დღე მოუნდნენ ოჯახიდან ოჯახში გადასვლას. აფხაზური სტუმართმოყვარეობითა და დროის შესაფერი პურ-მარილით ხვდებოდნენ ყველგან, პირისახეზე გადაფენილი ღიმილი და მოფერება შეაგებეს ძველმა დოსტებმა და ამხანაგებმა. ყველგან აჩვენეს, რომ მოხარული იყვნენ ძვირფასი სტუმრის მიღებით, მაგრამ... ერთი უკითხავი კითხვა და მასზე გაუცემელი პასუხი ყველგან ტრიალებდა ჰაერში... გრძნობდნენ ამას სტუმარიც და მასპინძლებიც, გვერდს უვლიდნენ მაინც, პირველი უფრორე დამხვდურთა კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, მეორენი - თავაზიანობის გამოსახატვად. თვალში თვალის გასწორება უჭირდათ მასა და მის მეინახეებს, თვალში თვალის გაყრა და ისე ლაპარაკი... დორო რწმუნდებოდა, რომ არც ისე იოლი იქნებოდა ოდინდელი სათნო ურთიერთობებისა და გულწრფელი დამოკიდებულების აღდგენა. გაჭირდებოდა მათი ერთი ცის ქვეშ, ერთ სალოცავთან თავმოყრა, ერთი ჭირისა და ლხინის გადასახდელად დაძახება, რაკი იმდენი დრო გასულიყო, ცალ-ცალკე გასჩენოდათ უკვე ჭირიცა და ლხინიც, თითოეულს მისი პატარაცა და მიწის ნაგლეჯი მოეზღუდა, თავთავისი მცირე-მცირე სადარდებელი და საშვებელი მოეხელთებინა და იმას დაჰკანკალებდა.

ქალაქის ხილვამ გამოუცოცხლა გუნება. ძვირფას ადგილებს რამდენჯერმე მიაკითხა. დაუზარებლად დააბიჯებდა მშვიდობის პროსპექტის განიერ ტროტუარებზე. კანტიკუნტად შემხვედრ ქალაქელებს აკვირდებოდა, ძალიან უნდოდა ნაცნობისათვის მოეკრა თვალი, მაგრამ ამჯერად არავის გადაჰყრია. ქუჩებს, სკვერებს, სახლებს, ძველებური იერი კიდევ შერჩენოდათ, დავინყებისათვის არ მიეცათ ოდინდელი ქალაქი, საგულდაგულოდ ინახავდნენ მის ნაცნობ სახეს. კარგა გვარიანად დაქანცული დორო და პაჭი საღამოს შინ დაბრუნდნენ. კიდევ ერთი დღე რჩებოდა დროს და შემდეგ უნდა დაბრუნებოდა თავის ახალ საცხოვრისს, დევნილობის მწარე ხვედრს, გაუხარელ ყოფას და ეთრია მისი წილი საპალნე, მანამ სანამ ტვირთის სიმძიმისაგან წელმოწყვეტილი პატიოსანი ცხოველივით არ დავარდებოდა ცხოვრების გზაშარაზე. როგორ არ უნდოდა, ახლა, შინ გატარებული ორიოდე დღის შემდეგ დაბრუნებოდა იმ დაწყევლილ ყოფას, რომლისგანაც თავმოძულებულს სიკვდილიც კი არარად მოსჩვენებია ხშირად.

ის დილა წვიმიანი გათენდა. დროს შინიდან გასვლის იოტისოდენა სურვილიც აღარ გასჩენია. პაჭიც სადღაც გაემგზავრა. წასვლის წინ გადმოსძახა საქმეში გართულს, საღამომდე არ მოიწყინო, მერე მეც ჩამოვალო და გადაიკარგა. ასიდამ სადილი ჩვეული მოკრძალებით გამოაწოდა და თავი არც ამჯერად მოუბეზრებია დიაცთა უმეტესობისათვის დამახასიათებე-

ლი გაუთავებელი ჭარტალით. მთელი დღე სახლში გაატარა. რამდენადაც შეიძლებოდა დაასუფთავა ზედა ოთახები. შემდეგ აივანზე გამოდგმულ მეზობლისაგან დროებით გადმოტანილ გასაშლელ საწოლზე მოკალათდა და ფიქრებში ხვალინდელ სამზადისს მიეცა. სადარდელმა მალე წაიღო მისი გონება. რა სწრაფად გაირბინა ორიოდე დღემ, როგორ არ უნდოდა ამ სიზმრიდან გამოფხიზლება და კვლავ რეალურ სამყაროში აღმოჩენა, მაგრამ სხვა რა ჩარა ჰქონდა. ხვალ დილას გავა ავტოსადგურზე, დაავჯდება ავტობუსს და ენგურისკენ გაუყვება გზას; უკან დარჩება საკუთარი სახლი, ეზო, რომლის ფერებით ჯერაც ვერ ეჯერებინა გული, უკვირდა, სახლის ელმოლი ისეთი მოვლილი და დაკოზწიავებული რომ ჰქონდა მეზობელს, - ხელის განძრევაც არაფერზე დასჭირვებია, არადა, ეგონა გავერანებული და ტყედ წასული დახვდებოდა აქაურობა, ამის გამოც უჭირდა გადაწყვეტილების მიღება წამოსვლის შესახებ; კიდევ კარგი, რომ წამოვიდა... ნეტარებაა საკუთარ სახლში ყოფნა, ნეტავ მალე მოგვარდებოდეს დაბრუნების საკითხი და სამუდამოდ შეეძლოს აქ დარჩენა შვილთან და შვილიშვილთან ერთად. არაფერს იჯავრებს, დღეღამეს გაასწორებს და დაქცეულს აღადგენს, ოჯახს ფეხზე წამოაყენებს... ფაციას სასაფლაოზე მიუჩენს ალაგს, ეზოშივე რომ არის მიმარხული მანდარინების ძირში, ძლივს რომ მიაგნო მის განსასვენებელს, პატივის მიგებაც სავარაუდოდ შეძლო. როდის-როდის, ძილმა წაართვა თავი. მშფოთვარე ძილი ჰქონდა. შემაძრწუნებელმა კოშმარმა შეიპყრო მისი სული. ესიმზმრა, თითქოს ომის უკანასკნელი დღეები იდგა, გარბოდნენ უკუქცეული ჯარის ნაწილები. თავადაც სხვებთან ერთად უნდა გაქცეულიყო, სხვა საშველი არ ჰქონდა. ვერ მიდიოდა, რადგან კუბო ედგა სახლის პალატში, შიგ ქალის ნეშტი ესვენა, თითქოს ფაცია უნდა ყოფილიყო, ასე მოეჩვენა, მაგრამ ჭგავდა და არც ჭგავდა ის ქალი ფაციას, თეთრ საქორწილო კაბასავით ფაშფაშა სამოსელში გამოწყობილი, მშვიდად იწვა და განგების მიერ განაჩენის გადაწყვეტას ელოდებოდა. უეცრად ამაზრზენი ჩოჩქოლი და ყვირილი სწვდა მის ყურთასმენას: მოდიან, მოდიან! ისმოდა ოტებული, თავზარდაცემული ბრბოს ხმა. მას თითქოს არ უნდოდა წასვლა, მაგრამ ნების საწინააღმდეგოდ მიჰყვებოდა გაქცეულთა ტალღას, ქალის ნეშტიანი კუბო მხარზე მოეგდო და ცდილობდა თან წაეღო. მერე სადღაც, უცნობ ფაცხას შეეფარა და ცდილობდა სასწრაფოდ გაეთხარა სამარე მიცვალებულისათვის. კუბოს გვერდით გაშმაგებით თხრიდა მიწას საიდანღაც გამომტყვრალი ბარით და მოკვეთილ ბელტებს იქვე ერთმანეთზე აწვენდა. ვერც სამარის გათხრა მოასწრო ბოლომდე, ისევ შემოუტია მოწინააღმდეგემ და თავქუდმოგლეჯით გამოქცეულთა ტალღამ გაიტაცა. მირბოდა და ფეხები უკან რჩებოდა, გული უფრიალებდა, ამოვარდნაზე ჰქონდა, წიაღიდან ამომსკდარი ხაფი ხივილი უგლეჯდა სახმო ჰორტანებს, ცეცხლის ენები უტრიალებდა გულგვამში და სავალს ეძებდა გარეთ გამოსაჭრელად. ამ დროს რაღაცამ დაიქუხა და თვალისმომჭრელად იელვა. ღვარად ოფლდასხმულმა, შიშის მარწუხებში გულმოჭეჭყილმა დორომ თვალები ფართოდ დააჭყიტა ღამის სიბნელეში და უეცრად იგრძნო, როგორ ჩამოეღვარა თავზე მდუღარე ლავა. ცხელმა ტალღამ მთელი სხეული დაიარა და ფეხის თითის წვერებს უწია, გზა-გზა ტანის ყოველი ასო გამობუგა და გამოშაშრა შეუბრალებლად. "დასრულდა!" - ამ ერთადერთმა სიტყვამ გაუელვა გონებაში და ყველაფერი სამუდამო წყვდიადში შთაინთქა...

...დილაადრიანად მეზობლის ჩქამგაუღებლობითა და ძაღლის გაბმული ყმუილით შეშფოთებული პაჭი ასულიყო აივანზე და პირგამეხებული დაჰყურებდა დოროს უკვე კარგა ხნის გაციებულ სხეულს. გარდაცვლილს ტანჯვისა და შფოთვის ნიშანი მკვეთრად აღბეჭდვოდა სახეზე. მიწისფერი სიმწვანე დაეფინა ყოველ ნაკვთზე. მხოლოდ ღიად დარჩენილი თვალები ამოვსებოდა უფსკერო ცის შეუბღალავი სილურჯით, თითქოს ორი კამკამა ტობავარჩხილი შუქის ფიორებად აფრთხიალებულიყო მტრედისფერ ზეცამდე და მსუბუქი ფრთებით აეტაცებინა თავისი პატრონის ფრია-ფრია მოფარფატე სული.

გურამ ოდიშარია

ბრმათა საზოგადოების საამქრო

ორია ღამის
მონდომებულად მალავს უკუნი
სამყაროს კაცისშვილისგან მაგრამ
დასახლებულია მაინც
ღამე
იდუმალი შრიალით
უცხო ერთმანეთს გადაჭდობილი
ხმებით
ჩურჩულით
ვიღვიძებ ვინ არის
რომ ხმაურობს შუაღამისას
ვის არ ძინავს შუაღამისას
- საამქრო მპასუხობს სარკმელი
- საამქრო მპასუხობს ვიღაც სარკმლიდან
კაცი უცნობი ძილაღკვეთილი
ეს ბრმათა საზოგადოების
საამქრო მუშაობს
ამბობს უცნობი
საათივით მუშაობს იგი
ამზადებს
მუყაოს კოლოფებს
საკონდიტრო ფაბრიკისათვის
საკანცელარიო წიგნებს
რვეულებს
და კიდევ კიდევ
ღმერთმა უწყის რას.



საბოლოოდ ვფხიზლდები
ვდგები საწოლიდან
ვაყურადებ და ვხედავ ეს მე ვარ
ეს მე ვყოფილვარ
სარკმელში მდგარი
კაცი უცნობი ძილაღკვეთილი
შემდეგ ღამეში ვიხედები
შორს ვიხედები
შორს საამქროსკენ
მაგრამ არა ჩანს იქ არავინ
არც შენობა ჩანს
არც სარკმლები
არც წებო და არც მაკრატელი
არც ძაფი და აღარც ქაღალდი
არც დაზგა
არადა მესმის მესმის ვით მუშაობს
ბრმათა საზოგადოების საამქრო
საათივით
მუშაობს იგი

დილით
როდესაც გამოჟონავს
ზღვის ლურჯი ფერი როგორც
კისკასი
უხილავი ვარსკვლავების
და საგნებიც სადღაც შიგნიდან
იწყებენ ციმციმს
ეწვევა მზერას
ახალთახალი ხბოს თვალივით
მოკრიალებული ქალაქი
თავისი ევკალიპტებითა და მაგნოლიებით
მანდარინისა და ფორთოხლის ბაღებით
ქვიშით მოჟივჟივე ქუჩებით
მიწის მძიმე ლანდებით
ფერად-ფერადი საზურავებით
თვალმაისა ადამიანებით
რომლებიც დილაობით
ერთმანეთის სახეთა სარკეში
ჭვრეტენ საკუთარ თავს
და კიდევ გორებითა და ღრუბლებით
და კიდევ ლექსებით
მთელი ღამის განმავლობაში
ნაწვალები და
გაურანდავი
სტრიქონებით.

და აი ვხედავ
თვალნათლივ ვხედავ
რომ თითოეულ მათგანს
ზღვასა და ქუჩას
ხესა და სახლს
ხელნაწერთა თითოეულ სიტყვას
ქვიშის ყველაზე მცირე მარცვალსაც კი
გარკვევით ამჩნევია დამღა
დამზადებულია ბრმათა საზოგადოების
სოხუმის განყოფილების მიერ

სოხუმის ზღვისპირა ხეივანში მდგარი ნაცნობი ფინიკის პალმა

იგი მილეთის ქართა ბუდეა
მას შორი ხმები ეტმასნებიან
კონტინენტები უძღვნიან სალამს
ეფერებიან სხივები ზღვათა
მზერით ბინდავენ უცხო მგზავრები

მისი ფოთლები ცის ტალღებია
და ჭრიალებს ის ვით სამყაროს
ეული ანძა

კლდესთან არწივთან მუხასთან ერთად
ფეთქავს იგი მამულის მკერდში
და ეს ანცვიფრებთ
სტუმრებს ისინი
იმეორებენ გაოცებულნი
რა უნდა ვაზის სამშობლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინიკის პალმას
საოცარია
რა უნდა ვაზის სამშობლოში
ფინიკის პალმას
საოცარია
მჯერა ძნელია დაღვინებული წარმოდგენის
შეცვლა ძალიან

ის კი თამამი და უზრუნველი
თამაშობს ქარში
თრითინებს მღერის
დაჰყვება სტვენით კოსმიურ ქარებს
გამთენიიდან გამთენიამდე
რიჟრაჟებით და შეღამებებით
დიდი საათის რეკვით და ლურჯი
ჰაერის ფრთხილზე ფრთხილი ჩურჩულით
ეალერსება სოხუმს ო იგი
თმაგაშლილი და მზით გარუჯული
ისე კარგია და მომხიბვლელი
რომ შემიყვარდეს ლამის ქალივით

ის მოგზაურობს
მოგზაურობს
ის მოგზაურობს

და შემოხაზავს ორ წრეს
ერთს მცირეს
რომლის გავლასაც დროს ანდომებს
ალიონიდან დაბინდებამდე
ხოლო მეორეს დიდს რომელიც
ერთ სრულ წელიწადს მოითხოვს მისგან
ღრუბლები მისი მტევნებია
წვიმა კი ღვინო
თვით კი ტალღა ფრთებშესხმული
უხილავი და უშორეს ზღვისა

ის მოგზაურობს
მოგზაურობს
ის მოგზაურობს

გაზაფხულში სხვა ხეთა დარად
თვალს ახელს ფართოდ
თუმც ზამთარშიაც მწვანედ ღელავდა
ზაფხულში როცა უდიდდებათ
ხეებს ფოთლები
იგი ბევრად აღემატება
საკუთარ სხეულს
შემოდგომაში დედა ხდება
საკუთარ თავის
ერღვევა ძველი უშფოთველობა
და ღალატობს კიდეც ნაყოფი
სანთელივით ენთება სული და
ეძახის ფრთოსნებს
შემოდგომაზე იბადება
განმეორებით მაგრამ ყველაზე დიდებულად
მაინც ზამთარში ცხოვრობს რადგანაც
მთელი ძალით ებრძვის სიცივეს
ანუ ებრძვის საკუთარ თავსაც
როცა კვლავ მოვა გაზაფხული
და აღსრულდება დიდი წრის ჟამი
ის კვლავ იბრუნებს პირვანდელ სახეს
თუმც კვლავ მწვანეა
ისეთი როგორც ზამთარში იყო
ტაატ-ტაატით
რწევა-რწევით
თრითინ-თრითინით

ის მოგზაურობს
მოგზაურობს
ის მოგზაურობს

გამთენიისას ნებდება დილას
რომელსაც ძალუძს შეასისხლხორცოს
ხე და კაცი
და ნახევრად ჰაეროვანი
უჯერდება აისს და მზერას
ო ცაო იგი
თმაგაშლილი და მზით გარუჯული
ისე კარგია და მომხიბვლელი
რომ შემიყვარდეს ლამის ქალივით

ჟამიჟამ როცა ყურს მობეზრდება
მის ქვეშ გაწოლილ ყავახანაში
ახალ-ახალი ჭორის მოსმენა
დიდი ქალაქები მწერლებზე თუ
ბინების განაწილებაზე
სუფთა წყლის პრობლემაზე თუ
მფრინავ თეფშებზე
დანიშვნებზე თუ გათავისუფლებაზე
ფეხბურთზე თუ
სახელმწიფო მუქარაზე
წარსულზე თუ მომავალზე
დასაწყისზე თუ დასასრულზე
მე ვწკურავ თვალებს
თითქოსდა ძალზე მსიამოვნებდეს
გაურკვეველი გემოს ყავა და
გეჩურჩულები შენ ფინიკის პალმავ
ჩემო ერთგულო სოხუმელო
რა იქნება რომ ერთხელ მაინც
მეც დამიმგზავრო
შენი ფოთლები შემასხა ფრთებად
მიწილადო რიჟრაჟის სისხლი
და სხვათა თვალის ასახვევად
ვიდგე შენსავით ერთ ადგილზე
სინამდვილეში კი დავქროდე
გაზხაფხულიდან გაზაფხულში
მოლოდინიდან შეხვედრაში
შეხვედრიდან მონატრებაში



პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონტინენტიდან კონტინენტზე
ოკეანიდან ოკეანეზე
ზუსტად შენსავით მეგობარო
ტაატ-ტაატით
რწევა-რწევით
თრითინ-თრითინით

* * *

ფრიალებს მშვიდად ჩემი ალამი სანაპიროზე
მაგრამ ვერავინ ხედავს რადგანაც
ლურჯია იგი ზღვასავით და
ყვითელია იგი მზესავით
ყაყაჩოსავით წითელია
ჰაერივით გამჭვირვალეა
და იქ სადაც ახატია მას
ხე მთა ღრუბელი თუ ქალაქი
სინამდვილეშიც შრიალებს ხე
მთა დგას ღრუბელი მიცურავს ცაზე
და ხმაურობს ჩემი ქალაქიც
და არავინ ეჭვობს რომ ყველაფერი ეს
და კიდევ მრავალი
გნებავთ უამრავი რამ
რასაც კაცის ადნება მზერა
დროშაა ჩემი
დილის ნიავში მოფრიალე
მშვიდი მარადი.

* * *

ჩვენ ვცხოვრობდით ერთ ქალაქში
მაგრამ

ჩვენ შორის გაწოლილიყვნენ
ასწლეულები
ხრჩოლავდნენ ომები
წრიალებდნენ მიწისძვრები
მორიგეობდნენ გაზაფხულები

მაგრამ

შენ მაინც გესმოდა
ჩემი სიმღერა
ვარსკვლავებამდე აფრენილი
მელოდია
მონატრების
მაინც
გესმოდა შენ

მაგრამ

ჩვენ არ ვცხოვრობდით
ედემიწაზე

მაგრამ

შენ მაინც ვერსად დაემალე
ჩემს სიმღერას
რომელიც ცდილობდა
დაევიწყებინა შენთვის
ყველა ეშმაკი
და
ყველა ანგელოსი

თუმცა

ჩვენს შორის ხრჩოლავდნენ ომები
წრიალებდნენ მიწისძვრები

სარკმელი

ჩემი ოთახის სარკმლიდან
მოჩანს
მწვანე მთა მწვანე
ვით ფერი ქარის
ჩემი ბავშვობის სანაპიროდან
შემოღწეულის

ჩემი ოთახის სარკმლიდან
მოჩანს
ლურჯი ზღვა ლურჯი
მსგავსი თვალთა ლივლივა შუქის
ჩემი მდუმარე სიყვარულის
ქალბატონისა

ჩემი ოთახის სარკმლიდან
მოჩანს
გამოცეცხლილი მიწა ყვითელი
შემოდგომის ნაღალატევი ბალახებისა

ჩემი ოთახის სარკმლიდან
მოჩანს
ცა ზესკნელებში აკივლებული
ვით გაბზარული მზერა ჩემი
აღსასრულისა



გურამ ოდიშარია

ჩვენი ომების უსახელო რაინდები

წიგნიდან "წერილები უკეთეს კაცობრიობას"

როდესაც 1991 წლის დეკემბერში ბელოვეჟის ტყეში საბოლოოდ გამოცხადდა და დოკუმენტურად გაფორმდა გიგანტური ქვეყნის - საბჭოთა კავშირის დაშლა, 250 მილიონი ადამიანისათვის კომუნისტური სამშობლოს აღსასრული და ახალი ცხოვრების დასაწყისი ისევე მტკივნეულად წარიმართა, როგორც თავის დროზე დაბადება იმავე ქვეყნისა. მსოფლიომ რამდენიმე წუთში აიტაცა და მილიონჯერ გაიმეორა ინფორმაცია დედამიწის ერთი მეექვსედის ბატონ-პატრონი სახელმწიფოს საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ და მისთვისაც დროის ახალ, უცნობ, ძნელადპროგნოზირებად პერიოდში შეაბიჯა.

ამის შემდეგ გადის სულ ცოტა ხანი და მთელი დედამიწა გრძნობს, თუ როგორ შეიცვლება თავადაც დედამიწა.

ბელოვეჟის ტყის სიგნალი განსაკუთრებით კავკასიის მთებში, მის ტყეებში გახმიანდა ექოდ, ცეცხლად მოედო და ტყის ბრძოლებად იქცა. ტყიდან ტყეს ესტაფეტასავით გადაეცა დიდი ოქტომბრის რევოლუციის უკანასკნელი მონაპოვარი. სსრკ-ს სხვადასხვა თაობების შემოქმედებმა რიგიანად ვერც ააგეს და ვერც წესიერად დაშალეს სახელმწიფო-კოლოსი.

კავკასია კი ამ დროს მსოფლიო რუკაზე "ცხელი" კი არა, "უცხელესი წერტილი" გახდა - ბელოვეჟის გადაწყვეტილებამდე დაწყებული ნორჩი კონფლიქტებიც მეტად გამძაფრდა, მათმა ნაპერწკლებმა კი კავკასიის სხვა რეგიონებშიც ააგიზგიზეს ხანძრები. ბრძოლებში ჩაება კავკასიის ველობებიც, ზღვებიც, ჰაერიც. ერთმანეთს კლავდნენ გუშინდელი "ძმები" - "უფროსები", "უმცროსები", "შუათანები"... ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, უცნობები, ნაცნობები, კოლეგები... პარტიულებიც, უპარტიოებიც, ახალპარტიულებიც... მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებიც კი, ისინი, რომლებიც ერთ დროს მხარდამხარ ებრძოდნენ ფაშიზმს. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ახალგაზრდები იღუპებოდნენ, ნადგურდებოდა გენოფონდი, კავკასიის ბუნებაც, მაგრამ კიდევ ყველაზე მეტად მაინც მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა, იხოცებოდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები... ასეთია ომების რელიგია - ის უდანაშაულოთა სულებს ითხოვს ყოველთვის.

მიუხედავად მრავალი განმასხვავებელი ნიუანსისა, კავკასიის კონფლიქტები ძალიან გვანან ერთმანეთს. მათი დაწყების მთავარი მიზეზიც იდენტურია - მიწა-წყალი, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის, ხალხის, ადამიანის უფლების დაცვის მოთხოვნა...

კავკასიის კონფლიქტებში ბევრი სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებია გამოკვეთილი. ეს კონფლიქტები ბევრმა პოლიტიკოსმა, თანამოაზრეთა ჯგუფებმა, სხვადასხვა სტრუქტურებმა გამოიყენეს თავიანთ სასარგებლოდ. ისინი ხვალაც შეეცდებიან გამოიყენონ სიტუაცია, ზეგაც და გასაკვირი აქ არც არაფერია.

კავკასიამ დაამტკიცა, რომ ის არ არის ერთიანი, მონოლითური რეგიონი, რომელსაც საკუთარი, გამოკვეთილი მიზნები აქვს. კავკასია დაქსაქსულია, მისი ხალხების ერთი ნაწილი ერთმანეთსაა დაპირისპირებული, ხოლო მეორე ნაწილს უნარი არა აქვს შეარიგოს პირველები ერთიმეორეს. მან კარგად არც იცის, რას წარმოადგენს თავად, რა უნდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩართულია თვითგადარჩენის მექანიზმი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაკარგულია თვითგადარჩენის იმუნიტეტი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კავკასიის ხალხებმა კარგად არც თავიანთი წარსული იციან, არც ერთიანი კულტურა აქვთ გათავისებული; არა აქვთ განსაზღვრული საერთო ინტერესები; საკუთარი თავისა და სხვების გადასარჩენად ვერ იყენებენ კავკასიურ უნიკალურ მენტალიტეტს, ტრადიციებს.

ჩვენ ყველანი დამღუპველი სტერეოტიპების ოკეანეში ვტივტივებთ.

თუ თანამედროვე ბაბილონში კავკასიელები უახლესი წარსულის, დღევანდელი მდგომარეობის ერთად გაანალიზებას, ერთმანეთის პრობლემების გაზიარებას, ერთმანეთის სატკივარის გაგებას შეძლებენ, მაშინ ხვალ ნაბიჯის გადასადგმელად ფეხქვეშ მყარი ნიადაგი გვექნება. საწინააღმდეგო შემთხვევაში, რეგიონი განწირულია გაჭიანურებული, მრავალწლიანი, ქრონიკული ომებისათვის.

როდესაც ხალხებს შორის იზრდება კონფლიქტებში დაღუპულ ადამიანთა საფლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვების, გადამწვარი სახლების, წამებულთა, უსამართლოდ დასჯილთა რაოდენობა, მაშინ, რა თქმა უნდა, კლებულობს ურთიერთნდობა, პატივისცემა, საერთოდ, მომავლის იმედიც. და ისეთი ფრაზები, როგორიცაა - "მოდით, ბოდიში ვუთხრათ ერთმანეთს, დავივიწყოთ წყენა, და დავიწყოთ ახალი ცხოვრება", - აბსურდული ხდება. სიტუაცია უკვე ასე მარტივად ვერ გადაწყდება.

ბუნებაში არ უნდა ეარსება ამ კონფლიქტებს, მაგრამ, ასე ვთქვათ, ისტორიას არ უყვარს ლირიკა, რაც მოხდა, ის მოხდა, ეს ფაქტია, ვერსად გავექცევით. მძიმეა დაღვრილი სისხლი. ჭრილობების მოშუშებას დრო სჭირდება, დრო და იმ ადამიანების ძალისხმევა, რომლებიც ადამიანთა, საზოგადოებების შერიგების ღმერთისაგან დალოცვილი საქმისათვის არიან დაბადებული.

ჩვენი კონფლიქტები დაბერდნენ, უფრო ზუსტად - გახანგრძლივდა მათი მოწესრიგების პროცესი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ათი წლისაა, ყარაბახისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები კი უკვე ათზე მეტისანი არიან. ისინი მიემატნენ თხუთმეტ, ოც, ოცდაათწლიანი მოუგვარებელი კონფლიქტების ტრაგიკულ რიცხვს. არც ათი, არც ოცი, არც ორმოცდაათი წელი ისტორიისათვის არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ადამიანისთვის უზარამაზარი დროა.

კავკასია ბებერი კონფლიქტების ჩიხი გახდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი კონფლიქტების ასაკისა, ჩვენ ჯერ კიდევ კარგად ვერ ვხედავთ ვერც სათავეებს კონფლიქტებისა, ვერც ერთმანეთს და ვერც საკუთარ თავს. და ამის მიზეზი მარტო ომის ჯერ კიდევ მხრჩოლავი კვამლის ბრალი როდია.

ჩვენ ომგადატანილი, დაღლილი, იმედგაცრუებული საზოგადოებები ვართ, დავამატებდი - მოტყუებული საზოგადოებებიც. იმ ადამიანთა ჯგუფებს, იმ ძალებს, რომლებიც დამნაშავენი არიან კონფლიქტების დაწყებასა და წარმართვაში, სულ ტყუილად აქვთ საზოგადოებათა მასობრივი სკლეროზის იმედი. ყველაფერი აფთიაქის სასწორით აიწონება, შეფასდება მათი ამპუტირებული პასუხისმგებლობაც.

ომის მსვერპლი ხალხები არიან და სწორედ მსხვერპლთა ნებით მოხდება დიდი შერიგება. ეს კი აუცილებლად იქნება ერთ დროს, ჩვენ ერთმანეთს ვერსად გავექცევით. ცხოვრებისეული რეალიები, მომავალი თაობები დაუსვამენ წერტილს გაუგებრობებს. ისინი რეალურად განსაზღვრავენ ერთმანეთთან, სხვა საზოგადოებებთან, მთელ მსოფლიოსთან რეალური ურთიერთობების გზებს. ჩვენ ერთმანეთის საყრდენი გავხდებით. ეს უეჭველია.

კონფლიქტებმა რამდენიმე ნაწილად დაყვეს საზოგადოებები, შემდეგ დანაწილაკებულებშიც გაგრძელდა შიდა ფრაგმენტაცია. შექმნილმა სიტუაციამ შექმნა პოლიტიკური მუტანტები - "მანია-გრანდიოზები", "მას-მედიაზავრები", "მარად მართლები", "შეწირულები" და ა.შ. კონფლიქტების სტაგნაცია აზროვნების სტაგნაციამ გამოიწვია. ძველი აზროვნების და მიმართულების ლიდერები თანდათანობით შორდებიან თავიანთ საზოგადოებებს. დრო და ვითარება გარდაქმნებს ითხოვს, ახალ ადამიანებს, გამოუყენებელი რესურსების გამოყენებას.

კონფლიქტებმა სერიოზულად დააზიანეს, მაგრამ ვერ გაანადგურეს ადამიანთა, საზოგადოებათა ურთიერთობის კულტურა; უმაღლესი და უდიადესი კულტურათა შორის - მშვიდობის კულტურა; მაგრამ დროებით მისი ადგილი მაინც დაიკავა კონფრონტაციულმა, ანტიკულტურამ. პოსტსაბჭოთა ურთიერთობები უძლური გახდა მოეწესრიგებინა ქაოსი.

საბოლოოდ დაიშალა "ჩვენ" მრავალ, ზოგჯერ გაურკვეველ - დაუდგენელ "ჩვენ"-ად. ახალი "ჩვენ" საზოგადოებები დიდი "ჩვენ"-ის გარეშე ცხოვრებას ეჩვევიან და სწავლობენ. ომის გიგანტური აფეთქების ტალღამ სხვადასხვა მხარეს გადაგვისროლა. ახლა დიდი ხნის უნახავებივით ხელს შორიდან ვუქნევთ ერთმანეთს, თითქმის ჟესტების ენით ვსაუბრობთ.

მე ასე ვფიქრობ - კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ კაცობრიობის ისტორია ომების, კონფლიქტების ისტორიაა. ძირითადად პოლიტიკას მაინც აქტიური, ხშირად უარყოფითი ენერგიის მატარებელი ადამიანები ქმნიან. როდესაც ასეთი ადამიანები უფრო მნიშვნელოვანი ხდებიან ქვეყნისთვის, ვიდრე მაღალი კულტურის მატარებლები, მაშინ ქვეყნის საქმე ცუდადაა.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როდესაც სხვებთან კი არა, საკუთარ თავთანაც ვერ პოულობ საერთო ენას. ეს ომის მდგომარეობაა, ან მდგომარეობაა იმ მშვიდობისა, რომელიც სრულებით არ ჰგავს მშვიდობას. მშვიდობაც არაადამიანური გახდა.

ბევრმა სიტყვამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ნდობის ფაქტორმა თავად საზოგადოების შიგნით დაიწყო დაცემა.

ჩვენ უახლესი წარსულიდან გადმოგვეცა ასეთი ტრადიციაც - მასობრივი დახვრეტები, დასჯა, ხალხების გადასახლება. გვასწავლიდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს სჭირდება უზენაესი მიზნის მიღწევას. ამართლებდნენ ყოველგვარ დანაშაულს. ეს მასობრივი იდეოლოგიის თვისებაა - ფეხით გათელოს ყოველივე ადამიანური, მასებად მონათლოს ადამიანთა გაერთიანებები, შექმნას "უსასრულო წარმატებების" ილუზია.

ბრბოდქცევის აგრესიულ პროცესს, მასობრივ ფსიქოზს ვერ გაუმკლავდნენ პოლიტიკური დაუნდობლობის, პოლიტიკური სპეკულაციის მსხვერპლი ადამიანები.

ვსაუბრობთ დიად მიზნებზე, ზეპოლიტიკაზე, გეოპოლიტიკაზე, ეკოკულტურაზე, ადამიანები კი გვავიწყდება. ვსაუბრობთ სამართლიანობაზე, უსამართლობაზე, უსასრულო ბრალდებებზე, სახელმწიფოთა პოლიტიკურ მოწყობაზე, ადამიანები კი არ გვახსოვს. შეიძლება ამიტომაც წარიმართა ასე სასტიკად ჩვენი კონფლიქტები, ასე არასამართლიანად, ასე არაკაცურად.

იქნებ ამიტომაც გაადვილდა წარმოუდგენელი დანაშაულობები. ადამიანის ფენომენის ნულოვნებამ ყველაფერი გააადვილა და გააპრიმიტიულა.

იმის ნაცვლად, რომ არა მარტო საკუთარ სატკივარზე გველაპარაკა და ერთმანეთის პრობლემებს ჩავღრმავებოდით, ილუზიებს აყოლილებმა სპრინტერის ფსიქოლოგიით მოვინდომეთ დიდი მანძილის დაძლევა, იმ მანძილის, რომელსაც სტაიერის მოთმინება სჭირდებოდა.

ვერც საუკუნეთა ტრადიციებმა და ვერც ნათესაობამ ვერ შეაჩერა ვერც ერთი სახის კონფლიქტი. მაგალითად, თბილისში ერთი ოჯახის წევრები, ღვიძლი ძმებიც ესროდნენ ერთმანეთს ტყვიას ქალაქის ცენტრში. არ გვეყო პრობლემების ვითარების მოწესრიგების კულტურა, არადა, წინათ კონფლიქტების მოგვარების შესანიშნავი ინსტიტუტები გაგვაჩნდა. სად გაქრნენ ის ინსტიტუტები?

ჩვენ თავად უნდა ვცეთ ერთმანეთს და საკუთარ თავსაც პატივი. ჩვენ თავად უნდა გავხდეთ უკეთესი კაცობრიობის ნაწილი; სხვებმა კი არ უნდა გაგვხადონ, არამედ თავად უნდა გავაკეთოთ ეს.

არსებობს აზრი, რომ კავკასიაში კონფლიქტური სიტუაციის შექმნა ადვილი შესაძლებელია. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. ვფიქრობ, ეს აზრი ჭეშმარიტებას არ არის მოკლებული, მაგრამ თუ როგორ შეიძლება აქ დაწყებული კონფლიქტის დარეგულირება, ეს ჯერ კიდევ არავინ იცის. ის კი არადა, ხანდახან "ტერმინების კონფლიქტების" მომსწრენიც ვხდებით. მხედველობაში მაქვს ის გაცხარებული კამათები, იმის გამო, რომ ადამიანები სხვადასხვა მოვლენის ამსახველ ტერმინს სხვადასხვაგვარად იყენებენ. მაგალითად, პირადად ჩემთვის ყველაზე კარგად ნაცნობი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ხშირად შემდეგნაირადაა მოხსენიებული: "აფხაზურ-ქართული ომი", "ქართულ-აფხაზური ომი", "კონფლიქტი აფხაზეთში", "საქართველო-რუსეთის ომი", "რუსეთ-საქართველოს ომი", ასეცაა დაფიქსირებული - "ამერიკა-რუსეთის ომი", "რუსეთ-ამერიკის ომი", "საქართველო-რუსეთ-აფხაზეთ-ამერიკის ომი" და ა.შ.

თითქმის იგივე სიტუაციაა ყარაბახისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით. დავამატებ, რომ ჩემი დაკვირვებებით, ზემოჩამოთვლილი კონფლიქტებიდან ყველაზე "რთული და მძიმე" - ყარაბახის კონფლიქტია, "შედარებით მსუბუქი" - სამხრეთ ოსეთის, ხოლო აფხაზეთის კონფლიქტი "საშუალო სიმძიმის" კონფლიქტია. კონფლიქტების ასეთი განსაზღვრისას ვხელმძღვანელობ დაპირისპირებული საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულებების ხასიათით, ხოლო რაც შეეხება მათ პოლიტიკურად დარეგულირებას, ისინი პოლიტიკურად თითქმის ერთნაირად და სრულიად მოუწესრიგებელი კონფლიქტებია.

კაცობრიობამ ადამიანისაგან ადამიანის დასაცავად უამრავი წესი და კანონი შექმნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ულტრათანამედროვე ომებს მაინც ჰყავთ თავიანთი მკვლელები, ჯალათები, მარადიორები. კავკასიაში თითქმის ნებისმიერი კონფლიქტი მიმდინარეობდა წარმოუდგენლად სასტიკი მკვლელობებით. მე ასე ვფიქრობ - ჯალათებს ქრომოსომები სულ სხვაგვარად აქვთ მოწყობილი და ჩვენი კანონებით მათი გასამართლება შეუძლებელიცაა.

მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველ კონფლიქტს თავისი რაინდები ჰყავს. მე ეს უკვე "წითელ წიგნში" შესატანი ("რაინდი") სიტყვა გამოვიყენე იმ ადამიანების მისამართით, რომლებიც ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაში არ კარგავენ სულის სიმაღლეს, ვაჟკაცობას, ღმერთისა და ადამიანის სიყვარულს და ყველაფერს აკეთებენ მოყვასის გადასარჩენად, სამართლიანობის დასამკვიდრებლად, საუკეთესო ტრადიციების შესანარჩუნებლად.

ასეთი ადამიანები, მართალია, ვერ ზემოქმედებენ პოლიტიკაზე, მაგრამ ისინი სასტიკ სამყაროს უცვლიან სახეს და დედამიწას კეთილშობილებას უნარჩუნებენ.

მაქვს ბედნიერება, ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობდე. ბევრმა მათგანმა წესიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად არც იცის სიტყვა "ტოლერანტობის" მნიშვნელობა.

უმრავლესობისგან განსხვავებით ისინი ძალიან ცოტას საუბრობენ იმაზე, თუ როგორ უნდა აკეთო "საქმე კეთილი". ისინი უბრალოდ, უსიტყვოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს ყველაზე რთულ სიტუაციაში.

ერთი კეთილი საქმე კი ათას თათბირზე მნიშვნელოვანია.

ჭეშმარიტად, კაცმა, რომელმაც ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა, კაცობრიობაც გადაარჩინა.

აი, რა მიამბო აფხაზეთიდან დევნილმა, აწ გარდაცვლილმა, მაშინ 55 წლის ლ.მიქავამ (თბილისი, 1996):

"1993 წლის სექტემბრის ბოლოს აფხაზურმა მხარემ აიღო ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალი დაბა. მე სახლში ვიყავი, ტყვედ ამიყვანეს. ვიღაცამ თქვა - ეს აქაური სკოლის მასწავლებელიაო.შეიქმნა ჩემი სიცოცხლის ხელყოფისათვის საშიში სიტუაცია. შეიძლება დავეხვრიტე. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რა მელოდა, მაგრამ საშიშროება დიდი იყო. ამ დროს მოირბინა ჩემი ასაკის წვერიანმა აფხაზმა კაცმა. მან თქვა - ამას მე მოვუვლიო, ხელი მომკიდა და თავისი "ეიგულისაკენ" წამიყვანა. სხვები აღშფოთდნენ, მაგრამ კაცმა თავისი გაიტანა. გალისკენ წამიყვანა. გზაში მკითხა: ვერ მიცანიო? მე ის კაცი ვერ ვიცანი. შემდეგ სახელი და გვარი მითხრა. შეშინებული და გაოგნებული ვიყავი, მაგრამ მაინც გავიხსენე.

ომის დროს ძროხა დამეკარგა, კარდაკარ ვეძებდი. მეზობელ სოფელში გადავედი. იქ ძირითადად აფხაზები ცხოვრობდნენ. ომის დროს უმრავლესობამ დატოვა სოფელი. მათი სახლების ჭიშკარი ღია იყო, სახლები გაძარცვული; სახლების კარ-ფანჯრებიც ღია. ეზოებში ვეძებდი ძროხას, იქნებ შევიდა და ვერ გამოვიდა-მეთქი. ერთ ეზოშიც (იმ აფხაზი კაცის ეზოში) შევედი. ძროხა ვერ ვნახე. ეზოში იმ კაცის 20 წლის ბიჭის საფლავი იყო. ათიოდე წლის წინ მე იმ ბიჭის გასვენებაში ვიყავი. საფლავთან მდგარ მსხლის ხეს ტოტი მოსტეხოდა და საფლავზე ეგდო. ტოტი გადავათრიე, საფლავი ფოთლებისაგან გავასუფთავე და მერე სამი მსხალი დავდე საფლავის თავთან. მერე კარ-ფანჯარა ჩავკეტე, ჭიშკარიც და წამოვედი.

აფხაზმა კაცმა მითხრა - მე შენ გნახე, მაშინ თხილნარში ვიმალებოდი. ხანდახან მალულად მოვდიოდი სახლში, ბიჭის საფლავს ვაკითხავდი. ვხედავდი, როგორ უვლიდი ჩემი შვილის საფლავსო. მან ოჩამჩირის ერთ-ერთ სოფელში თავის ნათესავთან მიმიყვანა. სამი დღე იქ დავყავი. ჩემთან ერთად შვიდი ქართველი იყო იქ, ერთი ქალიც ძუძუს ბავშვით. იმ ბავშვისთვის აფხაზი მასპინძლის 12 წლის ბიჭს ყოველდღე რძე მოჰქონდა. ბიჭი სოფლის მინდორში მალულად წველიდა ძროხებს. მეოთხე დღეს ენგურზე გადაგვიყვანეს".

ვ.ხ. 57 წლის, აფხაზეთიდან დევნილი (თბილისი, 1996):

"ჩემი სოფელი კოჩარა (ოჩამჩირის რაიონი) აფხაზებმა 1992 წლის ნოემბერში აიღეს. მე ფეხი მქონდა ნატკენი და სოფლიდან წასულ ლტოლვილებს ჩამოვრჩი. ტყეში დამიჭირეს. სხვა სოფელში წამიყვანეს, ერთ-ერთ სახლში მოხუც აფხაზს მიაბარეს ჩემი თავი - აქედან მაინც ვერსად გაიქცევიო. ხანდახან მომაკითხავდნენ უცნობები, მცემდნენ - ომის დროს ქართველებმა დიდძალი იარაღი შემოიტანეს, შენ სოფლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხარ, გეცოდინება სად დამალესო. მე არაფერი არ ვიცოდი, რამდენჯერმე დახვრეტა დამიპირეს. მდგომარეობა რთულდებოდა. დავსუსტდი, საჭმელი ყელში არ გადამდიოდა.

მოხუცს ვთხოვე, ჩემი ბავშვობის მეგობარი აფხაზისთვის შეეტყობინებინა ჩემი ამბავი. შეატყობინა. მეგობარი მოვიდა, გადამეხვია. ორთავემ ვიტირეთ. რატომ უნდა მომხდარიყო ეს ომი?! ვთხოვე, გამიყვანე-მეთქი აქედან. მითხრა - აქაურობა, ფაქტობრივად, ალყაშია, მაგრამ რამეს მოვიფიქრებო. მეორე დღეს მეგობრებთან ერთად მოვიდა, მითხრა, ვერტმფრენი უნდა მოფრინდეს, პროდუქტები ჩამოაქვს, იქით მხოლოდ მოკლულ ბოევიკებს წაასვენებს, შენც ვითომ მოკლული მებრძოლი ხარ, ბრეზენტში გაგახვევთ და გადაგაფრენთო. ასეც მოიქცნენ. ვერტმფრენამდე ძლივს გავიკვლიეთ გზა - უამრავი ადამიანი ირეოდა ვერტმფრენთან.

ბევრს წასვლა უნდოდა, მაგრამ არ უშვებდნენ ვერტმფრენში. მე ბრეზენტში გახვეული, ავტომატებზე ვყავდი დასვენებული. "Дайте дорогу, убитого боевика несем!" - უყვიროდნენ ხალხს ჩემი მეგობრის ამხანაგები. ვერტმფრენში მხოლოდ მე ვიყავი, გვერდით მოკლული ჯარისკაცები ესვენა - სამი კუბოში, ორიც ბრეზენტში იყო გახვეული ჩემსავით. კარგა ხნის ფრენის შემდეგ ვერტმფრენი სადღაც დაფრინდა, თოვლში. მოგვიანებით გავიგე, ჩრდილოეთ კავკასიაში ვყოფილვარ. ვერტმფრენიდან გამოსული აფხაზს შევეფეთე. მე და ის სტუდენტობისას ერთად ვცეკვავდით ანსამბლში. ის გაოცდა - შენ აქ როგორ მოხვდიო. მერე იმან ფული მომცა. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე დღეს ქ.მინვოდში აღმოვჩნდი“.

ღირსეულად, ჰუმანური წესების დაცვით წარმართული კონფლიქტი მისი მალე მოწესრიგების გარანტიაა, ხოლო მკვლელობებით, მძიმე დანაშაულობებით წარმართული ძალიან დიდხანს ვერ მოგვარდება.

ისტორიას ახსოვს რაინდული ომები, როდესაც გამარჯვებული მხარე ბრძოლის შემდეგ დამარცხებულთა პატივსაცემად ქვემეხებს აგრიალებდა - ისინი ვაჟკაცურად იბრძოდნენო. ასეთ ომებში მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება წარმოუდგენელი იყო.

ადამიანური ურთიერთობები ნებისმიერ პოლიტიკაზე მაღლა დგას და მარადია.

ადამიანთა ურთიერთობების კულტურა და კულტურა საერთოდ, უზენაესია. ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი საბჭოთა კავშირის რადიომაუწყებლობები გერმანულ კლასიკურ მუსიკას აუღერებდნენ, გამოიცემოდა გერმანელი კლასიკოსების ტომები.

ადამიანი-გადამრჩენელი ყოველთვის მძიმე მდგომარეობაში ვარდება, მას ერთი მხრივ, დაპირისპირებულ მხარეს მყოფი ადამიანებისგან ელოდება საშიშროება, მეორე მხრივ, საკუთარი მხარის წარმომადგენლებისგან, რომლებიც არ პატიობენ მას მტრის მფარველობას.

ომის ორომტრიალში ადამიანების ნაწილი გამძაფრებული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ ექცევა, ხოლო მეორე ნაწილი ფსიქოლოგიურად პარალიზებულია. ასეთ სიტუაციაში მხოლოდ რჩეულები მოქმედებენ ცივილიზებულად, მხოლოდ ისინი ახერხებენ ემოციურ-ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევას.

ომის დროს გამოიცდება ნებისმიერი ხალხის ტრადიცია, ისტორიული წარსული, თავისი ეტიკეტით, ისტორიული გმირობებით.

წარსულის ნებისმიერი ლამაზი ლეგენდა ექსტრემალურ სიტუაციაში გადის თავის გამოცდას. ჩვენ ყველანი ყოველთვის ვდგავართ გამოცდის წინაშე. ადამიანებს უჭირთ დაჯერება იმ უმძიმესი დანაშაულისა, რომელიც მისი ეროვნების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს. “არა, ქართველი ამას არ გააკეთებდა“, - ხშირად გამიგია. “აფხაზი ამას არ იზამდა“, - ესეც გამიგია. თავად ეს ფაქტი მრავლისმთქმელია - ნებისმიერ ადამიანს სურს, მისი საზოგადოება უკეთესი იყოს. საზოგადოებას უკეთესს კი ის ადამიანები ქმნიან, რომლებსაც უყვართ ადამიანები და მზად არიან მათ გამო თავი საფრთხეშიც ჩაიგდონ.

თითქმის ყველა რელიგია ღაღადებს ადამიანის სიყვარულზე. ადამიანის გადარჩენა, უმძიმეს სიტუაციაში მისი ღირსების შენარჩუნება უმაღლეს სინდისთანაა წილნაყარი. ასეთი სინდისი არამიწიერია. სიყვარული - ზეციესაა, სიძულვილი - ქვესკნელის.

კაცს მარტო კაცი არ კლავს, მას სიტუაციაც კლავს. ეს სიტუაციაც ადამიანებმა შექმნეს; ომი ავკაცების არენაა. ბოროტება ადეკვატურ ბოროტებას ბადებს. აფხაზეთის ომის დროს იყო შემთხვევები, როდესაც ტყვეებს გაცვლის წინ ხვრეტდა ერთი მხარე. გაიგებდა რა ამის შესახებ მეორე მხარე, ისიც ხვრეტდა გასაცვლელ ტყვეებს.

გადამრჩენლები არც კონფლიქტის დროს, არც კონფლიქტის შემდეგ არ ხდებიან პოპულარულები. როგორც ვთქვი, ისინი ორმხრივი საშიშროების წინაშე დგანან. გარდა ამისა, მათი გმირობის ფონი ძალზე მძიმეა და არავის სურს აღიაროს ომის დანაშაულობები, ამიტომაც გადამრჩენლების გამორჩევა, მათზე ხმამაღლა საუბარი თავად მათთვისაც არ არის სახარბიელო. მათზე წერა ხშირად დანაღმულ ველზე სიარულს უდრის. პატარა შეცდომაც შეიძლება ძალზე ცუდი შედეგის მომტანი გახდეს, ამიტომაც, ხშირად მათი სახელების დამალვაც გვიწევს. ამას დროს სჭირდება და ჭეშმარიტი მშვიდობა.

ადამიანთა გადამრჩენლები ჩვენი კონფლიქტების უსახელო რაინდები არიან.

როგორც ომის დანაშაულობების, ასევე ომის ზნეობრივი გმირობების გარშემო მითები იქმნება. პირველსაც და მეორესაც თავისი სათავე რეალურ ისტორიებში აქვს. მაგრამ მათი გამორჩევა სინამდვილიდან ყოველთვის ადვილია, მითუმეტეს რამდენიმე წლის შემდეგ. მათ, ასე ვთქვათ, სინამდვილეს “გული ცნობს“.

მეტად საინტერესოა საფრონტო ისტორიები, ანუ კონტაქტურ ბრძოლებში მონაწილე მეომართა თავგადასავლები. ზოგიერთი მათგანი ჩვენი კონფლიქტებით დაინტერესებული სხვა მოქალაქეებისათვის უცნაურიცაა და გაუგებარიც.

“1992 წლის ნოემბერში აფხაზ მეომართა ექვსკაციანი და ქართველ მეომართა შვიდკაციანი ჯგუფი გადამხმარი სიმინდის ყანაში შეეფეთნენ ერთმანეთს. ჯგუფები მწკრივად მოდიოდნენ. პირველები მეთაურები იყვნენ. ერთმანეთისაგან სულ ხუთიოდე ნაბიჯით დაშორებული მეთაურები ერთმანეთს მიაჩერდნენ. ორთავეს ავტომატი ჰქონდა ჩაბღუჯული. ჯგუფები ბრძოლისთვის მზად იყვნენ. რამდენიმე წუთიანი დაძაბული სიჩუმე ერთმა მეთაურმა განმუხ-

ტა - "ძალიან ცივა, არაყი ხომ არ დაგველია". მეორე ჯგუფს პური და ხახვი აღმოაჩნდა. მეომრები მიწაზე დასხდნენ, ისაუბრეს, ერთმანეთი დალოცეს, ერთმანეთს ომის მალე დამთავრება და შინ მშვიდობიანად დაბრუნება უსურვეს. ნახევარი საათის შემდეგ თავითავიანთი გზებით წავიდნენ. მოგვიანებით ცაში ნასროლი ტრანსირის ტყვიებით გააგებინეს ერთმანეთს - ყველაფერი რიგზეაო" (ჟურნალისტ გ.მელიქიძის ნაამბობიდან, თბილისი, 1994 წ.).

"ქართველი მეომარი (კახეთიდან) დათვრა, ხელები მაღლა ასწია და აფხაზების სანგრის მხარეს გადასძახა - არ მესროლოთ, თქვენთან მოვდივარ. ავტომატი ამხანაგს მიაბარა, ღვინით სავსე ათლიტრიანი ბოცა აიღო და აფხაზებისკენ წავიდა. გავიდა ერთი საათი, ორი, გვეგონა, მოკლეს ის ბიჭი, მაგრამ ვხედავთ, მოდის, თან რაღაცები მოაქვს - აფხაზებს შავი ღვინო, ცხელი ღომით სავსე კარდალა და სულგუნები გამოუტანებიათ" (აფხაზეთში დაღუპული ქუთაისელი მეომრის დ.ზივზივაძის დღიურიდან).

"არავინ იცის, რა მოუვიდა, ალბათ ფსიქოლოგიურ სტრესს ვერ გაუძლო, ჩემი ნაცნობი ბიჭი სანგრიდან ამოხტა და გინებ-გინებით აფხაზების სანგრისკენ გაიქცა. როცა მიირბინა, იქიდან ვიღაცამ დაუძახა: "Грузин, ты пян, вернись к своим". ბიჭი გამოერკვა და უკან გამოიქცა. მისთვის არ უსვრიათ" (დ.ზივზივაძის დღიურიდან).

"ტყეში ჩასაფრებულ აფხაზ მებრძოლს ქართველი დაადგა უკნიდან. როდესაც აფხაზმა მოიხედა, ქართველი ავტომატს უმიზნებდა, აფხაზი მეომარი ავტომატის სროლას ვერ ასწრებდა. ქართველმა რამდენიმე წუთი უყურა, მერე უთხრა - წადი, შენ ჩემთვის არაფერი დაგიშავებიაო" (დ.ზივზივაძის დღიურიდან).

"ქართველი მეომრები ალყაში მოექცნენ. ისინი შენობის სარდაფში იმყოფებოდნენ და იქიდან სროლით იგერიებდნენ აფხაზებს, სამი მოკლეს, ცოცხალი დარჩა მხოლოდ ერთი. აფხაზებს ისიც მოკლული ეგონათ. სარდაფში ჩავიდა ერთი აფხაზი მეომარი. ქართველმა მას ესროლა, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო არ იყო. ქართველმა იარაღი აყარა აფხაზს. ცოტა ხნის შემდეგ უთხრა - მე ცოცხალი არ ჩავბარდები, შენ თუ ხოხვა შეგიძლია, წადი. აფხაზმა სამშვიდობოს გააღწია. ცოტა ხანში ქართველი დაიღუპა. მითხრეს, ომის შემდეგ ის აფხაზი ქართველის სახელისა და გვარის დადგენას ცდილობდაო" (მ.ყუფარაძე, ქ.თბილისი, 1999 წ.).

სამყაროში არ არსებობს "მარადი მტერი", თუმცა, სამწუხაროდ, არც "მარადი მეგობარი" არსებობს, მაგრამ არსებობს შესაძლებლობა მტრები საერთოდ არ გავხდეთ ერთმანეთისთვის. ეს შესაძლებლობა გამოუყენებელია.

ცალ-ცალკე და ნაწილობრივ ყველამ კარგად ვიცით კავკასიის კონფლიქტები, მაგრამ მთლიანობაში ცუდად, ან სულაც არ ვიცით. მარცხენამ არ იცის, რას აკეთებს მარჯვენა. ჩვენ თავს დაგვტრიალებს უარყოფითი ადგილობრივი და უარყოფითი საერთაშორისო მნიშვნელობის სტერეოტიპები. ჩვენ არ ვართ ყანწის, მანდარინის, ხანჯლის, ქუდი-აეროპორტის ხალხი. ჩვენ დიდი კულტურული რესურსების მატარებლები ვართ, მაგრამ...

თუ ჩვენმა საზოგადოებებმა ვერ გაიგეს ერთმანეთის სატკივარი, პოლიტიკოსებმა საუკეთესო გადაწყვეტილებებსაც რომ მოაწერონ ხელი, მაინც არაფერი გამოვა. ამ სამყაროში ჩვენ სხვა არავინ მოგვიხდის ბოდიშს, ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ ერთმანეთს.

ჩვენ ამისთვის გვაქვს შესანიშნავი საშუალება - სახალხო დიპლომატია. მისი სახელისგან გამომდინარე, ის ჭეშმარიტად ხალხის კუთვნილებაა, კეთილშობილი, ბრძენი ხალხის, მაგრამ არაოფიციალური დიპლომატია არ უნდა გახდეს ოფიციალური დიპლომატიის, პოლიტიკის შენიღბული გაგრძელება. თუ მან სახე იცვალა, დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ის მარად ახალი, ეფექტური გზების ძიებაში უნდა იყოს, ის არ უნდა გახდეს კონფორმისტების, ყალბ, ნიჰილისტ ერუდიტთა თავშესაფარი, ის არ უნდა გახდეს გრანტებს დახარბებული ცრუ სამშვიდობო, უშედეგო ინიციატივების სათავე. მის გზაზე ნაოელმა ადამიანებმა უნდა იარონ, მათ, რომლებიც უმძიმეს წუთებშიაც ინარჩუნებენ ადამიანობას, აგრძელებენ საუკეთესო ტრადიციებს და თავიანთი არსებობით საუკეთესო კაცობრიობას ემსახურებიან.

"Абхазцы контролировали высоту Ануаа-рхуы, внизу на трассе ими был взорван мост. Беженцы-грузины доезжали на автобусе из Сухума до взорванного моста, переходили речку вброд, а затем садились в автобус, который в это время прибывал из Очамчира. Беженцы знали, что высоту контролируют абхазцы, и поэтому переход из одного автобуса в другой занимал считанные минуты. Правда, по мирным гражданам никто не стрелял, но на войне всякое бывает...

И вот в один из дней подошел автобус из Сухума, переполненный стариками, женщинами, детьми. За несколько минут люди перебрались в

ეროვნული ბიბლიოთეკა

другой. Среди беженцев был старик с тремя внучками. Взяв одну внучку и нехитрый скарб, он перенес их в автобус, быстро пошел за второй внучкой, перенес и ее в автобус. Третья внучка стояла на другом берегу речки, ожидая дедушку. Но в это время автобус с беженцами, где был дед с двумя внучками, рванул вперед. Видимо, водитель, забыв от страха о совести, бросил девочку на произвол судьбы. Все это наблюдали воины с абхазской и грузинской стороны. У абхазов был единственный гранатомет с тремя снарядами, его держали на крайний случай. И вдруг впереди уходящего автобуса, на безопасном расстоянии, разрывается снаряд гранатомета. Водителя предупредили - остановись, забери ребенка, но автобус продолжал мчаться. И вновь перед автобусом разорвался снаряд, и опять автобус продолжает движение. Раздался третий выстрел, и вновь снаряд взорвался перед автобусом - он остановился, из него вышел пожилой мужчина и медленно, неспешно пошел по дороге, перешел речку, взял внучку на руки и снова спокойно, медленным шагом направился к автобусу. Посадив девочку в автобус, он опять вышел из него, встал на колени лицом в сторону Ануаа-рхуы, искренне помолился и снова спокойно вошел в автобус, тот тронулся с места и скоро исчез из виду. И тут раздался салют - так грузины приветствовали человеколюбие абхазцов".

(Аслан Гуабжа - "Народная дипломатия и ораторство на Кавказе". Из сборника публикации "Аспекты Грузино-Абхазского конфликта". Ирвайн, 2001 г.).

"ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში ქართული სამხედრო შენაერთები ბრძოლით შევიდნენ. სოფლის მოსახლეობამ სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. სამი ქართველი მებრძოლი ერთ-ერთ მიტოვებულ ორსართულიან სახლში შევიდა. ამ დროს მათ ალყა შემოარტყეს აფხაზმა მებრძოლებმა და ცეცხლი გაუხსნეს. ორი ქართველი დაიღუპა, მესამემ გადაწყვიტა ფანჯრიდან გადამხტარიყო, შეარჩია კიდეც ერთ-ერთი ფანჯარა, რომელსაც ნაკლებად ხვდებოდა ტყვიები. ის-ის იყო გადახტომა გადაწყვიტა, რომ ოთახის კუთხეში 2-3 წლის ბავშვი ნახა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ოჯახის წევრებს ეგონათ, ბავშვი მეზობლებმა წაიყვანეს - ყველა ხომ სწრაფად ტოვებდა სოფელს. ბავშვი კი, ეტყობა, საწოლის ქვეშ იყო დამალული.

სახლს უკვე ცეცხლი ეკიდა, იქ ბავშვის დატოვება შეუძლებელი იყო. ქართველმა მეომარმა ბიჭი ხელში აიყვანა, მკერდში ჩაიხუტა და ფანჯრიდან გადახტა. ტყვედე სულმოთქმელად ირბინა, მერე იქ ერთი ხის ძირას ორმოში ჩაიმალა ბავშვთან ერთად. დაღამებას ელოდა, რათა სიბნელეში თავისიანებთან გადასულიყო, მაგრამ საღამოჟამს ორი აფხაზი მეომარი დაადგა თავს და ტყვედ აიყვანეს. ქართველმა უთხრა - მე მებრძოლი ვარ, თუ გინდათ დამხვრიტეთ, მაგრამ იქ, ორმოში ბავშვია. ერთ-ერთმა აფხაზმა ბავშვში ძმისშვილი შეიცნო. გაკვირვებულმა იკითხა, თუ რა უნდოდა მასთან ძმისშვილს. ქართველმა ყველაფერი აუხსნა. შემდეგ დატყვევებული ქართველი აფხაზებმა მაღლა, მთის სოფელში, ბავშვის ბაბუის სახლში აიყვანეს.

ბავშვს მთელი სანათესაო ეძებდა. როცა ყველაფერში გაერკვნენ, ბავშვის ბაბუამ ქართველს უთხრა - შენ გვარის გამგრძელებელი გადამირჩინე, შენ ნამდვილი მეომარი ხარ. შემდეგ ქართველის საპატივცემულოდ აფხაზებმა ხბო დაკლეს, სუფრა გაშალეს, მიიღეს ის, როგორც სტუმარი, დალოცეს. მეორე დილით, უთენია ქართველი ბავშვის ბიძამ გაიყვანა სამშვიდობოს. დამშვიდობებისას ჯერ ავტომატი დაუბრუნა, შემდეგ კი გაუცვალა თავის ავტომატში, უთხრა - ჩვენ კი ვებრძვით ერთმანეთს, მაგრამ დღეს მეგობრებად დავშორდეთო" (აფხაზეთში ნაბრძოლის ვ.ვაშაკიძის ნაამბობიდან. თბილისი, 1995 წ.).

ომმა გამოსცადა თითოეული ჩვენგანი. ჩვენ, ომის საშინელებაგამოვლილებს, კარგად გვახსოვს მკვლელთა და ყაჩაღთა, სულმდაბალთა და უგუნურთა ავკაცობანი და ისიც გვახსოვს, თუ როგორ გადაარჩინეს სიკვდილს, როგორ აარიდეს ერთმანეთი განსაცდელს სხვადასხვა დაპირისპირებულ მხარეს მყოფმა ადამიანებმა, როგორ შეინარჩუნეს მათ ომის დამთრგუნველ საშინელებაში სულის სიმაღლე, რაინდობა, ღმერთისა და კაცის სიყვარული.

მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ ომის სისასტიკეზე და, ამავე დროს, და ყველაზე კარგად - იმ ნათელი სულის კაცებზე, რომელთანაც, როგორც ყოველ დროს და ყველგან, აფხაზეთშიც დამარცხდა ომი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ვასაძე

კრიტიკული ფრაგმენტები

ქიაჩელის "ჰაკი აძბა"

როგორც ნეორომანტიკოსი, ლეო ქიაჩელი აფხაზეთს აღიქვამს კულტურის იმ ძველი პლასტების შემსახველ მხარედ, რომელთაც ჰაკი აძბასნაირი, ბუნებრივი, ცივილიზაციის მანკიერებებით შეურყვნელი, მონოლითური და მძაფრი სულის ადამიანი შეუძლიათ წარმოშვან - რომანტიკოსი თუ რომანტიზმთან გენეტიკურად დაკავშირებული მწერლები ეძებენ ისეთ ნაციონალურ-კულტურულ არეალებს, სადაც ტიპიური, არაჰერროიკული და შინაგანად დაწვრილმანებული ადამიანისგან განსხვავებულ, სულიერად მთლიან და ძლიერი ვნებებით გამოჭვალულ ნატურებს აღმოაჩენენ (ვთქვათ, სტენდალისთვის ასეთი არეალი იტალიაა, მერიმესთვის - ესპანეთი...).

ჰაკი აძბას რომანტიკულად უწვეული ფიგურა იკვეთება სოხუმის პოლიეთნიკური საზოგადოების ანტიროდანტიკულ ფსიქოლოგიასთან და მორალთან შეპირისპირებით. მახვილი და დამცინავი მზერით დანახული ეს საზოგადოება ჰეროიზმისგან სრულიად დაცლილია, მეშჩანურ-ფილისტერული და კონფორმისტულია, საკუთარ უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე გაფაციცებით მზრუნველი, თავის გადასარჩენად ყველას და ყველაფრის უპრინციპოდ გამწირავი, პირფერი და ფარისეული. ნიშანდობლივია ისიც, რომ სოხუმის წვრილბურჟუაზიულად "კეთილგონიერი", მფრთხალი, თვინიერი საზოგადოება, რომელიც ფსევდორევოლუციურობით ინიღბება, ერთბაშად იქცევა აგრესიულ მასად და თავისთავში პოულობს საშინელ ძალას იმის დასათრგუნად, ვინც თავისი არაორდინარული ქცევით მას მყუდროება დაურღვია. თუმცა სოხუმის მკვიდრებმა ბოლშევიკებისადმი პანიკური შიშით და ზღვარგადასული მლიქვნელობით სახიფათო სიტუაციის პროვოცირება არსებობად თვითონვე მოახდინეს.

ჰაკი აძბას (ასევე ემხას) სახესთან ერთად ფილისტერულ საზოგადოებას კონტრასტულად უპირისპირდება ბოლშევიკი კაპიტნის სახეც, რომელიც რომანტიკულად გაუცნაურებული, გაიდუმალებული და თითქმის დემონიზებულია - აღჭურვილია შემზარავი, მონსტრისებური იერით, შიშისმომგვრელი შინაგანი ძალით, გამოუცნობი სულით. ეს იდუმალებით მოსილი კაცი არამარტო ადამიანებს, არამედ თითქოს ბუნების სტიქიებსაც იმორჩილებს (უნებურად გვახსენდება კაპიტან აკაბის რომანტიკულად დემონიზებული სახე მელვილის "მობი დიკიდან"). მაგრამ საბოლოოდ მას რომანტიკული შარავანდედი ეცლება და შემაძრწუნებლად იდუმალი და ძლიერი არსება - რევოლუციის მრისხანე ძალის და ნების, რევოლუციის უზენაესი სიმართლის განმასახიერებელი - სულიერად უმნეო აღმოჩნდება. მისი თითქოსდა შეუცნობლად ღრმა სული მთლიანად ჩატეულია ვიწრო დოგმაში, რაც ცოცხალი ადამიანური სიმართლის დანახვის საშუალებას არ აძლევს მას. იმის გარდა, რომ არ შეუძლია გაიგოს ემხას და ჰაკის ურთიერთობის არსი, კაპიტანს, ისევე როგორც ქალაქის საზოგადოებას და მესვეურებს, არ აინტერესებს, სინამდვილეში ვისი მიზეზით მოხდა ემხას და მეზღვაურების შეტაკება.

ბოლშევიკ კაპიტანს აკნინებს სულიერი სიბრმავე და ამის გამო ის არ შეიძლება იყოს ტრაგიკული მგირი, თუნდაც ტრაგიკულად შემცდარი და ბრალეული მგირი. მეტიც, სულიერი სიბრმავე ამ თითქოსდა არაჩვეულებრივ ადამიანს ტრაგიკული გმირების უსახურ ჯალათად აქცევს.

"ჰაკი აძბა" ტრაგიკული ფენომენის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ხორცშესხმაა ქართულ ლიტერატურაში. მის ტრაგიზმს წარმოქმნის ის, რომ როგორც ფილისტერულ-მეშჩანური უპრინციპობა და კონფორმიზმი, ფარისევლობა, ასევე ბოლშევიკური ფანატიზმი გარდაუვალად, ფატალურად ეწინააღმდეგება ადამიანურ ღირსებას, სიმართლეს, ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობებს. სწორედ ამიტომ მოთხრობაში ემპირიულ მოვლენათა განვითარებას, სიუჟეტის მოძრაობასაც ფატალური აუცილებლობის ხასიათი ეძლევა (ამაში თავისი წვლილი შეაქვს აგრეთვე ბედისწერის წინათგრძნობის ტრაგედიულ მოტივს).

მოთხრობაში წარმოისახება ტრაგიკული სიტუაცია, როცა გარდაუვალი ხდება ადამიანების მიერ სიცოცხლის მსხვერპლად გაღება იმ ფასეულობების გადასარჩენად, რომელთა გულისთვისაც საერთოდ ღირს ამქვეყნად სიცოცხლე; კონკრეტული ადამიანების სიცოცხლე უნდა შეეწიროს იმას, რაც მთლიანად სიცოცხლეს ანიჭებს საზრისს.

ჰაკი აძბა, ნაწარმოების უპირველესი ტრაგიკული გმირი, უჯუშ ემხასაც შველის, ტრაგიკული გმირის სულიერი რანგი მოიპოვოს. ემხა, რომელიც თავიდან და თვით მეზღვაურის მოკვლის შემდეგაც ბოლშევიკებისადმი მისტიკური ძრწოლით არის შეპყრობილი, მხოლოდ ჰაკის მის გვერდით ყოფნის წყალობით იბრუნებს შინაგან ძალას და ღირსებას, იქცევა ისე, როგორც არისტოკრატული ზნეობრივი კოდექსის დასაცავად არის აუცილებელი - ჰაკის გარეშე ის თითქოს არასრული, ნაკლული ადამიანია. ჰაკი აძბა ემხას სიცოცხლის გადარჩენას ვერ შეძლებს, მაგრამ თავისი თავგამეტებული ერთგულებით მას ღირსეულად სიკვდილს შეაძლებინებს - ის, რომ ბოლომდე მასთან ერთად არის ახლობელი ადამიანი, რომ არსებობს ასეთი უტყუარი ერთგულება, არსებობს იმგვარი რამ, რასაც სასიკვდილო საფრთხეც ვერ არყევს და აღმოფხვრის, აძლევს უჯუშ ემხას ძალას, არ შედრკეს სიკვდილის პირისპირ დგომისას, აზიდოს ტრაგიკული გმირის ტვირთი.

"ჰაკი აძბაში" ვაჟა-ფშაველას პოემების ტრაგიკული სული განაგრძობს არსებობას. მოთხრობა სხვა ნიშნებითაც ენათესაება ვაჟას პოემა-ტრაგედიებს, განსაკუთრებით "სტუმარ-მასპინძელს": ეს არის ყურადღების კონცენტრირება რამდენიმე ექსტრემალურ სიტუაციაზე, ფატალურად აუცილებელ მოვლენათა წყების შეუყოვნებელი, აჩქარებული გაშლა, მასის ნეგატიურად წარმოჩენა და მასიდან გამორჩეული პიროვნებების გამოცალკევების გამოსახვა, პიროვნების ტრადიციასთან მიმართების, მტერთან ურთიერთობის და ღრმა ადამიანური სოლიდარობის ძირეული მოტივები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაურ ნაჭყებია

ბაგრატის დუმილი

პოეტის ბედი - მარტოსულობაა და იგი სხვადასხვაგვარი სახით სხვადასხვა დროს წამოეწევა ხოლმე პოეტს. ბედი გარდუვალია. მან შესაძლოა, მრავალი წლის მანძილზე აბაროს კეთილგანწყობილის, მოწყალის ნიღაბი, ანდა სულაც განურჩეველი იყოს, გვერდიდან მოყურადე: იგი თითქოს არ ერევა პოეტის ცხოვრების მდორე დინებაში, მაგრამ თავის დროს ელოდება. პოეტს ეს ზოგჯერ ატყუებს, მით უფრო როცა მისი "ესმით" და თანამედროვეთა "მაღალ შეფასებას," "საერთო-სახალხო სიყვარულს" მოიხვეჭს. პოეტი, შეიძლება, ბედთან მორიგებაზეც წავიდეს და ირწმუნოს, რომ ამ უნუგეშო და განწირულ სამყაროში მეტ-ნაკლებად "სვეკეთილად" მოწყობას მოახერხებს და რომ შეძლებს თავისი მთლიანობა ორ თანაბარ დიად ნაწილად გაჰყოს - პოეტად, რომელიც მედგრად ეგებება გრიგალებს და ჩვეულებრივ მოკვდავად, "ბედნიერების" მიღწევა რომ მოსურვებია.

მაგრამ ეს თავის მოტყუებაა, რაც პოეტმა უკეთ იცის, ვიდრე სხვა ვინმემ, და კეთილდღეობანას თამაში, ადრე თუ გვიან, მისი მწუხარე და ტრაგიკული, ჭეშმარიტი ხმის აღმოთქმით სრულდება.

ერთი შეხედვით, ბედი მის მიმართ გულმოწყალე იყო, მას ჰქონდა ყველაფერი, რაზეც შეიძლება იოცნებოს უბრალო მოკვდავმა, მაგრამ მთელმა ამ გარეგნულმა კეთილდღეობამ - ხორცის სიმრთელემ, ფულმა, ჩინებმა, დიდებამ - ვერ დაჩრდილა მისთვის ადამიანური ყოფიერების ტრაგიზმი. სხვაგვარად არ გვექნებოდა სტრიქონები, რომლებშიც დაუნდობელი ბედისწერის გრიგალები მძვინვარებენ. ბაგრატ შინქუბას არაერთხელ გაუოგნებია თავისი მიამიტი თანამედროვეები ჭეშმარიტად ტრაგიკული პათოსის ლექსებით. სიცოცხლის სინათლისა და სიობოს გვერდით იგი ყოფიერების წყდიადსა და სიცივესაც ასახავდა. რა სიღრმეებში იხედებოდა ასეთ დროს პოეტი, მათთვის დაფარული რჩებოდა. "ბედის ნებიერია, რაღა აკლია?!"- განცვიფრებული კითხულობდა ახლომხედველი პუბლიკა.

ეს იყო არაოდენ "მსოფლმხედველობა," არამედ უბედურების წინათგრძნობაც. უბედურებამაც არ დაახანა იმ მიწაზე მოსვლა, რომლის სილამაზის შეცნობა, ღრმად განცდა და უჭკნობი სიტყვებით გადმოცემა ცოტამ თუ შეძლო ისე, როგორც ბაგრატ შინქუბამ.

ჩინები, დიდება, "სახალხო სიყვარული" არ ქმნიან პოეტს. მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ გამოუონავს დროის ფურცელზე, დაშიფრული წერილის მსგავსად, როცა მიწყნარდება ხმაური მის გარშემო, ანდა თავად დადუმდება ამა თუ იმ მიზეზით. რომელიმე დიდი პოეტის დუმილი უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვეთათვის, ვიდრე მისი ლექსები. დუმილი თითქოს განგვაშორებს ცოცხალ და ნაცნობ სახეს პოეტი-ადამიანისა და უფრო საცნაური ხდება მისი ნამოღვაწარის წონა და წარუვალობა. პოეტი დუმილით განაგრძობს იმის თქმას, რასაც ადრე გვეუბნებოდა, მაგრამ შეუსმენელი დარჩა. მისი დუმილი ნაკლებარსებითი რიდია, ვიდრე მისი სიტყვა. ვაკუუმში, ანუ "არაფერში" დაგროვილია კოლოსალური ენერგია, შესაძლოა ის ძალაც კი, რომელმაც შექმნა სამყარო. ამგვარადვეა დუმილშიც, განსაკუთრებით, პოეტის დუმილში; დუმილში ადამიანისა, რომელმაც სიტყვის ერთგულებას, სიტყვის სამსახურს მიუძღვნა მთელი სიცოცხლე.

მისი დუმილი საყვედურია ჩვენდამი, ყველა იმ ულირსობისადმი, რაც ჩვენში ხდება. მისი დუმილი იმედიცაა, რამეთუ ამ საყოველთაო დაშლისა და ნგრევის პირობებშიც თურმე შესაძლებელია, დარჩე შეურყეველ კუნძულად თავისუფლებისა და სულიერებისა, მატარებლად აფხაზთა ძირძველი კულტურისა, რომელშიც პატიოსნება და ღირსება ყველაფერს აღემატება.

სულიერი შფოთისა და ზნეობრივი დაქსაქსულობის ჟამს, სახიფათო არეულობისას, მეტიც - ჩვენი ხალხის საუკუნოვანი საყრდენების წარხოცვის დროს, სახალხო პოეტის დუმილი აღიქმება როგორც დაბეჯითებული მოწოდება - მოვუსმინოთ ჩვენსავე ხმას, ჩვენსავე გულს, შევეშვათ ყოველად არასაჭირო ფართი-ფურთს, დავივიწყოთ ქიშში მაშინ, როცა არც ვიცით, რა ვუყოთ მოპოვებულ თავისუფლებას, როცა ვერა და ვერ გაგვიყვია ეს გაუბედურებული ქვეყანა.

ბაგრატ შინქუბას დიადი მარტოსულობა ჩვენს შორის, ჩვენს გვერდით, მისი ჩვენს გვერდით ყოფნაც და არყოფნაც, ნიშანდობლივია არამარტო პოეტისათვის საერთოდ (გაიხსენეთ პუშკინისეული: "პოეტი თუ ხარ... იცხოვრე მარტო..."), არამედ ნიშნეულია ჩვენი დროისთვისაც, როცა ჩვენი ხალხი სიმარტოვესა და სულიერი განგაშის მდგომარეობაში იმყოფება, როცა იგი საკუთარ წარსულსა და მომავალში ჩადებული აზრის შესახებ გაჩენილი კითხვებით მიაპყრობს მზერას უეცრად გადაშლილ ჰორიზონტებს. და ყოველ ჩვენგანზე ამაღლებული მთელი თავისი სიდიადით ნთელი და ბრძნული სახება ამ კაცისა, რომელიც იცავს ჩვენი სულიერების სამანებს, იმ ზღუდეებს, რომელთა მიღმაც დავიწყებაა, ხრწნა და ფერფლად ქცევა.

ჩვენთვის საიდუმლოა, თუ რითი სუნთქავს დღეს ეს ამაყი და დიადი სული. მაგრამ იმედი, რომ ის არ გამტყდარა და არ დათრგუნულა იმ განხეთქილების შემყურე, რამაც ქვეყანა მოიცვა, რამაც მოიცვა ჩვენი კულტურა საზოგადოდ, ნამდვილად უნდა გვქონდეს.

არ არსებობს ბედნიერი თუ უბედური ხვედრი. ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთარი გზა, რომელიც მან ბოლომდე უნდა გაიაროს. პოეტს, ამ გზაზე, სხვათაგან განსხვავებით, წილად ერგება აღბეჭდოს "გულის მწუხარე ნიშნები."

არაერთი ამგვარი ნიშანი დაგვიტოვა ბაგრატ შინქუბამ. მიუხედავად ამისა, იგი რჩება ამოუწურავი იმედის პოეტად, სინათლისა და სიობოს პოეტად, რითიც ცოცხლობდნენ აფხაზები და აფხაზეთი.

2002

თარგმნა

გურამ ოდიშარიამ



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან ჯანაშია

...სოხუმური ზაფხულები

აფხაზეთი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მარტო იმის გახსენება რადა ღირს, რომ 1950 წლიდან მოყოლებული თითქმის 40 ზაფხული გავატარეთ სოხუმში, ჩვენს აგარაკზე. რატომ სოხუმში და არა სხვაგან, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ჯანაშიები წარმოშობით მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონიდან არიან. მე-19 საუკუნის შუა წლებში პაპა ნიკოს მამა, სიმონ ჯანაშია, ნათესავებთან ერთად დასახლდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში, იქაური ძლიერი აზნაურის, კიჭინ (ნათლობაში ალექსანდრე) მარღანიას სამფლობელოში. აძიუბჟა სოხუმს სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაა დაშორებული 18 კმ-ით, გაშენებულია კოდორის მარცხენა ნაპირზე, კარგ მზიან ამინდში მოჩანს იალბუზი.

კიჭინ მარღანია, ძალიან საინტერესო პიროვნება, ქუთაისის გიმნაზიაში აკაკის თანაკლასელი იყო. აკაკი სტუმრადაც კი ყოფილა მასთან. ვინ იცის, "გამზრდელის" შექმნის იდეა მგოსანს სწორედ იქ გასჩენია! მარღანიებს შესანიშნავი კარ-მიდამო ჰქონდათ. ეზოში იდგა უზარმაზარი მსხლის ხე, რომლის ჩრდილში ასი კაცი ეტეოდა. არაჩვეულებრივი იყო როდოდენდრონისგან დაწნული სამზადი სახლი, რომელიც უკვე ჩვენს დროში გადმოტანილ იქნა თბილისის ღია ცისქვეშ მუზეუმში. სახლი ნაგები იყო წაბლის ორმაგი ფიცრებით. საოცარი სიმყუდროვე სუფევდა დიდ ოთახში. კედლებზე ეკიდა ცნობილი მოღვაწეების სურათები, რასაკვირველია, მათ შორის აკაკი წერეთლისაც. იდგა ჭილის სავარძელი-საქანელა. მაგიდაზე ეწყო ძველი ჟურნალ-გაზეთები, ზემოდან ეშვებოდა ასაწევ-დასაწევი მწვანე ნავთის ლამპა... პირველი ცოლის გარდაცვალების მერე საკმაოდ ხანდაზმულმა, სამოც წელს გადაცილებულმა, კიჭინ მარღანიამ შეირთო მეორე ცოლი, ანჩაბაძის ქალი, რომელსაც მეც კი მოვესწარი. მისი შვილები მეგობრობდნენ მამაჩემთან. განსაკუთრებული სიახლოვე გვქონდა ძია მიშასთან, ჩემი უფროსი ძმის, ლაშას ნათლიასთან, რომელიც მამას ძმასავით უყვარდა. სიცოცხლის ბოლომდის იგი ჩვენი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი იყო.

აძიუბჟაში დასახლებულმა ჯანაშიებმა ხელი

ნიკო და სიმონ ჯანაშიები. 1910 წ.

მიჰყვეს მეურნეობას. დიდი სიმონი ძალიან ადრე გარდაიცვალა. მას და მის მეუღლეს, დოდო (გიჭა) ჟანიას მცირეწლოვანი შვილები დარჩათ. ოჯახი ნელ-ნელა ფეხზე დადგა. ბავშვებს მეურვეობდა პეტრე, სიმონის ძმისწული. პეტრე ნიჭიერი და საქმიანი კაცი ყოფილა. სოფელში პირველი ჭა მას გაუთხრია. მანამდე მოსახლეობა წყალს კოდორიდან ეზიდებოდა. სხვათაშორის, იგი გატაცებული ყოფილა ხალხური მედიცინით. თანასოფლელებს აცრებსაც კი უტარებდა თურმე.

ალექსი ჯანაშია ოჯახიანად სოფელში აგრძელებდა ცხოვრებას. მისი ძმა ნიკო, პაპაჩემი კი სოხუმის მთიელთა სკოლის დამთავრების შემდეგ დიმიტრი გულიასთან, შემდგომში აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელთან ერთად, წავიდა სასწავლებლად გორის საოსტატო სემინარიაში. გორში პაპა დაუახლოვდა თედო რაზიკაშვილს, რომელთანაც შემდგომ ცხოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწერ-მოწერა ჰქონდა. გორში ქართულს ნიკო ლომოური ასწავლიდა, ვისი გავლენითაც, თედო სახოკიას თქმით, პაპას განსაკუთრებული ინტერესი გაუღვივდა ქართულის მიმართ. ბუნებრივია, რომ დიმიტრი გულიასა და პაპას მეგობრობა გაღრმავდა. ასეთი ფაქტიც კი მომხდარა: როცა დიმიტრი ტიფის დიაგნოზით მოათავსეს გორის საავადმყოფოში, პაპაც "ავად გამხდარა" ამხანაგის გვერდით ყოფნის მიზნით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ნიკო ჯანაშია მალევე დანიშნეს მასწავლებლად სოფელ მაკვანეთში (ოზურგეთის რაიონი), სადაც მან 22 წლისამ შეირთო მაქსიმე მუჯირის ქალი ელენე. 1900-1910 წ.წ. პაპა ნიკო მუშაობდა ძველი სენაკის განთქმულ სკოლაში. აქ მისი მოწაფეები იყვნენ: კ. გამსახურდია, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა და მამაც.

1910 წლიდან ნიკო ჯანაშია უბრუნდება აფხაზეთს. 1910 წელს იგი ხსნის სოხუმში პირველ ქართულ სკოლას. მას გვერდში უდგას მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძისა, შ. დადიანის და, ქ.შ.წ.-კ.გამ. საზოგადოების სოხუმის ფილიალის თავმჯდომარე. სკოლის ასაშენებელ თანხას მამა მანეთ-მანეთ აგროვებდა საზოგადოებაში. მას მიუმართავს განთქმული მეცენატისთვის სმიაცკოისთვის, რომლის იშვიათი მცენარეებით გარშემორტყმულ შესანიშნავ სახლში, დღეს აფხაზეთის სამთავრობო რეზიდენციაა. მისივე აშენებულია გულრიფშის ცნობილი სანატორიუმი ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. მას ეს ნაგებობა აუშენებია ამ დაავადებით დაღუპული შვილის სახელზე და უანდერძებია რუსეთის სასწავლო ოლქის მზრუნველთა საბჭოსთვის. პაპაჩემის თხოვნაზე, შეეწირა მანეთი ქართული სკოლისთვის, სოხუმელ მილიონერს უთქვამს: ჯ ტალინი ნვმპყანი ოვ თაინანახსწ-ო.

სკოლის აშენებამდე ვაჭარმა საჩინო იოსელიანმა მოსწავლეებს საკუთარი სახლი დაუთმო. მშენებლობა მძიმედ მიმდინარეობდა. ქართული სკოლისთვის გამოყოფილ იქნა ჭაობიანი ადგილი. კარგა ხნის მანძილზე პაპა ნიკო, მუხლამდე წყალში მდგარი, თავს ადგა მუშებს, რომლებიც ურმებით ეზიდებოდნენ ქვიშასა და ხრეშს. ბოლოსდაბოლოს, აშენდა მშვენიერი შენობა. დღეს იგი უკვე ქალაქის ცენტრშია.

სწორედ ამ დროს აფხაზურით ინტერესდება ნიკო მარი. 1912 წლიდან ის ადგილზე ჩადის ხოლმე საკვლევ ენაზე დასაკვირვებლად.

მარცხნივ: ს. ჯანაშია, მისი აფხაზი მეგობარი ფეფია ფლოდი (ბიძა) ქანია-ჯანაშია, მაგიდა მართა ჯანაშია-აფფილავა შვილით გრიგოლით.

სოხუმში ნ.მარი ყოველთვის ჩერდება ნიკო ჯანაშიას ოჯახში. მასპინძლის დახმარებით იგი მოგზაურობს აფხაზურ სოფლებში. დიდი მეცნიერის დაინტერესება აფხაზურით განპირობებული იყო ამ ენის პირველი ქართველი მკვლევარის, პ.ჭარაიას წიგნის რედაქტირებით. ამავე დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი იცნობდა ნ. ჯანაშიას პუბლიკაციებს აფხაზური ყოფისა და ფოლკლორის შესახებ, რომლებიც იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ პერიოდიკაში: "აკაკის კრებული", "დროება", "სახალხო გაზეთი". შემდგომ კი ნ.მარის მეშვეობით პეტერბურგის სამეცნიერო ჟურნალში: ქრისტიანოსლიკ გპსტპლ! 1960 წ. ნ.ჯანაშიას სტატიები ცალკე წიგნად გამოსცა პროფ. ხუხუტ ბღაჟბამ.

პაპა გარდაიცვალა 1918 წლის აპრილს, 45 წლის ასაკში. დაკრძალულია აძიუბჟას სასაფლაოზე. სოფელში ცხოვრებას აგრძელებდნენ მისი ძმა და დები: ელისაბედი და მართა, იშვიათი ქალბატონები. ისინი კარგად მახსოვს. 1937 წლის რეპრესიები არც აძიუბჟელებს ასცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ: დახვრიტეს პეტრეს 2 ვაჟი, ალექსის 2 ვაჟი (ნიკოს ძმისშვილები) და კიჭინ მარლანიას უფროსი ვაჟი. ალექსის ერთ-ერთ ვაჟს, კუკურის, კარგად იცნობდა ქ-ნი ქეთევან ლომთათიძე. მისი თქმით, ახალგაზრდა კაცი თავისი ნიჭითა და მონდომებით საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი აფხაზურად თარგმნიდა ქართველ კლასიკოსებს.

აძიუბჟაში ხშირად ვყოფილვარ. ძალიან მომწონდა პაპაჩემის აშენებული წაბლის ხის სახლი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჭიშკრიდან სახლისკენ მიმავალი უნაბის ხეების ხეივანი. მოვინახულებდით ხოლმე მეზობლებს, ნათესავებს, ქართველებსა თუ აფხაზებს. ამჟამად აღარც სახლია და აღარც მემკვიდრე.

იმდროინდელ სოხუმში შესანიშნავი ინტელიგენცია იყო. არ შეიძლება არ გავიხსენოთ პირველი გილდიის ვაჭარი იოსებ ადამია. მისი უფროსი ვაჟი ვახტანგი ცნობილი ისტორიკოსი იყო. ბ-ნი იოსები ადრე დაობლებულ მამაჩემს ყოველთვის გვერდში ედგა. ასევე ძალიან ახლობლები იყვნენ თედო სახოკია და მისი ძმა, რომელიც ბაღ-მარანში ცხოვრობდა. მისი ვაჟი, ბოტანიკის დარგში მოღვაწე, მსოფლიო რანგის მეცნიერი გახლდათ. სანამ ჩვენი უნივერსიტეტი გაიხსნებოდა, თედო სახოკია, თვითონ ხელმოკლე, მამას სწავლის გასაგრძელებლად დახმარებას ჰპირდებოდა. ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი პირი იყო ალექსანდრე გრიგოლია, პაპას მეგობარი. იგი ბევრი კეთილი საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო. ასე მაგალითად, მის სახელს უკავშირდება კურორტოლოგიის როგორც დარგის დაფუძნება, მალარიასთან სამთავრობო დონეზე ბრძოლა, ავათხარას (მინერალური წყლის) აღმოჩენა, საავადმყოფოების დაარსება და ა.შ.

პაპას აფხაზი მეგობრებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელო დიმიტრი გულია და ანდრია ჭოჭუა. ეს უკანასკნელი, იაკ. გოგებაშვილის მრწამსის მიმდევარი, აქტიური მონაწილე სახელმძღვანელოებისა და მეცნიერული კადრების მოვლა-პატრონობისა, სიცოცხლის ბოლომდის ჩვენს გვერდით იყო.

სოხუმის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მამა, სიმონ ჯანაშია, გახდა ახლადგახსნილი ჩვენი უნივერსიტეტის პირველი მიღების სტუდენტი. იგი ერთდროულად ორი განხრით სწავლობდა: ისტორიულითა და ენათმეცნიერულით. მისი მოძღვრები იყვნენ ივ.ჯავახიშვილი, აკ.შანიძე, გ. ახვლედიანი, ი.ყიფშიძე. სხვათა შორის, იოსებ ყიფშიძის დაწერილია ნიკო ჯანაშიას ნეკროლოგი. ივ.ჯავახიშვილს უნივერსიტეტის დაარსებისთანავე განზრახული ჰქონდა აფხაზური ენის კურსის შემოღება, მაგრამ ეს მხოლოდ 1924 წ. განხორციელდა. პირველი ლექტორი 1924-1926 წწ. იყო დიმიტრი გულია, 1926 წლიდან კი აფხაზურს ასწავლიდა ს.ჯანაშია, რომელსაც გარდა თეორიული მომზადებისა, ჰქონდა ენის პრაქტიკული ცოდნაც. ასე გაგრძელდა 1937 წლამდე, როცა აფხაზურის კურსი ჩაიბარა ს.ჯანაშიას მოწაფემ ქ.ლომთათიძემ, რომლის დამსახურება ამ ურთულესი ენის კვლევაში განუზომელია.

ს.ჯანაშია არ წყვეტდა კავშირს აფხაზურ სამყაროსთან სიცოცხლის ბოლომდე. ენიმკის დირექტორობის დროს თუ აკადემიის ვიცეპრეზიდენტობისას, იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს მოძმე ხალხის კადრების მომზადებას. იგი მონაწილეობას იღებდა სახელმძღვანელოების შექმნაში (თანაავტორებთან ერთად), ასპირანტების მომზადებაში, დისერტაციების ოპონირებაში; კოლეგებთან ერთად მუშაობდა აფხაზური ანბანის შემუშავებაში ქართულ გრაფიკაზე დაყრდნობით. დიდი რეზონანსი ჰქონდა გიორგი შარვაშიძის საიუბილეო საღამოს სოხუმში. ამ აფხაზი მწერლის შემოქმედებას მან საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა უძღვნა. საინტერესოა ასეთი ფაქტიც: იგი იყო რედაქტორი "ვეფხისტყაოსნის" დ.გულიასეული თარგმანისა. მეორე და უკეთესი თარგმანი ეკუთვნის მუშნი ლასურიას.

აუცილებლად გასახსენებელია ჩქოტუების, აფხაზი თავადების გვარი. ჩქოტუები წარმოშობით საბერიოდან (სამურზაყანოდან) იყვნენ. მათში ბევრი გამორჩეული პიროვნება იყო. რაფაელ ნიკოლოზის ძე ჩქოტუა 1918-1919 წწ. იყო აფხაზეთის საგანგებო საქმეთა მინისტრი. იშვიათი გარეგნობისა და ნიჭის ადამიანი, 20-იან წლებში ორჯერ რეპრესირებული, 1937 წ. დახვრიტეს. რაფაელის მეუღლე თამარი იყო შვილი წმ. გიორგის სახ. სამგზის ორდენოსანი გიორგი ხიმშიაშვილისა. ჩქოტუების ვაჟი გიორგი, ივ.კახაძის, გ. ძოწენიძის, მარკ რუბინშტეინისა და სხვა ცნობილ გეოლოგთა კოლეგა, დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში.

რაფაელის ბიძამ დავით ჩქოტუამ, გ.შარვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიძის უახლოესმა პირმა, სრულიად უსაფუძვლო განაჩენის გამო გაციმბირებულმა, გადასახლებაში დაწერა გამოკვლევა "ვეფხისტყაოსნის" შესახებ. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის მხოლოდ ნაწილი გადარჩა. იგი გამოაქვეყნა ს.ჯანაშიამ შ.რუსთაველის პირველი იუბილეს დღეებში. არ შეიძლება არ ვახსენოთ უცხოეთში მოღვაწე ნიკი ჩქოტუა, მალტის ორდენის კავალერი. მისი გული, მისივე ანდერძის თანახმად, დაკრძალულ იქნა მშობლების გვერდით თბილისში, ვერის სასაფლაოზე. გარდაცვლილისვე ნებით საფლავს ამშვენებს წარწერა "ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება".

თბილისის უნივერსიტეტი და აკადემიის სისტემაში მყოფი ინსტიტუტები ზრდიდნენ აფხაზ კადრებს. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ კავკასიურ ენათა კათედრა (თსუ-ში) და ენისა და ისტორიის ინსტიტუტები. ს.ჯანაშია ყოველთვის ცდილობდა ნიჭიერი აფხაზი ახალგაზრდების მოზიდვას. ასე მაგალითად, 1940 წ. სოხუმში გამსვლელ სესიაზე მან "აღმოაჩინა" მასთან მოპაექრე სტუდენტი, შემდგომში ცნობილი ისტორიკოსი ზურაბ ანჩაბაძე. მეურვეობდა ასევე უდავოდ გამორჩეულ მეცნიერებს: გ.ძიძარიას, ხ. ბლაუბას, შ.ინალ-იფას და ბევრ სხვას. სხვათა შორის, ენათმეცნიერულ თემაზე დაიცვა დისერტაცია აწ გარდაცვლილმა ბაგრატ შინქუბამაც, ცნობილმა აფხაზმა მწერალმა.

1945 წელს საკავშირო მთავრობამ რუსეთის აკადემიის 220 წლისთავთან დაკავშირებით გასცა განკარგულება აკადემიის ნამდვილი წევრებისთვის ეჩუქებინათ აგარაკები. იმ დროისათვის ჩვენში ასეთები იყვნენ: ნ.მუსხელიშვილი, ივ. ბერიტაშვილი და ს.ჯანაშია. ქართველებმა ითხოვეს მათთვის საქართველოში აეშენებინათ სახლები და არა მოსკოვის შემოგარენში. ასეც მოხდა. მამამ, როგორც სოხუმელმა და გულით ავადმყოფმა, სოხუმი ირჩია. ალ.გრიგოლიას დახმარებით მოიძებნა შესანიშნავი ადგილი ქალაქის განაპირას. ივ.ბერიტაშვილმაც იქვე მოისურვა აგარაკის აშენება. სამწუხაროდ, მამა ვერ მოესწრო მშენებლობის დამთავრებას, მაგრამ ჩვენ, მის ოჯახს, მაინც მოგვცეს ის. 1950 წლიდან დაიწყო ჩვენი დაუვიწყარი სოხუმური ზაფხულები. ამ სამოთხით ტკბებოდნენ ჩვენი ნათესავები, ამხანაგები, ოჯახის მეგობრები, მეზობლები, მამას ქართველი თუ რუსი კოლეგები. სოხუმში ჩასვლისას ყურადღებას არ გვაკლებდნენ ახლობლები. დიმიტრი გულია ყოველთვის მოინახულებდა ხოლმე ბებიას, ნიკოს მეუღლეს. ძალიან ხშირად ვურთიერთობდით ანდრია ჭოჭუას ოჯახთან, რასაკვირველია, ძია საშა გრიგოლიასთან. განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა ჩვენს ქართველ და აფხაზ ნათესავებთან. მუდმივ დახმარებას გვიწევდნენ შოთა (ბაგრატ) ჯანაშია და ერასტ აკშბა, მამაჩემის მამიდაშვილის ქმარი. მათ შვილებთან კავშირი არასოდეს გაწყვეტილა. ბ-ნი ერასტისნაირი კეთილშობილი და უშურველი ადამიანი იშვიათად შემხვედრია. შოთა ჯანაშია, პეტრე ჯანაშიას ვაჟი, აფხაზეთის კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი, აფხაზურის დარგობრივი ლექსიკის მცოდნე და შემკრები, საოცრად კეთილსინდისიერი იყო მუშაობაში. ერთი სიტყვის შესამოწმებლად შეეძლო სოფელ-სოფელ ეგროვებინა მასალა. ქართული, მეგრული, აფხაზური, რუსული მან შესანიშნავად იცოდა. საერთოდ ცოდნისმოყვარე პიროვნება იყო. ბ-ნმა არნოლდ ჩიქობავამ იცოდა თქმა, როცა სულხანსაბას დამოწმებას შეეხებოდა საქმე: შოთას ჰკითხეთ, მასსაკით ეს ლექსიკონი არავინ იცისო. შოთა ჯანაშიამ დისერტაცია მიუძღვნა მევენახეობის ლექსიკას აფხაზურში. 1954 წ. მან გამოსცა პირველი "აფხაზურ-ქართული ლექსიკონი" (რედ. ქ.ლომთათიძე). თბილისელ კოლეგებთან მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა.

ჩვენი ქართველ-აფხაზი ნათესავები ძალიან ტრადიციულნი იყვნენ: უფროს-უმცროსობა, ნათესაობა, სტუმარ-მასპინძლობა, სოფლელებთან მუდმივი კონტაქტი - ეს იყო მათი ცხოვრების წესი.

ახლა რაც შეეხება ჩემს ექსპედიციებს. აფხაზური ენის შესწავლის მიზნით 1958 წ. ივლისის თვეში, მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი ნათესავთან სოფელ აფხაზურ ათარაში (ოჩამჩირეს რ.აბჟუური დიალექტი) კუწნიების ოჯახში. მასპინძლებზე რომ არაფერი ვთქვა, მთელი სოფელი მოწადინებული იყო ჩემს დასახმარებლად. ვიწერდი სიტყვებს, ცოტ-ცოტა ტექტებს... მეორედ, 1961 წლის აგვისტოში ვიყავი უკვე ბზიფურ დიალექტზე დასაკვირვებლად სოფელ ლიხნში. ლიხნი საკმაოდ დიდი სოფელია, ასევე დიდი ტრადიციების მქონე: იქ ხომ აფხაზთა მთავრების რეზიდენცია იყო, რომლის მხოლოდ ნანგრევებიღაა შემოჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუვიწყარია კამლიების ოჯახში გატარებული თვე. ადრე დაობლებული დები მამიდასთან ერთად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. უმცროსი ორი და თითქმის მთელ დღეს ატარებდა ჩაის პლანტაციაში. ეს იყო უმძიმესი სამუშაო: ზემოდან დაგნათის მცხუნვარე მზე (იმ ზაფხულს ტემპერატურა 40 გრადუსს სცილდებოდა), ქვემოთ ბუჩქებში კი ისეთი სინესტეა, რომ წელზე შემოხვეული შალი და მუშამბაც კი ვერ გშველის. დეიდებთან ატარებდა ზაფხულს ობოლი დისშვილი ვალერი, რომელიც, თუ არ ვცდები, გამოსაშვებ კლასში სწავლობდა. ურთიერთობა იყო ძალიან თბილი. მამიდა ღომს დღეში ორჯერ აკეთებდა, თვალებში შემოგვცქეროდა. გვეხმარებოდნენ მეზობლებიც. გამოთხოვების ჟამი რომ დადგა, მე და დედამ საუბარი ჩამოვაგდეთ გადასახადზე. მასპინძლებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს. როგორც იქნა მივართვით რაღაც საჩუქრები. გულწრფელად აღელვებულები იყვნენ. ჩვენი ურთიერთობა შემდეგ უკვე მიწერ-მოწერითა და სურათების გაცვლით გაგრძელდა. აფხაზურს ვაკვირდებოდი ასევე სოხუმში, მეზობელ აფხაზებთან და ნათესავებთან.

აფხაზეთში უკანასკნელად 10 წლის ინტერვალის შემდეგ, 2001 წლის დეკემბერში ვიყავი, სასიკვდილოდ განწირული მამიდის სანახავად. შევხვდი ზოგიერთ კოლეგას, ზოგსაც ტელეფონით ვესაუბრე. არაფერი შეცვლილა ლიდა ჭკადუას, სარია ამიჭბასა და ჩემს შორის. მძიმე წუთები განვიცადე დამწვარ-დაბუგული სოხუმის ნახვით. იმედი მაინც მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთმა ნუ მომიშალოს ეს იმედი!

2005 წლის 26 აპრილი

ქეთევან ლომთათიძე თავის მონაფეებთან. მარცხნიდან: ლილი ხაგბა, ნელი არშბა, ქეთევან ლომთათიძე, სარია ამიჭბა, რუსუდან ჭანაშია. 1980 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის დელეგაცია თბილისში. 1. გენერალი გიორგი გვათუა; 2. მილიციის იუნკერი სასრიყვა ლაკერაია; 3. მილ. იუნკ. თავადი ერისტო ემუხვარი; 4. პოლკოვნიკი თავადი გრიგოლ შარვაშიძე; 5. იუნკ. თავადი გიდი შარვაშიძე; 6. იუნკ. აზნაური ძვაჯი მარლანია; 8. გენერალი ზურაბ ჩქოტუა (რაფაელის გაგუა); 9. მილ. იუნკ. აზნაური ძვაძი მარლანია; 10. მილ. იუნკ. თავადი დათა ანჩაბაძე; 11. მილ. იუნკ. აზნაური ძვაჯი აძირთავა; 12. მილ. იუნკ. თავადი ჩაგუ ემუხვარი.

http://www.opentext.ge/arili

წაკა HERE

"Арили" абри аномер Аҧсны атема иазкуп, иамеханакуеит уажәтәи аҧсуеи Аҧсны иалҵыз ақыртуа шәҟәҿцәеи рыҧҵамҭақәа.

Шәышықәсала ҳаицынхара азы иҧсабаратәым акыр инаскьаз апауза ашьҭахь аҧхьаҿ илшоит иахьатәи алитература адырра. Ажурнал иану аматериалқәа сахьаркырала иаадырҧшуеит аҧсуааи ақыртцәеи иахьатәи ртагылазаашьа ахәаҧшышьа.

Ҳгу иаанагоит, ҳагьақәгәыҧәеит даара аинтерес змоу авторцәа рхәаҧшра аҿежәларык рыгәреибагара иацхраап ҳәа.

"არილის" ეს ნომერი აფხაზეთის თემატიკას ეძღვნება და მოიცავს აფხაზეთის მკვიდრი თანამედროვე მწერლების ორივე ფრთას - ქართულს და აფხაზურს.

ჩვენი საუკუნოვანი თანაცხოვრებისთვის არაბუნებრივად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მკითხველს საშუალება ეძლევა თანამედროვე აფხაზეთის ლიტერატურას გაეცნოს. ჟურნალში წარმოდგენილ მასალებში მხატვრულადაა გააზრებული აფხაზურ-ქართული სინამდვილე და იმედი გვაქვს, რომ ავტორების ეს უაღრესად საინტერესო ხედვა ხელს შეუწყობს აფხაზურ და ქართულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას.

HEINRICH
BÖLL
STIFTUNG

ჟურნალის ნომერი გამოიცა
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით